

1555
4



ქართული
ლიბრეოთეკა

ხელნაწერის უფლებით

ლია ვარლამის ასული ახალაძე

**ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში
IX-XVII სს.**

სპეციალობა 07.00.02

საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
ვალერი სილოგავა

თბილისი 1998

ისტორიოგრაფიაში ეპიგრაფიკული ძეგლები უადრესად სანდო წერილობით პირველწყაროდ სწორედ სინამდვილეში მიჩნეულნი. წარწერების წყაროდ გამოყენების ფაქტები, ჯერ კიდევ ძველ ბერძენ ისტორიკოსთა თხზულებებში შეიმჩნევა. ეპიგრაფიკის ცნობილი მკვლევარის ვილჰელმ ლარფელდის დაკვირვებით, ისტორიის მამად წოდებული ბერძენი *ჰეროდოტე ჰალიკარნასელი* (ძვ.წ. დაახ. 484-425 წწ) ისტორიის წერილსა ხშირად იშველიებდა მონუმენტურ ბერძნულ ტექსტებს, კერძოდ, წარწერებს დელფოს ტაძრიდან. შედარებით მოგვიანებით - წერს ლარფელდი, ათენის აკროპოლისის წარწერები, ისტორიული მოვლენების გადმოსაცემად გამოიყენეს ისტორიკოსებმა: *თუკიდიდემ*, *ქსენოფონტე ათენელმა*, *თეოპომპე ქიოსელმა* და სხვებმა. ათენის ეპიგრაფიკული ძეგლების ცნობების გამოყენების კვალი შეიმჩნევა *არისტოტელეს* და *პერიპატეტიკური სკოლის* წარმომადგენელთა შრომებში ბერძნული ქალაქების ისტორიაზე.¹

ბერძენი ისტორიკოსი *პოლიბიოსი* (ძვ.წ. დაახ. 200-120 წწ.) წარწერების პედანტურად გამოყენებაში სდებდა ბრალს *თიმეოს თერომენელს* და მოუწოდებდა მას არ დაემახინჯებინა და არ შეეცვალა წარწერის ტექსტის შინაარსი.² ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ანტიკური ეპოქის ისტორიკოსებს გააზრებული ჰქონდათ თუ რა ღირებულება გააჩნდა ეპიგრაფიკული ძეგლების ცნობებს ისტორიული სინამდვილის დადგენისას.

ვ. ლარფელდმა ცხადყო, რომ წარწერების წყაროდ გამოყენებას, ანტიკურ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი. მიუხედავად ამისა, წარწერების გამოვლენის, გაშიფვისა და მეცნიერული კლასიფიკაციის პრობლემას მსოფლიო ისტორიოგრაფიამ სერიოზულად მხოლოდ XIX საუკუნეში მოჰკიდა ხელი.

ბერძნულ-ლათინური ეპიგრაფიკული ძეგლების შეგროვება-შესწავლა ჯერ კიდევ XV საუკუნეში დაიწყო. კირიაკო დე პიციკოლი არის კაცი, რომელიც თავის თავს კირიაკო ანკონელს უწოდებდა. იგი იქცა ბერძნულ-ლათინური ეპიგრაფიკის ფუძემდებლად. ვ. ლარფელდი კირიაკოს ჰაინრიხ შლიმანის შუასაუკუნეობრივ პროტოტიპს უწოდებდა და მას სამართლიანად შეარქვა ეპიგრაფიკის მამა.³

მიუხედავად XV საუკუნეში პიციკოლის მიერ გამოჩენილი ენთუზიაზმისა და გულმოდგინებისა ბერძნული წარწერების სრული კორპუსის გამოცემა 1828-1877 წლებამდე ვერ მოხერხდა. ამ წლებში გამოიცა *Corpus inscriptionum Graecarum*-ის ოთხი ტომი, რომელსაც თან ახლავს მე-5 ტომი საძიებლებითურთ. აღნიშნული კორპუსი დააფუძნა და მისი პირველი ტომის რედაქტორი იყო *აკვუსტ ბეკი*. მის მიერ წამოწყებული საქმე მომდევნო წლებში გააგრძელა ფრანცმა, კურციუსმა, მაინეკენმა და კირხხოფმა.⁴ ეს იყო პირველი სერიოზული ნაბიჯი ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის ისტორიაში. ამის შემდეგ 1873-1904 წლებში გამოვიდა *Corpus inscriptionum Atticarum*, რომლის ცალკეული ტომების რედაქტორები არიან ა. კირხხოფი, უ. კელერი, ვ. დიტენბერგერი. დროთა განმავლობაში - წერს თ. ფაუხნიშვილი, სულ უფრო მეტი წარწერა გამოვლინდა და შევიდა ისტორიული კვლევის არეალში. 1890

¹ Griechische epigraphik von *Wilhelm Larfeld*, Dritte völlig neubearbeitete Auflage, Mit 4 Teilen Munchen, 1914, გვ. 8.

² იქვე, გვ. 14.

³ იქვე.

⁴ *თაყუბნი შვილი*, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 1.



წლიდან იწყება გამოცემა იმ სერიისა, რომელსაც *Inscriptiones Craecae* ეწოდება და რომლის პირველი ავტორი კაიტელი იყო.⁵

ბერძნულ-ლათინური წარწერების კორპუსების გამოცემა კიდევ უფრო გააქტიურდა XX საუკუნეში, რამაც ხელი შეუწყო ამ წარწერების წყაროთმცოდნეობითი ღირებულების შესწავლას და გააფართოვა მათი პირველწყაროდ გამოყენების შესაძლებლობები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში წარწერების გამოყენების ფაქტები შეიმჩნევა ადრეფეოდალური ხანის ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო ჟანრის ლიტერატურაში. ძველ წყაროებში ეპიგრაფიკული ძეგლების წყაროდ გამოყენების ფაქტი პირველად ექ. თაყაიშვილმა დააფიქსირა XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის თხზულებაში “ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა”. მისი სიტყვებით, ბაგრატიონთა საგვარეულოს ქრონიკის ავტორს “ზოგჯერ გამოყენებული აქვს მრავალრიცხოვანი წარწერები ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებისა, რომელნიც მოგვითხრობენ ამ თუ იმ ბაგრატიონის ღვაწლს, მოქმედებასა თუ გარდაცვალებას. ამას ნაწილობრივ ცხადყოფენ ჩვენი და აგრეთვე სხვა ექსპედიციების მიერ შეგროვილი მასალები”⁶.

წარწერების წყაროდ გამოყენების ფაქტს ვხვდებით X საუკუნის ავტორის ბასილი ზარზმელის “სერაპიონ ზარზმელის ცხორებაში“-ც.⁷ ძველ საქართველოში წარწერების მნიშვნელობა და ფასი, რომ იცოდნენ ამაზე მიუთითებს წარწერათა განახლებისა და აღდგენის ფაქტები.⁸ და მაინც, ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახუშტი ბაგრატიონი არის პირველი ისტორიკოსი, ვინც ეპიგრაფიკული ძეგლები დაასახელა, როგორც თავისი ისტორიული ნაშრომის ერთ-ერთი პირველწყარო.

ვახუშტის მიერ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების წყაროდ გამოყენების ფაქტს თავის დროზე ყურადღება მიაქცია შოთა მესხიამ, მისი შენიშვნით, “საჭირო შემთხვევაში ვახუშტი მშვენივრად იყენებდა “ზედწერილებს”, რომელიმე თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად.”⁹

XVIII ს. 40-იან წლებში ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: “არიან აღმენებულნი (ეკლესიანი) ზოგნი მთავართა და ხუროთმოძღვართაგან, ვითარცა ზედვე ეკლესიათა წერილ არჩენენ“. თუ ვახუშტიმდე მხოლოდ ლაპიდარული და ფრესკული წარწერების წყაროდ გამოყენების ფაქტებს ვხვდებით, მან სხვა სახის ეპიგრაფიკული ძეგლებიც, კერძოდ ჯვრებზე გაკეთებული ჭედური წარწერებიც სამეცნიერო დანიშნულებისათვის გამოიყენა: „არასადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძკრფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თვინიერ: ჩუენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან“, რომელთა ზედა წერილ არიან ქუთათა, ხატთა

⁵ თაყაიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ.1.

⁶ სუმბატ დავითის ძე ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა მესამე, ტექსტი გმოსცა შესავალით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით აკად. ე. თაყაიშვილმა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 27, თბ., 1949, გვ. 15; ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ.55, E. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, тб., 1952, გვ.69.

⁷ ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ.345, იხ. აგრეთვე, მთავრული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ეკატერინე სილოგავამ, თბ., 1980, გვ. 8.

⁸ მქ. II გვ. 8.

⁹ მესხია, ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, “ანალები“, I, თბ., 1944, გვ. 55; შდრ: ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ.9.



და ჯუართა ზედა“.¹⁰ ვახუშტის მიერ ფრესკულ წარწერათა წყაროდ - ისტორიული დოკუმენტის სახით მოშველიების ფაქტი გამოიხატა დავით სოსლანის წარმომავლობაზე მსჯელობის დროს, რაც მოხდა იმ დროს, როდესაც კასრისხევის ეკლესიის ფრესკულ წარწერას: „მოწამე არს მისი მცირე ეკლესია კასრის ხევსა შინა, სადაცა დახატულ არიან და დაწერილნი ზედ დიმიტრი და ძე მისი დავით, ძე დავითისა ათონ, ძე ათონისა ჯადარონ, ძე ჯადარონისა სოსლან დავით, რომელი იყო ქმარი თამარისა“.¹¹

და მართლაც, კასრისხევის ეკლესიის ფრაგმენტულ წარწერაში დღემდე შემორჩა აქ გამოსახულ ქტიტორთა განმსაზღვრელი ფრესკული წარწერების მხოლოდ ერთი ნაწილი, სადაც იკითხება: „... ათონ, ჯადარონ, სოსლან...“, რაც ვახუშტის მიერ მოტანილი წაკითხვის სისწორეზე მიგვანიშნებს“.¹² და ამავე დროს ადასტურებს, რომ ვახუშტი საჭირო შემთხვევაში, მართლაც მშვენივრად იყენებდა ეპიგრაფიკულ მასალას.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია ვახუშტის შრომის ხელნაწერი, N104, 1808 წლისა. აღნიშნული ხელნაწერის „ძველი ქართლის ცხოვრების“ ნაწილში ვკითხულობთ, რომ „გიორგი მეფის ძის კონსტანტინესა და მის ქუეყრე მეფეთა ქმნულებათა ვიუწყებთ წარწერათ თჳს-თჳსა“¹³ მიხედვით. მოტანილი ციტატა აშკარად მიუთითებს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ქართველ მეფეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერისას არ ივიწყებდა მათ ქტიტორულ საქმიანობასაც და წარწერებში შემორჩენილ მეფეთა საქმიანობის დამადასტურებელ ცნობებს პირველწყაროდ იყენებდა.

თუ გავანალიზებთ ვახუშტი ბაგრატიონის შემკვიდრებას ეპიგრაფიკული ძეგლების გამოყენების თვალსაზრისით, შევამჩნევთ, რომ სახელოვანი მეცნიერი ერთმანეთისაგან განარჩევდა ქვაზე, ფრესკაზე და ხატზე შესრულებულ წარწერებს: „რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა“.¹⁴ ხოლო ფრესკული წარწერების შესახებ წერდა: „კასრისხევსა შინა, სადაც დახატულ და დაწერილ არიან...“. მოტანილი სიტყვებიდან ჩანს, რომ ვახუშტი ქვაზე, ხატზე და ფრესკაზე შესრულებულ წარწერებს განიხილავდა როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ისტორიულ წყაროს და მათ სათანადო კლასიფიკაციასაც აძლევდა - „ზედა წერილი“, „დახატულ და დაწერილი“ წარწერების სახით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტი ბაგრატიონმა პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში მოგვცა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მეცნიერული კლასიფიკაციის შემდეგი სახე:

1. „ქვაზე დაწერილი“.
2. „ქვაზე დახატულ და დაწერილი“.
3. „ჯუართა ზედა დაწერილი“, რომელთაც დღეს ეპიგრაფიკაში, შესაბამისად, ლაპიდარული, ფრესკული და ჭედური წარწერები ჰქვია. თანამედროვე ისტორიოგრაფია გარეგნული ნიშნის მიხედვით, წარწერების კლასიფიკაციის აღნიშნულ სქემას იზიარებს.

¹⁰ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ნ. გაუხნიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 292.

¹¹ იქვე, გვ. 177.

¹² იხ. შ. მესხია, ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, „ანალები“, გვ. 5; ა. ლოლაშვილი, დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, თბ. 1971, გვ. 31-34; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. III, ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკლვევა და საძიებელი დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ, თბ., 1989, გვ. 8.



ქართულ ეპიგრაფიკას, როგორც მეცნიერულ-კრიტიკულ ისტორიულ დისციპლინას საფუძველი ცნობილმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ დაუდო. მიუხედავად იმისა, რომ ბროსემდე ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ საქართველოში მოგზაურობის დროს სხვა მასალებთან ერთად შეკრიბა რამდენიმე ათეული ქართული წარწერის გრაფიკული ნახაზი და ტექსტის გადმონაწერი, ფაქტურად ეს წარწერები ბროსემ მოამზადა პუბლიკაციისათვის.¹⁴ მ. ბროსესთვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ ქართველოლოგიური საკითხების შესწავლა შეუძლებელი იყო და სრულყოფილი ვერ იქნებოდა ძველი ქართული წარწერების მონაცემების გათვალისწინების გარეშე. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ქართული ისტორიული მასალების პუბლიკაცია მ. ბროსემ სწორედ ეპიგრაფიკული ძეგლებით დაიწყო. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდნენ ქართველი კორესპონდენტები და ინფორმატორები, რომლებიც ბროსეს აწვდიდნენ ქართული წარწერების გადმონაწერებს, მონახაზებს, გაშიფრულ ტექსტებს.

1847 წლის 31 აგვისტოდან 1848 წლის 23 ივლისამდე მ. ბროსე იმყოფებოდა კავკასიაში, აქედან თვენახევარი (1848 წლის თებერვლიდან 12 მარტამდე) მან სომხეთში გაატარა, ხოლო დანარჩენი დრო საქართველოს სიძველეების გაცნობას და შესწავლას მონადმოა.¹⁵ ამ მოგზაურობის საფუძველზე მან შექმნა Rapport-ების თორმეტი სერია, რომელიც სამ წიგნად გამოისცა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ.¹⁶ დასახელებულ Rapport-ებში მოცემულია მ. ბროსეს მიერ შესწავლილი რამდენიმე ასეული ლაპიდარული, ფრესკული და ჭედური წარწერის პუბლიკაცია. აღნიშნულ გამოცემებს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ეპიგრაფიკის შესასწავლად, რადგან ამ წარწერების გარკვეულმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია და ცნობები მათი არსებობის შესახებ მხოლოდ მ. ბროსეს ნაშრომშია დაცული. გარდა ზემოაღნიშნული ანგარიშებისა მ. ბროსე ქართულ წარწერებს აქვეყნებდა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების „ბიულეტენებში“ ცალკეული ანგარიშების სახით. მ. ბროსეს შემდეგ არაერთმა მკვლევარმა გამოიჩინა თავი ქართული წარწერების გამოვლენა-გამოქვეყნების საქმეში, ამ მხრივ, განსაკუთრებით ნაყოფიერია დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის და სხვათა ნაშრომები¹⁷.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 18.
¹⁵ Voyage autour du Caucase' cher les Tcherkesses et les Abchases, en Colchide, in Georgie, en Armenie et en Crime par Frederic Dubois de Montpereux, tt. I, II, III, Paris, 1839, IV, Paris, 1840.
¹⁶ შ. ხანიძე, მარი ბროსე, თბ., 1966, გვ. 56, იხ. აგრეთვე, ე. ხილოვაჯა, მარი ბროსე-ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი, მრავალთავი, XI, 1986, გვ. 146.
¹⁷ Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans L'Armenie executee en 1847-1848, par M. Brosse, 1 livr. SPB., 1849, 2 livr. SPB. 1850, 3 livr. SPB., 1851.
¹⁸ Д. З. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, ЗОЛКА, I 1875; Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, составленная ... Н. Кондаковым . Грузинские надписи прочтены и истолкованы Дм. Бакрадзе. СПб., 1890, Д. З. Бакрадзе, Археологические путешествия по Гурии и Адчаре, Санкт-Петербург, 1878, იხ. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა არხილ ტოტონაიკამ, ბათუმი, 1987. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გადმოცემული თ. ჟორდანიას მიერ. წ. I, ტფ., 1892-1893; ქრონიკები და სხვა მასალა ... წ. II, ტფ. 1897, ექ თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. I, ტფ. 1907, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. II, ტფ. 1914, მისივე, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენინო-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წლებში, თბ., 1963. იხილეთ აგრეთვე, ე. თაყაიშვილი, ეპიგრაფიკული ნაშრომები, კრებულში „დაბრუნება“. ტომი 2, გურამ შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1911 წ.



ქართულ ეპიგრაფიკაში და მთლიანად ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ ახალი ეტაპი იწყება. საფუძველი ეყრება ეპიგრაფიკული ძეგლების გამოკვლენის, შესწავლისა და გამოქვეყნების ახალ წესებს, მეთოდებსა და ხერხებს, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა ქართული წარწერების შესწავლას. ეპიგრაფიკული მასალა, როგორც სანდო ისტორიული პირველწყარო სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენებოდა ისტორიოგრაფიული კვლევის პროცესში. გამოქვეყნდა ცალკეული მონოგრაფიები ჯავახეთის, კახეთის, სვანეთის, რაჭის, მანგლისის და ა.შ. წარწერების შესახებ.¹⁸ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის წყაროების კომისიის გადაწყვეტილებით ქართული წარწერების კორპუსის გრიფით გამოიცა ლაბიძარული წარწერების ორი- პირველი და მეორე და ფრესკული წარწერების ტომეულები.¹⁹ ქართული წარწერების შესწავლისა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის ცდას წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომიც, მასში თავმოყრილია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული რეგიონის აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები, მოცემულია მათი ქრონოლოგიური სისტემატიზაცია, შინაარსობრივი კლასიფიკაცია და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი შეფასება.

აფხაზეთი, საქართველოს ისტორიულ მხარეებს შორის გამოირჩევა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სიმრავლით. მიუხედავად გვიან საუკუნეებში საქართველოს ამ რეგიონში მიმდინარე არაერთგვაროვანი პოლიტიკური და ეთნო-კულტურულ-ფსიქოლოგიური ცვლილებებისა, რამაც არაერთი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლის დაღუპვა და განადგურება გამოიწვია, აფხაზეთში დღესაც მრავლად მოიპოვება ძველი ქართული დამწერლობის ნიმუშები, რომელთა გამოკვლევა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულების წარმოჩენა განსაკუთრებით აქტუალობას იძენს დღეს აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და ამ მხარის ისტორიის მთელი რიგი საკვანძო საკითხების შესწავლისათვის.

ერთ-ერთი პირველი, ვინც აფხაზეთის ქართული წარწერებით დაინტერესდა იყო ცნობილი ქართველოლოგი მარი ბროსე. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კავკასიაში მოგზაურობის ანგარიშში მან გამოაქვეყნა თავის *Rapport*-ებში, რომელთაგან მერვე ნაწილი მთლიანად ეძღვნება სამურზაყანოსა და აფხაზეთში მოგზაურობის ანგარიშს. აღნიშნულ ნაშრომს ავტორი უწოდებს „*Antiquites du Samourzakhane et de l' Aphkazie*“, სამურზაყანოსა და აფხაზეთის სიძველენი“, რომელშიც აფხაზეთიდან გამოქვეყნებულია როგორც ლაბიძარული, ასევე ფრესკული და ჭედური წარწერები, სულ 29 წარწერა,

¹⁸ *გ. ცისკარიშვილი*, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, თბ., 1953; *თ. ბარნაველი*, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962, *ნ. შოშიაშვილი*, ურბნისის ძველი ქართული წარწერები, პე, I, თბ. 1965, *თ. ბარნაველი*, მანგლისის ტაძრის წარწერები, თბ., 1968, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტები, გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო *გ. ხილვაჯაძე*, თბ., 1988, *გ. ოთხმეზური*, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაბიძარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1988; *გ. ბოჭორიძე*, რაჭის ისტორიული ძეგლები, სმშ, V, 1930, *გ. ბოჭორიძე*, რაჭის ისტორიული ძეგლები, სმშ, VII, 1933, *გ. ბოჭორიძე*, რაჭის ისტორიული ძეგლები, სმშ, VIII, 1935, *გ. ახალაშვილი*, X-XV სს. წარწერები სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლებზე, თბ., 1987 და ა. შ.

¹⁹ ქართული წარწერების კორპუსი, I ლაბიძარული წარწერები, აღმოსავლეთი და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, ქართული წარწერების კორპუსი, II ლაბიძარული წარწერები, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკ. I (IX-XIII სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. ხილვაჯაძემ, თბ., 1980, ქართული წარწერების კორპუსი, III, ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, გამოსაცემად მოამზადა ვ. ხილვაჯაძემ და სიბეგლები დაურთეს *გ. ურამ აბრამიშვილმა* და *ზაზა ალექსიძემ*, თბ., 1989, *ზ. ალექსიძე*, ატენის სიონის ოთხი წარწერა, თბ., 1983.



მათ შორის 9 ქვაზე შესრულებული (ამოკვეთილი და საღებავით შესრულებული) წარწერა, დანარჩენი წარწერები მოთავსებულია ხატებზე და საეკლესიო ნივთებზე. მ. ბროსეს ნაშრომი ძვირფასია, მის თვალსაზრისითაც, რომ მასში დაცული წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს დაკარგულია ან დაზიანებულია და წარწერის ტექსტის დადგენა მ. ბროსესეულ გამოცემაზე დაყრდნობით ხდება.

ბედიის სამონასტრო კომპლექსის კედლებიდან მ. ბროსემ გადმოიწერა ოთხი ლაბიარული და ერთი ფრესკული წარწერა. ისინი ნაშრომში მოცემულია ასომთავრული ტრანსკრიპციით (ასომთავრულს ბროსე ხუცურს უწოდებს en caracteres khoutzeuri), შემდეგ წარმოდგენილია წარწერის ფრანგული თარგმანი, მისი სავარაუდო დათარიღება და შენიშვნები. მ. ბროსესთან დაცულია ბედიის შემდეგი წარწერები:

1. სუმეონ გალატოზთუხუცესის წარწერა; ავტორის ცნობით იგი მოთავსებული ყოფილა ტაძრის დასავლეთ კედლის ერთ-ერთ ქვაზე. ამჟამად დაკარგულია, ხოლო მისი ტექსტი შემორჩენილია მხოლოდ მ. ბროსეს ნაშრომში. 2. კონსტანტინე მეფის მეფის წარწერა; დღესაც დაცულია უნდა იყოს ბედიის სამრეკლოს დასავლეთ კედლის ერთ-ერთ ფილაზე. 3. „ღეოფალთ ღეოფალი“ მარჩხისა და გიორგი დადიანის წარწერა - უახლოეს წარსულშიც იკითხებოდა ბედიის ტაძრის ინტერიერში ჩრდილოეთ კედელზე, ფრესკების ნიმუბს შორის. 4. ნიკოლოზ და სოფრონ ბედიელების წარწერა მ. ბროსეს მიხედვით მოთავსებული ყოფილა ბედიის სამრეკლოზე; მას წარწერის ტექსტის მხოლოდ ფრაგმენტები აქვს გამოცემული. ამჟამად წარწერის ადგილსამყოფელი უცნობია. 5. ანტონ ჟუანისძის წარწერა მოთავსებულია ბედიის საეპისკოპოსო პალატის მარჯვენა შესასვლელის ტიშპანზე, მოწითალო ფერის ქვის ფილაზე.

ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის ქართული ეპიგრაფიკული მასალა მთლიანად ფრესკულ წარწერებს მიეკუთვნება. მათ შორის მ. ბროსესთან გამოცემულია ოთხი ქართული წარწერა; 1. 1066 წლის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ, 2. წარწერა გიორგის მოხსენიებით, 3. შარაშიძის წარწერა, 4. წარწერა ჭყონდიდელისა და უცნობი მწიგნობართუხუცესის მოხსენიებით. მათ შორის სრულად იკითხება მხოლოდ 1066 წლის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ. დანარჩენი წარწერების წაკითხვა მ. ბროსეს მიხედვით შეუძლებელია.

მ. ბროსეს ნაშრომში განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ჭედური ხელოვნების ძეგლებზე დაცული წარწერები. მათი რაოდენობა ორ ათეულზე მეტია. ძირითადად, ესაა ილორის წმიდა გიორგის, ბიჭვინთის ღმრთისმშობლისა და ბედიის ვლადიმერის ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი სავედრებელი წარწერები.

კავკასიით დაინტერესებულ რუს არქეოლოგთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პრასკოვია უვაროვას. მისმა ნაშრომმა „Христианские памятники Кавказа“ არაერთი ქართული სიძველე შემოინახა.

აფხაზეთში მოგზაურობის ანგარიშს კ. უვაროვა შემდეგი სიტყვებით იწვება: "У Гагри известной по греческим сказаниям, кончается Черноморский округ и начинается граница Абхазии, простирающаяся до р. Ингури. Здесь еще более, чем в Черноморском округе сохранилась память о греческих колониях, византийском влиянии и Генуезцах. И здесь местное население абхазцев исчезло и заменяется ныне Менгрельцами и другими инородцами, с



приходом которых утрачиваются предания, забываются названия, и следы древних поселении исчезают постепенно и бесследно".²⁰

მოყვანილი სიტყვები მთლიანად ეწინააღმდეგება პ. უვაროვას ნაშრომში დაცული აფხაზეთის ქრისტიანული სიძველეების აღწერილობის მონაცემებს (არაფერს ვიტყვით აფხაზეთის საზღვრების, ბერძნების, ბიზანტიელებისა და გენუელების პოლიტიკურ გავლენაზე, ეს ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს სცილდება). ავტორს არასწორი დასკვნები აქვს გამოტანილი აფხაზეთის მოსახლეობის შესახებ. მას ქართველები აფხაზეთის „ინოროდცებად“ ჰყავს გამოყვანილი, ხოლო აფხაზთა გაქრობის (население абхазцев исчезло) მიზეზად „მეგრელების“ (ე.ი. ქართველების) და სხვა „ინოროდცების“ მოსვლას ასახელებს?! თუ ქართველები აფხაზეთის „ინოროდცებია“ და მათი მოსვლით აფხაზეთში იკარგება „следы древних поселений“, მაშინ საკითხავია საიდან განჩნდა ის ძველი ქართული წარწერები (ანუ „следы древних поселений“), რომელთაც ასე გულდასმით აქვეყნებს პატივცემული არქეოლოგი და რომელთა სიმრავლეზე თავად მიუთითებს „поселяне не раз нападали над надгробными надписи, на надписи на старых деревьях и на храмики меньших размеров".²¹

მიუხედავად პ. უვაროვას ნაშრომის შესავლის ტენდენციურობისა, არქეოლოგი არაერთი ქართული წარწერის შესახებ იძლევა ცნობას აფხაზეთის ქრისტიანული სიძველეებიდან. ძირითადად, ნაშრომში დაცულია ცნობები წებელდისა და ლიხნის ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ. წებელდის რეგიონიდან უვაროვას ნაშრომში დაცულია სამი ჰეღდური წარწერის - იოანე ნათლისმცემლის, წმ. ეკატერინესა და ანდრია მოციქულის ხატების ფოტოები.²² აქვე გამოქვეყნებულია წებელდის წმ. თევდორეს ეკლესიაში ნაპოვნი ქვის ფილა მიქაელის წარწერით.²³

ლიხნის ტაძრის არქიტექტურულ ანსამბლს პ. უვაროვა ვარაუდით, X ან XI საუკუნეებით ათარიღებს. მის დროს ტაძრის ინტერიერში, როგორც ჩანს, ვერ კიდევ შემორჩენილი იყო ფრესკული მოხატულობა. ქართული და ბერძნული წარწერებით: „на стенах и столбах сохранились отдельные сцены ее фигуры частью с греческими, частью грузинскими надписями.“²⁴ ნაშრომში ნახსენებია პ. ბროსეს მიერ 1849 წელს გადმოღებული ფრესკული წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ. „В храме имеется и другие надписи - წერს ავტორი, представляющиея особаго исторического и археологического интереса".²⁵ ლიხნის ტაძრის ერთ-ერთი კედლის მოხატულობა ქართული წარწერებით მოცემულია პ. უვაროვას ნაშრომის მესამე ტაბულაზე.²⁶

დიდი ქართველი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის პირად საარქივო ფონდში, რომელიც საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, დაცულია აფხაზეთის რამდენიმე წარწერის ფრაგმენტი. ამ ფონდის ერთი ნაწილი აფხაზეთის ისტორიული სიძველეებისა და ტოპო-

²⁰ П. С. Уварова, Христианские памятники Кавказа, МАК, вып. IV, м., 1894, გვ. 7.

²¹ იქვე, გვ. 23.

²² იქვე, ტაბ. X, XI.

²³ იქვე, ტაბ. VI.

²⁴ იქვე, გვ. 14.

²⁵ იქვე, გვ. 17.

²⁶ იქვე, ტაბ. III.



ნიმიკის შესახებ გამოაქვეყნა *ქ. ჩხატარაიშვილმა*, „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხების“ მე-6 ტომში სათაურით „К изучение научного наследия *Д.З.Бакрадзе*“. [ქ. *Бакрадзе*, Археологическая поездка в Цебельду 1886 г.].²⁷ აღნიშნულ ნაშრომში გამოქვეყნებულია დ. ბაქრაძის მიერ წებელდაში წმ. თევდორეს ტაძარში ნაპოვნი ჩუქურთმებიანი ფილის წარწერა მიქაელის მოხსენიებით,²⁸ აგრეთვე ოლგინსკოეს მიდამოებში ნაპოვნი წარწერებიანი ქვის ფილაზე. აღნიშნულ წარწერას ავტორი ფრაგმენტულად კითხულობს.²⁹

დ. ბაქრაძეს 1885 წელს გამოცემულ *ვახუშტის* „საქართველოს ისტორიაში“ დაცული აქვს ცნობა ლიხნის ერთ-ერთი მხედრული წარწერის შესახებ, რომელშიც მოხსენიებულია გიორგი კურაპალატი.³⁰

აფხაზეთის წარწერების ერთი ნაწილის შესწავლა-გამოქვეყნება დაკავშირებულია *თედო ჟორდანიას* სახელთან. იგი წლების მანძილზე განაგებდა კავკასიის საეკლესიო მუზეუმს, რასაც ხელსაყრელად იყენებდა ქართული სიძველეების მოპოვებისა და პოპულარიზაციისათვის. თ. ჟორდანიას ცნობილ „ქრონიკებში“³¹ აფხაზეთიდან დაცულია ცნობები ბედიის ტაძრის წარწერების შესახებ. გამოქვეყნებულია ბედიის ტაძრის სამრეკლოს ლაპიდარული წარწერა კონსტანტინე მეფეთა მეფის მოხსენიებით.³¹ ბედიის ტაძრის ფრესკული წარწერა დეოფალ მარიხისა და გიორგი დადიანის მოხსენიებით.³² თ. ჟორდანიას პირად საარქივო ფონდში ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ბედიის ტაძრის კიდევ ერთი - ნიკოლოზ და სოფრონ ბედიელების წარწერის გადმონაწერი.³³ ბედიის ოქროს ბარძიმის სადგარზე მოთავსებული გერმანე ჩხეტიძის წარწერა მკვლევარს გამოქვეყნებული აქვს დ. ბაქრაძის პუბლიკაციაზე დაყრდნობით.³⁴ მოქვის ეკლესიის ომფორის ისტორიული წარწერები თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა „ივერიის“ 1902 წლის ერთ-ერთ ნომერში, აქვე მკვლევარი ახსენებს ლაპიდარულ წარწერას, რომელშიც იხსენიება გრიგოლ მაგძნის ძე.³⁵

შეუსწავლელია *ექ. თაყაიშვილის* პირად საარქივო ფონდში დაცული აფხაზეთის, კერძოდ, ლიხნის ტაძრის ეპიგრაფიკული მასალა. აღნიშნული მასალის პირველი ისტორიოგრაფიული მიმოხილვა ეკუთვნის *გ. ოთხმეზურს*. მისი აღწერილობით *ექ. თაყაიშვილის* პირად საარქივო ფონდში დაცული ყოფილა ლიხნის (სოუქ-სუს) სამი წარწერა.³⁶

დიხაზურგას წმ. ბარბაღეს ეკლესიის ნანგრევებში ნაპოვნი გრიგოლ გალატოზოზუცესის წარწერის პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის *მ. ჯანაშვილს*, რომელმაც მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების დაჯვლებით ადგილზე ინახულა ეს წარწერა და გაასწორა კავკასიის

²⁷ К изучение научного наследия *Д. З. Бакрадзе*. *Д. Бакрадзе*, Археологическая поездка в Цебельду 1886 г. წიგნში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1990, გვ. 160.

²⁸ იქვე, გვ. 161.

²⁹ იქვე, გვ. 164.

³⁰ *ვახუშტი*, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, თბ., 1885, გვ. 162.

³¹ ქრონიკები და სხვა მასალა... ტ. II, გვ. 179.

³² იქვე, გვ. 199.

³³ ქსე, გვ. 173; თ. ჟორდანიას პირადი საარქივო ფონდი N393, გვ. 41.

³⁴ ქრონიკები და სხვა მასალა... ტ. I ტფ., 1892-1893 გვ. 137-138.

³⁵ თ. ჟორდანიას, მოქვის ეკლესიის ომფორის ისტორიული წარწერებით. ვახუთი ივერია“ N92, 1902.

³⁶ იხ. *გ. ოთხმეზური*, *ქ. თაყაიშვილის* პირად საარქივო ფონდში დაცული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, მრავალთავი, XII, თბ., 1986 გვ. 76-77.



განყოფილებისათვის აღნიშნული წარწერის შეცდომით მიწოდებული ტექსტის შინაარსი.³⁷ ტექსტის მ. ჯანაშვილისეული წაკითხვა დღესაც გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის წარწერების შეგროვებით დაინტერესებული იყო აფხაზი მხარეთმცოდნე *ა. აძინბა*. იგი სპეციალობით არ იყო ისტორიკოსი, მაგრამ აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობაში (ასე ერქვა მაშინ აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს). *ა. აძინბა* იყო სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, ამდენად მისი დაინტერესება არ იყო შემთხვევითი. 1958 წელს გამოვიდა *ა. აძინბას* წიგნი „Архитектурные памятники Абхазии“,³⁸ რომელშიც მოცემულია ზოგადი ხასიათის ცნობები აფხაზეთის ქართული წარწერების შესახებ. გამოქვეყნებულია წარწერების რუსული თარგმანი. *ა. აძინბა*, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებს მის მიერ აღმოჩენილი ბესლეთის ხიდის წარწერაზე³⁹ და ასევე, ბედიისა⁴⁰ და ლიხნის⁴¹ ტაძრების ეპიგრაფიკულ მასალებზე.

აფხაზეთს არქიტექტურული ძეგლების შესწავლის პროცესში ქართულ ეპიგრაფიკულ მასალას უყურადღებოდ არ სტოვებდა აფხაზი მეცნიერი *ა.კაცია*. მას ეკუთვნის დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული სალოცავის - ილორის წმიდა გიორგის ტაძრის ლაპიდარული წარწერების პირველი პუბლიკაცია წიგნში „Илори (памятник XI века).“⁴² აღნიშნულ მონოგრაფიაში შესწავლილია ილორის ტაძრის ხუროთმოძღვრული სტილი და გამოტანილია დასკვნა, რომ ტაძრის არქიტექტურაში იგრძნობა საქართველოს წამყვანი რაიონების ხუროთმოძღვრულ-მხატვრული მისწრაფებანი. აღნიშნული დასკვნა რამდენადმე განაპირობა კიდევ იმ ეპიგრაფიკულმა მასალამ, რომელიც დაცულია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე. ნაშრომში მოცემულია ილორის ტაძრის ხუთი ქართული წარწერის ტექსტი (*თ. ბარნაველის* წაკითხვით) და ცნობა ერთი წარწერის არსებობის შესახებ, რომლის გარჩევა, *ა. კაციას* სიტყვებით: „по фотоснимку почти невозможно“.⁴³

ნაშრომში ილორის წარწერები გამოქვეყნებულია ქართულად - ასომთავრული და ნუსხა-ხუცური ტრანსკრიპციით, ხოლო შემდეგ მოცემულია წარწერების შესაბამისი მხედრული ტრანსლიტერაცია. ტაძრის ხუროთმოძღვრული სტილის დათარიღების საფუძველზე მკვლევარი იძლევა დასკვნებს, რომ ტაძრის ეპიგრაფიკა უნდა განეკუთვნოს ტაძრის მშენებლობის ეპოქას - X-XI საუკუნეების მიჯნას.⁴⁴

გუდაუთის რაიონის სოფ. *პრიმორსკოეს* მიდამოებში მსიგ ხუას მთაზე *ა. კაციას* მიერ აღმოჩენილი იქნა ძველი ეკლესიის ნანგრევები, რომლის გაწმენდისას გამოვლინდა მრავალრიცხოვანი კრამიტის კალიბტრები ანტიფეიქსებზე მოთავსებული ქართული წარწერებით (მათი რაოდენობა 46-ია) - მკვლევარმა მსიგ ხუას ეკლესიაც და წარწერებიც IX-X სს. დაათარია.⁴⁵

³⁷ *М. Джанашивили*, От Ново-Сенак до сел. Дихазурга, ИКОИМАО, вып. II, тиф. 1907, გვ.18-21.

³⁸ *И. Е. Адзинба*, Архитектурные памятники Абхазии, Сухуми, 1959.

³⁹ იქვე, გვ.68-69.

⁴⁰ იქვე, გვ.85-87.

⁴¹ იქვე, გვ.53-55.

⁴² *А. К. Кацья*, Илори (памятник XI века) Сухуми, 1963, გვ. 46-50.

⁴³ იქვე, გვ. 50.

⁴⁴ იქვე, გვ. 46-50.

⁴⁵ *А. К. Кацья*, Памятники архитектуры в долине Цкуара, კრ-შე:МАА, Тб., 1967, გვ.67.



აფხაზეთის რამდენიმე ქართული წარწერის პუბლიკაცია ეკუთვნის ვ. ფარულას, რომლის ნაშრომები, ძირითადად, მხარეთმცოდნეობითი ხასიათისაა, მაგრამ მათში მოცემულია რამდენიმე ქართულმა წარწერის რუსული თარგმანი არსებული გამოცემების მიხედვით.⁴⁶

აღნიშნულ საკითხს შეეხო ზ. ანჩაბაძე თავის მონოგრაფიაში „Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв).“⁴⁷ ამ გამოცემაში შევიდა პ. უკროვას მიერ წებულაში ნაპოვნი წარწერები, ბედიის ოქროს ბარძიმის ორივე წარწერა; ბაგრატ აფხაზთა მეფისა და გურანდუხტ დედოფლისა და გერმანე ჩხეტიძის წარწერები; და ლიხნის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ. ნაშრომი არ ითვალისწინებს აღნიშნული წარწერების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ან პალეოგრაფიულ შესწავლას. შუა საუკუნეების აფხაზეთის კულტურის ისტორიისა და სახელმწიფო ენის საკითხების გარკვევისას ზ. ანჩაბაძე მითითებულ ეპიგრაფიკულ მასალაზე დაყრდნობით იძლევა დასკვნას, რომ „Культурная близость Абхазии с Грузией находила свое выражение прежде всего в том, что в этот период на территории Абхазии грузинский язык является языком письменности, государственного делопроизводства и церковного богослужения. Почти все латинские и иные надписи из Абхазии дошедшие до нас от того времени, высечены на грузинском языке“.⁴⁸ აქ იგი მთლიანად იზიარებს აკად. ს. ჯანაშიას ანალოგიურ დასკვნას ამ საკითხზე.⁴⁹

აფხაზეთის ქართული წარწერების გამოქვეყნების საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის ხელოვნებათმცოდნე ლ. შერვაშიძეს. მას ეკუთვნის სამურზაყანოს რეგიონში გათხრილი წკელიკარის ტაძრის წარწერების აღმოჩენა და პუბლიკაცია (თ.პარნაველის წაკითხვით). წკელიკარის ტაძარი მდებარეობს გალის რაიონის სოფ. რეჩხო-ცხირში; არქიტექტურული კომპლექსის გამოკვლევის შემდეგ შეცნობა გამოაქვეყნა ნაშრომი „Цкелкар (Ацкар)“,⁵⁰ რომელშიც მოცემულია როგორც ლაპიდარული, ასევე ფრესკული წარწერები. ნაშრომში ძეგლის კომპლექსური შესწავლის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ძეგლი წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშს.⁵¹

აფხაზეთის არქიტექტურულ ძეგლებზე შემორჩენილი ფრესკული მოხატულობის საკითხებს ეძღვნება ლ. შერვაშიძის მონოგრაფია „Средневековая монументальная живопись в Абхазии“,⁵² რომელშიც მკვლევარს არაერთი ქართული წარწერა აქვს დამოწმებული ბედიისა და ლიხნის არქიტექტურული ანსამბლებიდან.

1967 წელს, გუდაუთის რაიონში, ხუაფის ეკლესიის გაწმენდისას, ლ. შერვაშიძემ აღმოაჩინა ქართული ლაპიდარული წარწერა, რომელიც საამშენებლო ხასიათისაა. წარწერა რამდენიმე ფილის

⁴⁶ В. П. Пачулия, По историческим местам Абхазии, Сухуми, 1956, გვ. 26; В. Пачулия, По древней но вечно молодой Абхазии, Сухуми, 1968, გვ. 45.
⁴⁷ З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, Сух. 1959, გვ. 96.
⁴⁸ იქვე.
⁴⁹ ს. ჯანაშია, გიორგი შერვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი, შრომები, ტ. VI, თბ., 1988, გვ. 26.
⁵⁰ Л. А. Шервашидзе, Цкелкар (Ацкар), МАА, Тб. 1967, გვ. 52-53.
⁵¹ იქვე, გვ. 56.
⁵² Л. А. Шервашидзе, Средневековая монументальная живопись в Абхазии, I Тб. 1980.



ნატეხზეა განლაგებული და ფრაგმენტულად იკითხება.⁵³ აღნიშნული ფრაგმენტები დღეს დაცული უნდა იყოს დ. გულისას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში.

სოხუმთან ახლოს, სოფ. ოდიშში, ლ. შერვაშიძის მიერ გათხრილი ძველი ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა კედლის ფრესკულ მონატულობათა ნარჩენები. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე წმინდანთა ფრესკული გამოსახულებების ნიმუბთან იკითხება ასომთავრული გრაფემები. ამავე ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა სპილენძის ჯვრები ქართული ასომთავრული წარწერებით. აღნიშნული მასალა მოცემულია ლ. შერვაშიძის ნაშრომში „Церковь в сел. Акапа (Одиши)“.⁵⁴

აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკული მასალის გაშიფვრისა და შესწავლის ისტორიოგრაფიის მიმოხილვისას გვერდს ვერ აუკულით თ. ბარნაველს. მას ეკუთვნის აფხაზი მეცნიერების მიერ აღმოჩენილი და გამოცემული თითქმის ყველა წარწერის წაკითხვა - დათარიღება. ცალკე სამეცნიერო სტატია მიუძღვნა მკვლევარმა ბესლეთის ხიდის წარწერას და მისი დათარიღების საკითხს, რომელშიც ხიდზე მოთავსებული წარწერის პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე მოცემულია ხიდის დათარიღების ვარიანტი.

1959 წელს, აფხაზი მეცნიერის ბ. ძლაყბას საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც აფხაზეთში დამწერლობის განვითარების ისტორიას ეხება, გამოქვეყნდა რამდენიმე ქართული ლაპიდარული და ქედური წარწერა.⁵⁵ აღნიშნული დისერტაცია ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1967 წელს.⁵⁶ ნაშრომში, ძირითადად მოცემულია წარწერათა ფოტოები და რამდენიმე წარწერის წაკითხვის ვარიანტი რუსული თარგმანითურთ.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული გუდავის ორი წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა გამოაქვეყნა ვ. ცისკარიშვილმა.⁵⁷

აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი შევიდა ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსის მეორე ტომში, რომელიც დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებს მოიცავს. ტომი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოვაძემ.⁵⁸ ნაშრომში დასავლეთ საქართველოს სხვა წარწერებთან ერთად შევიდა აფხაზეთის 23 ქართული ლაპიდარული წარწერა არქეოგრაფიული აღწერილობით, წარწერების გრაფიკული მონახაზებითა და რუსული თარგმანით. ტომში შევიდა ის წარწერები, რომლებიც ქრონოლოგიურად IX-XIII საუკუნეებს განეკუთვნება და ბუნებრივია, მასში არ არის წარმოდგენილი მომდევნო პერიოდის ეპიგრაფიკული მასალა.

ცალკე სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა მკვლევარმა დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში ქართული სამართლის ძეგლების შესწავლის საკითხს. აღნიშნულ ნაშრომში, წარმოდგენილია

⁵³ А. Авишви, Любопытная страница истории, габ. „Советская Абхазия“ 7,10.- 1967, N199.
⁵⁴ Л.А. Шервашидзе, Церков в сел. Акапа (Одиши) около Сухуми, ТАБИЯЛИ, 1959, XXX გვ. 115.
⁵⁵ X.C. Бгажба, Из истории письменности в Абхазии, ТАБИЯЛИ, XXX, 1959.
⁵⁶ X.C. Бгажба, Из истории письменности в Абхазии, Тб, 1967.
⁵⁷ ვ. ცისკარიშვილი, ექვსი უცნობი წარწერა, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1980, № 2.
⁵⁸ ქვ. II.



ორი ლაპიდარული წარწერა აფხაზეთიდან, თავისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული აღწერილობით.⁵⁹

როგორც საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფია გვიჩვენებს აფხაზეთის ქართული წარწერები ცალკე კვლევის საგანი არ გამხდარა, მათი წყაროთმცოდნეობითი, კერძოდ, პალეოგრაფიული და ისტორიული ღირებულების წარმოჩენა დღეს უდავოდ აქტუალურია ამ მხარის პოლიტიკური ისტორიის, კულტურულ-ფსიქოლოგიური, განსაკუთრებით, რელიგიურ-სარწმუნოებრივი საკითხების კვლევის თვალსაზრისით. საკვლევი თემის აქტუალობას რამდენიმე მხარე გააჩნია. ერთი მხრივ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ინტენსიურად მიმდინარეობს ეპიგრაფიკული ძეგლების, როგორც სანდო წერილობითი წყაროების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულების წარმოჩენა. მეორე მხრივ, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში დღეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე კიდევ უფრო იზრდება ქართული წარწერების როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობა. ნაშრომში თავმოყრილია 37 ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი: ისინი დალაგებულია გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით და შესწავლილია მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და დამწერლობათმცოდნეობითი ღირებულება.

⁵⁹ ე. მილოვავა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, „მაცნე“, ისტორიის სერია, N4, 1972.



ნაწილი I

ახსნაშათის წარწერები, რომორც საისტორიო წყარო

თავი I. ბედიის წარწერები

ოჩამჩირიდან 25 კმ-ის დაშორებით, სოფელ ბედიის ცენტრში აღმართულია ქართული ხუროთმოძღვრების ულამაზესი ნიმუში ბედიის სამონასტრო კომპლექსი, დღეისთვის კომპლექსში შედის ღმრთისმშობლის ტაძარი, საეპისკოპოსო პალატი და სამრევლო.

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორის ლეონტი მროველის ცნობით, ბედიის ადგილას ეგროსმა აავო ქალაქი და უწოდა ეგრის.¹ თავად ბედიის ტაძარი საკმაოდ ცნობილია ძველ ქართულ წყაროებში. „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ (975- 1014) აღაშენა ბედიის ტაძარი და დაარსა აქ ახალი საეპისკოპოსო კათედრა. „ამანვე დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვსა საეპისკოპოსო, შეწირა სოფელნი მრავალნი ყოველთა კვეთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი“.² იქვე ბაგრატის სახელმწიფოებრივი საქმიანობის წარმოსაჩენად დამატებულია, „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმალლისათჳს დიდება მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა“.³ მატიანის ცნობას იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონიც: „ბედიას აღაშენა ნდ მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდ შუენიერ გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად“.⁴ ამავე წყაროების ცნობით, გარდაცვალების შემდეგ ბაგრატ III ბედიის ტაძარში დაუკრძალავთ.

მოგზაურთა და მეცნიერ-ორიენტალისტთა ყურადღება ტაძარმა გასული საუკუნიდან მიიპყრო. სხვადასხვა დროს იგი ინახულეს მ. ბროსემ, ა. პავლინოვმა, პ. უვაროვამ, დ. ბაქრაძემ და სხვებმა. მათ პუბლიკაციებში ბედიის ტაძრის შესახებ შემონახულია სხვადასხვა ხასიათის საინტერესო მასალა. ტაძრის ხუროთმოძღვრულ-არქიტექტურული სტილის, წარწერებისა და მხატვრობის შესახებ ერთ-ერთი პირველი დაინტერესდა მარი ბროსე. მან საქართველოში მოგზაურობის დროს, სხვა ქართულ სიძველეებთან ერთად, აღწერა ბედიის სამონასტრო კომპლექსი და გადაიღო ტაძარზე შემორჩენილი ძველი ქართული წარწერები.

ბედიის ტაძრის ფასადებზე, ინტერიერში ფრესკებზე, და საეკლესიო ნივთებზე შემორჩენილი წარწერები გარეგნული ნიშნის მიხედვით შეიძლება შემდეგი კლასიფიკაციით წარმოვადგინოთ:

I. **ლაპიდარული წარწერები:** 1. სემეონ გლათოზთუხუცეის წარწერა, 2. ნიკოლოზ კათალიკოსისა და სოფრონ ბედიელის წარწერა, 3. კონსტანტინე მეფეთა მეფის წარწერა, 4. ანტონ ბედიელის წარწერა

II. **ფრესკული წარწერები:** 1. წარწერის ფრაგმენტები ბაგრატიისა და კახაბერის ფრესკებზე,

¹ ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა. წიგნ. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 5.

² მატიანე ქართლისა. წიგნ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 281.

³ იქვე, 281.



2. წარწერის ფრაგმენტები დიდებულითა გამოსახულებასთან, 3. „დიოფალ“ მარიხისა და გიორგი და დიანის წარწერა

III. ჭედური წარწერები : 1. ბაგრატ აფხაზთა მეფისა და გურანდუხტ დედოფლის წარწერა, 2. გერმანე ჩხეტიძის წარწერა ბედიის ბარძიძის სადგარზე.

შინაარსობრივად ბედიის წარწერები ჯგუფდებიან საამშენებლო, მემორიალურ და გამოსახულებათა განმარტებით წარწერებად. საამშენებლო წარწერებად უნდა ჩათვალოს სკმეონ გალატოზთუხუცესის, ნიკოლოზ კათალიკოსისა და სოფრონ ბედიელის და ანტონ ბედიელის წარწერები.

მემორიალურ წარწერათა რიცხვში ერთიანდება კონსტანტინე მეფეთა მეფის წარწერა, გერმანე ჩხეტიძის წარწერა ბედიის სადგარზე, ბაგრატ აფხაზთა მეფისა და გურანდუხტ დედოფლის წარწერა ბარძიძე.

გამოსახულების განმარტებითი წარწერებია: წარწერათა ფრაგმენტები დიდებულითა გამოსახულებებთან (ბაგრატის, კახაბერის, როდაბის) და „დიოფალთ დიოფალი“ მარიხისა და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანის წარწერები.


ზემოთ ჩამოთვლილი წარწერებიდან ჩვენს დისერტაციაში შევიდა ბედიის ოთხი ლაპიდარული და ერთი ფრესკული წარწერა. სულ ნაშრომში განხილულია ბედიის ხუთი წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება. ნაშრომში ისინი დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

1. სკმეონ გალატოზთუხუცესის წარწერა

ბედიის ღმრთისმშობლის ტაძრის წარწერებს შორის უძველესად ითვლება ასომთავრული წარწერა, რომელიც ტაძრის დასავლეთ კედლის ერთ-ერთ ქვაზე ყოფილა მოთავსებული. ეს წარწერა ამჟამად დაკარგულია და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სკმეონ გალატოზთუხუცესის წარწერის სახელით. მისი არსებობის შესახებ ცნობა დაცულია მარი ბროსეს მერვე Rapport -ში.⁵ იქვე მოცემულია წარწერის ასომთავრული ტრანსკრიპცია ფრანგული თარგმანით. აღნიშნული წარწერა უკვე XIX საუკუნის 80-იან წლებში არ არსებობდა, რადგან ა.მ. პავლინოვი 1888 წლის ანგარიშში, ბროსეზე დაყრდნობით იძლევა წარწერის რუსულ თარგმანს.⁶

1893 წლის ეურნალ „მწვემის“ პუბლიკაციაში, რომელიც ბედიის ტაძარს და მის წარწერებს მიმოიხილავს, ასევე ბროსეს მიხედვით, მოცემულია სკმეონის წარწერის ტექსტის მხედრული ტრანსლიტერაცია.⁷ წარწერის ბოლო გამოცემა ეკუთვნის ვ. სილოგავას.⁸ მისი აზრით, სკმეონის

⁴ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა, სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ვველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ვაუხნიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 780.
⁵ Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans L'Armenie, Exeecute en 1847-1848, par M. Brosset, ST. - Petersbourg, 1849, გვ. 94.
⁶ А.М. Павлинов, Экспедиция на Кавказ, МАК, III, 1893, გვ. 26.
⁷ ბედის ტაძარი, ეურნალი „მწვემის“, N13, 1893.
⁸ ქსე ნაკვ II, გვ. 38, №12.



წარწერა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეკლესიის შეკეთების დროს უნდა დაღუპულიყო⁵ ამდენად, დღეს მოკლებულნი ვართ წარწერის პალეოგრაფიული დახასიათების შესაძლებლობას.

ბროსეს პუბლიკაციის მიხედვით, წარწერა ოთხსტრიქონიანი ყოფილა და გვაუწყებდა სკემონ გალატოზთუხუცესის მიერ ბედიის ტაძრის მშენებლობის ამბავს.

ԲԸ ՈՒՆԻՔԿՈՂԵՆՈՂ ԲԻԷ Դ
Ի ԲԻ ԲՇ Ը ԲՆ ԿՎՅԻ Ը Բ
ՄԿԸՆՆ ԼՆԸՆԾԵՐՈՒԸՆԸ
ՏԲԻՆԸ

“წ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშობელო, მე(ო)ხ ექმ(ე)ნ წ(მიდის)ა ამ(ის) ს(ა)ყდრ(ის)ა ამქშ(ე)ნ(ე)ბ(ე) ლს, გ(ა)ლ(ა)ტ(ო)ზთაუხ(უ)ც(ე)ს(ს) | ს(ვ)მ(ე)ონსა“.

როგორც აღვნიშნეთ, შინაარსის მიხედვით წარწერა საამშენებლო ხასიათისაა. მის დათარიღებაში აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს, მაგრამ ბედიის ტაძრის ახლანდელი ნაგებობების გადათარიღებამ XIII-XIV სს. მიჯნით, სკემონის წარწერის დათარიღებაში წარმოქმნა ვაურკვევლობა. ბროსეს აზრით, წარწერა ტაძრის მშენებლობის პერიოდს, ე.ი. ბაგრატ III-ის (975-1014) ეპოქას ეკუთვნის. შედარებით მეტ სიფრთხილეს იჩენს წარწერის დათარიღებისას ვ. სილოგავა. მისი სიტყვებით, “წარწერა თავისი შინაარსით, თითქოს ბედიის ტაძრის აგების პერიოდს უნდა განეკუთვნოს და ამიტომაც მას X საუკუნით დათარიღებთ“.⁹

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართული საისტორიო ტრადიციით, ბედიის ტაძარი ბაგრატ III-ის მიერ იქნა აგებული X საუკუნის II ნახევარში. სპეციალურ ლიტერატურაში ბედიის ტაძრის მშენებლობის თარიღად მიჩნეული იყო X საუკუნის მეორე ნახევარი, კერძოდ, 999 წელი,¹⁰ მაგრამ 60-იანი წლების მეორე ნახევარში, ტაძრის რესტავრაციის დროს კვლევების მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩატარდა საძიარკვლების გამოკვლევა. აღმოჩნდა უფრო დიდი ზომის სხვა ნაგებობებიდან დარჩენილი საძიარკველი, რომელზეც ნაწილობრივ, აღმართულია დღევანდელი შენობა.¹¹ „შურფის თხრისას - წერს არქიტექტორი, ლევან ზიმშიაშვილი, - აღმოჩნდა იატაკის ორი დონე. ქვედა იატაკი, რომელიც სულ 18 სმ-ით დაბლაა, კიდრე დღევანდელი, სუფთა თლილი ქვის კვადრებით არის ნაგები, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იატაკი ადრინდელი ძეგლის უნდა იყოს“.¹²

აღნიშნული მოსაზრება დაადასტურა არქიტექტორ რესტავრატორმა ირმა ვარსიმაშვილმა: „შენობის გეგმის გადაწყვეტა და მასზე აღმართული სივრცე, ხუროთმოძღვრული მიდგომის სხვა, პირველიდან განსხვავებულ, უფრო მოგვიანებით XIII-XIV საუკუნეებში შექმნილ ნაგებობაზე მიუთითებს“.¹³ რა თქმა


⁹ ქვ II, გვ. 38.

¹⁰ გ. ზუბინაშვილი, ბედიის ოქროს ბარძიმი, სმამ, 1940, X b.

¹¹ ლ. ზიმშიაშვილი, რესტავრაციის ზოგიერთი საკითხი (წრომი, ბეღია) ჟურნ. ძმ, 1968, N14, გვ. 77.

¹² იქვე.

¹³ ი. ვარსიმაშვილი, ბეღია, ჟურნ. ძმ, 1973, N31-32, გვ. 54.



უნდა, ეს მოსაზრებები ეწინააღმდეგება სკემონ გალატოზოთუხუცესის წარწერის დათარიღებას, X საუკუნის მეორე ნახევრით.

თავის დროზე, ბედიის ტაძრის არქიტექტურულ - ხუროთმოძღვრული სტილის შესწავლისას ცნობილმა არქიტექტორმა ნ. სევეროვმა განაცხადა, რომ „Храм должен быть причислен к ранним представителям того типа древнегрузинского культового сооружения, который в XI-XII вв. стал господствующим“.¹⁴

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხელოვნებათმცოდნეები ბედიის კედლის მხატვრობაში რამდენიმე პერიოდს გამოყოფენ. ნ. ტოლმაჩევსკაია აქ მხატვრობის ორ ფენას განასხვავებდა.¹⁵ მოგვიანებით რ. შმერლინგი ფრესკებისა და ფრესკული წარწერების პალეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ტაძარში არის არა ორი, არამედ სამი ფენა: პირველი, X-XI საუკუნეებისა; მეორე XIII-XIV საუკუნეებისა და მესამე XVI-XVII საუკუნეებისა.¹⁶ ფრესკათა მოცემული პერიოდიზაცია მცირედენი ცვლილებებით კიდევ უფრო გაამაგრა ლ. შერვაშიძემ თავის მონოგრაფიაში „Средневековая монументальная живопись в Абхазии“.¹⁷

ჩამოთვლილ მოსაზრებათა შეუთავსებლობა ტაძრის თავდაპირველი მშენებლობისა და ფრესკების დათარიღების საკითხში სამეცნიერო ლიტერატურაში სერიოზული მსჯელობისა და შესწავლის საგანი არ გამხდარა. ჩვენ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი ამ მოსაზრებათა გარშემო, მაგრამ შევეცდებით სკემონის წარწერის დათარიღებისას, ზოგიერთი არგუმენტების გათვალისწინებით, წარწერის ისტორიულ - წყაროთმცოდნეობით ღირებულებაზე გავამახვილოთ ყურადღება.

თუ გავითვალისწინებთ ი. ვარსიმაშვილის მტკიცებას, რომ ბედიის ტაძრის „დეკორატიული მორთულობის ერთი ნაწილი თავდაპირველ ადგილზე არ არის მოთავსებული, მეორედ გამოყენების კვალს ატარებს და იგი X-XI საუკუნეების შემოქმედების შედეგია“¹⁸, მაშინ ადვილი შესაძლებელია, ფილა, რომელზეც სკემონის წარწერა იყო ამოკვეთილი, ტაძრის საფუძვლიანი გადაკეთება - რესტავრაციის, ან ხელმეორე მშენებლობის შემთხვევაში მეორედ გამოიყენეს.

ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს წარწერის წყაროთმცოდნეობითი ანალიზიც. კერძოდ, ყურადღებას იქცევს სკემონის წარწერის ტექსტში მოხსენიებული სამოხელეო ტერმინი „გალატოზოთუხუცესი“, იგი XIII-XIV საუკუნეების არცერთ წერილობით წყაროში, მათ შორის სამართლის ძეგლებში: „კელმწიფის კარის გარიგება“, „განგება დარბაზობისა“ და ა.შ. არ დასტურდება. ვფიქრობთ, „გალატოზოთუხუცესი“ შედარებით უფრო ძველი ქართული სამოხელეო წოდების აღმნიშვნელი ტერმინია, ვიდრე ზემოჩამოთვლილი წყაროები. ჩვენ მოგვეპოვება ანალოგიური შინაარსის კიდევ ორი წარწერა გრიგოლ გალატოზოთუხუცესისა იმავე აფხაზეთიდან, კერძოდ, გალის რაიონის სოფ. დიზაზურგიდან X-XI სს¹⁹ და ასევე

¹⁴ Н.С.Северов, Памятники грузинского зодчества, Тб.1947, გვ.193.
¹⁵ Н.Н.Толмачевская, Фрески Грузии, Тб., 1931, გვ.8.
¹⁶ რ. შმერლინგი, ბედიის ტაძრის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, სმპტ. XVIII, N4, 1957, გვ. 504-511.
¹⁷ Л.А.Шервашидзе, Средневековая монументальная живопись в Абхазии, გვ.42-66.
¹⁸ ი. ვარსიმაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.54.
¹⁹ ქვ. II, გვ. 83, N69: ქ. გრი(ა)გოლს - გ(ა)ლ(ა)ტ(ო)სთ უხ(უ)ცეს(ს), შ(ე)უნდ(ო)ს ღ(მ)ერთ(მ) ა(მ)ენ“.
იხილეთ ნაწ. I, თავი II, „გრიგოლ გალატოზოთუხუცესის წარწერა“.



ასპინძის რაიონში, შორეთის მონასტრის მინაშენის წარწერა, რომელშიც ნიკოლოზ ორბის ძე იხსენიება „გალატოზთუხუცესის“ ტიტულით.²⁰

ბედიის, დიხაზურგასა და შორეთის წარწერების მიხედვით ჩვენთვის ცნობილი ხდება „უხუცესთა“ ინსტიტუტის სამოხელეო თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი.

საამშენებლო ხასიათის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ხშირად გვხვდება სიტყვა „გალატოზი“ (ჯრუჭის, გომარეთის, ილორის წარწერები). სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „გალატოზი“ ნიშნავს კედლის მღვმელს, კედლის მგებელს.²¹ თუ გალატოზი კედლის მგებელი და მშენებელია, მაშინ გალატოზთაუხუცესი მშენებელთა შორის უხუცესი და უფროსი უნდა იყოს. რაც შეეხება „უხუცესთა“ ინსტიტუტს, ცნობილია, რომ საქართველოში სავაზიროს ჩამოყალიბებამდე არსებობდა ცალკეული საკამეო უწყებები, რომელთა მეთაურებსაც უხუცესები ერქვათ. უხუცესის წოდება ემატებოდა ცალკეული დარგის მოხელეთა უფროსს, მაგალითად, მანდატურთუხუცესი, განმგებთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, მოღარეთუხუცესი და სხვ.²² აკად. მ.ლორთქიფანიძის აზრით, „უხუცესები“ ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და განვითარებული²³ და რომ „უხუცესობის“ ინსტიტუტი ჩვენში ძალიან ძველი მოვლენაა - ამის მაუწყებელია მათი მოხსენიება უძველეს წერილობით წყაროებში.²⁴ მაგალითისთვის მეცნიერს მოჰყავს მცხეთაში, 1938 წელს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი IV-V საუკუნეების ბერძნული წარწერა-ეპიტაფია, რომელშიც მოიხსენიება „ავრელი აქოლისი, მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი“.²⁵ მოხმობილი წყარო ადასტურებს, რომ „უხუცესთა“ ინსტიტუტი და ხუროთმოძღვრის თანამდებობა საქართველოში ანტიკურ ხანაშივე არსებულა, ისევე როგორც ეს იყო ძველი სამყაროს ბევრ ქვეყანაში.

ს. გაუჩნიშვილის გამოკვლევით, ტერმინი „არქიმოგრაფოს“ - მხატვართუხუცესი არც ძველ ბერძნულ და არც ბიზანტიურ მწერლობაში არ გვხვდება მე-12 საუკუნემდე, რა რადგანაც ამ ტერმინის შესატყვისი ცნება ბერძნულ სინამდვილეში არ არსებობდა, მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ბერძნული ტერმინი - „არქიმოგრაფოს“ - ადგილობრივი საჭიროებისათვის არის შექმნილი მცხეთაში არსებული თანამდებობის პირის წოდების „მხატვართუხუცესის“ გამოსახატავად.²⁶

ძველი საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლისას აღნიშნულ საკითხს შეეხო აკად. ა. აფაქიძეც. მისი აზრით, ავრელი აქოლისი უბრალო მხატვარი და ხუროთმოძღვარი კი არ არის,

²⁰ შორეთის სამრეკლო როული საეკლესიო კომპლექსის ნაწილია. ეს კომპლექსი მოზრდილი ეკლესიაა სხვადასხვა მინაშენებით და მღვდარეობს ასპინძის რაიონის სოფ. ოთას წრდილოეთით, დაახლ. 5-6 კმ-ის მანძილზე. სახელწოდება შორეთი დღეს არ არსებობს, მაგრამ ამ მონასტრის არქიტექტურულ-ხუროთმოძღვრული სტილი შეისწავლა აკად. ვ. ბერიძემ, რომელიც იმეორებს ძველი საისტორიო ტრადიციით დამკვიდრებულ ტერმინს „შორეთი“. შორეთის ერთადერთი ვადაწერილი წარწერა ამოკვეთილია სამრეკლოს მარცხენა (უკანა) სამლოცველოს შესასვლელის მარცხნივ. იგი თავიდან სწორად არ იყო წაკითხული (MAK, XII, გვ.12) ვ. ბერიძის აზრით, წარწერა ასე იკითხება: „ორბის ძეს ნიკოლოზს, გალატოზთუხუცესს შეუნდევნ დემეტრიან, ამინ“, (იხ. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ.213-214; ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბ., 1956, გვ. 7).

²¹ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1991, გვ.130.


²² მ. ბერძენიშვილი, სახელმწიფო წვობილება, სინ, ტ. III, თბ., 1979, გვ. 351.

²³ მ.ლორთქიფანიძე, ქართული ფეოდალური მონარქიის მონარქიის კარის მოხელენი, მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 68-69.

²⁴ იქვე, 73.

²⁵ თ. გაუჩნიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 255.

²⁶ ს. გაუჩნიშვილი, მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, სმამ, 1943, N6.





არამედ მოხელეა, იგი მხატვართა და მშენებელთა უფროსია, უხუცესია“.²⁷ ე. ი. უხუცესთა ინსტიტუტი სუფთა ქართული მოვლენაა, რადგან ბერძნულ ენაში შესატყვისი ცნება ვერ მოძებნეს და სპეციფიკურად ახალი ტერმინი შექმნეს. საყურადღებოა ისიც, რომ ავრელი აქოლისი ატარებს არა მარტო მხატვართუხუცესის არამედ ხუროთმოძღვრის ტიტულსაც. თუ ავრელი აქოლისი ქართლის ხუროთმოძღვარია, გარკვეული თვალსაზრისით, იგი ბედიის წარწერაში მოხსენიებული სემეონ გალატოზთუხუცესის შორეული წინამორბედაა. სემეონი გალატოზთა და მშენებელთა უფროსი და უხუცესია, ამდენად, მისი სახელმწიფოებრივი საქმიანობა თანამედროვე ტერმინით შეიძლება ხუროთმოძღვრით განვსაზღვროთ.

ხუროთმოძღვრის თანამდებობის არსებობა შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოში, რომელსაც „მმართველობის ცალკეული დარგებისა და უწყებების ხელმძღვანელები „კარის უხუცესები“²⁸ ჰყავდა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.


ქრონოლოგიურად ავრელი აქოლისის წარწერის შემდეგ ტერმინი ხუროთმოძღვარი გვხვდება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, იმავე სერაპიონის ცხოვრებაში იხსენიება „გალატოზი“²⁹, რომელიც ვბერძნის აზრით, ქვითხუროს სინონიმი ჩანს. გალატოზი იყო თანამშემწე „ხელოვნებით განთქმული კაცისა“ ხუროთმოძღვრისა. სერაპიონის ცხოვრების მეორე ადგილას თვით ეს „ხელოვნებით განთქმული კაციც“ გალატოზადაა წოდებული ე. ი. არსებითად გალატოზი და ხუროთმოძღვარი აქ ერთი და იმავეს ნიშნავს.³⁰

ტერმინი „გალატოზი“ გვხვდება აბუსერიძეთა საგვარეულო მატინანის ტექსტშიც. „ესე ბასილი იყო ქვითხურომ, რომელსა ეწოდების გალატოზი“.³¹ როგორც ვხედავთ, აქ გალატოზის განმარტება პირდაპირაა მოცემული და იგი, ისევე როგორც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, აქაც ქვით ხუროს აღმნიშვნელი ტერმინია. „სერაპიონის ცხოვრებისა“ და აბუსერიძეთა საგვარეულო მატინანის ქრონოლოგიური შედარების საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინ „გალატოზის“ შინაარსობრივი დატვირთვა X-XIII საუკუნეების საქართველოში არ უნდა შეცვლილიყო.

ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში „გალატოზის“ გარდა გვხვდება ამ სახის სხვა ტერმინებიც. კერძოდ, „გალატოზთა ზედა მომგე“ (რუისი, XV ს), „ზედამდგომელი“, ან „ზედამდგომი“ (ოშკის წარწერა) და ა.შ.³² გვიანფოდალურ ხანაში მშენებელი თავისთავს უმეტესად ოსტატს უწოდებს მაგ; ბარაკონის, მანგლისის, ვაშლოვანის, და სხვა წარწერები. მის პარალელურად როსტომ მეფის შემდეგ ხმარებაში შემოდის სპარსული სიტყვა „სარაიდარი“, რომელმაც ქართული ხუროთმოძღვარი შეცვალა.

ვახუშტი ბგრატიონი საქართველოს სამეფო კარის ჴელისუფალთა ჩამოთვლისას ასახელებს ხუროთმოძღვარსაც: „ხუროთმოძღვარი, ამის ჴელისა იყო სრულიად ჴელოსანნი და შენობა სასახლეითა და ეკლესიათა, ჴიდთა და ფუნდუკთა“.³³

²⁷ ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, თბ., 1983, გვ. 99.
²⁸ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 136.
²⁹ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევებით, თბ., 1935, გვ. 179.
³⁰ ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრები, თბ., 1956, გვ. 7.
³¹ ბოლო კამაილის მშენებლობა შუაბერძნულში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატინანე, 1233 წლ. ტექსტი გამოსცა დ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941, გვ. 56.
³² ვ. ბერიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 7.
³³ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა გვ. 23.



როგორც ვხედავთ, ქართულ სინამდვილეში ზუროთმოძღვრის ინსტიტუტის აღსანიშნავად ზანს შემდეგი ტერმინები: ზუროთმოძღვარი, ხელოვნებით განთქმული კაცი, გალატოზთუხუცესი და სარაიდარი. აქედან სარაიდარის წარმოშობის ისტორიული პირობები ვიცი, იგი არაქართული სიტყვაა და ირანის პოლიტიკურ-კულტურული გავლენით გავრცელდა საქართველოში. რაც შეეხება ზუროთმოძღვარს, „ზუროსა“ და „მოძღვრის“ შეერთების საფუძველზე წარმოქმნილი სიტყვაა და მის შინაარსში იგულისხმება მრავალი ზუროს მოძღვარი და ხელმძღვანელი. აბუსერიმეთა საგვარეულო მატიანის განმარტებით ვიცი, რომ ქვით ზურო იგივე გალატოზია, ხოლო გალატოზთა ხელმძღვანელი, ჩვენი ვარაუდით, „გალატოზთუხუცესი“ უნდა იყოს (აქაც ორი სიტყვის შეერთების საფუძველზე მიღებული ტერმინი გვაქვს „გალატოზი“ + „უხუცესი“).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, როცა სერაპიონის ანდერძის თანახმად, ვანიზრახეს მეორე ეკლესიის აგება, წინამძღვარმა მიქელმა „კველოვნებით განთქმულსა კაცსა მოუწოდა ... ქვეყნისაგან ბერძენთადას... რომელსა თანაშემწედ აქუნდა გალატოზი სახელით შუარტყელელი და ორნივე იყვნეს მოძღვარ და მასწავლებელ სიმრავლეს მუშაკთასა“.³⁴

ე.ი. „კველოვნებით განთქმული კაცი“ თანამდებობრივად უფრო მაღლა დგას, ვიდრე გალატოზი, მაგრამ ორივენი იყვნენ მრავალი მშენებლის („მუშაკთა“) მოძღვარი და მასწავლებელი (გავიხსენოთ „ზუროთ+ მოძღვარი“). აქ ფაქტიურად ორი მოხელის თანამდებობრივ გათანაბრებასთან გვაქვს საქმე. ალბათ, ეს მომენტი ჰქონდა მხედველობაში აკად. ვ. ბერიძეს, როცა განაცხადა „აქ გალატოზი და ზუროთმოძღვარი არსებითად ერთი და იმავეს ნიშნავს“.

როგორც ვხედავთ, „სერაპიონის ცხოვრება“ მშენებელთა შორის სამ კატეგორიას ასახელებს: „კველოვნებით განთქმული კაცი“, „გალატოზი“ და „მუშაკნი“. ჩვენი აზრით, მოგვიანებით, ამ კატეგორიებს, უნდა დამატებოდა „გალატოზთუხუცესიც“.

ბასილი ზარზმელის ეპოქა, როცა არ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობა და სახელმწიფოებრივი მექანიზმები, როცა საეკლესიო და სამონასტრო მშენებლობა, ძირითადად, სასულიერო და კერძო პირთა ინიციატივითა და ერთუზიანობით მიმდინარეობდა, არ საჭიროებდა სახელმწიფო მოხელის ფუნქციებით აღჭურვილ თანამდებობის პირს. მაგრამ ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. სამონასტრო მშენებლობის ინიციატივა ამჯერად სახელმწიფომ აიღო ხელში და ამ მხრივ, გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. აქ, ალბათ უნდა გავიხსენოთ ბაგრატ III-ის (975-1014) მიერ ფართოდ გაშლილი საეკლესიო მშენებლობა (ბედიისა და ბაგრატის ტაძრების, ასევე სვეტიცხოვლის მშენებლობის დასაწყისი და ა.შ.), რისთვისაც მას აუცილებლად დასჭირდებოდა სახელმწიფო მოხელის რანგში აყვანილი „კველოვნებით განთქმული კაცი“. ჩვენი აზრით, ასეთ პირობებში X ს. II ნახევარში გაჩნდა კიდევ ერთი მოხელის „გალატოზთუხუცესის“ თანამდებობა. ე.ი. ვახუშტისდროინდელი „ზუროთმოძღვარი“ ბაგრატ III-ის სამეფო კარზე უხუცესთა საგამგელო უწყებაში შედიოდა „გალატოზთუხუცესის“ ტიტულით. შესაძლოა, ამ მოხელეს ქვეყნის მართვა-გამგეობაში ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ფართო კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობით იყო დაკავებული ქვეყანაში გაშლილი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საეკლესიო მშენებლობაში. ჩვენს მოსაზრებას

³⁴ აღნიშნული ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 179.



დამაჯერებლობას მატებს, ისიც რომ „ხუროთმოძღვრის“ შესატყვისი სხვა ტერმინი ამ ებოქის წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება.

ახლახან სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ფოკას წარწერების ახლებური გაშიფვრის შედეგად მიღებული ტერმინი „ბანაქარსალარი“, რაც ავტორთა აზრით, ხუროთმოძღვარს უნდა ნიშნავდეს.³⁵ ფოკას წარწერის ტექსტი ასეთია: „ქ(რის)ტე(ე), ად(ა)დ(ე) მ(ი)ტ(ე)ლ ქ(ა)რ(თ)ლ(ი)სა ბნქსლრი“. ³⁶ ბოლო დაქარაგმებულ სიტყვას ი. გაგომიძე და გ. გაგომიძე ხსნიან, როგორც „ბანაქარსალარი“. აღნიშნულ დაქარაგმებას ყველა მკვლევარი ხსნიდა, როგორც „სალარი“, რაც სპარსულად ნიშნავს „მეთაურს“, „თავს“, „უფროსს“. იგი თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინების მაწარმოებელია ირანსა და ირანის გავლენის არეალში მოქცეულ ქვეყნებში. „რადგან „ბანა“ აღნიშნავდა პრაქტიკოს-არქიტექტორს, მშენებელს, ამიტომ მშენებელ-არქიტექტორთა ზედამხედველს სპარსული ენის კანონების სრული დაცვით, „ბანაქარ-სალარი“ უნდა ერქვას. მიგვაჩნია, - აღნიშნავენ ავტორები - რომ ფოკას ეკლესიის ერთ-ერთ საამშენებლო წარწერაში დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელის, ქართლის ხუროთმოძღვართუხუცესის ანუ „ბანაქარსალარის“ ტიტული.³⁷

ჩვენ არ შეგვიძლია ხელაღებით უარყოთ ამ ტერმინის ირგვლივ მკვლევართა მიერ მოტანილი მსჯელობა; შესაძლოა ქართლში ბაგრატ IV-ის ეპოქაში, მელქისედეკ და ოქროპირ კათალიკოსების ზეობისას, მართლაც იყო ასეთი თანამდებობა, მაგრამ შეეკვება იგი ძველი საქართველოს სამეფო კარის სამოხელეო თანამდებობა ყოფილიყო. მით უფრო საეჭვოს ხდის ამ მოსაზრებას „გალატოზთუხუცესის“ ტერმინის არსებობა ქართულ ლაპიდარულ წარწერებში, თანაც ფოკას, ბედიის და დიხაზურცის წარწერები ქრონოლოგიურად არც ისე დაშორებული არიან, რომ დასაშვები იყოს ორი ტერმინის არსებობა ერთი და იმავე სამოხელეო ინსტიტუტის შესახებ.

ბედიის წარწერაში მოხსენიებული ისტორიული პიროვნება სკემონ გალატოზთუხუცესი, ჩვენთვის სხვა წყაროებით უცნობია; მისი სოციალური მდგომარეობის განსაზღვრისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი დიდი თანამდებობის პირი და საქართველოს მეფის მოხელეა: არაფერი ვიცით მისი წარმომავლობისა და სხვა საქმიანობის შესახებ, ვიცით, რომ მისი ხელმძღვანელობით აშენდა ბედიის ღმრთისმშობლის ტაძარი, რისთვისაც მოიპოვა სავედრებლის უფლება ტაძრის კედლებზე. ცხადია, სკემონ გალატოზთუხუცესი სამეფო კართან დაახლოებული პირია, თუ გავითვალისწინებთ რა დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა ბაგრატი ბედიის ტაძრის მშენებლობას (ამაზე მიუთითებს ტაძრისთვის სპეციალურად დამზადებული სიწმიდის სამსახურებელი, ტაძრის სამეფო საძვალედ გადაქცევა და ა.შ.), მაშინ ცხადია, რომ ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს მეფე ქვეყნის პირველ და სახელგანთქმულ ხუროთმოძღვარს ანდობდა.

ჩვენ მიერ მოხმობილი არგუმენტები: ტაძრის დეკორატიული მორთულობის მეორედ გამოყენების კვალი, XIII-XIV საუკუნეების სახელმწიფო სამართლის ძეგლებში, „გალატოზთუხუცესის“ მოუხსენებლობა; „უხუცესთა“ ინსტიტუტისა და ხუროთმოძღვრის თანამდებობის არქაულობა- მათი არსებობა ჯერ კიდევ IV-V სს. საქართველოში, კიდევ უფრო მეტ საფუძველს მატებს წარწერის ძველ

³⁵ ი. გაგომიძე, გ. გაგომიძე, ქართლის ხუროთმოძღვართუხუცესი, ლხ, 1992. N3-4, გვ. 170.
³⁶ ვ. ციციანიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 33.



დათარიღებას. ამიტომ წარწერის გადათარიღება ტაძრის ახლანდელი ნაგებობის დღეს მიღებული თარიღის მიხედვით ჯერ-ჯერობით მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

ამრიგად, ბედიის წარწერამ შემოგვინახა X ს. II ნახევრის საქართველოს სამეფო კარის სამოხელეო ტერმინი - „გალატოზოთუნუცესი“ და ამავე სახელის მფლობელი ხუროთმოძღვარ სუმეონის სახელი.

2. კონსტანტინე მეფეთა მეფის წარწერა

ბედიის ტაძრის სამრეკლოს დასავლეთ კედელში ჩასმულ ქვის ფილაზე ამოკვეთილია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. მისი პირველი პუბლიკაცია და დათარიღება ეკუთვნის მბროსეს.³⁸ 1888 წელს ა.მ.პავლინოვმაც ინახულა ბედიის ტაძარი, და თავისი ექსპედიციის ანგარიშში ბროსეზე დაყრდნობით მოგვცა წარწერის რუსული თარგმანი.³⁹ 1897 წელს თ. ჟორდანიამ „ქრონიკების“ II ტომში გამოაქვეყნა წარწერის მხედრული ტრანსლიტერაცია.⁴⁰ XX ს. 70-იან წლებში წარწერა ადგილზე შეისწავლა ვ. სილოგავამ და მოგვცა წარწერის არქეოგრაფიული დახასიათება: „ამოკვეთილია ქვის ფილაზე, ... ზომა 63x59, ნაწერი ოდნავ გადარეცხილია. ასოების სიმაღლე: 3-6,5-7,5. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ („ნ“-ის მარცხნივ და მარჯვნივ სამი წერტილია დასმული მარჯვნივ წაწვეტებით); ქარაგმის ნიშანი: კლაკნილი, განივი ხაზი“.⁴¹

ⴒ: 𐌆𐌆𐌆𐌆: 𐌒: 𐌆𐌆𐌆𐌆
𐌆𐌆𐌆: 𐌆𐌆𐌆𐌆𐌆𐌆𐌆 𐌆𐌆:
𐌆𐌆𐌆𐌆𐌆: 𐌆𐌆

" ⴒ: აღიდენ ღ(მერთმა)ნ მეფეთა | მეფე კოჲსტანტ(ი)ნე, ძე | დავითისი, ა(მე)ნ“.

სამწუხაროდ, წარწერის ფოტოსურათი ან გრაფიკული გადმონახაზი ჩვენ ხელთ არა გვაქვს. ამდენად ჯერჯერობით მოკლებულნი ვართ წარწერის პალეოგრაფიული შესწავლის საშუალებას. კონსტანტინე სამართლიანად მიჩნეულია დავით რუსუდანის ძის, ანუ დავით ნარინის ძედ. აღნიშნული მოსაზრება პირველად გამოთქვა მ. ბროსემ. შედარებით უფრო დააზუსტა კონსტანტინე მეფეთა მეფის წარწერის დათარიღება ვ. სილოგავამ. „მეფე კონსტანტინე I დავით ნარინის ძეა; ამის მიხედვით წარწერა 1293-1327 წლებით თარიღდება.“⁴²

ცნობილია, რომ დავით ნარინს ოთხი ვაჟი ჰყავდა. სამი თამარ ამანელასძის ქალისაგან: ვახტანგი, კონსტანტინე და მქიკელი. ანა პალეოლოლოსის, ტრაპიზონის კეისრის ასულისაგან ჰყავდა ერთი ვაჟი - „უმრწემისი“ ალექსანდრე. უფროსი ძე ვახტანგი 1289 წელს, დემეტრე II თავდადებულის სიკვდილით


³⁷ ი. გაგოშიძე, ვ. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

³⁸ Rapports sur un voyage archéologique ... გვ. 93.

³⁹ А. М. Павлинов, Экспедиция на Кавказ, , გვ. 29.

⁴⁰ თ. ჟორდანი, ქრონიკები წ. II, გვ. 179.

⁴¹ ქსეპ. II, გვ. 176, N210.



დასჯის შემდეგ, მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველოში გაამეფეს. იგი მალევე - 1293 წელს გარდაიცვალა. ამდენად, დავით ნარინის შემკვიდრე გახდა ვახტანგის მომდევნო ძმა - კონსტანტინე ჟამთააღმწერლის ცნობით, „ხოლო მოიღო მეფობა კონსტანტინე, პირმშობებითა ძალით, რომლისა მეფობასა წინააღუდგა ძმა მისი მიქაელ და დაიპყრა ქვეყანა რაჭისა და არგუეთი, და დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო, რომელთა საქმენი არა მოქსენებულ არიან, და არა ყვეს მშვიდობა, ვიდრე არა მოიცვალნეს, რამეთუ რომელსა ჟამსა დაიზავიან, მყის შეიშალნიან“.⁴²

კონსტანტინე დავითის ძის გამეფებასთან დაკავშირებულ მწვავე პოლიტიკურ მოვლენებს აღწერს ვახუშტი ბაგრატიონიც: „შემდგომად ნარინ დავითისა მიიღო უხუცესმან ძემან მისმან კონსტანტინე მეფობა, არამედ ამას წინა აღუდგა უმრწამსი ძმა მისი მიქაელ და დაიპყრა მიქაელ რაჭა და არგუეთი და დღეთა მათთა აქუნდათ შლილობანი და შფოთი და არაოდეს ჰყვეს მშვიდობა“.⁴³ სამეფო კარზე ჩამოვარდნილი შინაური აშლილობით ისარგებლეს მსხვილმა ფეოდალებმა გურიელმა, დადიანმა და შერვაშიძემ და ოდიშის, აფხაზეთის და გურიის ცენტრალური სამეფო ხელისუფლებისაგან ჩამოცილება სცადეს, „დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო“ - წერს მემატიანე, რაშიც ალბათ, განდიდებულ თავადთა დამოუკიდებლობისკენ მისწრაფება იგულისხმებოდა; საფიქრებელია, რომ ეს მისწრაფება მეტად უსუსური და არამყარი იყო, რადგან ბედიის წარწერა აშკარად ადასტურებს, რომ კონსტანტინე მეფეს ემორჩილებოდა ოდიშიც და აფხაზეთიც.

მიუხედავად, შინააშლილობის მცდელობისა კონსტანტინე მეფე როგორც ჩანს, მაინც ახერხებდა მსხვილი საამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას. ბედიის ტაძრის ხელახალი მშენებლობა, თუ საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო. ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ, სვმონის წარწერის განხილვისას. ჩვენი აზრით, აღნიშნული მშენებლობა კონსტანტინე მეფის ინიციატივით უნდა მომხდარიყო, რადგან ჩვეულებრივ, ტაძრის ფასადებზე მეფეთა სადიდებელ წარწერებს ასეთ შემთხვევაში აკეთებენ. თავის დროზე, მარი ბროსემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ტაძრის რესტავრაცია კონსტანტინე მეფის, ნიკოლოზ კათალიკოსისა და სოფრონ ბედიელის დროს უნდა მომხდარიყო.⁴⁴ მაგრამ ბ. ბროსე აქ საუბრობს ტაძრის რესტავრაციაზე და არა მშენებლობაზე. XX ს. 60-იანი წლების აღმოჩენებმა კი კონსტანტინე მეფის საქმიანობის ახლებური შეფასების შესაძლებლობა მოგვცა. XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე სხვა ვის უნდა ეწარმოებინა ტაძრის მშენებლობა - რეკონსტრუქცია თუ არა მეფეს, რომლის სადიდებელი ლაბიდარული წარწერა შემორჩა ტაძრის კედლებს?


იმავე ბედის სამრეკლოზე მოთავსებული ნიკოლოზ კათალიკოსისა და სოფრონ ბედიელის წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი მოწმობს, რომ ისინი XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე, ე.ი. კონსტანტინე მეფის ზეობაში მოღვაწეობდნენ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ბედიის ტაძრის ხელახალი მშენებლობა-რესტავრაცია სწორედ მათი: კონსტანტინე მეფის, ნიკოლოზ კათალიკოსისა და სოფრონ ბედიელის სახელებთან არის დაკავშირებული. მთლიანად ტაძარი თუ არა, ბედიის სამრეკლო

⁴² მწკ. II, გვ. 176.

⁴³ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 295.

⁴⁴ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 238-239.

⁴⁵ Rapport sur un voyage... გვ. 93.



მაინც კონსტანტინე მეფის ეპოქაშია აგებული. ბუნებრივია, ამიტომ შემორჩა მათი სახელები ბედიის წარწერებში.

კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, 1327 წელს გამეფდა მიქელი. 1329 წელს, როცა მეფე მიქელი გარდაიცვალა, გიორგ ბრწყინვალე გადავიდა ქუთაისში და დაიკავა იგი,⁴⁶ „იმიერნი და ამიერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაგერ ყოველი საქართველო.“⁴⁷ კონსტანტინე მეფეთა-მეფის წარწერა ერთი-ანდუბა ბედიის ტაძრის მემორიალური წარწერების რიცხვში. იგი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ აზუსტებს ბედიის ტაძრის სამრეკლოს მშენებლობის თარიღს. წარწერის მიხედვით, სამრეკლო 1293-1327 წლებში უნდა აგებულიყო. იგი ადასტურებს ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის აზრს დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის (1247-1293) შემდეგ კონსტანტინეს გამეფების შესახებ. წარწერა აშკარად მიუთითებს, XX საუკუნის 60-იანი წლების აღმოჩენების სიმართლეს, რომ XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე ბედიის მონასტერში მართლაც გრანდიოზული სარესტავრაციო-სააშენებლო სამუშაოები ჩატარებულა და მათი ინიციატორი კონსტანტინე მეფე ყოფილა. თუ გავითვალისწინებთ, იმასაც, რომ ასეთი სახის მშენებლობის ჩატარება მხოლოდ ძლიერ ზელისუფალს შეეძლო, მაშინ ადვილი საფიქრებელია, რომ კონსტანტინე დავით ნარინის ძე განსაკუთრებით დიდი გავლენით სარგებლობდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში.

3. ნიკოლოზ კათალიკოსისა და სოფრონ ბედიელის წარწერა

ბედიის სამონასტრო კომპლექსში შემაველი სამრეკლოს აღმოსავლეთის შესასვლელის თავზე მოთავსებული ყოფილა ფილა ასომთავრული წარწერით. ცნობა აღნიშნული წარწერის შესახებ შემოგვინახა მარი ბროსეს VIII Rapport-მა, სადაც წარწერის მხოლოდ ფრაგმენტებია გამოცემული.⁴⁸

უახლოეს წარსულში ფილა ადგილზე არ მდებარებოდა და დღეისთვის მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

ბროსეს პუბლიკაციაზე დაყდნობით, წარწერა შეავსო, ახლებურად წაიკითხა და გამოსცა ვ. სილოგავამ. მ. ბროსეს დროს წარწერაში იკითხებოდა შემდეგი გრაფემები:

.....ჰყნღზსც რხზზ

.....ზც სქიჩ ღტოოზსც

.....ღწლზსც ძცსც ყჩ იჩ

მისი წაკითხვით: „**იღმერთო შეიწყალე (სულით) ნიკოლოზ კათალიკოსი, რომელმაც ეს ააგო და ბედიელი სოფრონ გუნგულიას ძე**“.⁴⁹

⁴⁶ ბლომინაძე, მონღოლთა ბატონობის დასასრული და ქვეყნის პოლიტიკური მოღაიანობის აღდგენა, სინ, ტ. III, თბ., 1979წ, გვ. 629.

⁴⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 325.

⁴⁸ Rapports, VIII, გვ. 93.

⁴⁹ შწკ II, გვ. 172-173, №207.



ვ. სილოგავას წაკითხვით: „† ღმერთო, შეიწყალე სული ამის! მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბლისა ნ(ი)კ(ოლო)ზ კ(ათ)ალიკოზ[ისა] და ს(ო)ფრ(ონ) ბ(ე)დიელისა - გ(ო)ნგლი(ბ)ა(მ)ნ-ძ(ე)თ(ა) სა; შ(ე)იწყალე ნ(მ)ერტმა)ნ!“⁵⁰

თ. ჟორდანიას აზრით, წარწერაში ბედიელთა გვარი იკითხება, როგორც „ენგლიბამსქეთა“; ხოლო ვ. სილოგავამ წარწერა XIII ს. II ნახევრით დაათარიდა და თან დააზუსტა, რომ ნიკოლოზ კათალიკოსისა და სოფრონ ბედიელების გვარი - „გონგლიბამსქა“; რადგან წყაროებში „გუნგულიასქე“ და არც „ენგლიბამსქე“ არ გვხვდება.⁵¹ სამაგიეროდ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში იხსენიება მიქაელ გონგლიბამსქე-ბედიელის გვარი; მისი აღაპი ელ. მეტრეველმა დაათარიდა XIII-XIV საუკუნეთა მიჯნით.⁵² აქედან გამომდინარე და სხვა პალეოგრაფიული მოსაზრებითაც ვ. სილოგავა ბედიელების გვარს კითხულობს, როგორც „გონგლისბამსქე“. ე.ი. წარწერაში მოხსენიებული ნიკოლოზ კათალიკოსი და სოფრონ ბედიელი ერთი ფეოდალური სახლის გონგლიბამსქეთა წარმომადგენლები არიან.

ნიკოლოზ კათალიკოსი ორჯერ იხსენიება ჯვრის მონასტრის აღაპებში კერძოდ, 46 (M-44) ტაბულა XLXII-ში. ამ ტაბულაში ერთიანდება ნიკოლოზ კათალიკოსი ბედიელ-ყოფილის აღაპი N100. ელ. მეტრეველი მას გრიგოლ ფანასკერტელის აღაპით XIII-XIV სს მიჯნით ათარიღებს.⁵³ მისი აზრით, ნიკოლოზი უნდა იყოს XIII ს. დამღვევის ნიკოლოზ კათალიკოსი.

ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ეს აღაპი „კვლმწიფის კარის გარიგების“ ზოგიერთ ცნობასთან ერთად მოწმობს, რომ აფხაზთა კათალიკოსი ბედიელიც ყოფილა. XIII საუკუნეში ეტყობა ბედიელები, კათალიკოსებიც იყვნენ, მაგრამ მათი კათალიკოსობა არ იყო საკვალდებულო.⁵⁴ ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველი გახდა ნიკოლოზ კათალიკოსის მოხსენიება ჯვრის მონასტრის აღაპებში „კათალიკოზ ბედიელ-ყოფილის“ პატივით. ჩვენი ვარაუდით, აფხაზთა კათალიკოსი იმავდროულად ბედიელი ვერ იქნებოდა. ბედიელი მღვდელმთავრები შესაძლოა საეკლესიო იერარქიით შემდეგ კათალიკოსები ხდებოდნენ, მაგრამ ბედიელობა და აფხაზთა კათალიკოსობა ერთდროულად ნაკლებ სარწმუნო ჩანს. ყოველ შემთხვევაში ზემოთხსენებული ნიკოლოზ კათალიკოს-ბედიელ ყოფილის მაგალითზე ამის მტკიცება უსაფუძვლოა, რადგან ჩვენ ვიცით, რომ შეჰანის უდაბნოში გადაწერილი ზელნაწერის ერთ მინაწერში იხსენიება ნიკოლოზ ბედიელი: „წმ. პროკოპი, მეოხ ეყავ სულსა ნიკოლოზ ბედიელისასა წინაშე ქრისტესა (162v).“⁵⁵ ე. მეტრეველის ვარაუდით, ეს ნიკოლოზ კათალიკოსი იგივე ბედიელ-ყოფილი ნიკოლოზ კათალიკოსია, რომლის აღაპი ჩაწერილია ჯვრის მონასტრის სააღაპე სუნაქსარში და თარიღდება XIII საუკუნის დამღვევით.

შეჰანის უდაბნოს ზელნაწერის მინაწერი გვაფიქრებინებს, რომ ნიკოლოზი ჯერ ბედიელი მღვდელ-მთავარი იყო და მერე დაწინაურდა აფხაზთა კათალიკოსის თანამდებობაზე, ამიტომ მოიხსენიება ჯვრის მონასტრის აღაპებში „ბედიელ-ყოფილად“.

⁵⁰ Rapports, VIII, გვ. 93.

⁵¹ შწკ II, გვ. 172-173., №207

⁵² ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 131.

⁵³ იქვე.

⁵⁴ ნ. ბერძენიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობილება, მიმოხილველი, I, თბ., 1926, გვ. 112.



შუა საუკუნეების საქართველოში ბედიელობა ერთ-ერთი საპატიო თანამდებობა იყო. „ველმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „ამიერი“ ბედიელი მოსაფლავდა [მეფისა]“⁵⁶. ე.ი. ბედიელი-მღვდელ-მთავარი სამეფო საფლავის მფარველი ყოფილა. ბედიელ მთვარეპისკოპოსთა დიდ ავტორიტეტზე მოუთითებს ბედიელ-ალავერდელის თანამდებობა დავით აღმაშენებლის ეპოქაში.

ბედიის ტაძრის ლაპიდარული და ჭედური წარწერებით, ასევე სხვა საისტორიო წყაროების მოშველებით შესაძლებელი ხდება ბედიელთა არასრული ქრონოლოგიური რიგი აღვადგინოთ. უკანასკნელ ხანს აღნიშნულ საკითხს შეეხო გ.კალანდია და ბედიელთა ქრონოლოგიაში 15 მთვარეპისკოპოსის სახელი აღადგინა.⁵⁷ ჩვენ შევეცდებით, ამ ქრონოლოგიაში მცირე კორექტივა შევიტანოთ და კიდევ რამდენიმე ბედიელი დავამატოთ.⁵⁸

ბედიელის ყველაზე ადრინდელი ხსენება XI ს-ის ავტორის გიორგი მცირის თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“⁵⁹ გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების მიხედვით, იოანე ბედიელ მთვარეპისკოპოსი 1065 წელს, ბაგრატ IV-ის ასულს მართას ახლავს კონსტანტინეპოლში. „ხოლო მეფისა (ბაგრატ IV-ისა ლ. ა.) მიერ წარმოვლინებულ იყო. ჰრონი, ხოლო თვისსა მამისა მიერ ჰყვეს ნეტარი ბერი პეტრე პატრიკ ყოფილი და იოანე ბედიელ მთვარეპისკოპოსი და სწვეგლოზი“.⁵⁹ როგორც ჩანს, იოანე ბედიელ მთვარეპისკოპოსი ბაგრატ IV-ის დროინდელი საეკლესიო მოღვაწე იყო. ჩვენთვის უცნობია ვინ დასვა ბაგრატ III-მ ახლად აგებული ბედიის საყდრის მამამთავრად, ან იოანემდე ვინ იყვნენ მთვარეპისკოპოსები. ამიტომ ბედიელთა ქრონოლოგიურ რიგში იოანე ჯერჯერობით პირველია და მისი მოღვაწეობა ზემოთხსენებული წყაროების მიხედვით, XI საუკუნის 60-70-იანი წლებით თარიღდება.

დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი მოხსენიებულია სვემონ ბედიელ-ალავერდელი, იგი XII საუკუნის I მეთოხელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო ფიგურა ჩანს: „აწ სვემონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებულ - რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იცყოფოდის კრომელსა ჩუენ ვერ მოვიწინეთ და შემდგომად მისსა, თუ მისსა ადგილსა, ამითვე წესითა სხუად მწიგნობართუხუცესი იყოს, იგი იურვოდის“.⁶⁰ დავითმა გიორგი ჭყონდიდელის გარდაცვალების შემდეგ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა გიორგის დისწულს სვემონ ბედიელ-ალავერდელს მისცა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, 1118-1125 წლებში ჭყონდიდელი ვიდაც უცნობი პირი ყოფილა და არც თუ სასურველი პირი დავითისთვის. ამ უცნობის შემდეგ დავითს ჭყონდიდლობა თავისი ერთგული და გამოცდილი მწიგნობართუხუცესი სვემონისთვის მიუბოძებია. დავითის ისტორიკოსის ცნობით,

⁵⁵ გ. მჭერტველი, შეპანის უდაბნო - XI საუკუნის უცნობი სკრიპტორიუმის პალესტინაში, მრავალთავი V, 1975, გვ.30.
⁵⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ა. დოლიძემ, თბ., 1965, გვ.91.
⁵⁷ გ.კალანდია, ბედიელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, ჟურნალი „არტანუჯი“, თბ., 1995, №4, გვ. 33-37.
⁵⁸ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება წმიდა მოწამის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მეცნიერული გამოკვლევა ხელნაწერი. ჩვენ გავუცანით მას და ზოგიერთი ქრონოლოგიური შესწორება შევიტანეთ, ასევე დავამატეთ რამდენიმე მთვარეპისკოპოსის სახელი. (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ხელნაწერი Q 587).
⁵⁹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპები, თბ., 1901, გვ. 331. იხილეთ აგრეთვე გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1914, გვ. 235-236.



განმგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თქსი სემეონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თქსისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“.⁶¹ დავითის ისტორიკოსის ამ ცნობაზე დაყრდნობით მეცნიერთა ერთი ნაწილი (რ.მეტრეველი, ი.ანთელავა, ბ. ლომინაძე)⁶² უარყოფს ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას 1118-1125 წლებში ჭყონდიდელად ვიღაც უცნობი პირის ყოფნის შესახებ. პ. ინგოროვას თვალსაზრისით, სემეონ ბედიელ-ალავერდელი გულაბერიძე იყო და 1118 წლიდან მწიგნობართუხუცესი გახდა, 1120 წლიდან ჭყონდიდელი, ხოლო 1142 წლიდან კი ქართლის კათალიკოსი.⁶³

რ.მეტრეველის მოსაზრებით, სემეონმა ჯერ მიიღო მწიგნობართუხუცეს - ჭყონდიდლის თანამდებობა და შემდეგ მისცეს ბედიელ-ალავერდელს, რაც ნაკლებ სარწმუნოდ ჩანს, რადგან დავითის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თქსი სემეონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი“.⁶⁴ ე.ი. შარვანის საქმეთა განმგებლად დატოვა სემეონ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, რომელიც შარვანის ალების დროს ბედიელ-ალავერდელი იყო, ხოლო მაშინ, როცა მემატინაე დავითის თხზულებას წერდა ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსია. გ. კალანდაის მართებული შენიშვნით სემეონი ჭყონდიდის ეპარქიის მწყემსი დავითის სიკვდილის შემდეგ, დემეტრე I-ის ეპოქაში გამხდარა,⁶⁴ რადგან შირვანიდან დაბრუნებული დავითი ორ-სამ თვეში გარდაიცვალა.⁶⁵ სემეონს ჭყონდიდელად გახდომის შემდეგ ბედიელ-ალავერდობისთვის თავი დაუნებებია, რადგან იგი უკვე 1141 წლის უბისის სვეტის წარწერაში მხოლოდ ჭყონდიდელად მოიხსენიება.⁶⁶ სემეონის ბედიელ-ალავერდელობა დაახლოებით 1125 წლამდე უნდა ვივარაუდოთ.

ქრონოლოგიურად მომდევნო ბედიელია ჩვენს მიერ ზემოთხსენებული ნიკოლოზ კათალიკოსის ბედიელ-ყოფილი, რომლის კათალიკოსობას ელ. მეტრეველი XIII-XIV საუკუნეების მიჯნით ათარიღებს.⁶⁷ ე.ი. თუ ნიკოლოზის კათალიკოსობა XIII-XIV სს. მიჯნით თარიღდება, მაშინ მისი ბედიელობა შედარებით უფრო ადრე XIII საუკუნის II ნახევრით უნდა ვივარაუდოთ. ნიკოლოზის კათალიკოსად კურთხევის შემდეგ ბედის მთავარეპისკოპოსი უნდა გამხდარიყო ნიკოლოზთან ერთად მოხსენიებული სოფრონ ბედიელი. მისი ბედიელობა XIII ს. II ნახევრით, შესაძლოა XIV ს. დასაწყისითაც დავათარიღოთ. სოფრონის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, გარდა იმისა, რომ მოღვაწეობდა XIII ს. II ნახევარში, იყო გონგლიბაისძეთა ფეოდალური სახლის წევრი - ნიკოლოზ

⁶⁰ ვ. ხილოვაგა, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, მრავალთავი, IX, 1983, გვ.98.
⁶¹ ცხოვრება მუჟუჟი მუჟისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მხეჭულა შანიძემ, თბ., 1992, გვ. 197.
⁶² რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1986, გვ. 142. ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 100-108. ბ. ლომინაძე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა XI-XIII საუკუნეების საქართველოში, კრებ. საქართველო რუსთაველის ზანში, თბ., 1966, გვ. 84.
⁶³ პ. ინგოროვა, რუსთველიანა, თხზ., I, თბ., 1963, გვ. 758.
⁶⁴ გ. კალანდაი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.
⁶⁵ აბოგვერდიძე, დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ, კრ. „ქართული ისტორიოგრაფია“, 2, თბ., 1971, გვ. 68.
⁶⁶ ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966, გვ. 12.
⁶⁷ ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ჯერის მონასტრის - გვ. 132.



კათალიკოსის ნათესავი. სოფრონსა და ნიკოლოზს XIII ს. მიწურულს ან XIV ს. დასაწყისში აუშენებიათ ბედიის ტაძრის სამრეკლო.

ჩვენთვის უკვე ცნობილი მიქაელ გონგლიბაძისძემ იმავე ფეოდალური სახლის წევრია, საიდანაც წარმოშობით არიან ნიკოლოზი და სოფრონი; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიქაელი ბედიელად მოიხსენიება ჯვრის მონასტრის აღაპებში: „ამასვე დღესა აღაპი მიქაელ ბედიელისა დაწირვამ და აღაპი საუკუნომ მიქაელ გონგლიბაძისძისა, ბედიელისაჲ პანაშვიდით, შეუნდვენ ღმერთო“.⁶⁸ - ელ. მეტრეველი ამ აღაპს XIII-XIV სს. მიჯნით ათარიღებს.⁶⁹ ჩვენი აზრით, მიქაელის ბედიელობა XIV ს. I მეოთხედით უნდა დავათარილოთ.

სინას მთის ქართულ ხელნაწერთა მინაწერებში მოხსენიებულია მთავარეპისკოპოსი ბედიელი ლაზარე: „ს(უ)ლსა მთ(ა)ვარ-ეპისკოპოსსა ბედიელსა ლაზარეს და მისთა მშ(ო)ბელთა შ(ე)უნდენეს ღმერთმან“.⁷⁰ ლაზარეს ქვემოთ მოიხსენიება მთავარეპისკოპოსი გიორგი: „ს(უ)ლსა მთ(ა)ვარეპისკოპ(ო)სსა გიორგის შ(ე)უნდლოს ღმერთმან“.⁷¹ ჩვენი აზრით, მთავარეპისკოპოსი გიორგიც ბედიელია და მას ქრონოლოგიურად ლაზარეს მომდევნო ბედიელად ვთვლით. მათ მოღვაწეობას ხელნაწერთა ქრონოლოგიის მიხედვით, XIV-XV საუკუნეებით ვათარილებთ.

მარკო ბედიელი იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის N228 აღაპში: „ბედიელისა მარკოზისა მოგუვიდა ოცი ცომი, ათი თანგა, ათი ფლური, ორი სარტყელი ვერცხლისა“.⁷² აღაპი დათარიღებულია XIV-XV სს⁷³ და მარკოზის ბედიელობაც ამ თარიღით უნდა განისაზღვროს.

ბედიელი მთავარეპისკოპოსი გრიგოლი დასახელებულია თოფურიძეთა სასისხლო სიგელში, რომელიც ალექსანდრე I დიდის (1412-1442) მიერ არის გაცემული და ამავე ეპოქით თარიღდება. „დაუმტკიცეთ: ბრძანება და სიგელი, სუმონ ჭყონდიდელო, ბართლომე ცაიშელო, რომანოზ მოქველო, გრიგოლე ბედიელო“. სიგელი გამოცემულია რამდენჯერმე⁷⁴.

„ბედიელსა მელქისედეკს შეუნდვენ ღმერთმან“ ვკითხულობთ ჯვრის მონასტრის ტიშენდორფისეული ნუსხის 82-ე აღაპში. აღაპს კომენტარები არ ახლავს, მაგრამ ელ. მეტრეველი მის დათარიღებას სხვა აღაპების საშუალებით იძლევა: „ამომენ მაცყვერელის ჯვარის მამის დალოცვას მოსდევს ერთი ხელით დაწერილი რამდენიმე აღაპი ესენია: ალექსანდრე მეფის, ჯანიბეგ ზედგინიძის, ავთანდილ ზედგინიძის, მისი მეუღლის გულშარის, მამისა და თაყა ზედგინიძეთა. იმავე ხელითა დაწერილი ალექსანდრე დიდის მეუღლის თამარის მოსახსენებელი, ალექსანდრეს ბების რუსა ამირეჯიბისა და ბედიელი მელქისედეგის მოსახსენებლები“.⁷⁵ როგორც ალექსანდრე დიდი ასევე ზედგინიძენი XV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწენი არიან. ამავე დროს უნდა იყოს დაწერილი მელქისედეგ ბედიელის მოსახსენებელიც. ე. ი. მელქისედეგი XV საუკუნის I ნახევრის მოღვაწეა.

⁶⁸ ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ... გვ. 80.
⁶⁹ იქვე გვ. 132.
⁷⁰ იქვე გვ. 132.
⁷¹ იქვე გვ. 132.
⁷² ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ... გვ. 100.
⁷³ იქვე გვ. 168.
⁷⁴ იქვე.
⁷⁵ იქვე. თაყაიშვილი, ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, ვახუთი „ივერია“, 1891, № 213, ქრონიკები... ტ. II, გვ. 232-234.



ჩვენთვის ცნობილი მომდევნო ბედიელი არის ცაიშელ-ბედიელი იოვაკიმე. ერუსალიმის ჯვრის მონასტრის № 101 ალაპი განკუთვნილია “ჩაისელ-ბედიელ” და აფხაზეთის კათალიკოსის იოვაკიმისათვის.⁷⁵ XV საუკუნის 70-იან წლებში (1470-1474 წწ) იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ისა და შამადავლე დადიან-გურიელის ინიციატივით იოვაკიმე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) კათალიკოსად აკურთხა ერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა მიქაელმა (ჩვეულებრივ, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსებს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქები აკურთხებდნენ), რომელმაც იოვაკიმის კათალიკოსად კურთხევასთან დაკავშირებით მიიღო კანონიკური დოკუმენტი, „მცნება სასჯულო“.⁷⁶ მასში აღწერილია ზემოხსენებული ისტორიული მოვლენები: „... და მოიკითხეს, ძუელთ ვიდრე ახლადმდე, ღმრთივეკრკუნოსანმან ბაგრატ და დიდმან ერისთავმან დადიან-გურიელმან შამადავლა, მისთა თავადთა თანადგომითა და დიდთა ღმრთისაგან სათნოდ გამორჩეულისა, პატივ სარკითანისა⁷⁷ ღმერთ-შემოსილისა [ცაიშელ]-ბედიელისა იოვაკიმისა“.⁷⁸ ე.ი. იოვაკიმე აფხაზეთა კათალიკოსად გახდომამდე ყოფილა ცაიშელ-ბედიელი და მის შემდეგაც შეუწარმუნებია ეს პატივი. იოვაკიმე ცაიშელ-ბედიელის პატივით გვხვდება აგრეთვე შამადავლა დადიანისა და მისი თანამეცხედრის ანას მიერ შემკობილი ხატის წარწერაში.⁷⁹

ზემოჩამოთვლილ წყაროებზე ქრონოლოგიურად ადრინდელი უნდა იყოს შამადავლა-დადიანის ხატი, სადაც იოვაკიმე მხოლოდ ცაიშელ-ბედიელად იხსენიება. დანარჩენი ორი დოკუმენტიდან ერთი მოგვითხრობს იოვაკიმის კათალიკოსად კურთხევას, ხოლო მეორე უკვე გარდაცვლილი კათალიკოსის მოსახსენიებელია. ე.ი. შამადავლა დადიანის ზეობაშიც (1470-1474) იოვაკიმე ჯერ ცაიშელ-ბედიელი ყოფილა და შემდეგ გამხდარა კათალიკოსი. ამდენად მისი აფხაზეთის კათალიკოსად კურთხევა შამადავლას გადადიანებიდან ცოტა ხნის შემდეგ უნდა ვივარაუდოთ. ამ ვარაუდით, იოვაკიმის ცაიშელ-ბედიელობა XV საუკუნის 60-70-იანი წლების დასაწყისით, ^{თავბრუნება}ზრა უგვიანეს 1471 წლისა უნდა განვსაზღვროთ.

ბედიის სამონასტრო კომპლექსში შემავალი საეპისკოპოსო პალატის აღმოსავლეთის შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა, რომელშიც ბედიელი მიტროპოლიტი ანტონი იხსენიება. აღნიშნული წარწერის აღწერილობა და მასში მოხსენიებული ისტორიული პირის მოღვაწეობის დათარიღება მოცემულია ბედიის წარწერების მომდევნო ქვეთავში. ანტონის მოღვაწეობა ბედიის კათედრალურ ტაძარში პირობითად XVI საუკუნის I ნახევრით, კერძოდ, 20-50-იანი წლებით განვსაზღვრეთ.

ზუგდიდის წმ. გიორგის ხატის წარწერაში ცაიშელ-ბედიელად იხსენიება კირილე ჟუანის-ძე „წმიდაო გიორგი ილორისაო, შეიწყალე სული ცაიშელ-ბედიელ მიტრაპოლიტი კირილე ჟუანისძისა,

⁷⁵ ვლ. მეტრეველი, მასალები, ერუსალიმისა გვ. 25.
⁷⁶ იქვე გვ. 88.
⁷⁷ აქ ალბათ უნდა იკითხებოდეს „პატივ საკვირველისა“.
⁷⁸ ქართული სამართლის ძეგლები III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაუთმო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 221, საბუთი 39, ი.ხ. აგრეთვე: ს. კაკაბაძე, მცნება სასჯულო, თბილისი, 1913, გვ. 4.
⁷⁹ Rapports sur un voyage archeologique გვ. 95.



რომელმან ინება შექმობა ხატისა ამის, ამინ“⁸⁰ ხატის ზურგზე მოთავსებული წარწერა ვკამცნობს: „ქ-ლმრთისა საყდართა წინაშე მღვობარა ხარ განათლებული მოწამელ გიორგი, ვითარცა ვაქუნს კანნიერება დიდი წინაშე ღმრთისა, მეოხ მეყავ მე მარადის, ყოვლად სანატრელო, რათა მივსნა და მეოხ მექმენ დღესა მას განკითხვისასა შემამკობელი ხატისა შენისა მე, ბედიელ მიტრაპოლიტი, კირილე ევანისძესა, ამინ“, „ქ. აღიდენ ღმერთმან დადიანი გიორგი და თანამეცხედრე მათი დედოფალი თამარ და მე მათი აღზარდენ ღმერთმან, ამინ“⁸¹ აქ მოხსენიებული გიორგი დადიანი უნდა იყოს გიორგი III (1572-1582); მაშასადამე კირილე ევანისძის ბედიელ-მიტრაპოლიტობა XVI საუკუნის 70-80-იან წლებზე უნდა მოდიოდეს.

1639 წლის მაისიდან 1640 წლის აგვისტომდე საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში იმყოფებოდა რუსი ელჩი, ეპისკოპოსი ფედოტე ელჩინი, მის ანგარიშში, „Посольство в дадианскую землю“ ნახსენებია ბედიელი ეპისკოპოსი ევტიხი.⁸² ევტიხის ბედიელობა პირობითად, 1639-1640 წლის ახლო ხანებით თარიღდება.

ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსლვაში“, ჯვრის მონასტრის ფრესკული წარწერების განხილვისას, ბედიელად იხსენიებს ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს ნიკიფორე ირბაზს (ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილს): „ქ. მუნ ხატია ტფილელი ელისე, მანგლელი თეოდორე, ბედიელი და ჯვარის მამა ნიკიფორე ...“⁸³ ამავე წყაროს მიხედვით, ნიკიფორე ლევან II დადიანის ეპოქაში, მისივე თხოვნით, წასულა იერუსალიმში და გამხდარა ჯვარის მამა. „ამის შემდგომად - წერს ტიმოთე, - კულად დაძველებულა და განუახლებია და აღუშენებია საკურთხეველის ზეით ... კონქი დადიანს ლეონს და მეუღლესა მისსა ნესტანდარეჯან დედოფალს, ჭილაძის ქალს, ორნივე შიგან ხატიან. ამის გამვე ჩოლოყაშვილი - ომანიშვილი მეტეხის წინამძღვარი და ჯვარის მამა ნიკოლოზ ყოფილა. დადიანს ამის კელით გაუკეთებია“⁸⁴.

ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი თავისი დროისათვის ფრიად განათლებული კაცი იყო. მან გარდა ქართულისა, კარგად იცოდა ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური ენები. იგი იყო თეიმურაზ I-ის ელჩი ესპანეთის მეფის ფილიპე IV-ის კარზე და რომში პაპ ურბან VIII-სთან (1626-1629),⁸⁵ ამავე ხანებში მოიარა მან დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა და საქართველოში დაბრუნდა. ნიკოლოზი აქტიური მონაწილე იყო ევროპელ მისიონერებთან და რუსეთთან ურთიერთობისა. მას ვხედავთ თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოლაპარაკებებზე, რომლებსაც აწარმოებდნენ თეიმურაზ I, ლევან II დადიანი და იმერეთის მეფე ალექსანდრე III.

⁸⁰ ქ. თფიშვილი, ძველი საქართველო, ტ. III, ტფ., 1913-1914, გვ. 195 E. Такайшвили, Церкви и церковные древности Мегрелии წიგნში: Известия Кавказского историко-археологического института в Тифлисе, том II, 1917-1925, Ленинград, 1927, გვ. 70.

⁸¹ იქვე
⁸² С. Белокуров, Материалы для русской истории. Посольство в дадианскую землю, М., 1888, გვ. 326, 355.

⁸³ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოცემად მოამზადა გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 82.

⁸⁴ იქვე გვ. 80.

⁸⁵ მ. სეზინძე, ნიკიფორე ირბაზის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) ევროპაში ელჩობა, ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით 1626-1629 წწ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990, გვ. 197-216.



ნიკიფორე, როგორც ჩანს, ლევან II დადიანთან თანამშრომლობის დროს უნდა წასულიყო ეფრემ საღიშიძის მონასტრის განახლებისათვის საჭირო სამუშაოების ჩასატარებლად. ტიმოთე ვაბაშვილის ცნობებით, ნიკიფორე მოძღვართ-მოძღვარი ყოფილა კახეთს, შემდეგ თბილისის მეტეხის ტაძრის წინამძღვარი, სამეგრელოში ხობელ-კოცხერელი, ხოლო იერუსალიმში ჯვრის მონასტრისა და გოლგოთის სამკვიდროს არქიმანდრიტი. იგი მხოლოდ ერთგან ფრესკების ჩამოთვლისას ახსენებს ნიკიფორეს ბედიელობას. რამდენად სარწმუნო უნდა იყოს ეს ცნობა?

ნეტარხსენებული, საქართველოს პატრიარქი, წმიდა მოწამე ამბროსი ხელაია თავის ნაშრომში ბედიელი ეპისკოპოსების შესახებ, ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ბედიელობისას მიუთითებს ს. ბელოკუროვის ზემოხსენებულ წიგნს. აღნიშნულ წყაროში მითითებულია, რომ ნიკიფორე არის ხობელი წინამძღვარი, თანაც ჩანს, რომ მას უკვე მოვლილი აქვს იერუსალიმი და რუსეთი. ვფიქრობთ, ფედოტე ელჩინისა და პავლე ზახარაიევის ამ ცნობაში უნდა იგულისხმებოდეს ნიკიფორეს ახალგაზრდული წლები გატარებული იერუსალიმში და 1626-29 წლების ელჩობა ევროპაში. რაც შეეხება ნიკიფორეს ბედიელობას, ჩვენი აზრით, თუ დავუშვებთ ამ ფაქტს, მაშინ იგი უნდა ევიარაუდოთ ეპტიხის მომდევნო ბედიელად, ე.ი. არა უადრეს ელჩინისა და ზახარაიევის სამეგრელოში მოგზაურობისა, ლევან II დადიანის მიერ იერუსალიმში ჯვრის მონასტრის შესაკეთებლად გაგზავნამდე. ჩანს, სამეგრელოდან გამგზავრებისას ნიკიფორე ბედიელი მთავარეპისკოპოსის ტიტულს ფლობდა, ამიტომაც მოიხსენიება ამ პატივით ჯვრის მონასტრის ფრესკულ წარწერებში.⁸⁶ კონნელი კეკელიძის აზრით, ნიკიფორე ირბახი 1658 წლისათვის ცოცხალი აღარ უნდა იყოს.⁸⁷ ე.ი. ნიკიფორე ბედიის წინამძღვრად შეიძლება ყოფილიყო XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან 50-იანი წლების შუახანებამდე.

მაკარი ანტიოქიელი საქართველოში მოგზაურობის ჩანაწერებში წერს: რომ მას უნახავს ბედიელი ეპისკოპოსი ანდრია.⁸⁸ მაკარიმ როგორც ცნობილია, საქართველოში 1664-1665 წლებში იმოგზაურა. მისი ბედიელობაც ამ პერიოდით უნდა დავათარილოთ. გ. კალანდია ანდრიას ბედიელობას პირობითად 1669 წლით ათარიღებს.⁸⁹

ქრონოლოგიურად მომდევნო ბედიელი უნდა იყოს ჭყონდიდელ-ცაგერელი გაბრიელ ჩიქვანი. იგი მოხსენიებულია შეწირულობის წიგნში, რომელიც მას დაუწერია მარტვილის მონასტრისადმი 1680 წელს.⁹⁰ ამდენად, მისი ბედიელობაც XVII ს. 80-იან წლებში უნდა ვივარაუდოთ.

ბედიის ღმრთისმშობლის ტაძართან დაკავშირებულია ქართული ჭედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში ბედიის ოქროს ბარძიმი; სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ბარძიმის ორი წარწერა: 1) ბაგრატ აფხაზთა მეფისა და გურანდუხტ დედოფლის და 2) გერმანე ჩხეტიძის წარწერა ბარძიმის სადგარზე. ბარძიმის სადგარი დღეს დაკარგულია, მაგრამ შემორჩენილია სადგარზე მოთავსებული წარწერის ტექსტი: „ყოვლად წმიდაო დედოფალო ვლაქერისა ღმრთისმშობელო, შემეწყალე მე, ბედიელ მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტიძე, რომელი ღირს ვიქმენ კადრებად შემკობად ფეხისა წმიდისა ამის


⁸⁶ ქს. III, ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, გვ. 9.

⁸⁷ ქს. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი, წიგნ: ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თბ., 1935, გვ. 141.

⁸⁸ П. Жузе, Грузия в XVII столетии по изображению Патриарха Макария, Казань, 1905, გვ. 32.

⁸⁹ გ. კალანდია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

⁹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 580-581.



ბარძიმისა“. წარწერის ტექსტი პირველად გამოაქვეყნა დ. ბაქრაძემ,⁹¹ ხოლო მოგვიანებით დ. ბაქრაძეზე დაყრდნობით გამოსცეს თ. ჟორდანიამ.⁹² და გ. ჩუბინაშვილმა⁹³

ბედიის ბარძიმის ხელშეწოდებულ შემამკობელი გერმანე ჩხეტიძემ, XVII საუკუნის მიწურულის საეკლესიო მოღვაწეა. გარდა ბედიის ბარძიმის სადგარის წარწერისა იგი მოხსენიებულია ნუსხა-ხუცურით დაწერილი XVII-XVIII სს. გულანში.⁹⁴ გულანის დამკვეთი არის თავად გერმანე ჩხეტიძე. ჩანს, ბედიის ტაძარში მოღვაწეობისას გერმანეს ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაუწყიათ ძველი ხელნაწერების განახლება-გადაწერა; გულანის მე-მ ანდერძი გვაუწყებს“ „ბედიელ მიტროპოლიტი მთავარეპისკოპოსი ჩხეტიძის ძე გერმანე ადიღე ღმერთმან... რომლის ბრძანებითა წამოველ თემით შავშეთით, დაბით დიობით, ძირით მითთ კირჩხალთათით და ნებითა შეწვევითა ღმრთისმშობლისასა და შეწვევითა და წარმართებითა მისითა ვიწყე წერად წმიდათა ამთ და სულთა განმანათლებელთა თუშთა იანვრით ერთითგან ვიდრე აქამომდე, ყოვლითურთ სრულისა და უკლებსა, ვითა უნდოდა, ბევრისა წიგნისაგან ვიძიე და გაკასრულე. რადცა უნდოდა და რისაცა დედა ვიშოე, არა დამიკლია რამ, ღმრთისა შეწვევით. ამისა მწერალსა ფრიად ცოდვილსა კერძო ღიაკონსა გაბრიელს ლომსანიძესსა და მისთა დედ-მამათა და ნათესავთა შეუნდგნეს ღმერთმან... მისსა ამხანაგსა მწერალსა სკემონ გიორგის ძესა და მისთა დედ-მამათა შეუნდგნეს ღმერთმან. ამინ“⁹⁵

ეს საკმაოდ მორბილი ანდერძი შეიცავს სანდო ინფორმაციას იმ განმანახლებლური საქმიანობის შესახებ, რომელიც გერმანე ჩხეტიძემ ბედიის მონასტერში გააჩაღა. მე-13 ანდერძში ვკითხულობთ: „ნებითა, შეწვევითა ღმრთისათა და ბრძანებითა ბედიელ მიტროპოლიტისა გერმანე ჩხეტიძისათა სრულ იქმნეს წმიდანი ესე მარხვანი, ყოვლითურთ სრული და უკლები, ვითარცა წეს არს“.⁹⁶ როგორც, ანდერძებიდან ჩანს, გულანის გადაწერა და საგულდაგულო შესწორება ბედიელი მიტროპოლიტის, მთავარეპისკოპოს გერმანე ჩხეტიძის დავალებით შეუსრულებია გაბრიელ ლომსანიძეს, რომელსაც თავისი ცოდნა და მონღომება არ დაუკლია, ბევრი წიგნი უძებნია, შეუკრებია და შეუდარებია ისე „ვითა უნდოდა“ და „რადცა უნდოდა“ ხელნაწერის დამკვეთს - გერმანე ჩხეტიძეს. როგორც ვხედავთ, ტაძარში ხელნაწერთა საფუძვლიანი შედარება-შესწორება ხდებოდა ძველ დედნებთან და ამ საქმისათვის ქართული მწიგნობრობის საქმეში ჩახედულ გერმანეს სპეციალურად მოუწვევია თავის ხელობაში სახელგანთქმული გაბრიელ ლომსანიძე, რომელსაც ამბროსე კარგარეთელი და სკემონ ევფრატელი, იგივე გიორგის-ძე ეხმარებოდნენ. იმავე გულანის ერთ-ერთ თავზე „თუენი“ გაკეთებულია მინაწერი სინგურით: „მწიგნობითამცა არს ამა ყოველთა წიგნთაგან ბედიელ მიტროპოლიტი გერმანე, ამინ“. ასეთი მინაწერი მეორდება რამდენჯერმე. ჩვენი აზრით, მინაწერები გულანზე გაკეთებულია მომდევნო საუკუნეში-გერმანე ჩხეტიძის სიკვდილის შემდეგ მისი სულის მოსახსენიებლად. ამ დასკვნის საშუალებას იძლევა ისიც, რომ მინაწერები ხშირია გულანზე და იგი მომდევნო საუკუნით თარიღდება


⁹¹ Д.Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 23.

⁹² თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ.137-138; გერმანე ჩხეტიძის წარწერა რუსულად გამოსცა ზ. ანჩაბაძე წიგნში, Из истории средневековой Абхазии, გვ.197.

⁹³ გ. ჩუბინაშვილი, ბედიის ოქროს ბარძიმი, მოამბე, 1940, Xb.

⁹⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმისა (A) კოლექციანტ ტ. ხეღ. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1976, გვ. 319.

⁹⁵ იქვე.



(ერთ-ერთ ასეთ მინაწერში იხსენიება XVIII ს. ბედიელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ მხეიძე, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი). რაც შეეხება გერმანეს ანდერძს, იგი დაწერილი უნდა იყოს მისი ცოცხლეში, რაც კარგად ჩანს ანდერძის ტექსტიდანაც. ბედიის ღმრთისმშობლის ტაძარში მოღვაწე გერმანე ჩხეტიძე, როგორც ვხედავთ, ღირსეულად აგრძელებს ანტონ ჟუანისძის მიერ წამოწყებულ კულტურულ საქმიანობას: მან შეამკობინა ბედიის ბარძიმის ფეხი, შეაკრებინა და გადააწერინა გულანი, სპეციალურად ამ საქმისთვის შეაშეთიდან ჩამოიყვანა იმ დროისათვის ცნობილი და ამ საქმეში დახელოვნებული გაბრიელ ლომსანიძე და ა.შ. ეს არის გერმანე ჩხეტიძის ბედიის საკათედრო ტაძარში საქმიანობის მცირე, მაგრამ არასრული ნუსხა - ჩანს გერმანეს მამამთავრობის დროს მონასტერში წიგნთსაცავი იყო და იგი ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. ზემოთხსენებული ანდერძის საფუძველზე გერმანეს მოღვაწეობა ბედიის ტაძარში XVII ს. მიწურულით უნდა დავათარილოთ, თუმცა, დ. ბაქრაძეს და ლ. მენაბდეს იგი XVI საუკუნის⁹⁷, ხოლო გ. კალანდიას XVII-XVIII სს. მიჯნის მოღვაწედ მიაჩნიათ. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებებს. გ. ჩხეტიძე, რომ XVI საუკუნის მოღვაწე არ არის. ამაზე მიუთითებს გულანის გადაწერის დრო და გულანზე მოხსენიებული სხვა ისტორიული პირები. გ. კალანდია გერმანეს ბედიელობას XVII-XVIII სს. მიჯნით ათარილებს, რადგან გულანი პირობითად ასეა დათარილებული. იქვე ამ მოსაზრების განსამტკიცებლად მოაქვს დებულება, თითქოს „სამეგრელოში მიტროპოლიტის წოდებით მაღალ სასულიერო პირთა მოხსენიება, ძირითადად, XVII-XVIII საუკუნეებიდან გვხვდება“. აღნიშნული მოსაზრება მცდარია, რადგან გერმანეს წინამორბედი ბედიელებიც ატარებდნენ მიტროპოლიტის ტიტულს. ეს ტიტული, როგორც ანტონ ჟუანისძის წარწერის განხილვისას გაირკვა, XVI ს. 40-იან წლებში მიენიჭა ბედიელებს, და პირველი ბედიელი მიტროპოლიტი, სწორედ, ანტონი იყო, რადგან ამ ტიტულით მოიხსენიება იგი ბედიის საეპისკოპოსო პალატისა და ერთ-ერთი ხატის წარწერაში. (იხ. ანტონ ბედიელის წარწერა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანე ჩხეტიძის მიერ გადაწერილი გულანის ერთ-ერთ მოგვიანო მინაწერში იხსენიება ბედიელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ მხეიძე: „ბედიისა და ვლაქერნისა ღმრთისმშობელს, მარადის ქალწულს მარიამს, გვედრები მე, ცვა-ფარვათა შენთა მინდობილი მიტროპოლიტი მხეიძე ნიკოლოზ“.⁹⁸ რადგან ნიკოლოზ ბედიელის მინაწერი გაკეთებულია გერმანე ჩხეტიძის დავალებით გადაწერილი გულანის ანდერძზე ამიტომ იგი XVIII ს. I ნახევრის ბედიელად უნდა ჩაითვალოს.

გ. კალანდია ნიკოლოზ მხეიძის ბედიელობას შეცდომით XVII საუკუნით ათარილებს და აცხადებს, ეს ეპისკოპოსი ალბათ, XVII საუკუნეში მოღვაწეობდა, რადგან გულანის ის ნაწილი, სადაც ნიკოლოზი იხსენიება, სწორედ ამ დროს არის შედგენილი.⁹⁹


ჩვენ ვიცით, რომ გულანის გადაწერა მოხდა გერმანე ჩხეტიძის მოღვაწეობისას, მაშასადამე მინაწერების გაკეთება უნდა ვივარაუდოთ გულანის გადაწერის შემდეგ. თანაც ელ. მეტრეველი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიკოლოზის ბედიელობას XVIII საკუნის პირველი ნახევრით ათარილებს.

⁹⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა A კოლექცია ტ. 1 გვ. 319.

⁹⁸ ლ. მენაბდე, ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992, გვ. 109.

⁹⁹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A) კოლექცია, ტ. 1, გვ. 319-320.

⁹⁹ გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი გვ. 36.



ქართული სამართლის ძეგლების III ტომში, სოლომონ I-ის შეწირულების წიგნში ხონის ტაძრის საღმრთო იხსენიება ბედიელ-მიტროპოლიტი მაქსიმე. შეწირულობის წიგნი თარიღდება 1761 წლით.¹⁰⁰ იგივე მაქსიმე ბედიელი გვხვდება ქუთაისის ღმრთისმშობლის სახელობის მონასტრის 1759 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში: „მე მფევეთ მფეჲმან სოლომონ და დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ ერნი, მორჩილნი ქრისტესი და მსმენელნი სიტყვისა ჩემისა... ბედიელი მიტროპოლიტი იაშვილი მაქსიმე ... და ჟამთა ვითარებისაგან გარცხვენელს ეკლესიების განახლება ვინებეთ“.¹⁰¹ ჩვენი აზრით, მაქსიმე იაშვილი XVIII ს-ის 50-60-იანი წლებში იყო ბედიელი მიტროპოლიტი. შემოთქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ ბედიელი მღვდელმთავრები თავდაპირველად მთავარეპისკოპოსებად, ხოლო XVI ს-ის 40-იანი წლების შემდეგ მიტროპოლიტის პატივით იხსენიებიან. ბედიელ მთავარეპისკოპოსთა და მიტროპოლიტთა არასრული ქრონოლოგიური რივი ჯერჯერობით შემდეგ სახეს მიიღებს:

1	იოანე ბედიელი მთავარეპისკოპოსი	1065 წლის მახლობელი ხანები
2	სუმეონ ბედიელ-ალავერდელი	1125 წლამდე
3	ნიკოლოზ ბედიელი გონგლიბაძისძე	XIII ს. II ნახევარი
4	სოფრონ ბედიელი გონგლიბაძისძე	XIII-XIV სს. მიჯნა
5	მიქაელ ბედიელი გონგლიბაძისძე	XIV ს. I მეოთხედი
6	ლაზარე მთავარეპისკოპოსი	XIV ს. ¹⁰ საუკუნეებში
7	გიორგი „-----“	XIV ს. ¹⁰ საუკუნეებში
8	მარკოზი „-----“	XIV-XV სს.
9	გრიგოლ ბედიელი	XV ს. 20-30-იანი წლები
10	მელქიზედეგ ბედიელი	XV ს. I ნახევარი
11	იოვაკიმე ცაიშელ-ბედიელი	XV ს. 60-იანი წლები, არაუგვიანეს 1471 წლისა
12	ანტონ ჟუანის ძე მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი	XVI ს. 20-50 წწ.
13	კირილე ჟუანის ძე მიტროპოლიტი	XVI ს. 70-80 წწ.
14	ეკტიზი ბედიელი	1639-1640 წწ. ახლო ხანები
15	ნიკიფორე ირუბაქიძე ბედიელი	XVII ს. 40-იანი წ. II ნახ. და 50-წლებს I ნახევარი
16	ანდრია ბედიელი	1664-1665 წლის მახლობელი ხანები
17	გაბრიელ ჩიქვანი ჭყონდიდელ-ცაგერელ-ბედიელი	XVII ს. 70-80-იანი წლები
18	გერმანე ჩხეტიძე მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი	XVII საუკუნის მიწურული

¹⁰⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 580.

¹⁰¹ იქვე, გვ. 845.



- 19 ნიკოლოზ მხეიძე მიტროპოლიტი
- 20. მაქსიმე იაშვილი მიტროპოლიტი

XVIII ს. I ნახევარი

XVIII ს. 50-60-იანი წლები

4. დეოფალთ დეოფალ მარიხისა და გიორგი დადიანის წარწერა

ბედიის ტაძრის ჩრდილოეთ კედლის ფრესკაზე, ქტიტორულ გამოსახულებათა შორის შემორჩენილია ასომთავრული წარწერა „დეოფალ“ მარიხისა და გიორგი დადიანის მოხსენებით. წარწერის პირველი პუბლიკაცია ფრანგული თარგმანით ეკუთვნის მარი ბროსეს.¹⁰² რუსულად გამოსცა ა.მ. პავლინოვმა,¹⁰³ ხოლო მოგვიანებით, ხელოვნებათმცოდნე რ. შპერლინგმა, ბედიის ტაძრის მხატვრობის დათარიღებისათვის შეისწავლა „დეოფალ“ მარიხის წარწერის პალეოგრაფიული თავისებურებანი.¹⁰⁴ ჩვენ საშუალება არ გვქონდა წარწერა ადგილზე შეგვესწავლა, მაგრამ ვისარგებლეთ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული შ. აბრამიშვილის მიერ 1939 წლის მაისში გადმოღებული ასლით. ფრესკაზე გამოსახულია წარჩინებული ქალბატონი და ყმაწვილი. განსაკუთრებით კარგად ჩანს „დეოფლის“ ჩაცმულობა. მას ღამაში, შინაგანად მშვიდი სახე აქვს. შემოსილია მდიდრული სამოსით, თავი მორთული აქვს ძვირფასი თვლებით შემკული ვეირგვინით, რომლის შიგნით მხრებამდე ეშვება თეთრი მანდილი. ყმაწვილის სახე, როგორც ჩანს, ფრესკაზეც გადაშლილი იყო; ორივე ქტიტორის ფიგურა წარმოდგენილია მლოცველის პოზაში, და ხელები ვედრების ნიშნად ზემოთ აქვთ ააწრობილი, თავზე შარავანდედი ადგათ.

წარწერა მოათავსებულია გამოსახულებათა ნიშნებს შორის, შესრულებულია მოთეთრო ფერის ხაღებათ. ქარაგმის ნიშანია გრძელი კლაკნილი ხაზი, განკვეთილობის ნიშანი - ორწერტილი. ზოგიერთი გრაფემა ხასიათდება კიდურწერტილოვნებით. ტექსტში არ იკითხება მესამე სტრიქონის დასაწყისი და ქალის ნიშნის მარჯვნივ მდებარე სიტყვის ორი გრაფემა, თუმცა ამ გრაფემათა ნაკლებობა წარწერის სწორ წაკითხვას ხელს არ უშლის.

Ծ Գ Բ Ը Ը Թ

Ծ Կ Բ Ը Ը Ծ Կ :

ԵԼ

Ի Բ Ը Ը Ը Կ : Կ Ը : Կ Ը : Ծ Ը : Կ Ը Ծ Ը Ը Ը Ը

Կ Ը Ը : Ը Ը Ը Ը Ը Ը Ը :

Ծ Ը Ծ Կ Ը Ը Ը : Ը Ը : -

¹⁰² Rappports^ VIII. გვ. 92.
¹⁰³ А. М. Павлинов, МАК, 1893, гв. 26.
¹⁰⁴ რ. შპერლინგი, ბედიის ტაძრის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის სმამ, ტ. XVIII, N4, 1957, გვ. 504-511.



ბიძე

ბიძე: [პ] კ

[პ] კ: 16: 17: 28 32322

ბიძე: 0406171

ბიძე: 17

„დეოფალთ | დეოფალი [მა]რიხ¹⁰⁵[ქე]ათი¹⁰⁶ ე(რისთავ)თ

ე(რისთავ)ი და მანდატურ[თუხუცესი | დადი(ა)ნი გ(იორგ)ი“

წარწერის პირველი გამომცემლის მარი ბროსეს აზრით, გიორგი დადიანი უნდა იყოს ლევან I დადიანის (1533-1572) ვაჟი გიორგი III (1572-1582).¹⁰⁷

ა. პავლინოვი იმეორებს მ. ბროსეს შეხედულებას, ხოლო რ. შმერლინგი¹⁰⁸ და ლ. შერვაშიძე¹⁰⁹ ათარიღებენ რა ბედიის მხატვრობის ამ ფენას XVI ს. II ნახევრით, ადასტურებენ მ. ბროსეს შეხედულებას. შედარებით განსხვავებული შეხედულება გამოთქვა შ. ამირანაშვილმა. მისი აზრით, გიორგი დადიანი და მარიხი, სადაც XIII საუკუნეში ცხოვრობდნენ.¹¹⁰ თ. ჟორდანიას თანახმად, ბედიის წარწერაში მოხსენიებული „დეოფალთ დეოფალი“ მარიხი უნდა იყოს გიორგი II-ის (1345-1384) დედა და ცოლი მამია I-ისა (1325-1345).¹¹¹

ჩვენი აზრით, აღნიშნული შეხედულებები უნდა გადაისინჯოს. ამის საფუძველს გვაძლევს ბედიის, ხობისა და წალენჯიხის ტაძრების წარწერების ისტორიულ პირობად იდენტიფიკაცია.

ხობის ტაძრის ექვტერის შესასვლელის ზემოთ, საგანგებოდ გათლილ დიდ ქვაზე ამოკვეთილია ცხრასტრიქონიანი ლაპიდარული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ტაძრის სამხრეთის გალერიისა და ექვტერის აგების ამბავს. წარწერა ასომთავრულია და მისი პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის დიუბუა დე მონპერეს.¹¹² ქართული ტექსტი დიუბუას გადმონაწერის მიხედვით გამოსცა მარი ბროსემ 1839 წელს.¹¹³ მოგვიანებით (1914 წ.) ეს წარწერა ადგილზე ინახულა და გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა.¹¹⁴ მას შემდეგ ეს წარწერა არაერთხელ გამოქვეყნდა. ძველის ბოლო პუბლიკაცია ეკუთვნის ხელოვნებათმცოდნე ა. ლორთქიფანიძეს წიგნში „Роспись в Цаленджиха“.¹¹⁵ წარწერის ტექსტი:

„† სახელითა ღმრთისათა. ერისთავთ ერისთავმან და მანდატურთ | უხუცესმან დადიანმან ვამეყმამისა მათისა, [პატ]რინისა, ერისთავთ-ერისთავისა დადიანისა გიორგისა შემდგომად მიუქდა ჯიქეთს | ურწმუნობისა და ორგულობისათჳს, რათამცა მოემსახურა და სძლო [და] შეურაცხყო და უკმარ იქმნა

¹⁰⁵ დედოფლის სახელი „მარიხ ადგენილია მ. ბროსეს პუბლიკაციის მიხედვით.
¹⁰⁶ „ქე მათი“ ბროსეს დროს თავისუფლად იკითხებოდა.
¹⁰⁷ Rapports, VIII, იქვე.
¹⁰⁸ რ. შმერლინგი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 504-511.
¹⁰⁹ А. А. Шервашидзе, Средневековая монументальная живопись в Абхазии, გვ. 42-65.
¹¹⁰ შ. ამირანაშვილის მოსაზრება გამოქვეყნებულია ნ. ა. ტოლმაჩევსკაის წიგნში, Фрески Грузии, Тб. 1930, გვ. 8.
¹¹¹ ქრონიკები და სხვა. წ. II გვ. 199.
¹¹² Dobois, Voyage autour du Caucase... T.I, Paris, 1839 გვ. 76-77.
¹¹³ Explications de diverses inscriptions ... ტაბ. 78, სურ. 27.
¹¹⁴ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, გვ. 33.



მათი სიმაგრენი, გაგარი და უღაღნი | ყოველნივე ძალითა მოირჭოცნა, მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან. მიუ | ვალი შობარბინა, რაოდენნი მოეწყო, მათი მძევალნი წამოასხნა | და სხვანი აოტნა, და მაშინ მოილო სვეტნი და ფიქალნი ესენი მარმ[ა]რილოსანი და მამა-ღელათა ლარნაკი და მისი და მარეხ გააერთი საუკუნომცა არს ჴსენება მათი“.

ეს ტექსტი მრავალ მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა წარწერაში დაცული ცნობა ვამეყის ჯიქეთში ლაშქრობის შესახებ, რაც არცერთ სხვა წყაროს არ შემოუნახავს. ჩვენი აზრით, ეს ლაშქრობა უნდა შემდგარიყო ვამეყის მამის, გიორგი II-ის (1345-1384) გარდაცვალებიდან ერთი ან ორი წლის შემდეგ (1385-ან 1386 წწ), რადგან წარწერიდან ჩანს, რომ გიორგი ახალი გარდაცვლილია (გიორგის შემდგომად მიუკდა ჯიქეთს“)- აქვე ვგებულობთ, რომ ჯიქეთიდან ვამეყმა წამოიყო მარმარილოს „სვეტნი და ფიქალნი“, რომლითაც ექვტერის კედლები აუშენებია. ეს ფილები და სვეტები დღემდე კარგად არის შემონახული ხობის მონასტერში. აღნიშნული ექვტერი („ლარნაკი“) თითქოსდა ვამეყის მშობლებისა და დის-მარეხის უნდა იყოს. ასე ესმის ტექსტის ეს ადგილი წარწერის გამომცემლებს (მ.ბროსე, ე.თაყაიშვილი, ვ. ბერიძე).¹¹⁵


ე. თაყაიშვილის სიტყვებით, „ვამეყს გაუკეთებია ევგეტერი თავის დედ-მამის და დის მარეხის სასაფლაოზედ. ასე გვესმის ჩვენ ფრაზა: „მამა-ღელათა ლარნაკი და მისი და (=და) მარეხ გაერთა“.¹¹⁷

ვ. ბერიძე მიუთითებს, რომ წარწერის ეს ადგილი „ცოტა არ იყოს ბუნდოვანია“, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „დახურული ევგეტერი ვამეყს თავისი მშობლებისა და დის დასაკრძალავად მიუშენებია ტაძრისათვის“. ¹¹⁸ სინამდვილეში, წარწერაში გარკვევით იკითხება: „მაშინ მოილო სვეტნი და ფიქალნი ესენი მარმარილოსანი, და მამა-ღელათა ლარნაკი, და მისი და მარეხ (ის) გააერთ(ა), საუკუნომც(ა) არს ჴსენება მათი“. ჩვენი აზრით, ეს ადგილი შემდგენიარად უნდა გავიგოთ: მაშინ მოიტანა მარმარილოს სვეტნი და ფიქალნი და მამის, დედის, მისი (ვამეყის) და მისი მეუღლის-მარეხის ერთიანი საოჯახო ნაძვალე შექმნა. მარეხი, რომ ვამეყ დადიანის მეუღლეა დასტურდება რამდენიმე საისტორიო წყაროთი: პირველი, თვით ხობში ეკვდერის ჩრდილოეთ კედელზე მოთავსებულია ვამეყისა და მისი მეუღლის ფრესკები. აქვე შემორჩენილია წარწერის ნაშთები:

- 1.Ϝ..... „[ღეოფალთ]თ
- 2.Ϥ..... [ღეო]ფ[ალი]
- 3. ϪϪ..... მარ[იხ]
- 4. ϯ ϫ ϫ..... შე(უ)ნდენეს ღ(მერ)თან.“

ი. ლორთქიფანიძემ ადგილზე შეისწავლა ხობის ზემოთ აღნიშნული ფრესკა და უეჭველად მიიჩნია, რომ ხობის ფრესკაზე ვამეყ დადიანი და მარიხი არიან გამოსახული.¹¹⁹ მთორე: მარიხი ვამეყ დადიანთან ერთად იხსენიება სინის მთის სულთა მატიანეში. კერძოდ, ერთ-ერთ ალაპში (196 ა) აღნიშნულია:

¹¹⁵ ი. ლორქიფანიძე, Роспись в Цаленджиха, тб., 1992, გვ. 22.
¹¹⁶ Explications - de diverses... ტაბ. 8; ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშენანი, წიგნი II, გვ. 33; ე.თაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 133-134; ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, №2, მაცნე, 1973, გვ. 79.
¹¹⁷ ე.თაყაიშვილი, ძველი საქართველო, III, გვ. 134.
¹¹⁸ ვ. ბერიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 80.
¹¹⁹ ი. ლორქიფანიძე, Роспись придела Вамека Дадияни в Хоби, Сб. "Средневековое искусство", Русь-Грузия, Москва, 1978, გვ. 131-144.



„სულსა ვამეყს დადიანს შეუნდუნეს ღმერთმან და მისსა მეუღლეს მარიხს შეუნდუნეს ღმერთმან“¹²⁰
 საქართველოს ისტორია სამ ვამეყ დადიანს იცნობს, აქედან ვამეყ II-ის (1474-1482) და ვამეყ III-ის (1658-1661) მეუღლეებს ცნობილია, რომ მარიხი არ ერქვა. ამდენად, სინას მთის სულთა მატეანეში მოხსენიებული ვამეყი და მარიხი უნდა იყოს ვამეყ I დადიანი (1384-1396) და მისი მეუღლე.¹²¹

მესამედ, მარიხი გამოსახულია წალენჯიხის ტაძრის ჩრდილო კედლის დასავლეთ მონაკვეთში. აქ ვამეყ დადიანთან ერთად წარმოდგენილი ყოფილა მარიხი და მათი მემკვიდრე გიორგი. ვ. თაყაიშვილის სიტყვებით: „ისტორიულ პირთა ფრესკები ემჩნევა ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ ნაწილზე, სადაც წარმოდგენილი ყოფილა სამი სურათი დიდებული ტანისამოსში, თავები ორი სურათისა ერთი მამაკაცისა და მეორე დედაკაცისა, კიდევ გვარიანად მოჩანან, მესამე სურათის მარტო ქვემო ნაწილია დარჩენილი და ეტყობა აქ მამაკაცის სურათი ყოფილა. ამ სურათების წარწერებიდან ჩვენ ის დავაკვირებით, რომ აქ ყოფილა დახატული მანდატურთ-(უხუცესი) ვამეყ დადიანი და მისი მეუღლე მარეხ და შვილი გიორგი“.¹²²

წალენჯიხის ტაძრის ფრესკები უკანასკნელ ხანს მონოგრაფიულად შეისწავლა ი. ლორთქიფანიძემ. ამ პერიოდში წალენჯიხის ტაძარზე შემორჩენილი ყოფილა ოდიშის მმართველის, მისი მეუღლისა და მემკვიდრის ძლიერ დაზიანებული ფრესკები. ი. ლორთქიფანიძეს გამოქვეყნებული აქვს მარიხის პორტრეტი და მისი აღწერილობა.¹²³

ზემოთქმულიდან გამომდინარე სადავო არ უნდა იყოს, რომ ხობის ტაძრის ექვტერიის საამშენებლო ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებულია ვამეყ I დადიანის მეუღლე მარიხი და არა მისი და როგორც დღემდე შეცდომით იყო მიჩნეული.

ხობის, ბედიისა და წალენჯიხის ფრესკების ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციაზე მიუთითებს „დოფალ“ მარიხის პორტრეტიც. ნიშანდობლივია, რომ „დოფალი“ სამივე ფრესკაზე (ხობი, ბედია, წალენჯიხა) ერთნაირი ჩაცმულობითა და თავსაბურავითაა გამოსახული. ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს სამივე ფრესკის მარიხის გასაოცარი მსგავსება ერთმანეთთან. ეს მსგავსება დამატებით არგუმენტი, რათა სამივე ტაძრის ფრესკების მარიხი ერთი და იმავე ისტორიულ პირად მივიჩნიოთ.

როგორც ჩანს, ვამეყ I-სა და მარიხს მამიას გარდა ჰყავდათ უფროსი ვაჟი მემკვიდრე გიორგი დადიანი; იგი წალენჯიხის ტაძარში გამოსახულია მშობლებთან ერთად, ხოლო ბედიაში მხოლოდ დედასთან ერთად. გიორგი ორივე ფრესკაზე მცირეწლოვანია, მაგრამ წალენჯიხის ფრესკისაგან განსხვავებით ბედიაში იხსენიება ერისთავთ ერისთავისა და მანდატურთუხუცესის სახელით.

მ. ბროსეს მოსაზრებით, ბედიის ფრესკაზე გამოსახული გიორგი დადიანი ლევან I-ის (1533-1572) ვაჟი - გიორგი III (1572-1582) უნდა იყოს. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს რამდენიმე გარემოება. ილ. ანთელავას შეფასებით, ლევან I დადიანი ოდიშის ერისთავთ ერისთავი და პირველი მთავარი იყო. მან მტკიცედ დაიმკვიდრა უმაღლესი ხელისუფლება და თავის სიცოცხლეში ჯერ კიდევ ატარებდა

¹²⁰ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ზღნაწურთა აღწერილობა, თბ., 1943, გვ. 243.
¹²¹ აღნიშნული მოსაზრება თავის დროზე გამოთქვა ვ. ბერიძემ: „ვამეყი და მისი მეუღლე მარეხი სინას მთის ერთი ზღნაწურის ალაპებშიაც გვხვდებიან“. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.
¹²² ვ. თაყაიშვილი, მს, ტ. III, გვ. 214.
¹²³ И. Лордкипаниძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.



ერისთავთ ერისთავისა და მანდატურთუხუცესის ტიტულებს, მაგრამ მისი მემკვიდრეები იმერეთის ტახტის საკარისკაცო ტიტულებზე ხელს იღებენ და „ხელმწიფე დადიანად“ ან „ხელმწიფეთა-ხელმწიფე დადიანად იწოდებიან.“¹²⁴ ამ გარემოებას თავის დროზე წურადლება მიაქციეს ს.კაკაბაძემ¹²⁵ და ო.სოსელიამ.¹²⁶

ს. კაკაბაძის მოსაზრებით, ლევან I -ის შემდეგ დადიანები აღარ ატარებდნენ იმერეთის სამეფო კარის ტიტულს, არც ერისთავთ ერისთავად იხსენიებიან.¹²⁷ გარდა ზემოაღნიშნულისა, ბროსეს მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს კიდევ ერთი გარემოება. ვიორგი დადიანი ბედიის ფრესკაზე გამოხატულია სიყმაწვილეში, დაახლოებით 13-14 წლის ასაკში. ამ დროს იგი ფლობს ერისთავთ ერისთავისა და მანდატურთუხუცესის სახელოს, ე.ი. მისი წინამორბედი ოდიშის მმართველი უკვე გარდაცვლილი უნდა იყოს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ ვიორგი III 1572 წელს დადიანად დაჯდა საკმაოდ მოწიფულ ასაკში. ამაზე მიუთითებს წერილობითი წყაროები. კერძოდ, ვახუშტის მიხედვით, „შემდგომად როსტომ გურიელის სიკუდილისა განუტევა ცოლი თვის ლევან დადიანის ძემან ვიორგიმ, ასული როსტომ გურიელისა და წაგუარა ბიძისა თვისა ბათულისა ცოლი სიკეკლუცისათჳს.“¹²⁸ როგორც ვხვდავთ, ეს მოვლენები ლევან I-ის სიცოცხლეში მომხდარა; როსტომ გურიელი 1564 წელს გარდაიცვალა, ე.ი. ვიორგი ლევანის ძე როსტომის ასულს 1564 წლის შემდეგ გაეყრებოდა. ფაქტია, რომ 1564 წლამდე მას თანამეცხედრე ჰყავს, რომლის გაშვებას და ბიძამისის ბათულისა ცოლის შერთვას ახერხებს. ბუნებრივია, ასეთ საოჯახო უთანხმოებებში 13-14 წლის ყმაწვილი ვერ გაეხვეოდა. 1564 წლისათვის იგი საკმაოდ მოწიფული ახალგაზრდა 18-20 წლისა, ხოლო მამის გარდაცვალებისას - 1572 წელს 25-28 წლისა მაინც იქნებოდა. აქედან გამომდინარე ჩვენი ვარაუდი, ლოგიკური უნდა იყოს - ბედიის ფრესკაზე გამოსახულ 13-14 წლის ყმაწვილს ვიორგი ლევანის ძედ ვერ მივიჩნევთ.

თ. ჟორდანიას მოსაზრებით, ბედიის წარწერაში დასახელებული ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი ვიორგი დადიანი - ვიორგი II (1345-1384), ვაშეყ I-ის მამა უნდა იყოს; ჩვენი დაკვირვებით, ვიორგი II არ ატარებდა მანდატურთუხუცესის სახელოს. იგი არცერთ წყაროში არ მოიხსენიება ამ სახელოთი, არც ზობის ზემოთ მოხმობილ ვაშეყ დადიანის წარწერაში და არც მის სიცოცხლეში შესრულებულ ჯუმათის მთავარანგელოზის ხატის წარწერაში.

ჯუმათის მთავარანგელოზის ხატის წარწერა გამოქვეყნებულია ორჯერ თ. ჟორდანიასა და დ. ბაქრაძის¹²⁹ მიერ. მოგვყავს დ. ბაქრაძის მიერ გადმოღებული წარწერის ასომთავრული ტრანსკრიპცია და ჩვენი წაკითხვის მხედრული ტრანსლიტერაცია.

† ✚ ♂ ♂ ♂ ♂... ✚ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂
 ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂
 ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂ ♂

¹²⁴ ილ. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 20.
¹²⁵ ს.კაკაბაძე, იმერეთის სახელმწიფო სტრუქტურის შესახებ მე-17 საუკუნეში, „საისტორიო მოამბე“, წ.1, ტფ. 1925, გვ. 203.
¹²⁶ ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხებისათვის, მიმოხილველი, ტ. II, თბ., 1951, გვ. 171-183
¹²⁷ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.
¹²⁸ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 815.
¹²⁹ დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, სანკტ-პეტერბურგი, 1878, თარგმნა არჩილ ტოტონაძემ, ბათუმი, 1987, გვ. 221.




ჰუკუნი ზეს სიციხის უბანი და
 რესპუბლიკის და რეგიონის
 ადგილობრივი ადმინისტრაციის
 დახმარებით და
 ახალი ტექნოლოგიების
 დახმარებით და
 უნივერსიტეტის და
 რეგიონის და

„ქ. რ(ომელი)ან ახარე ... (ღმრთისმშობელსა მ(ა)რ(ია)მ(ს) გ(ან)ხორციელ(ებ)ა(დ) წ(მ)ი(ლი)სა |
 ღ(მ)რთისა ზ(ე)ცისა, რ(ომ)ელთა მთ(ა)ვ(ა)რო გ(ა)ბრიელ მეოხ | და მფ(ა)რველ ექმენ ამა სოფელსა და |
 მერმესა მას საუკუნესა პ(ა)ტრო(ნ)თ(ა) და ე(რ)ისთავთ ე(რ)ისთ(ა)ვ(ს)ა დადიანს გი(ორ)გის და მეუღლესა
 მ(ა)თსა | რუსუდ(ან)ს, ძეთა მ(ა)თთა მ(ა)ნდატურთ(უ)ხუცეს(ს)ა ვამეფს და გურიელსა კახაბერს |
 რ(ომ)ლ(ი)სა ბრძანებითა მოიჭედა უსხეულოსა | ხატისა თქვენიისა სახე. წ(მ)ი(დ)ა(დ) ესე ხატი |
 გაბრიელისა ... შიგან მოიჭედა და | მეოხ და მფარველ ვეფა აქა და საუკუნესა ა(მ)ინა“.

როგორც ვხედავთ, წარწერაში გიორგი II მხოლოდ ერისთავთ ერისთავად იწოდება, ხოლო მისი ძე
 ვამეფი მანდატურთუხუცესად. ჩვენი აზრით, ვამეფმა მამის სიცოცხლეში მიიღო მანდატურთუხუცესის
 სახელი, რომელსაც გიორგი II არასოდეს ფლობდა. იგი მხოლოდ ოდიშის ერისთავთ ერისთავი იყო,
 ხოლო გარდაცვალების შემდეგ ეს ტიტული მემკვიდრეობით მიიღო ვამეფ I-მა.

არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი, რისთვისაც გიორგი II-ს არ შეეძლო ეტარებინა მანდატურთ-
 უხუცესის სახელი. ცნობილია, რომ 1259 წლის აჯანყების შემდეგ დავით ნარინი დასავლეთ საქარ-
 თველოში გადავიდა, სადაც იგი ადგილობრივმა ლიდერებმა „აფხა ზეთის(ლიხთიმერეთის) მეფედ დაად-
 გინეს.“¹³⁰ საქართველო გაიყო ორ სამეფოდ, რომელთაც ცალ-ცალკე სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკა
 გააჩნდა (სამეფო დარბაზი, სამეფო ვაზირნი, საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი და სხვ.) ბუნებრივია, ამ
 პერიოდის საქართველოში მანდატურთუხუცესის ორი სახელი არსებობდა. ერთი აღმოსავლეთ
 საქართველოში, მეორე ლიხთიმერეთში. დავით ნარინის სახელმწიფოში მანდატურთუხუცესად ჩანს
 ბედან დადიანი. ამ სახელით ბედანი დასახლებულია წალენჯიხის ჯვარცმის ხატისა¹³¹ და ხობის
 ღმრთისმშობლის ხატის ზურგზე მოთავსებულ წარწერებში.¹³² ამავე პერიოდის აღმოსავლეთ ქართულ
 სახელმწიფოში მანდატურთუხუცესის სახელი ჯერ შანშე ზაქარიას ძე მხარგრძელს, ხოლო შემდეგ
 მის შვილს ივანეს უჭირავს. XIV ს. I მეოთხედში საქართველოს სამეფო კარი კვლავ აერთიანებს
 ქართულ მიწებსა გიორგი ბრწყინვალემ, რომეინი და ამიერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი
 საქართველო.“ გიორგი ბრწყინვალისა (1314-1346) და დავით IX-ის (1346-1360) მეფობის დროს საქარ-
 თველოს სამეფო კარის მანდატურთუხუცესებად, ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს წევრები ჩანან

¹³⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 227-229.
¹³¹ ვთაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 227; ვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 2, გვ.
 226-227; ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის გვ. 76.
¹³² ჭონიძე, წ. II გვ. 129; ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, გვ. 77.



(დაახლ. 1285-1361 წლებში).¹³³ ამდენად, აღნიშნულ პერიოდში ბედან I დადიანის შთამომავლები გიორგი I (გარდაიც. 1323 წ.), მამია I (1323-1345 წწ.) და გიორგი II (1345-1386) ვერ იქნებოდნენ საქართველოს სამეფო კარის მანდატურთუხუცესები.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, დადიანთა მანდატურთუხუცესობა სამ პერიოდად შეიძლება დაგვით: პირველი პერიოდი მოდის საქართველოში ორმეფობის ხანაზე, როცა დადიანები ლიხთიმერეთის, ე.ი. დასავლეთ საქართველოს სამეფოს მანდატურთუხუცესები არიან (ბედან დადიანი, შეიძლება მისი შვილი გიორგი I დადიანიც; მეორე პერიოდში დადიანები გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარის მანდატურთუხუცესები არიან. ჩვენი აზრით, ეს სახელო პირველად ვამეყ I-მა (1384-1396) მიიღო მამის სიცოცხლეში (შესაძლოა 1361 წლის შემდეგ - ე.ი. მას შემდეგ, რაც ჯაყელები არ ფლობენ ამ სახელოს); მესამე პერიოდი, არის საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანა, როცა დადიანები იმერეთის სამეფოს მანდატურთუხუცესები არიან, მაგრამ ეს დამოკიდებულია თანდათან (შეიძლება იმთავითვე) ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ს. კაკაბაძის სიტყვებით, ამ ტიტულთი მოხსენიება ოდესღაც მეფესთან დამოკიდებულების თეორიული მოგონება იყო და ახლა რეალური მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.¹³⁴

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ბედიის ფრესკაზე გამოსახული ყმაწვილი ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი ვამეყ I-ის უფროსი ვაჟი უნდა იყოს. იგი აქამდე უცნობი იყო ისტორიოგრაფიაში. თავად ვამეყი, 1384 წელს გიორგი II დადიანის (1345-1384) გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატ V-ის ხელდასმით „დაჯდა დადიანად“. მაგრამ წყაროები ადასტურებენ, რომ ვამეყი მამის სიცოცხლეშიც აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა. ჯუშათის მთავარანგელოზის ხატზე გიორგი II-ის სიცოცხლეში ვამეყის მანდატურთუხუცესად მოხსენიების ფაქტი მიუთითებს, რომ ვამეყი ბაგრატ V-ის კარზე საკმაოდ დაწინაურებულ და ავტორიტეტულ პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა, რისთვისაც სამეფო კარის მოხელის ტიტული, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში უბოძეს. ვამეყის პოლიტიკური ორიენტაცია ჩანს, როცა იგი აქტიურად გამოდის იმერეთის მმართველის, ბაგრატ ერისთავის ვაჟის გიორგის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა დასავლეთ საქართველოში გამეფებას. ვახუშტის მიხედვით, „განიზრახა ამან გიორგი ბრძოლა ვამეყ დადიანისა... დღესა ერთსა ეწყო ვამეყ დადიანი და ძლიერსა ბრძოლასა შემდგომად იძლია სპანი იმერთა და მოჰკლეს მეგრელთა მეფე“¹³⁵ (მეფედ იგულისხმება გიორგი). როგორც ვხედავთ, 1392 წელს გიორგი ბაგრატის ძე დაიღუპა აღნიშნულ ბრძოლაში, სადაც ვამეყი გამოდიოდა, როგორც ერთიანი ცენტრალურხელის სახელმწიფოს დამცველი. (იგი იბრძვის ერთიანობის შენარჩუნებისათვის). იმავე ვახუშტის ცნობით, „მაშინ განზრახეთა ვამეყ დადიანისათა ჩამოვიდა გიორგი ძე, დიდისა ბაგრატ მეფისა და დაიპყრა კულადა იმერეთი“.¹³⁶ ნიშანდობლივია, რომ ვამეყი ყველა თავის მოქმედებაში ხაზს უსვამს ცენტრალური ხელისუფლებისადმი მორჩილებას (წარწერებში ყოველთვის იხსენიება მანდატურთუხუცესად). 1927 წ. სოხუმში აღმოჩნდა მონეტა, რომელზეც გამოსახულია მამაკაცის სახე, მის ზურგზე კი ასომთავრული წარწერა იკითხება ოცნიერად.

¹³³ მ. რეხვიაშვილი, სამცხის სამთავრო, თბ., 1992, გვ. 15, 20.

¹³⁴ ს. კაკაბაძე, დასავლეთელი ნაშრომი, გვ. 203.

¹³⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა... გვ. 803-804.

¹³⁶ იქვე, გვ. 804.



გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული მონეტა ვამეყ-I-ს ეკუთვნის.¹³⁷ ჩვენი აზრითაც, ეს მონეტა ვამეყ I-ს უნდა ეკუთვნოდეს. იგი ეწევა დამოუკიდებელ პოლიტიკურ და კულტურულ-აღმშენებლობით მოღვაწეობას: წარმატებით ლაშქრობს ჯიქეთში, საიდანაც ჩამოაქვს „მარმარილოს სვეტნი და ფიქალი“ და აშენებს და აკობს ხობის მონასტრის ეკვტერს, წალენჯიხის ტაძრის მოსახატავად კი სპეციალურად ბიზანტიის დედაქალაქიდან ჩამოჰყავს ოსტატი - კირ მანუელ ევეენიკოსი.¹³⁸ მისი საქმიანობა მიუთითებს, რომ ფაქტიურად დამოუკიდებელი პოლიტიკური მოღვაწეა, მაგრამ ანგარიშს უწევს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ინტერესებს. ა. ლორთქიფანიძის სწორი შენიშვნით, ეს იყო ბრძნული პოლიტიკა დაფუძნებული არა მარტო საერთო ეროვნულ, არამედ პირად ინტერესებზეც.¹³⁹

ხობისა და წალენჯიხის ტაძრებში წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ ვამეყის კულტურულ პროგრამაში, როგორც ჩანს, ბედიის ტაძრის რესტავრაციაც შედიოდა - მას ქრონოლოგიურად ჯერ ხობის, ხოლო შემდეგ წალენჯიხის ტაძრების რეკონსტრუქცია უნდა ჩაეტარებინა. შესაძლოა, ბედიის ტაძარში დაწყებულიც კქონდა სარესტავრაციო სამუშაოები, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ქმრის ჩანაფიქრის განხორციელება „ღეოფალმა“ მარხმა იკისრა. ვფიქრობთ, ამიტომ არ არის ვამეყი ბედიის ქტიტორულ წარწერაში თავის ცოლ-შვილთან ერთად მოხსენიებული.

ვამეყის გარდაცვალებისას გიორგი სრულიად ახალგაზრდა 13-14 წლისა უნდა ყოფილიყო. იგი მამის გარდაცვალებისთანავე „დაჯდა დადიანად“ და მემკვიდრეობით მიიღო ერისთავთ ერისთავისა და მანდატურთუხუცესის სახელო. დადიანთა ვახუშტისეული ქრონოლოგია არ იცნობს გიორგი ვამეყის ძეს, ჩვენი, აზრით, ეს ხარვეზი ახალგაზრდა გიორგის ხანმოკლე ერისთავობით უნდა აიხსნას.

5. ანტონ ბედიელის წარწერა

ბედიის მონასტრის საეპისკოპოსო პალატის აღმოსავლეთის მარჯვენა შესასვლელის ტიმპანზე, მოწითალო ფერის ქვის ფილაზე ამოკვეთილია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ფილაზე წარწერას უჭირავს ფართობი: 79x33 სმ. შესრულებულია ღრმა კვეთით, შეწიალებული დამწერლობით. ასოების სიმაღლე: 4-7-10 სმ წარწერის ყოველი სტრიქონი ჩასმულია პარალელური, პორიზონტალური ხაზებით შექმნილ სწორკუთხედებში, რომელთა წამახვილებული ბოლოები მთავრდება სტილიზებული ორნამენტით. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი, მარჯვნივ წაწვეტებით, ყოველი სიტყვის შემდეგ, ქარავმის ნიშნები არ ახლავს.¹⁴⁰

დაზიანება: წარწერა ქვის ატკეცვის შედეგად ადგილ ადგილ (მე-2 სტრიქონის შუა ნაწილში, მე-3 სტრიქონის არეში მთლიანად) ძლიერ დაზიანებულია.

წარწერის ასომთავრული ტექსტი პირველად გამოსცა მარი ბროსემ. მანვე შემოგვინახა წარწერის გრაფიკული გადმონახაზიც; მარი ბროსეს დროს წარწერა შემდეგი სახით იკითხებოდა:

¹³⁷ Д.Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955, გვ.95.
¹³⁸ И.Лорджипანიძე, Роспись в Цаленджиха გვ.14.
¹³⁹ იქვე, გვ.23.



ნიკაყურეუნი სხეცხეცა ტჳის Ⴕ

ღეწეუხ გჳეჰტუიხეი ტრეიღე

ჳიღეღს Ⴕის ჳს...ნ¹⁴¹

აღნიშნული წარწერა ადგილზე შეისწავლა ვ. სილოგავამ. მან თავის საკანდიდატო დისერტაციაში მოგვცა წარწერის სრული აღწერილობა და ტექსტის დადგენა. წარწერის მე-3 სტრიქონი მკვლევარმა აღადგინა მ. ბროსეს მიერ გამოცემული გრაფიკული მონახაზის მიხედვით:

†: ნიკაყურეუნი: სხეცხეცა ტჳის. Ⴕ

ღეწეუხ, [..] Ⴕგჳეჰტუიხეი. ტრეიღე.

[Ⴕიღეღს. Ⴕის. Ⴕს. Ⴕნ. Ⴕნ.]

„ † აღმაშენებელი პალატისა ამის(ე) ბედიელ მიტრაპოლიტი ანტონი | [ჟუანისძე, შ(ეუნდენ)ეს ღ(მერთმან); ა(მე)ნ]“.

წარწერის ტექსტში მოხსენიებული ისტორიული პირი ანტონ ჟუანის ძე შუა საუკუნეების საქართველოს მნიშვნელოვანი სეკლესიო მოღვაწეა. მისი, საეკლესიო და საზოგადოებრივი საქმიანობა შეუსწავლელია, თუმცა ისტორიამ შემოინახა ცალკეული მასალები, რომელთა გაცნობა საშუალებას იძლევა მასში მრავალმხრივ განათლებული და ქართული კულტურის დაწინაურებით დაინტერესული მოღვაწე დაეინახოს.


როგორც ბედიის მონასტრის საამშენებლო წარწერიდან ჩანს, ანტონ ბედიელის თაოსნობით აშენებულა საეპისკოპოსო პალატი, სადაც, ჩვენი აზრით, ინახებოდა ბედიის ცნობილი წიგნთსაცავი და ტაძრის საჭურჭლე. წიგნთსაცავში ანტონის მითითებითა და ზედამხედველობით მიმდინარეობდა ქართულ სიძველეთა განახლება, კერძოდ, მან წესრიგში მოიყვანა ვარძიის ოთხთავი, რომელიც ვიორგი მთაწმინდლისეული თარგმანის XII-XIII სს. ხელნაწერს წარმოადგენს. აღნიშნულ ოთხთავზე გაკეთებულია მინაწერები, ერთ-ერთში მთავარეპისკოპოსის ხარისხით იხსენიება ანტონ ჟუანის ძე - მინაწერი №4: „სულკურთხეულისა დადიანისა მამიასს შ(ეუნდენ)ეს ღ(მერთმან); მათსა მეუღლეს, დედოფალთა დედოფალსა ელენე [ყოფილსა] ეკატერინეს, შ(ეუნდენ) ღ(მერთმან); სულსა კურთხეულისა ბედიელ მთავარეპისკოპოსისა ჟვანისძესა ანტონესა შ(ეუნდენ)ეს ღ(მერთმან); მისთა დედა და მამათა, შ(ეუნდენ)ეს ღ(მერთმან)“.¹⁴²

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთხთავი ვიორგი მთაწმინდლის თარგმანს წარმოადგენს და მის ტექსტს ყოველ გვერდზე დართული აქვს პარალელური ადგილების მითითება. ვარძიის ოთხთავს მეტად საყურადღებო თავგადასავალი აქვს. მის ერთ-ერთ მინაწერში მოხსენიებულია „პატრონი იესე“. მინაწერის მიხედვით, ვარძიის ოთხთავი ტყვედ ჩავარდნიდა „თათრებს“, „ოღეს ყვენმა ჯავახეთი აღოხრა და ვარძიის საყდარი დაღეწა“.

¹⁴⁰ ვ. სილოგავა, დასავლეთ საქართველოს X-XIII სს. ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, საკანდიდატო დისერტაცია, ნაწ II, დასავლეთ საქართველოს ქართული ლაპიდარული წარწერების კრებული (X-XVIII სს), 1972, გვ. 298-299, №247.

¹⁴¹ Rapports VIII, გვ. 94.

¹⁴² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, ტომი II, შედგენილია და დასაბუთდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ვლ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ. ილ. ახოლაძის რედაქციით, იბ., 1958, გვ. 308.



დ. ბაქრაძე „პატრონ იესეს“ ვახტანგ VI-ის ძმად თვლიდა¹⁴³. იგი ისტორიოგრაფიაში ცნობილია ფეხე-ალი-ყული ხანის სახელით, მეფობდა ქართლში 1714-1716 წლებში. როგორც ელ. მეტრეველმა ვაარკვია, მინაწერში მოხსენიებული „ყეენი“ იყო ცნობილი შაჰ-თამაზი, რომელმაც 1551 წელს გაძარცვა ვარძიის მონასტერი. სწორედ ამ დროს მეფობდა კახეთში ლევან მეფე (.1520-1574), რომლის ვაჟს, „პატრონ იესეს“ დაუხსნია ოთხთავი და კვლავ ვარძიისათვის შეუწირავს.¹⁴⁴ ამის შემდეგ როდის და როგორ მოხდა ვარძიის ოთხთავი ოდიშში, კერძოდ, ბედიის მონასტერში გაურკვეველია. XIX საუკუნეში ვარძიის ოთხთავი გელათის მონასტრიდან გაუტანია ქუთაისის გუბერნატორს ლევაშოვს, რომელსაც შემოუძარცვავს ოთხთავის შესანიშნავი ძველი ვერცხლის ყდა, ღმრთისმშობლის მინანქრიანი ზატით და შეუცვლია იგი (ყდა) საზიკოვის 1871 წ. ნაკეთები ყდით. ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის აღწერილობით ირკვევა აგრეთვე, რომ ვარძიის ოთხთავი XIX საუკუნეშიაც დაზიანებული ყოფილა.¹⁴⁵

ოთხთავის №4 მინაწერიდან ჩანს, რომ ანტონ ბედიელმა, მამია დადიანისა და მისი მეუღლის ელენეს (ეკატერინეს) შემწეობითა და დახმარებით, მოაწესრიგა ვარძიის ოთხთავი, რითაც მათ მოიპოვეს სავედრებლის უფლება ოთხთავის გვერდებზე.

XI საუკუნის ურბნისის ოთხთავს თან ერთვის მოსახსენებლები, რომლებიც XVI საუკუნის ნუსხურიითა შეტანილი ოთხთავის თავისუფალ გვერდებზე: მინაწერი 3. „სულსა კურთხეულისა პატრონისა [დადიანისა ლევანისა] შ`ს ღ`ნ. მათსა მამასა პატრონსა დადიანსა შ`ს ღ`ნ . თანამეცხედრესა [დღოფალსა პა] ტ[რო]ნსა ქეთონს შ`ს ღ`ნ . ძენი მათნი აღზარდენ ღმერთო. სულსა... ანდრონიკესა შ`ს ღ`ნ . მისსა მეუღლესა გულანდამს შ`ს ღ`ნ“.

მინაწერი 4. „სულსა კურთხეულისა პატრონისა [დადიანი ლევანს] შ`ს ღ`ნ, მეუღლესა მისსა მე[ფის] ა[ს]ულსა ე[ლ]ენე ყოფილსა ეკატერინეს შ`ს ღ`ნ“.

მინაწერი 5. „ბედიელ მთავარებისკოპოსსა ყვანიძესა ანტონეს შ`ს ღ`ნ . მისთა დედათა-მამათა შ`ს ღ`ნ“¹⁴⁶

„მოსახსენებელი“ XVI საუკუნის ნუსხურიითა შეტანილი ოთხთავის თავისუფალ გვერდებზე, მაგრამ ტექსტი გულდაგულაა ამოფხეილი, რის გამოც დიდი სიძნელით იკითხება. ლევან დადიანი №3 და №4 მინაწერებში თ. ჟორდანიას მიერ აღდგენილია მოსახსენებელში შეტანილი პირის ანტონი ყვანიძის მიხედვით, რომელიც ცხოვრობდა მამია და ლევან დადიანების დროს 1512-1572 წწ. შორის. იქვე №3 მინაწერში დედოფალ ქეთონის თანამეცხედრედ თ. ჟორდანიას აღუდგენია მამია დადიანი. ხოლო №4 მინაწერში ელენეს თანამეცხედრედ აღდგენილია ლევან დადიანი. ზემოთხსენებული ვარძიის ოთხთავის №4 მინაწერში თავისუფლად იკითხება, რომ მამია დადიანის (1512-1533) მეუღლე ყოფილა „დედოფალთა დეოფალი ელენე [ყოფილი] ეკატერინე“. აქედან გამომდინარე №3 და №4 მინაწერებში არასწორად არის აღდგენილი ოდიშის მთავართა სახელები და იგი შემდეგი სახით უნდა გასწორდეს:

¹⁴³ Кондаков Н.П., Бакрадзе Д.З., Описание памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб, 1890, გვ. 42-43.
¹⁴⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q კოლექცია), ტ. II, გვ. 308.
¹⁴⁵ იქვე.



მინაწერი №4: „სულსა კურთხეულსა პატ[რონისა] დ[ადიანისა] [მამიასა] შ[ეუნდო]ს ლ[მერთმან]ს მეუღლესა მისსა მე[ფის] ა[ს]ულსა ე[ლ]ენე ყოფილსა ეკატერინეს შ[ეუნდო]ს ლ[მერთმან]ს“.

აქ, უთუოდ, იმერეთის მეფის ასულ ელენეზეა საუბარი, რომელიც ცოლად ჰყავდა მამია III დადიანს. რაც შეეხება №3 მინაწერს, აქაც ამოსაღებია თ. ჟორდანიასეული აღდგენა „[დადიანისა ლევანისა]; შესაძლოა, დედოფალი ქეთაონი მამია დადიანის პირველი მეუღლე იყოს. ე.ი. ურბნისის ოთხთავის მინაწერებში ანტონ ბედიელი მამია III-ის (1512-1533) თანამედროვედ ჩანს, მაგრამ იგივე ანტონი ილორის წმიდა გიორგის ხატის წარწერაში მოხსენიებულია მამია III-ის შვილთან, ლევან I დადიანთან (1533-1572) ერთად. ილორის ხატზე იკითხება: „ში მკნეო, შორის მოწამეთა ღვაწლისა მძლეო, გიორგი ილორისაო, საკრველებითა მოქმედო, ღირსო მკვედარო უფლისაო, ღირს ჰყავ ქრისტეს ღვთისა ჩვენისა წინაშე და განადიდე და განამლიერე ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი ლეონ, და გევედრებით, რათა მეოხ და მფარველ ექმენ, რომლისა ბრძანებითა შევამკეთ წმიდა ხატი ესე, ბედიელ მთავარებისკოპოზმან მიტროპოლიტმან ანტონი ყუანის ძემან. წინა-მდგომელ ექმენ ღვთისა ჩვენისა აქა და მას ღღესა დიდსა განკითხვისასა. ამინ“¹⁴⁷ წარწერის ტექსტიდან ირკვევა, რომ ლევან I დადიანის, ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესის ბრძანებითა და სახსრებით ანტონ ყუანის ძე აჭვდინებს წმ. გიორგის ხატს. ანტონის მოხსენიება მამია და ლევან დადიანებთან ერთად შემთხვევითი არ უნდა იყოს - იგი ოდიშის მთავრის კართან დაახლოებული პირია. ოდიშში ამ დროს რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრა იყო, რომელსაც მიტროპოლიტი (ან მთავარეპისკოპოსი) ედგა სათავეში, მაგრამ ბედიის საეპისკოპოსო კათედრის მღვდელმთავარი დადიანების კარზე ეტყობა განსაკუთრებით დიდი პატივით სარგებლობდა. ზემოხსნებული წყაროების მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ანტონი დადიანთა შემწეობით ეწეოდა კულტურულ-განმანახლებლურ საქმიანობას: ანახლებდა ბედიის წიგნთსაცავს, აჭვდინებდა ხატებს, აშენებდა საეპისკოპოსო პალატს და ა.შ.

წყაროებში ყურადღებას იქცევს ანტონის ტიტულატურა. ზემოხსენებულ წარწერებსა და მინაწერებში ზოგან მთავარეპისკოპოსის, ხოლო ზოგან კი მიტროპოლიტის პატივითაა დასახელებული. აღვიღად შეიმჩნევა ქრონოლოგიური ზღვარი ანტონის მთავარეპისკოპოსობასა და მიტროპოლიტობას შორის: ვარძიისა და ურბნისის ოთხთავის მინაწერებში, მამია დადიანთან ერთად მოხსენიების დროს ანტონი მთავარეპისკოპოსის ხარსხითაა წარმოდგენილი. ლევან I დადიანის ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში ანტონი მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის პატივით გვხვდება, ხოლო ბედიის საეპისკოპოსო პალატის წარწერაში ანტონის საეკლესიო პატივი მხოლოდ მიტროპოლიტობით განისაზღვრება. საკითხის გარკვევისათვის სიანტერესოა ილორის წმ. გიორგის ხატის ზუსტი დათარიღების საკითხი, რადგან ხატის წარწერაში ჩანს გარდამავალი პერიოდი მთავარეპისკოპოსობიდან მიტროპოლიტობისაკენ (როგორც ჩანს, ცვლილება ბედიელ მღვდელმთავართა ტიტულატურაში ლევან I დადიანის ეპოქაში მოხდა).

¹⁴⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილ საეკლესიო მუზეუმისა (A) კოლექციისა, ტ. სულ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973, № 28, გვ. 93.
¹⁴⁷ Rappports, VIII, გვ. 96.



თუ გავითვალისწინებთ ხატის წარწერის მონაცემებს, რომელშიც ლევან I დადიანი ერისთავთ ერისთავისა და მანდატურთუხუცესის სახელოთი იხსენიება, მაშინ, ილორის ხატის შექმნის თარიღი ლევან I-ის მოღვაწეობის პირველ პერიოდში არის საგულეებელი. სამცხნიერო ლიტურატურაში ლევან I-ის მოღვაწეობის პირველი პერიოდი განისაზღვრება 1545 წლის ცნობილი პოლიტიკური მოვლენებით. ამ წელს ბაგრატ III იმერთა მეფემ (1510-1565) სამცხეში შემოჭრილ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად, ჩვეულებისამებრ, „მოუწოდა“ ოდიშის მფლობელს. ვახუშტის ცნობით, „დადიანმა ლევან არღარა ინება მოსვლა სპითა თვისითა“¹⁴⁸.

იმავე 1545 წ. სოხოისტას ომის დროს ბაგრატ III-მ ისევ მოაგონა დადიანს თავისი ვალდებულება, მაგრამ „არცა აწ მოვიდა დადიანი“¹⁴⁹. ო. სოსელიას¹⁵⁰ 1545 წლის შემდეგ იმერეთის მეფემ ვერასოდეს ვერ მოახერხა დადიანისათვის „ლაშქრობათა, ნადირობათა და მეფედ მათთა ხმობითა მსახურებათა“ დაკისრება. ¹⁵⁰ აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ი. ანთელავამაც. მისი სიტყვებით, ლევან I დადიანი ოდიშის უკანასკნელი ერისთავი ერისთავი და პირველი მთავარი იყო. ¹⁵¹ რომ ეს დებულება სწორია, ამაზე მიუთითებს წალენჯიხის ტაძარში ლევან I დადიანის ეგვიპტის კედელზე მოთავსებული წარწერის ტექსტი, რომელშიც ლევანი „ერისთავთ ერისთავი და პატრონი დადიანი“-ს ტიტულით მოიხსენიება. როგორც ჩანს, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ლევან I არ ატარებდა მანდატურთუხუცესის სახელოს, რადგან იგი სამეფო კართან დამოკიდებულების განმსაზღვრელი სახელმწიფო მოხელის სახელო იყო. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ ლევან I 1545 წლის პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, „არღარა ინებებდა“ მანდატურთუხუცესის სახელოს ტარებას, მით უფრო, რომ მეფემ ურჩი ქვეშევრდომის დასჯა ვერ მოახერხა, ხოლო მეფის პოზიციები კიდევ უფრო დასუსტდა.


ჩვენი აზრით, ილორის წარწერაში ლევან I დადიანის მანდატურთუხუცესის სახელოთი მოხსენიება განსაზღვრავს ხატის დათარიღების საკითხს და იგი, 1533-1545 წლებში უნდა იყოს დამზადებული.

ამ ვარაუდით, ანტონის მიტროპოლიტობაც 1545 წლის მომდევნო ხანით უნდა განისაზღვროს, რადგან ილორის წარწერაში ანტონი ორივე საეკლესიო პატივითაა მოხსენიებული.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ანტონის მოღვაწეობა ბედიის საკათედრო ტაძარში სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ: პირველი, მამია III-ის ეპოქა, როცა იგი მთავარეპისკოპოსის ტიტულს ატარებს; მეორე, ლევან I-ის ერისთავობის პირველი პერიოდი 1533-1545 წწ, ამ დროს ანტონი მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის ტიტულს ერთდროულად ატარებს და მესამე პერიოდი, 1545 წლის შემდეგ, როცა ბედიელი მღვდელმთავარის ტიტულატურაში საბოლოოდ დამკვიდრდა მიტროპოლიტის პატივი.

ამ პერიოდიზაციის მიხედვით, ბედიელ მღვდელმთავარებისათვის მთავარეპისკოპოსობის მიტროპოლიტობით შეცვლა ლევან I-ის ეპოქაში, დაახლოებით 1533-1545 წლებში მომხდარა. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ანტონი პირველი ბედიელი მღვდელმთავარია, რომელიც წყაროებში

¹⁴⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა... გვ. 812.
¹⁴⁹ იქვე.
¹⁵⁰ ო. სოსელია სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის, მიმოხილველი, ტ. II, გვ. 179.



მიტროპოლიტის პატივით მოიხსენიება. მანამდელი მღვდელმთავრები მთავარეპისკოპოსის, ხარისხს ატარებდნენ.

ბედიის საეპისკოპოსო პალატის მშენებლობაც, ანტონის ტიტულატურის გათვალისწინებით, 1545 წლის მომდევნო დროით უნდა დავათარიღოთ. ე.ი. იმ პერიოდით, როცა ანტონი მიტროპოლიტი გახდა.

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- 1) ანტონ ჟუანის ძე მამია III-ის (1512-1533) და ლევან I-ის (1533-1572) თანამედროვეა, ამიტომ მისი მოღვაწეობა ბედიის კათედრალურ ტაძარში XVI ს. შუახანებით, კერძოდ, 20-50-იანი წლებით განისაზღვრება.
- 2) ბედიელ მღვდელმთავართა შორის პირველი მიტროპოლიტი ანტონ ჟუანის ძეა და მთავარეპისკოპოსობის მიტროპოლიტობით შეცვლა ბედიის საეპისკოპოსო კათედრაზე 1533-1545 წლებში უნდა ვივარაუდოთ.
- 3) ბედიის საეპისკოპოსო პალატის მშენებლობაც 1545 წლის მომდევნო პერიოდით, დაახლოებით, XVI ს. 40-50-იან წლებით დათარიღდება. მაშასადამე, ანტონ ბედიელის წარწერაც ამ პერიოდს განეკუთვნება.

151 ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 20.



თავი II

ისტორიული სამურზაყანოს წარწერები

ისტორიული სამურზაყანო მოიცავს დღევანდელი გალის რაიონსა და ოჩამჩირის რაიონის ნაწილს. აღნიშნული რეგიონი განსაკუთრებით მდიდარია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებით. მათ შორის ჩვენთვის ხელმისაწვდომია დიხაზურგის, ლუმურიშის, რეჩხო-ცხირის, ილორის, მოქვის, წარჩეს, ჭლოუსა და გუდავის წარწერები.

წინამდებარე ნაშრომში ისტორიული სამურზაყანოს რეგიონიდან წარმოდგენილია სულ 15 წარწერა, მათ შორის 14 ლაპიდარულია, ხოლო ერთ პუნქტში გაერთიანდა წველიკარის ტაძრის ფრესკული წარწერების ფრაგმენტები. წარწერების ქრონოლოგია X-XI-XVII სს მოიცავს. შინაარსობრივი თვალსაზრისით გამოიყოფა ორი ჯგუფი: საამშენებლო და მემორიალური.

საამშენებლო ხასიათის წარწერებია: 1. საგდუხტ დეოფალთ დეოფლის წარწერა; 2. წარწერა წველიკარის ეკლესიის საკურთხეველზე; 3. ფაშაძის წარწერა.

მემორიალური წარწერებია: 1. გრიგოლ გალატოზთუხუცესის წარწერა; 2. წარწერის ფრაგმენტი წველიკარიდან; 3. რ. შ-ს წარწერა წველიკარიდან; 4. გრიგოლის წარწერა მოქვიდან; 5. ოზბეგ დადიანის წარწერა; 6. რაბაძისა და ნუგაშვილის წარწერა; 7. დეკანოზის სულის მოსახსენებელი; 8. გალატოზის წარწერა ილორიდან; 10. გიორგი გურგენიძის წარწერა; 11. გიორგი ქოჩოლვას წარწერა; 12. წველიკარის ფრესკული წარწერის ფრაგმენტები.

ისტორიული სამურზაყანოს ქვის ეპიგრაფიკული ძეგლები საფურადღებოა პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც. აქ წარმოდგენილია ქართული ანბანის განვითარების სამივე საფეხური: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული.

1. საგდუხტ დეოფალთ დეოფალის წარწერა

1953 წელს გალის რაიონის სოფ. ლუმურიშში, ძველი ეკლესიის ნანგრევებთან მხარეთმცოდნე ნ. შინაძემ აღმოაჩინა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც დღეს საგდუხტ დეოფალთ დეოფლის წარწერის სახელითაა ცნობილი (სურ. 6). წარწერა თ. ბარნაველის წაკითხვით ორჯერ გამოაქვეყნა ხ. ბლაჟაძემ¹. ფილის არქეოგრაფიული აღწერილობა, წარწერის ტექსტი და მისი რუსული თარგმანი შეკვდა ქართული წარწერების კორპუსის მეორე ტომში². ჩვენ ვსარგებლობთ აღნიშნული აღწერილობითა და ხ. ბლაჟაძის ნაშრომში გამოქვეყნებული ფოტოსურათით.

რუხი ფერის კირქვის ფილა, ზომით 36x36x17, რომელზეც გამოსახული ყოფილა რელიეფური ორნამენტირებული ჯვარი; მისი ზედა და განივი მკლავები მომტკვრულია. დღეს სახეზეა ჯვრის ქვედა მკლავი, რომლის ორივე მხარეს ამოკვეთილია თანაბარი სიმაღლის ასოებით შესრულებული ოღნავ კი-

¹ X.С.Бгажба, Из истории письменности в Абхазии, 1959, გვ 251, სურ. 6; X.С.Бгажба, Из истории письменности в Абхазии, 1967, გვ 13, სურ. 5.
² მწკტ II, გვ 126-127, № 139; იხ., აგრეთვე, წარწერის სხვა გამოცემები: ვ. ხილოვაჯა, ქართული სამართლის ძეგლები, დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, "მაცნე", ისტორიის... სერია, № 4, 1972.



ღურწაისრული ასომთავრული წარწერა. ჩანს, წარწერის დასაწყისი ჯვრის ვერტიკალური მკლავების ზედა ნაწილში იყო მოთავსებული. ამდენად დღეს ჩვენს ხელთ არის წარწერის ოთხსტრიქონიანი ფრაგმენტი. ასოების სიმაღლე: 3,5-3. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი (შეინიშნება მხოლოდ ერთგან). ქარაგმის ნიშანი სწორი, ოდნავ კიდურაწაისრული განივი ხაზი (ვ. სილოგავას შენიშვნით, სწორი, განივი ხაზი).

დაზიანება: წარწერა დაზიანებულია; ჯვრის ვერტიკალური მკლავები მომტკრეულია და არ იკითხება წარწერის ტექსტის დასაწყისი. მეორე სტრიქონის ბოლოს ქვის ამოტკეჩვის გამო არ იკითხება ბოლო გრაფემა.

წარწერა დაცული უნდა იყოს დ. გულიას სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

სტჸყ	რღზთ
ფზმც	თფზ
სღჸჲ	რრს
სზა	ტრ

..... სტჸყ რღზთ

ფზმც თფზ[1]

სღჸჲ რრს[1]

სზა: ტრ:

თ. ბარნაველის წაკითხვით: „...სა მშენებელი დე[დ]ოფალთ დე[დ]ოფალი სააგდუხტ ნიანიას ასული ამინ“³

ვ. სილოგავას წაკითხვით: „[+ ღმერთო, შეიწყალე ორთავე ცხოვრებასა შინა ამის ტაძრისა⁴ მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლ(ი) დ(ე)ოფ(ა)ლთა დ(ე)ოფ(ა)ლ[ი] ს(ა)გდუხტ, ნ(ია)ნ(ია)ს ას(უ)ლი, ა(მ)ენ“⁵

ვ. სილოგავას აზრით, ფორმულირება „ორთავე ცხოვრებასა შინა“ პირობითია, შეიძლება დავუშვათ, რომ ის არც იყო თავდაპირველად ტექსტში. თუ დავუშვებთ, რომ წარწერაში ჯვრის აღმართვის შესახებ იყო აღნიშნული, მაშინ მისი ნაკლები ტექსტი ასეთი სახითაც შეიძლება აღვადგინოთ:

„[+ ღმერთო, შეიწყალე ამ(ი)ს ჯ(უ)არი]სა მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლ(ი)“⁶ შემდეგ როგორც ტექსტშია.

ჩვენი აზრით, რადგან წარწერის ფრაგმენტი ჯვრის ვერტიკალური ფრაგმენტის ქვემოთ არის მხოლოდ შემორჩენილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯვრის მკლავებს ზემოთაც იმავე მოცულობისა და

¹ X.C.Бгажба, Из истории письменности в Абхазии, 1967, გვ 13.
² ვ. სილოგავა აქ იმდღევა სიტყვის აღდგენის ვარიანტებს: „[კეკესი]სა“, „[საყდრი]სა“.
³ შტ II, გვ 127.
⁴ იმავე.



სიდიდის ტექსტი იქნებოდა ამოკვეთილი, ამიტომ ჯვრის ვერტიკალურ მკლავებს ზემოთ ტექსტისასწინა მტერი მონაკვეთს „[+ ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ამ(ი)ს ჯ(უა)რი]სა“, ვერ ვივარაუდებთ. აქ ტექსტის გაცილებით დიდი ნაწილი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. თუ წარწერაში მართლაც ჯვრის ან ტაძრის მშენებლობის ამბავი იყო მოთხრობილი, მაშინ ტექსტის დასაწყისში პირობითად შევიტანთ, მხოლოდ „...ამ(ი)ს ჯ(უა)რი]სა“ ან „... ამ(ი)ს ტ(ა)ძრი]სა“ დანარჩენი ისე, როგორც კითხულობს პატივცემული მკვლევარი.

წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულების განსაზღვრისას, აუცილებლად მიმართა ტექსტში მოცემული ქარაგმის გახსნის ზოგიერთი დეტალის დაზუსტება. თ. ბარნაველის წაკითხვით, წარწერის ტექსტის მეორე სტრიქონის ქარაგმა **ᲘᲠᲞᲠ ᲘᲠᲞᲠ**, [1] იკითხება როგორც “დელოფალთ დელოფალი”. ჩვენ აზრით, ქარაგმის ამ სახით გახსნა არასწორია და მან შეიძლება წარწერაში მოხსენიებული პირის (საგდუხტის) არასწორი იდენტიფიკაცია გამოიწვიოს.

აღნიშნული ქარაგმა ვ. სილოგავამ გახსნა როგორც „დ(ეო)ფ(ა)ლთა დ(ეო)ფ(ა)ლი“³. ჩვენ ვეთანხმებით წაკითხვის ამ ვარიანტს და შევეცდებით დავაზუსტოთ თუ რატომ.

ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ქვეყნის დელოფლის ტიტულის დაქარაგმებას ვხვდებით შემდეგი სახით: **ᲘᲠᲠᲞ**. აღნიშნული მოვლენა დაფიქსირებულია მრავალ წარწერაში. მაგალითად, კუმურდოს ტაძრის 1027-1072 წლების ბაგრატ მეფისა და მარიამ დელოფლის წარწერაში: **ᲘᲠᲠ ᲘᲠᲠᲞ** - „მ(ა)რ(ი)ამ დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლი“⁴, ქუთაისის ბაგრატის ტაძრის 1001-1008 წლების საამშენებლო წარწერაში გურანდუხტ დელოფლის მოხსენიებისას...**ᲠᲠᲠᲞ** **ᲘᲠᲠᲞ** - „გ(უა)რ(ა)ნდ(უ)ხტ დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლი“⁵; ვაჰანის მონასტრის 1184-1207 წწ იქით გურგენიძის წარწერაში **ᲘᲠᲠᲞ** **ᲘᲠᲠᲞ** - „...დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლი თ(ა)მ(ა)რ“⁶. ასეთივე დაქარაგმებითაა მოცემული თამარ დელოფლის ტიტული 1184-1207 წლების კაბენის ეკლესიის წარწერაში⁷. როგორც ვხედავთ, ქვეყნის დელოფლის ტიტულის დაქარაგმება ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში გადმოიცემოდა ხუთი ასო ნიშნით „**ᲘᲠᲠᲞ**“.

დელოფლის ტიტულით წყაროებში ხშირად ვხვდებით ერისთავთ ერისთავის (პროვინციის მმართველთა) მეუღლის, დედის ან ქალიშვილის სახელებს, მაგრამ ტიტულატურაში სხვაობა ყოველთვის დაცულია და მათი გარჩევა შეიძლება. კერძოდ, თუ წყაროში ქვეყნის დელოფალია მოხსენიებული, მაშინ მისი განსაზღვრა მოცემულია ტიტულით „დელოფალთ დელოფალი“ ან უბრალოდ „დელოფალი“, ხოლო თუ ერისთავთ ერისთავის მეუღლე ან დედა იხსენიება, მაშინ გვხვდება ფორმულირება „დელოფალთ დელოფალი“ ან „დელოფალთ დელოფალი“. „დელოფლის“ ასეთი ფორმულირება უფრო დაკნინებული ფორმაა და გასაკები ხდება, რომ დელოფალზე უფრო დაბალი წოდების ქალბატონთან გვაქვს საქმე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ხშირად „დელოფალთ დელოფალი“ ან „დელოფალთ დელოფალი“ დელოფლის დასავლეთ ქართული კილოს ფორმად მიაჩნიათ. ეს არასწორია და ამას კარგად ადასტურებს „დაწერილი კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი“, სადაც ვკითხულობთ: „ქ. ესე ვითა ე(რისთავთ)-ე(რისთავთ)ესა“

³ ვ. ციხკარიშვილი, ვაგაზეთის ეპიგრაფიკა, გვ. 21, XII წარწერა; ვ. სილოგავა, კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994, გვ. 6, N 17.
⁴ შტ II, გვ. 53, №33.
⁵ ვ. თიხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, გვ. 82.
⁶ აქვე, გვ. 95.



კახოს და ცოლსა მათსა დიოფალ-დიოფალსა ხათუთას სამლოცველოდ¹¹. ბუნებრივია, ეს საერთო ქართული მოვლენა და იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა ერისთავთ ერისთავის ოჯახის წევრის, დედოფალზე რანგი უფრო დაბალი, მაგრამ მაღალი წრის ქალბატონის მოხსენიება ხდება.

განვიხილოთ, თუ როგორი სახით გვხვდება აღნიშნული ტერმინის დაქარაგმება ეპიგრაფიკულ ძეგლებში. მაგალითისათვის მოვიყვანოთ XIII ს. I ნახევრის ნიკორწმინდის ეფემია დედოფალთა დეოფლის წარწერას. „...მოვ ექმენ წინაშე ღ(მრ)თისა დ(ეო)ფ(ა)ლ[თ] დ(ეო)ფ(ა)ლსა ეფემიას, ასულსა სულქურთ)ხეულისა ე(რისთავთ) - ე(რისთავისა) რატისსა, ამინ“. როგორც ვხედავთ, დეოფალთ დეოფალი ეფემია არის ერისთავთ ერისთავის რატის ასული, ე.ი. ქვეყნის დედოფალი კი არ არის, არამედ პროვინციის დედოფალია. წარწერაში ეფემიას ტიტული გადმოცემულია ქარაგმით **ԾՓՆԺ ԾՓՆՏ ԴԻՓԻԴՆԸ** - „დ(ეო)ფ(ა)ლ[თ] დ(ეო)ფ(ა)ლსა ეფემიასს...“¹²; ბედიის ტაძრის ფრესკულ წარწერაში ყოველგვარი ქარაგმის გარეშე მოცემულია ოდიშის ერისთავთ ერისთავის მეუღლისა და დედის ტიტული „...დეოფალთ დეოფალი (მა)რიხ...“¹³. ჩვენი აზრით, მოტანილი წყაროები საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ერისთავთ ერისთავის ოჯახის წევრი ქალი (ალბათ უფროსობით) იწოდებოდა „დეოფალთ დეოფალის“ ან „დიოფალთ დიოფალის“ ტიტულით და მისი ფიქსაცია ქართული წარწერების ქარაგმებში ხდებოდა შემდეგი სახით **ԾՓՆԺ ԾՓՆ** ე.ი. ერთი „ღონით“, „ფანით“ და „ლასით“.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს, ქვეყნის დედოფლისა და პროვინციის დიოფლის ტიტულების დაქარაგმების წესები ქართულ წარწერებში შემდეგ სახეს მიიღებს: მეფის მეუღლე, დედოფალი - **ԾԾՓՆԺ ԾԾՓՆ** - დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლთ დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლი, ერისთავთ ერისთავის მეუღლე, დედა ან ქალიშვილი **ԾՓՆԺ ԾՓՆ** დ(ეო)ფ(ა)ლთ დ(ეო)ფ(ა)ლი (ჩვენი აზრით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება „ღონის“ რაოდენობას. თუ ერთი „ღონია“ სიტყვის დასაწყისში და მას „ფანი“ მისდევს, უნდა წაკითხოთ „დ(ეო)ფ(ა)ლი“, ხოლო თუ ორი „ღონი“ გვაქვს და შემდეგ იკითხება **ՓՆԶ** გრაფემები, მაშინ ქარაგმა უნდა გაიხსნას როგორც „დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლი“).

ამრიგად, ღუმურიშის წარწერაში მოცემული ქარაგმა უნდა გაიხსნას როგორც „დ(ეო)ფ(ა)ლთ დ(ეო)ფ(ა)ლი“, რაც მიგვანიშნებს, რომ საგლუხტი არ შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის დედოფლად, ე.ი. მეფის მეუღლედ, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი“ (წარწერის საგლუხტს ხშირად აიგივებენ ვახტანგ გორგასლის დედასთან, რაზეც ქვემოთ ვგეგმება საუბარი).

ღუმურიშის ამ წარწერაში მოხსენიებულია ორი ისტორიული პირი - დეოფალთ დეოფალი საგლუხტი და მისი მამა ნიანია. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საგლუხტის ტიტულატურის გათვალისწინებით იგი ქართული ფეოდალური არისტოკრატის მაღალ წრეს ეკუთვნის. ბუნებრივია, ამ წრის წარმომადგენელია მისი მამაც. მართალია, იგი წარწერაში ყოველგვარი ტიტულის გარეშე მოიხსენიება, მაგრამ, ეს არ უნდა იყოს გადამწყვეტი ამ პიროვნების სოციალური სტატუსის განსაზღვრისას. ამ შემთხვევაში ტექსტში აქცენტო გაცეთებულია მისი ასულის დიოფალთ დიოფალ საგლუხტის საქმიანობაზე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჩვენ არ ვიცნობთ ტექსტის ზედა დაკარგულ ნაწილს და არ

¹¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ I (IX-XIII-სს). შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 155; № 33, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დლიძის რედაქციით, თბ., 1965, გვ. 66.
¹² ԾՓՆԺ II, გვ 170, № 203.
¹³ Rapports... VIII, 33, 92.



ვიციტ ვინ იყო იქ მოხსენიებული, შესაძლოა წარწერის დაკარგულ ნაწილში საგლეხტის მკვლევარისათვის ერისთავი იხსენიებოდა, ამ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ მისამას შესაბამისი ტიტულატურით (თუკი ეს მას გააჩნდა) არ მოიხსენიებდნენ; ჩვენი აზრით, ნიანია უთუოდ ქართველ დიდებულთა ზედაფენას ეკუთვნოდა.

ქართულ ნარატიულ წყაროებში სახელი საგლეხტი გვხვდება ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებაში ვახტანგ გორგასლის დედის მოხსენიებისას, მაგრამ ლუმურიშის წარწერის საგლეხტის გაიგივება დედოფალ საგლეხტთან არ შეიძლება, რადგან ლუმურიშის საგლეხტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქვეყნის დედოფალი არ არის და წარწერის პალეოგრაფიაც აშკარად XI საუკუნისა უნდა იყოს.

საგლეხტ „დეოფლისა“ და ნიანიას იდენტიფიკაციისათვის აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ნიკორწმინდის წარწერისა და რაჭის სოფელ ზნაკვაში ნაპოვნი წმ. გიორგის ხატის წარწერის მონაცემები.

ნიკორწმინდის წარწერა ვ. სილოვაკამ XI საუკუნით დაათარიდა. წარწერაში ვკითხულობთ: „[წ(მიდა)ო ნ(ი)კ(ო)ლ(ო)ზ მღვდელთ] [მ]თა[კ]ა[რ]ო, [მ]ე[ო]ხ[ს] ექმენ [და მფ[არველ წ(ინაშე) [დ(მრ)თი]სა ნ(ი)ან(ა)ს, ე(რისთავთა) [ე](რისთავ[სა და ნ]ო[ვ]ე[ლი]სიმოსს]“¹⁴.

თავის დროზე ნიანიას ნოველისიმოსობაში ეჭვი შეიტანა გ. ბოჭორიძემ, იგი წერდა „ნიანია ერისთავთ-ერისთავის ნოველისიმოსობა საეჭვოა, მაგრამ ბროსეს მიერ ამოკითხული ტექსტი და წარწერიდან დარჩენილი კვალი გვაფიქრებინებს, რომ ამ ადგილას შესაძლებელია მართლაც წერებულებიყო სიტყვა ნოველისიმოსი“¹⁵.

ქართული ნარატიული წყაროები და ისტორიული საბუთები XI საუკუნეში რამდენიმე ნიანიას იცნობს. მათ შორის ყველაზე ცნობილია: ნიანია ქუაბულისძე, რომელიც ივანე ბაღვაშთან და სვანთა ერისთავთან ერთად მონაწილეობდა 1073 წლის აჯანყებაში გიორგი II-ის წინააღმდეგ; „თავადთა ამის სამეფოსა: ნიანია ქუაბულისძემან და ივანე ლიპარიტისძემან და ვარდან სუანთა ერისთავმან, რეცა თუ იკლეს რამე სიყრმით გიორგი მეფისთა და აუშალეს ქვეყანა.... ნიანია წარიღო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა“¹⁶. წერს შემატანე. იყო თუ არა ნიანია ქუაბულისძე ერისთავი? აღნიშნულ აჯანყებაში იგი ერისთავებთან ერთად მონაწილეობდა, შესაძლოა იყო კიდევ ერისთავი, მაგრამ რამდენად რეალურია მისი რაჭის ერისთავობა?

ცნობილია ნიანია კახაბერის ძე (კახაბერ ნიანიას ძის ვაჟი). იგი იხსენიება დავითის ისტორიკოსის თხზულებაში: „ვერეთვე ნიანია კახაბერის ძეცა; სხუანიცა აზნაურნი მცირედ-მცირედ შემოკრბიან და მთომილნი“. ეს ნიანია მიჩნეულია ნიანია ქუაბულისძის შვილიშვილად, რადგან „მატანე ქართლისაჲს“ ცნობით, გიორგი II-მ უბოძა ნიანია ქუაბულისძეს „თმოგვი და სხუანი საქონელნი რჩეულნი“¹⁷, ხოლო დავითის ისტორიკოსის ცნობით, 1088 წლის მიწისძვრის დროს „თმოგვცა დაიქცა და დაიპყრა ქუეშე

¹⁴ ვ. ზუზბაია, ქართული კულტურის ძეგლები აფხაზეთში, რიწა, № 1-2, 1996, გვ. 138.
¹⁵ შქატ II, გვ. 101, № 94.
¹⁶ გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, სმმ, ტ. 5, 1930, გვ. 201.
¹⁷ „მატანე ქართლისაჲს“ წიგნი ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 315-316.
¹⁸ იქვე.



კახაბერი ცოლითურთ¹⁹. კახაბერ ნინიას ძის შვილი უნდა იყოს დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ხსენებული ნინია კახაბერის ძე.

მესამე ნინია გვხვდება დავით აღმაშენებლის სიგელში, რომელიც 1104-1118 წლებით არის დათარიღებული: „არიშინი გუეპაჯა, რაითამცა გაუშუით და გავათავისუფლეთ ნინია, გ(რი)გ(ო)ლ მოკრებლის შვილი²⁰, მეორეგან იმავე სიგელში წერია: „ნინია ნინიას ძე, გ(რი)გ(ო)ლ მოკრებლის შვილი²¹, ე.ი. სიგელში ნინია ნინიას ძე იხსენიება, მაგრამ ვინ არის გრიგოლ მოხრებელი გაურკვეველია.

მეთხუე ნინია არის ლიპარიტ IV ბაღვაშის ვაჟი, რომელიც „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, ბაგრატ IV-ს გაექცა „და ნინია მოკულა ბერძენთა ყმობასა შინაო“, ნინია ლიპარიტის ძე ზემოაღნიშნულ ისტორიულ პირებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს. იგი ბაგრატ IV-ის ეპოქაში ცხოვრობდა.

ზემოაღნიშნული ისტორიულ პირთა ქრონოლოგია ასე გამოიყურება:

- ნინია ლიპარიტის ძე - XI საუკუნის 50-იანი წლების მიწურული.
- ნინია ქუაბულის ძე - XI საუკუნის 70-იანი წლები.
- ნინია კახაბერის ძე - XI საუკუნის 80-იანი წლების მიწურული - 90-იანი წლები (ნინია ქუაბულის ძის შვილიშვილი).
- ნინია ნინიას ძე - 1104-1118 წლები.

აღნიშნული ნიანიებიდან ქართული ისტორიოგრაფია არცერთს არ მიიჩნევდა ნოველისიმოსად ან რაჭის ერისთავად.

მ. ბახტაძე თავის საკანდიდატო დისერტაციაში „საერისთავო „ქუეყნები“ და ერისთავობის ინსტიტუტი XI-XV საუკუნეების საქართველოში“. რაჭის საერისთავოსა და ერისთავთა ქრონოლოგიის გარკვევისას შეეხო ნიკორწმინდის წარწერის ნინია ნოველისიმოსის ერისთავობის საკითხსაც. მისი აზრით, საისტორიო წყაროებში ცნობილ ვერცერთ ნინიას ვერ გავავიციებთ ნიკორწმინდის წარწერაში მოხსენიებულ პირთან²². მ. ბახტაძე თვლის, რომ ნინია ნოველისიმოსი რაჭის ერისთავი უნდა იყოს. იგი ითვალისწინებს ვ. ბოჭორიძის მოსაზრებას, რომ ნიკორწმინდის წარწერა ტაძრის თანადროულია (1010-1014) და ნინია ნოველისიმოსის ერისთავობაც XI საუკუნის დამდეგით დათარიღდება.²³

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ^{რუმუხიშის წარწერაში} გვაქვს XI საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიული პირები: რაჭის ერისთავთა ერისთავი და ნოველისიმოსი ნინია და მისი ასული დეოფალთ დეოფალი (ალბათ ოდიშის) საგდუხტი. ეს უკანასკნელი ოდიშში ქტიტორულ საქმიანობას ეწევა - აშენებს ჯუარს ან ტაძარს.

¹⁹ ცხოვრებაჲ მუჟეთ მუჟისა დავითისი, გვ. 164-165.
²⁰ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, გვ. 15; № 7.
²¹ იქვე.
²² მ. ბახტაძე, „საერისთავო „ქუეყნები“ და ერისთავობის ინსტიტუტი XI-XV საუკუნეების საქართველოში“. დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1995, გვ. 66.
²³ იქვე, გვ. 71.



2. გრიგოლ გალატოზოუხუცესის წარწერა

აფხაზეთის მთისწინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი დიხაზურგა, რომელიც აღმინისტრაციულად გალის რაიონს ეკუთვნის. 1952 წლამდე დიხაზურგას „იდილი წიფური“ ეწოდებოდა. ასეთი სოფელი გვხვდება კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის 1654 წ. რუკაზე²⁴, რომელზეც აღნიშნულია ეკლესიის არსებობაც. „წიფურას მონასტერი - წერს ლამბერტი, აშენებულია ვაკეზე, ენგურის ნაპირად. ეს მონასტერი ახლა ჩვენების ხელშია. აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღმრთისმშობლის სახელობაზეა და მეორე წმინდა გიორგისაზე“²⁵. როგორც ჩანს, წიფურიაში, გვიან შუა საუკუნეებში, ორი ერთმანეთთან გაერთიანებული ეკლესია არსებობდა, რომელიც XVII საუკუნის შუახნებისათვის კათოლიკე მისიონერების ხელში ყოფილა.


ამჟამად დიხაზურგაში არსებულ ეკლესიის ნანგრევებს წმ. ბარბაღეს ეკლესიას უწოდებენ. ჩვენი საუკუნის დასაწყისში ამ ეკლესიის ნანგრევებში გვლხებმა იპოვეს ორი ქვა. ერთზე ამოკვეთილი იყო ქართული წარწერა, მეორეზე მამაკაცის ფიგურა.

მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების დავალებით წარწერა ინახულა და ფოტო გადაიღო ამავე საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრმა - ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა. მისი აღწერით ეკლესია, რომელშიც ნაპოვნი იყო წარწერა იანი ქვა, მდებარეობდა ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ახნაურ მიქაიას სამფლობელოში. მ. ჯანაშვილის აზრით, ტაძარი „Видимо была построена из камней той же белой породы, к которой принадлежит и вышеупомянутые камни с грузинскою надписью и изображениями людей и креста“²⁶. წარწერის ტექსტი იმთავითვე არასწორად იყო მიწოდებული მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებისათვის. „Получив... поручение проверить надпись гласящую „Григорью, старшему отцу галатов. 711. Аминь“²⁷, სინამდვილეში, როგორც ადგილზე მისვლის შემდეგ გაარკვია მ. ჯანაშვილმა, წარწერაში არ იყო „ни даты 711, ни слов отцу галатов“, მან გაასწორა აღნიშნული შეცდომა და წარწერა შემდეგი სახით წაიკითხა: „ქ. გრიგოლს გალატოს უხუცესს შ`ეს ლ`ნ ა`ნ“²⁸.

წარწერა მ. ჯანაშვილმა მეორედ გამოსცა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიის“ შენიშვნებში.²⁹

მ. ჯანაშვილის შემდეგ გრიგოლის წარწერა დაიკარგა და ხელმეორედ იქნა აღმოჩენილი, ამჯერად, დიხაზურგის სასაფლაოზე. ხელმეორე აღმოჩენის შემდეგ წარწერა დაცული იყო გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც ადგილზე შეისწავლა და გამოაქვეყნა ვ. სილოგავამ.³⁰

²⁴ ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, თბ., 1986, თანდართული რუკა.
²⁵ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭვინიამ, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ილია ანთელავამ, თბ., 1991, გვ. 107.
²⁶ М. Джанашвили, От Ново-Сенак до сел. Дихазурга, ИКОИМАО. Вып. II, 1907, გვ. 19.
²⁷ იქვე გვ. 18.
²⁸ იქვე გვ.
²⁹ იქვე გვ.
³⁰ ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერი ღვინთი, რედაქცია მ. ჯანაშვილისა, თბილისი, 1904, გვ. 303. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოცემა ქრონოლოგიურად უსწრებს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამოცემას.
³¹ იქვე II, გვ. 83, № 69.



ამჟამად კვლევის პროცესში გვაქვს წარწერის ერთადერთი ფოტო, რომელიც გამოაქვეყნა მ. ჯანაშია შეილმა(სურ. 1).³¹ აღნიშნულ ფოტოზე დაყრდნობით ჩვენს მიერ შესრულებულია გრაფიკული გადმონახვა, ხოლო წარწერის ფილისა და გრაფემათა ზომების მონაცემები მოგვყავს ვ. სილოგავას გამოცემიდან.

ოთხსტრიქონიანი მხედრული წარწერა ამოკვეთილია თეთრი კირქვის ფილაზე, რომლის ზომებია: 45x45x25-8. ფილის ზედა ნაწილი (თავი) მორკალულად არის გათლილი, მის შუაში გამოსახულია მაღალი რელიეფით შესრულებული, ბოლოებგამსხვილებული ჯვარი (43x29). ჯვრის მარცხენა მხარეს, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მკლავებს შორის, წარმოდგენილია მამაკაცის გამოსახულება მთელი ტანით, შესრულებული ასევე მაღალი რელიეფით. მამაკაცს ხელები ვედრების ნიშნად ჯვრისაკენ აქვს მიმართული. გამოსახულების სიმაღლე - 27 სმ, რელიეფისა 2,5-3 სმ. ღრმა კვეთით შესრულებული წარწერის პირველი სტრიქონი მოთავსებულია ჯვრის ვერტიკალური მკლავების ზემოთ, ხოლო მომდევნო სამი სტრიქონი - ჯვრის მარჯვენა უბეში, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მკლავებს შორის. ასოების სიმაღლე: 2-4-6-11 სმ. განკვეთილობის ნიშანი : ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; მეორე სტრიქონის დასაწყისში ჰორიზონტალურად განლაგებული (...) ქარაგმის ნიშანი: მორკალული, განივი ხაზი. გრაფემებს გადასმული აქვთ მოწითალო ფერის საღებავი.³²

დაზიანება: ფილის გვერდები ჩამოტეხილია. ვ. სილოგავას აღწერილობით, ასევე ჩამოტეხილია ჯვრის მარცხენა ზედა მკლავი, რაც ჯანაშვილისეულ ფოტოზე არ შეინიშნება. ჩანს ფილა შედარებით გვიან პერიოდში დაზიანდა. აღნიშნული დაზიანება წარწერის წაკითხვას ხელს არ უშლის.

ქრთს

კრმს

უხს

ქს:ლ
: აბ

ქ გ რ გ ო ლ ს : გ ლ ტ ს ი

: უ ხ ც ე ს

შ ს : ღ ა :

: ა ბ

³¹ М. Джанашивили დასახ. ნაშრომი, გვ. 20.



„ქ. გრიგოლს გ(ა)ლ(ა)ტ(ო)ს[თ]უხ(უ)ცე(ს)ს, შ(ე)უნდ(ო)ს* ლ(მ)ერთმ(ა)ნ(6)** ს(მ)ენ.“

ჯ.* შ ს ** ლ ა

წარწერის დათარიღებისას მ. ჯანაშვილმა მნიშვნელობა მიანიჭა დამწერლობის სახეს, რომელიც მისივე თქმით, „развившимся и вполне оформившийся из древнего "хуцури" в X-XI веках, к какому времени нужно отнести и постройку той же церкви, из развалин которой извлечены интересующие нас камни“³². ვ. სილოგავამ წარწერა XI საუკუნით დაათარიღა.

წარწერის დათარიღებისას უნდა გავითვალისწინოთ ტექსტში დაფიქსირებული სამოხელეო ტერმინი „გალატოზთუხუცესი“. მისი წარმოშობისა და ეტიმოლოგიის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ბედიის ტაძარზე ამოკვეთილი სვეტონ გალატოზთუხუცესის წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის განხილვისას. სვეტონის და გრიგოლ გალატოზთუხუცესის წარწერები ქრონოლოგიურად ერთი და იმავე პერიოდს მიეკუთვნება, ამიტომ წარწერას, ზოგადად, XI საუკუნით ვათარიღებთ (ამ შემთხვევაში ვითვალისწინებთ ბედიის წარწერის შექმნის დროსა და მხედრული ანბანის წარმოშობის საკარაულო ეპოქას).

გრიგოლ გალატოზთუხუცესის წარწერას, როგორც მხედრული დამწერლობის ერთ-ერთ უძველეს ძეგლს საქართველოში, უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ანბანის განვითარების, კერძოდ მხედრული დამწერლობის წარმოშობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ამ საკითხს სხვა ადგილას კვლავ შევეხებით.

3. წკელიკარის წარწერები

გალიდან 20 კმ მანძილზე, სოფ. რეჩხო-ციხრში, 1962 წელს ოჩამჩირელი მასწავლებლის საშუაგამასა და ტ. ლაკვილავას დახმარებით, დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ იქნა ეკლესია, რომლის გათხრების დროს ხელოვნებათმცოდნე ლ. შერვაშიძემ მიაკვლია ქართულ ლაპიდარულ და ფრესკულ წარწერებს.

აღნიშნულ ქრისტიანულ სალოცავს ადგილობრივი მცხოვრებლები წკელიკარს უწოდებენ, ამიტომ ეკლესია და მასში აღმოჩენილი წარწერები სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია წკელიკარის წარწერების³⁴ სახელით. წკელიკარის ტაძრის ზურთთმოდგრული სტილითა და ფრესკული მოხატულობების შესწავლისას ლ. შერვაშიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ტაძარი აგებული უნდა იყოს XI საუკუნეში, ხოლო ფრესკულ მოხატულობებში გამოყოფილი ფენა - XI საუკუნისა და გვიანფეოდალური

³² მწკ II, გვ. 83.

³³ М. Джанашивили, დასახ. ნაშრომი, გვ. 79

³⁴ სამწუხაროდ, ტაძრის წკელიკარის ძალზე გულუბრველო და ტენდენციური ახსნა აქვს ლ. შერვაშიძეს. მისი თქმით, ვინმე კ. შაკრილის ახნით, წკელიკარს „ცკარი“ ქქვია და იგი „საზღვარს“ ნიშნავს, ხოლო წკელიკარი არის აფხაზური „ცკარის“ ენობრივი ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული ტაბლიში. მართლაც ძალზე გულუბრველო ახსნაა, მაშინ როცა წკელიკარი ენობრივი ტრანსფორმაციის გარეშე იმავე ტაძრის XI საუკუნის წარწერაში იკითხება „მწკელიკარი“. შეიძლება, აქ კომენტარი ზედმეტია.



ეპოქის, კერძოდ XVI-XVII საუკუნეებისა. ტაძარში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ფრესკული წარწერებიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ის ფრაგმენტები, რომლებიც დაცულია ლ. შერვაშიძის ნაშრომში „Цкелкар(Ацкар)“⁶⁵. ამ ნაშრომის მიხედვით თუ ვივარაუდებთ, ტაძარი მოხატული ყოფილა და მასზე მოპოვებულია ეპიგრაფიკული ძეგლები. სამწუხაროდ, ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა ადგილზე შეგვესწავლა აღნიშნული წარწერები, ამიტომ ლ. შერვაშიძის ნაშრომზე დაყრდნობით წკელიკარის წარწერებში ცალკე ბუნქტად გამოვყავით ფრესკული წარწერები, სადაც თავი მოუყვართ ყველა ფრესკულ წარწერას, რომელიც დაცულია ლ. შერვაშიძის გამოკვლევაში, ან გამოქვეყნებულია ტაბულებში. გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა წკელიკარის ლაპიდარული წარწერების კვლევის საქმეში. ტაძარში აღმოჩენილი სამი ლაპიდარული წარწერა თავის დროზე გაშიფრა თ. ბარნაველმა და ლ. შერვაშიძემ გამოაქვეყნა ზემოხსენებულ ნაშრომში. გარდა ამისა, სამივე ლაპიდარული წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა ახლებური წაკითხვით მოგვცა ვ. სილოგავამ „ქართული წარწერების კორპუსის“ II ტომში.

ამჯერად ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილია სამი ლაპიდარული წარწერა და ფრესკული წარწერების ფრაგმენტები.

ა) წარწერა ეკლესიის საკურთხეველზე

წარწერა აღმოჩნდა 1962 წელს ტაძრის შელესილობით დაფარულ კედელზე ლ. შერვაშიძემ იგი ასომთავრულ დამწერლობად მიიჩნია: „над нишей нацарапана четырехстрочная надпись асомтаврული“⁶⁶. ვ. სილოგავას აზრით წარწერა სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურითაა შესრულებული.

ოთხსტრიქონიანი სწორი, ეპიგრაფიკული ნუსხური წარწერა ამოკარგულია ეკლესიის საკურთხეველზე ნიშის ზემოთ ჩასმულ ქვის ფილაზე. წარწერას განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს; ქარავმის ნიშანი სწორი განივი ხაზი.²⁷

დაზიანება: წარწერა დაზიანებული იყო აღმოჩენის დროსაც, რადგან ლ. შერვაშიძის სიტყვებით: „Она была впоследствии покрыта... тонким слоем штукатурки и краски“, ამიტომ წარწერის მხოლოდ ფრაგმენტული წაკითხვა მოხერხდა:

ჟსიჟ სსიძთღუ

ესე ს(ა)კ(უ)რთხევე [ლი]* [მე]**
 აღვმ [ართე]*** | წ(მიდლო) გ(იორგი),
 შეიწყალე | [.....] ჟამთა**** [.....]

ჟჟუ [.....] ჟჟჟჟჟ [.....]

ქ~ ჟჟჟჟჟჟჟჟჟჟ [.....]

ჟღჟთღუ [.....]

ბ: * ხსარა; ** მე... - *** აღმართე]. გავმართე. **** ბ: ხსარა


ბ) წარწერის ფრაგმენტი

ექვსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი შემორჩენილი კირქვის ფილის ხუთ ნატეხზე. ამათგან სამი ნატეხის ერთმანეთზე მორგება და გაბმული ტექსტის წაკითხვა შეიძლება, ხოლო ორი - განცალკევებითაა და ტექსტის უმნიშვნელო ნაწილებს შეიცავს. ფრაგმენტების ზომებია:

1. 14x15x6; 2. 12x16x6; 3. 13-7x15x6 მეოთხე და მეხუთე ფრაგმენტები შედარებით უფრო სქელეებია 4. 9x9-6x14; 5. 17x11, 5x8-9 ასოების სიმაღლე 4-3, 5-2. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ, ქარავმის ნიშანი: სწორი, განივი ხაზი³⁸.

დაზიანება: ქვა, რომელზეც წარწერა იყო ამოკვეთილი, ფრაგმენტებადაა ქცეული, ჩამოტეხილია ამ ფრაგმენტების კიდევებიც, ამიტომ წარწერის სრული წაკითხვა შეუძლებელია.

წარწერა დაცული უნდა იყოს დ. გულიას სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.



თ. ბარნაველის გრაფიკული მონახაზი

ვ. სილოგავას გრაფიკული მონახაზი

† ო: Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ [...]

Ⴅ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ


[Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ]: Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ

Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ: [...]

5 Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ.....

Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ [...]

³⁸ მს.ტ II, N176, გვ 152.
³⁹ იქვე, N177, გვ 153.



„† წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მწკელ [იკარისაო] * ,| მეოხ ეყა[ვ წ(ინაშე)]** ლ(მრ)თისა*** მონა[სა]**** მწკელისა |
[მერკილე[ს]***** | [...] ხუცე [სსა***** დღესა მას განკითხვისასა]”

ბ: * მწკ[ე]ლისო ს: მწკელ[იკარისაო] ს: ** წინაშე *** ლმრთისა ბ: **** მონასა, ს: ***** [თა]რკილ[ს
დღესა მას განკითხვისასა]; ბ: ***** ხოცე[სსა].


წარწერის წაკითხვაში აზრთა სხვადასხვაობაა. ლ. შერვაშიძე მეხუთე სტრიქონის შესახებ წერს: слово რკილ - непонятно. Возможно часть имени или фамилии просителя (Напр: Таркил)³⁹. ვსილოგავა აქ თარკილს კითხულობს. ჩვენი აზრით, უფრო მისაღები უნდა იყოს მერკილეს აღდგენა. თ. ბარნაველის გრაფიკულ გადმონახაზზე ჩანს რომ ახ⁷ გრაფემებს შემდეგ 1 ან 1 გრაფემა მოსდევდა. წინადადება ამკარად საკუთარი სახელის მიცემით ბრუნვას მოითხოვს. მაშინ ტექსტში მოცემული იქნებოდა „თარკილს“, მაგრამ გრაფიკულ მონახაზზე „სნის“ მოხაზულობა არ ჩანს. ეს გვაფიქრებინებს, რომ ახ⁷ გრაფემებს ამკარად 1 გრაფემა მოსდევდა, ამიტომ წარწერაში აღვადგინეთ „მერკილე“ - წმიდა მეომრის სახელი, რომელიც ხშირად არის წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკულ მასალებშიც.⁴⁰

გარდა აღნიშნული სხვაობისა, თ. ბარნაველის გრაფიკულ გადმონახაზში, მეექვსე სტრიქონში იკითხება ХСГ, როგორც ჩანს ვ. სილოგავას დროს მეოთხე ფრაგმენტზე აღნიშნული გრაფემები აღარ იკითხებოდა. მან ვარაუდით მოგვცა მეოთხე ფრაგმენტის შემდეგი წაკითხვა: [...]/ჩ⁹[...], ხოლო მეხუთე ფრაგმენტის წარწერას თ. ბარნაველი საერთოდ არ კითხულობს, ვ. სილოგავა კი აქ ტექსტს შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: [?][?][Q][?][?]+⁻ხ[?][?]⁴¹.

ვუფიქრობთ, მეოთხე ფრაგმენტის აღმოჩენისას იქ მართლაც იკითხებოდა ХСГ, ხოლო მოგვიანებით მისი ნაშთებიდან ვ. სილოგავამ მხოლოდ ჩ⁹ აღადგინა; ამიტომ ჩვენ მიერ წარმოდგენილ წაკითხვაში შევიტანეთ სიტყვა „ხუცესსა“, დანარჩენი დავტოვეთ ისე, როგორც კორაპუსის მეორე ტომშია მოცემული.

ლ. შერვაშიძე თ. ბარნაველის წაკითხვას „ხოცე[სსა]“ ვარაუდით ხსნის, როგორც „მთავარუხუცესი“ ან „მოლარეთუხუცესი“. „Поскольку перед „ხოცეს“ свободное место, здесь могло быть также „мთავარუხუცეს“ или придворное звание „მოლარეთუხუცესი“⁴². ჩვენი აზრით, აქ არ შეიძლება ვივარაუდოთ არც „მთავარუხუცესი“ (ასეთი სახელი ქართულ სინამდვილეში არ არსებობდა), არც „მოლარეთუხუცესი“, რადგან ამ სახელს საქართველოს ამ რეგიონში არცერთი დიდებული არ ატარებდა. გარდა ამისა ცნობილია, რომ დადიანები ატარებდნენ ვერ „მსახურთუხუცესის“ (ვარდან დადიანი), ხოლო მოგვიანებით „მანდატურთუხუცესის“ სახელებს (ბედანი, ვამეყ I, გიორგი, ხაყივი,

³⁹ Л.А. Шервашидзе, Цкелкар(Ашкар), გვ. 52.
⁴⁰ სამეგრელოში, კერძოდ გალის რაიონში, ხშირად გვხვდება გვარი მარკელია. ჩვენი აზრით, ამ გვარის წარმოშობა წმინდა მეომრის - მერკილეს სახელს უნდა უკავშირდებოდეს. „მერკილე“ წარწერებში ზოგჯერ „მარკილეს“ ფორმითაც გვხვდება. იმ. მ. ხალაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38, ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ. წგ-ში: დაბრუნება, ემიგრანტული ნაშრომები, ტ. II, თბ., 1991 წ. გვ. 480.
⁴¹ მწკ ტ. II, გვ. 154.



ობზევი, შამადავლა, ლევან I და სხვ.). თუ მხედველობაში მივიღებთ ლ. შერვაშიძის დათარგმნებას XI საუკუნით, მაშინ წარწერაში „მანდატურთუხუცესის“ ადღგენა შეუძლებელია, რადგან ეს სახელო დადიანებმა უფრო გვიან მიიღეს. „მსახურთუხუცესის“ ადღგენა შედარებით უფრო დასაშვებია (ვარდან დადიანი XII საუკუნის მოღვაწეა), მაგრამ გადაჭრით ამის თქმის საფუძველი არ გვაქვს, რადგან წარწერაში შეიძლება სხვა „უხუცესი“, მაგალითად „გალატოზთუხუცესი“ იხსენიება. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით წარწერის შემდეგ წაკითხვას ვიზიარებთ:

„+ წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მწკელ[იკარისაო] | მეოხ ეყ[ვ წ(ინაშ)ე] | ლ(მრ)თისა მონა[სა] | შ(ე)ნსა [შე]რკილეს[ს] [...] | ხუც[სსა] ღღესა მას განკითხვისასა[ა]“.

გ) რ~შ-ს წარწერა

სამსტრიქონიანი ნუსხური წარწერა ამოკვეთილია კირქვის ფილაზე, ზომა 24x24, 5x75 სმ. წარწერა შესრულებულია ღრმა კვეთით, მეორე და მესამე სტრიქონის დასაწყისი ასოები დაზიანებულია. ასოების სიმაღლე: 2-7-8. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი სწორი, განივი ხაზი⁴².

დაზიანება: ფილის მარჯვენა მხარეს ჩამოჭრილი უნდა იყოს სტრიქონთა დასასრული ასოები. ლ. შერვაშიძის აზრით, წარწერა ასომთავრულია, ვ. სილოგავა ნუსხურად თვლის; ჩვენი აზრით წარწერა შეიძლება ჩაითვალოს ასომთავრულნარევე ნუსხურ წარწერად, რადგან ტექსტში იკითხება ნუსხური და ასომთავრული გრაფემებიც:

რ̄ ო ზ ო ყ ყ
 მ ო ყ მ ყ ყ
 რ̄ ყ ო ყ ს ს

„წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ე)წყალე | რ~შ (?): მ(ე)ოხ ეყ(ავ) | წ(ინაშ)ე ქ(რ)ისტეს [ა]“

ვ. სილოგავა წარწერას XI საუკუნით ათარიღებს.

დ) წკელიკარის ფრესკული წარწერები

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ წკელიკარის ტაძარი მდიდრულად ყოფილა მოხატული და როგორც ჩანს, მოხატულობებს განმარტებითი წარწერებიც თან ახლდა. ტაძრის ფრესკულ მოხატულობაში ორი უნა განირჩევა X-XI და XVI-XVII საუკუნეებისა, ფრესკული წარწერებიც შესაბამისად უნდა დათარიღდეს (სურ. 15).

ადრეულ X-XI საუკუნეების მოხატულობებში ლ. შერვაშიძემ მიაკვლია გამოსახულების განმარტებით ერთსტრიქონიან წარწერას. „На отдельном камне на котором изображена часть головы всадника и с ним имеются буквы асомтаврули, составляющие конец слова

⁴² Л.А. Шервашидзе, დასახ. ნაშრომი, გვ 52.
⁴³ შქმ, ტ II, გვ 154.



ევსტატე. Это позволяет определить что здесь изображена сцена охоты святого Евстафия⁴⁴. წარწერა მოთავსებული ყოფილა წმ. ევსტათის ნიშთან.

1 ...ႲႲႱ „[წ(მიდა)ი ევსტატე]“

შ: ევსტატე.

წმიდა ევსტათის გამოსახულებასთან მოთავსებული ყოფილა წმ. გიორგისადმი მიმართული სავედრებელი წარწერა, რომელიც შესრულებული იყო მხედრული დამწერლობით: „МОЛИТВЕННАЯ НАДПИСЬ ПОД ИЗОБРАЖЕНИЕМ ЕВСТАФИЯ, АДРЕСОВАННАЯ СВЯТОМУ ГЕОРГИЮ, ИСПОЛНЕНА ПОЧЕРКОМ МХЕДРУЛИ“⁴⁵, სამწუხაროდ, სავედრებელი წარწერის ტექსტის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია. ლ. შერვაშიძე ევსტათის ნადირობის სცენას X-XI საუკუნეებით ათარიღებს. ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს გამოსახულების განმარტებითი წარწერაც.

ტაძრის სამხრეთ ეკვდერის გაწმენდისას აღმოჩნდა რამდენიმე ქვა, რომლებზეც შემორჩენილი იყო შელესილობის ფენა ფრესკული მოხატულობით. ერთ-ერთ ქვაზე გამოსახული იყო ქალის ფიგურა, რომლის თავთან ჩანდა ნიში: „рядом надпись асомтавраули по голубовато-серому фону - „წა მარინა“. როგორც ჩანს, ეკვდერში გამოსახული ყოფილა „წმიდა მარინა“-ს და კიდევ ერთი წმინდანი ქალის გამოსახულებანი, სამწუხაროდ, მეორე წმინდანი ქალის წარწერის გარჩევა ვერ მოხერხდა, რადგან ლ. შერვაშიძის მიერ გამოქვეყნებულ ტაბულაზე მხოლოდ ერთი ასომთავრული Ⴒ იკითხება. ამდენად სრული სახით მხოლოდ ერთი ფრესკული გამოსახულების განმარტებითი წარწერა შეიძლება წარმოვადგინოთ:

1.ႲႳ ႲႲႱႳႲ წ(მიდა)მარინა

შ: წა


ტაძრის მოხატულობის შედარებით გვიან ფენაში აღმოჩნდა ახალგაზრდა ქტიტორის უწვერული, მაგრამ გრძელუღვაშიანი სახე. მას თავზე მრგვალი, წითელი ქუდი ახურავს, რომელიც მორთულია მარგალიტებით. ლ. შერვაშიძის აზრით, ქტიტორის ჩაცმულობა, ქუდი და სახის მოხატულობა მიუთითებს, რომ მოხატულობა გვიანი ეპოქისაა.

ტაბულაზე ქტიტორის გამოსახულების თავთან ჩანს ასომთავრული წარწერა, რომელიც ლ. შერვაშიძის აზრით მიუთითებს, რომ „изображенный Чичуа, представитель одной из княжеских фамилии феодальной Западной Грузии“⁴⁶. როგორც ჩანს, წკელიკარის ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორი ადგილობრივი დიდებული ჩიჩუა იყო და იგი გამოსახული ყოფილა ტაძრის ფრესკულ

⁴⁴ Л.А. Шервашидзе, დასახ. ნაშრომი, გვ 46.

⁴⁵ იქვე

⁴⁶ იქვე.



მხატვრობაზე. სამწუხაროდ შერვაშიძის ნაშრომზე დართულ სურათზე არ იკითხება გვარამია ჩინუაძის ტაბულის მიხედვით, წარწერა ოთხსტრიქონიანი უნდა იყოს და ტექსტის მხოლოდ ცალკეული გრაფემები იკითხება.

ბზ

QC ... დ.... დ.... /[...] უა /[...] აფ [...] და [...]

CF ...

ბც

წკელიკარის სამხრეთ კედელზე ქტიტორთა შედარებით დიდი ზომის ფიგურებია გამოსახული. ლ. შერვაშიძის აზრით, ისინი შეიძლება უფრო მაღალი წრის დიდებულები არიან, ვიდრე ჩინუა, ან შესაძლოა სამეფო ოჯახის წარმომადგენლებია გამოსახული. „К сожалению фрагментарные надписи асомтаврული, сохранившейся на нимбе с изображением головы одного из этих лиц, не дают возможность ответить на вопрос кто эти лица“⁴⁷. ტაძრის დასავლეთის ერთ-ერთ ფრესკაზე წმ. გიორგის გამოსახულებასთან მოთავსებული იყო ხუთსტრიქონიანი მხედრული წარწერა: „Большая пятистрочная надпись мхедрули - молитвенное обращение к святому Георгию“⁴⁸. სამწუხაროდ, ვერც ამ წარწერის ტექსტის დადგენას ვახერხებთ.

ჩინუას წარწერა, დიდებულთა გამოსახულებებთან და წმ. გიორგის სავედრებელი წარწერა ერთი და იმავე პერიოდით - XVI-XVII სს თარიღდება, დანარჩენი წარწერები X-XI სს ფრესკულ წარწერათა რიცხვს მიეკუთვნება.

ერთი სიტყვით, ლ. შერვაშიძის ნაშრომმა ფრაგმენტულად, ზოგჯერ კი მხოლოდ ცნობის სახით, შემოგვინახა წკელიკარის ფრესკული წარწერები. ისინი ქრონოლოგიურად შეიძლება შემდეგი სახით დაავჯგუფოთ: X-XI სს წარწერები: 1. წმ. ევსტათის წარწერა; 2. სავედრებელი წარწერა წმ. გიორგისადმი ევსტათის გამოსახულებასთან, 3. წმიდა მარინას წარწერა; 4. უცნობი წმინდანის წარწერის ფრაგმენტი; XVI-XVII სს წარწერები: 1. ქტიტორ ჩინუას წარწერა; 2. წარწერა დიდებულთა გამოსახულებასთან; 3. ხუთსტრიქონიანი სავედრებელი წარწერა წმიდა გიორგისადმი.

ესაა ზოგადი სურათი იმ ფრესკული წარწერებისა, რომლებიც მოიპოვებოდა წკელიკარის ტაძარში. სულ ჩვენს ხელთ არის ფრაგმენტები 7 ფრესკული წარწერისა და სამი ლაპიდარული წარწერა. ჩვენი აზრით, აღნიშნული მასალა მიუთითებს, რომ წკელიკარის ტაძარი ერთ-ერთი მთავარი სამლოცველო იყო სამურზაყანოს რეგიონში.

⁴⁷ იქვე, გვ. 45.
⁴⁸ იქვე, გვ. 45.



4. ილორის წარწერები

ონამჩირიდან 3 კმ მანძილზე მდებარეობს სოფ. ილორი, რომლის შუაგულში აღმართულია XI საუკუნის I მეოთხედის ქართული ზუროთმოძღვრების ძეგლი - ილორის წმიდა გიორგის ეკლესია. იგი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ცენტრსა და სალოცავს წარმოადგენს. ვახუშტის მიხედვით: „ხოლო ზღვს კიდევდ, ამ წყლის დასავლეთ კიდევდ არს ილორის ეკლესია წმიდის გიორგისა... არს ეკლესია უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული. არამედ სილოვანებისა ვამო, რათა არა შეირყეს ეკლესია, მოუღიათ ქვა დიდ ფრიადი, ფიქალი და მას ზედა შენი არს სრულიად ეკლესია“⁴⁹.

ილორის ეკლესიაზე ცნობები გვხვდება კათოლიკე მისიონერთა შრომებში. იგი დატანილია არქანჯელო ლამბერტის 1654 წ. რუკაზე⁵⁰. კათოლიკე მისიონერთა გარდა ილორი ინახულა ჟან შარდენმა, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ, მარი ბროსემ, არქიმანდრიტმა ლეონიდემ, ა. პავლინოვმა, დ. ბაქრაძემ და სხვებმა.


ილორს, როგორც წინაქრისტიანული წარმართული რელიგიის ერთ-ერთ ცენტრს აფხაზეთში განიხილავს ნიკო მარიც⁵¹.

ილორის ეკლესია არქიტექტურულ - ზუროთმოძღვრული თვალსაზრისით შეისწავლა აფხაზმა მეცნიერმა ა. კაციაშვილმა⁵². იგი აღიარებს, რომ ეკლესია დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, მაგრამ აცხადებს, რომ „Он был построен в местности, священной культом древнеабхазского языческого божества Елып-ныха“⁵³. ამ თვალსაზრისის განსამტკიცებლად მკვლევარს მოჰყავს მაგალითები: ელირ ნიხა - ილორი, ლაშკანდარ ნიხა - ტყვარჩელი, ქიანი ნიხა - ჯგერდა და ა.შ. ვფიქრობთ, ეს არგუმენტები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ილორში აფხაზური წარმართული პანთეონის არსებობაზე ვისაუბროთ, მაშინ როცა „ილორი“ საქართველოში რამდენიმე სოფელს ჰქვია (აბაშისა და სამტრედიის რაიონებში).

ილორის ეკლესია პროპორციათა მოხდენილობითა და შესრულების ტექნიკური დონით ექცევა ნაგებობათა იმ წრეში, რომელშიც ჩანს შუა საუკუნეების საქართველოს წამყვანი რეგიონების ზუროთმოძღვრულ-მხატვრული მისწრაფებანი. იგი აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთით, სამხრეთ და დასავლეთის მხრიდან სხვადასხვა სახის მინაშენები აქვს.⁵⁴ ა. კაციას აზრით „Илорский храм является типичным примером единства средневековой Абхазии и Грузии, чьи исторические судьбы связаны навсегда и уходят в глубь веков“⁵⁵

ილორის ეკლესიის ფასადებზე დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ ლაპიდარული - ქვაზე ამოკვეთილი წარწერები. ფრესკული მოხატულობები და წარწერები დაცული არ არის, რადგან XVII საუკუნეში სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) მიერ შეკეთებული ილორის ეკლესია 1736

⁴⁹ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 779.
⁵⁰ ილ. ტაბაღა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ II (რუკა).
⁵¹ Н. Я Марр, Религиозные верования Абхазов, XV, III выпуск, IV том, 1915.
⁵² А. К. Кацья, Илори (памятник XI века), Сухуми, 1963.
⁵³ А. К. Кацья, Архитектурный памятник в Илори (Автореферат), 1968.
⁵⁴ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 108.
⁵⁵ А. К. Кацья, Архитектурный памятник в Илори გვ. 18-19.



წელს დაწვეს თურქებმა. ვახუშტის ცნობით, ტაძრის მოხატულობაც მაშინ განადგურდა: „შემოვიდნენ ოსმალინი ილორს. არამედ ხატნი, ჯვარი და საეპარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ. შეუღვეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღმარცხეს კრამიტი ბრპენისა და მოსპეს დახატულობანი“⁵⁶. ამ ტრაგედიის შემდეგ, ჯერ XVIII, ხოლო მოგვიანებით XIX ს 40-იან წლებში სამეგრელოს მთავრებმა, ილორის ეკლესია საფუძვლიანად შეაკეთეს და შეათეთრეს მისი კედლებიც. საფიქრებელია, რომ ის ფრესკული მოხატულობანი, რომელიც ტაძრის მრავალსაუკუნოვან კედლებს ამშვენებდა, ამ დროს უნდა გამქრალიყო (თუ გავითვალისწინებთ ლევან II დადიანის ილორის წმ. გიორგისადმი შენაწირავ ხატთა რაოდენობას, მაშინ სავარაუდოა, რომ იგი ტაძრის შეკეთებისას შესაბამის ფრესკულ მოხატულობასაც შეასრულებდა).

ეკლესიის არქიტექტურულ - ხუროთმოძღვრული შესწავლის პროცესში აკაციაშვილმა გადაიღო ლაპიდარული წარწერები, რომლებიც გაშიფრა თ. ბარნაველმა⁵⁷.

ილორის ყველა წარწერა მოთავსებულია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადში ჩასმულ ქვის ფილებზე. პირველ ორ ქვაზე ამოკვეთილია ორ-ორი წარწერა, მესამე ქვაზე ერთი, ხოლო მეოთხე ქვაზე არ იკითხებოდა სამსტრიქონიანი წარწერა; თ. ბარნაველმა ფრავმენტულად გაშიფრა ოთხი წარწერა, მეხუთე სრულად, ხოლო მეექვსე წარწერა, რომელიც ცალკე ქვაზე იყო ამოკვეთილი ა. კაციაშვილმა სიტყვებით „ПО ФТОСНИМКУ ПОЧТИ НЕВОЗМОЖНО РАЗОБРАТЬ, ПО НАЧЕРТАНИЮ ОТДЕЛЬНЫХ БУКВ ЭТА НАДПИСЬ ДОЛЖНА ОТНОСИТЬСЯ К ТОМУ ЖЕ ПЕРИОДУ ЧТО И ПРЕДИДУЩИЕ“⁵⁸.

ილორის წარწერები 70-იან წლებში ადგილზე შეისწავლა ვ. სილოგავამ და გამოაქვეყნა ქართული წარწერების კორპუსის მეორე ტომში. აქ გამოქვეყნებული ხუთი წარწერიდან 1.გალატოზის წარწერა, 2. გიორგის წარწერა, 3. წარწერის ფრავმენტი, 4. გიორგი გურგენიძის წარწერა, 5. გიორგი ქოჩოლვას წარწერა ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ გიორგი ქოჩოლვას წარწერის ფოტო, რომელიც გამოცემულია ხ. ბლაღას მონოგრაფიაში⁵⁹.

ა) გალატოზის წარწერა

ა. კაციაშვილმა მიერ დასახელებულ პირველ ქვაზე ამოკვეთილი ყოფილა ორი თითო სტრიქონიანი წარწერა. ზედა წარწერას ვ. სილოგავა გალატოზის წარწერით იხსენიებს. მისი აღწერილობით, „ერთსტრიქონიანი წარწერის ფრავმენტი, ნუსხური, ამოკვეთილია ქვის ფილაზე, რომელიც ჩასმულია ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში, სამხრეთ აღმოსავლეთის კუთხესთან, ზომა 59x35. წარწერას უჭირავს ფართობი 52x9-7. ფილა შეთეთრებულია კირით. ასოების სიმაღლე 2-5-9. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარავმის ნიშანია სწორი, განივი ხაზი.“⁶⁰

დაზიანება: წარწერის დასასრული ფილის გადარეცხვის შედეგად გადასულია.

ⵎ ⵙ ⵖ ⵓ ⵓⵔⵓⵎⵓⵏⵓⵔⵓⵎ [ⵍ] ⵓ ⵖⵓⵎ [...]

მწ(მიდა)ო გ(იორგი)ი ილორ(ი)საო, [შ](ეიწყალ)ე გ(ა)ლ[ატოზი]ა“.

⁵⁶ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა ... გვ. 886-887.
⁵⁷ А.К. Кация, Илори ... гв. 46-50.
⁵⁸ იქვე გვ. 50.
⁵⁹ Х.С. Бгажба, из истории письменности в Абхазии, 1967, рис. 10.
⁶⁰ შტ II, გვ. 159, N 186.



ვ. სილოგავას ვარაუდით წარწერაში „გალატოზის“ მაგიერ შეიძლება ყოფილიყო „გ(აბრიე)ლ(ა)ნ(ი) გ(რიგო)ლ“. თ. ბარნაველის წაკითხვით, „გალატოზის“ ადგილზე იკითხება „გიორგი“. აზრთა სხვადასხვაობაა წარწერის დათარიღებაშიც: ა. კაცია ილორის ყველა წარწერას XI სს. ათარიღებს⁶¹; ვ. სილოგავას აზრით, ეს წარწერები X-XI სს. უნდა დათარიღდეს.⁶²

ბ) გიორგის წარწერა

პირველი ქვის ქვედა წარწერა შესრულებულია მხედრულით. იგი ერთსტრიქონიანია და ამოკვეთილია იმავე ქვის ფილაზე, რომელზეც ამოკვეთილია პირველი წარწერა. ამიტომ ფილის ზომები შეორდება 59x35. წარწერას უჭირავს ფართობი 39x7. სტრიქონის შუა და დასასრული ნაწილი, ფილის გადარეცხვის წედევად გადასულია. ფილა შეთეთრებულია კირით. ასოების სიმაღლე: 2,5-5. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი სწორი, განივი ხაზი.⁶³

თ. ბარნაველის წაკითხვით: „ქ. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შეიწყ(ა)ლ(ე) მ(თავა)რ(ე)პ(ი)ზ(კოპოზ)ი გ(იორგ)ი“⁶⁴.

ვ. სილოგავას წაკითხვით: † წ ო გ ი შეიწყალე გ გ ი [...] „ † წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შეიწყალე [...] გ(იორგ)ი [...]“⁶⁵

აკაციას ვარაუდით, „По характеру письма обе эти надписи (მხედველობაში აქვს პირველ ქვაზე მოთავსებული პირველი და მეორე წარწერა ლ.ა.) по видимому являются одновременно“⁶⁶

გ) წარწერის ფრაგმენტები

აღმოსავლეთ ფასადის მეორე ქვაზე მიხედვით მოთავსებული ყოფილა ორი წარწერა, შესრულებული ასომთავრული და ნუსხური დამწერლობით.

ნუსხური წარწერა სამსტრიქონიანია. იგი სავანგებოდ არის გადაშლილი, განკვეთილობის ნიშნები არ ემჩნევა; ქარაგმის ნიშანი სწორი, განივი ხაზი, ვ. სილოგავას თქმით, ზომების აღება არ მოხერხდა.⁶⁷

1. † ო [სა] [...] რე შიქო [...]

2. [...] სიქ [...]

3. ო [...] ყრე

თ. ბარნაველის წაკითხვით: „[წმიდა] გიორგი, გიორგი ივანეს ძე (ილარიონის, იოსების?) ძე [შეიწყალე]“⁶⁸

⁶¹ А.К. Кация, Илори ...გვ. 46.
⁶² შქტ II, გვ. 159-161.
⁶³ შქტ II, გვ. 160, N 187.
⁶⁴ А.К. Кация, Илори ...გვ. 46.
⁶⁵ შქტ II, გვ. 160, N 187.
⁶⁶ А.К. Кация, Илори ...გვ. 46.
⁶⁷ შქტ II, გვ. 160, N 187.



ვ. სილოგავას წაკითხვით: „წ(მიდა)ლ[ო] [...]ლ მ(ი)ქ(ა)ლ [...]სა [...]ე [...] შენ“⁶⁹
როგორც ჩანს, წარწერის მესამე სტრიქონი ასომთავრულნარევი ნუსხური იყო.

დ) გიორგი გურგენის ძის წარწერა

სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია ქვის ფილაზე, რომელიც მოთავსებულია წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულების მარჯვნივ, ტაძრის სახურავის კეხის არეში. წარწერა შესრულებულია კიდურწერტილოვანი დამწერლობით. ფილის მარცხენა კიდე და მასზე მოთავსებული წარწერის სტრიქონთა დასაწყისი შელესილობით არის დაფარული. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი; ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი სწორი, განივი ხაზი.

[წ] ჟ [წ] დ ლ ო

[ს] ა ლ მ ი ქ ა ლ

[ს] ა ლ

ვ. სილოგავას მიხედვით: [წ(მიდა)ლ] გ(იორგი) [ილლ]რის(ა)ლ | [შ(ეიწყალ)ე] გ(იორგი) | გურგე[ნ]-ის ძე.

თ. ბარნაველის წაკითხვით: [წმიდალ] გიორგი ილ[ორისა]ლ ძეჲთ [შეიწყალე]⁷⁰.

გიორგი გურგენისძე ჩვენთვის ცნობილი სხვა წყაროებით უცნობია.

ე) გიორგი ქიჩოლვას წარწერა

ა. კაციას მიერ დასახელებულ მესამე ქვაზე ამოკვეთილია ზუთსტრიქონიანი წარწერა(სურ. 5); ვ. სილოგავა წარწერას ნუსხური დამწერლობის ძეგლებს აკუთვნებს. ჩვენი აზრით,გიორგი ქიჩოლვას წარწერა ნუსხურისაკენ მიდრეკილების მქონე ასომთავრული წარწერაა. წარწერიანი ფილა ჩასმულია ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში, ზემოთ, სამხრეთ აღმოსავლეთის კიდისაკენ; დამწერლობა კიდურწერტილოვანია და ფილის გადარეცხვის შედეგად ნაწერი ალაგ-ალაგ გადასულია (ფოტოზე ეს არ ჩანს ლ.ა) განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი; ქარაგმის ნიშანი: კიდურწერტილოვანი, სწორი, განივი ხაზი.

წი ო ო ო ო ო ო
 |
 ი ო ო ო ო ო ო
 |
 წი ო ო ო ო ო ო ო
 |
 ო ო ო ო ო ო ო
 |
 ო ო ო ო ო ო ო

⁶⁹ A.K. Кашия, Илори ...გვ. 46.
⁷⁰ შქ.ტ. II, გვ. 460.
⁷¹ A.K. Кашия, Илори ...გვ. 49.



ქ ი ლ ო ო რ გ ი

ხ ი ო ო რ გ ი

ქ ი ო ო რ გ ი

პ რ: ბ ზ ს ს

პ რ: ბ ი ო ს ს

„წმ(იდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე | გ(იორგ)ი ქიქო ლ ვაძ მღღ(ელი); | წმ(იდა)ო გ(იორგ)[ი] მფარ-
(ვე)ლ მექ | მენ დიდსაქმას დღესა“


თ. ბარნაველისა და ვ. სილოგავას წაკითხვებს შორის განსხვავება არ არის, წარწერის კიდევ ერთი გამშიფრელი თ. ხაფიძია მღღ(ელი)-ს მაგიერ დასაშვებად მიიჩნევს „მღ(ალა)დ(ებე)ლი“-ს აღდგენას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილორის ხუთივე წარწერა, დამატებული მეექვსე გაუშიფრავი წარწერაც ამოკვეთილია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე მოთაკებულ ოთხ დიდ ქვაზე, რომელთა განლაგება ასეთი სახისაა: „Самый крупный по величине камень с рельефом и другой поменьше с надписью расположены под коньком крыши, по обе стороны оси фасада. Третий и четвертый камни расположены произвольно над окном и наконец пятый лежит на цоколе в нижнем южном углу фасада“. წარწერების ასეთი განლაგება გვაფიქრებინებს, რომ ისინი მშენებლობის დროს უნდა იყოს შესრულებული. ამ დებულებაზე მიუთითებს პალეოგრაფიული თავისებურებანი, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ილორის წარწერებს უადრესად დიდი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება გააჩნიათ აუხაზეთის მხარეში დამწერლობის განვითარების, ასევე ილორის ეკლესიის ისტორიის კვლევისთვისაც. სამწუხაროდ, წარწერათა დიდი ნაწილი ფრაგმენტულადაა გაშიფრული (ერთი წარწერა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთოდ არ არის ამოკითხული). ჩვენს ხელთ არ არის წარწერების ფოტოები ან გრაფიკული მონახაზები. ამიტომ რაიმე სერიოზული მსჯელობისათვის ხელმოსაჭიდი მასალა არ გვაქვს. მიუხედავად ამისა, ის, რაც გამოცემულია (გიორგი ქიქოლავას ფოტო და ხუთი წარწერის ტრანსკრიპცია კორპუსის მეორე ტომში) შესაძლებლობას გვაძლევს, რამდენიმე მოსაზრება გამოეთქვას.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით, საყურადღებოა ის მომენტი, რომ ეკლესიის ფასადზე წარმოდგენილ ექვს წარწერაში მოცემულია ქართული დამწერლობის განვითარების სამივე საფეხური: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული ანბანები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მრავალფეროვნება, როცა ტაძარზე ამოკვეთილ წარწერებში დამწერლობის სამი სახე, ერთი და იმავე დროით თარიღდება, იშვიათად გვხვდება.

წარწერების ბოლო გამოცემების ტრანსკრიპციის გათვალისწინებით ჩანს, რომ მათი ავტორ-შემსრულებელი ერთი პიროვნება უნდა იყოს (აქვე უნდა დავახუსტოთ ისიც, რომ ილორის წარწერების



დამკვეთი რამდენიმე პიროვნება ჩანს). ამაზე მიუთითებს რამდენიმე გარემოება. პირველთა შორის შემსრულებელი ყველა წარწერაში იყენებს სიტყვათა გადმოცემისა და დაქარაგმების ერთი და იმავე წესებს. მაგალითად, სიტყვები: „წმიდაო“, „გიორგი“, „შეიწყალე“ ყველა წარწერაში დაქარაგმებულია შემდეგი სახით: წ ო ; გ ო ; შ ო (იხილეთ გალატოზის, გიორგი გურგენიძის, გიორგი ქოჩოლვას წარწერები). ნაწილობრივ, ეს მოვლენა შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარწერების ამომკვეთაგის მიერ ქართულ ეპიგრაფიკაში მიღებული დაქარაგმების წესების დაცვა; ამავე დროს იგი ადასტურებს, რომ ყველა წარწერა ერთი ოსტატის ნამუშევარია.

მეორე გარემოება მდგომარეობს იმაში, რომ ყველა წარწერაში ოსტატის მიერ დაშვებულია ერთნაირი შეცდომები, კერძოდ, არცერთ წარწერაში, გარდა მხედრულით შესრულებულისა, იგი არ თვარგლება ერთი ანბანით, იყენებს, უფრო სწორად, ერთმანეთში ურევს ნუსხური და ასომთავრული ანბანის გრაფემებს. ეს მოვლენა დამახასიათებელია ილორის ყველა წარწერისათვის (გარდა მხედრულით შესრულებული გიორგის წარწერისა). ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გიორგი ქოჩოლვას წარწერა. აღნიშნული წარწერა ვ. სილოვაგამ, როგორც აღვნიშნეთ, მიიჩნია ნუსხური დამწერლობის ძეგლად. ვფიქრობთ, პატივცემული შკვლეკარის ეს მოსაზრება ემყარება წარწერაში დაფიქსირებულ ერთ პალეოგრაფიულ მოვლენას, კერძოდ, აქ დარღვეულია ასომთავრულისათვის დამახასიათებელი ორხაზოვანი საწერი ბაღე და აშკარად ჩანს ოთხხაზოვანი საწერი ბაღის გამოყენების მომენტი. განვიხილოთ გრაფემათა პალეოგრაფიული თავისებურებანი ცალ-ცალკე:

გიორგი ქოჩოლვას წარწერაში ამოკვეთილია 50 გრაფემა, მათგან 10 გრაფემა ორჯერ და მეტჯერ მეორდება, სულ წარმოდგენილია 19 ქართული ასო-ნიშანი. 50 გრაფემიდან 32 ასო-ნიშანი შესრულებულია ასომთავრული დამწერლობით, ხოლო დანარჩენი ნუსხური ან ნუსხურნარევი გრაფემებით. ზოგიერთი გრაფემა ერთ სიტყვაში მოცემულია ასომთავრულით, მეორეში ნუსხურით. მაგალითად „ანი“ სიტყვაში „ქოჩოლვაჲ“ მოცემულია ასომთავრულით, ხოლო სიტყვაში „მფარ(ვე)ლ“ , „მას დღესა“ წარმოდგენილია ნუსხურით; სიტყვაში „დიდსა“ „ანი“ მიდრეკილებას იჩენს განუსხურებისაკენ. მისი ქვედა მომრგვალებული ნაწილი აშკარად მრგვლოვანი ასომთავრულისათვის დამახასიათებელი მოხაზულობით წარმოვადგება, ხოლო ქუდი გრაფემის მომრგვალებულ ნაწილთან თავისებურ კუთხეს ქმნის. მთლიანად „ანი“ წარწერაში მოცემულია ხუთჯერ (იხილეთ გრაფიკული მონახაზი და ტაბულა №1). „ანი“-სათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა სხვა გრაფემებშიც იჩენს თავს. ამ მხრივ საყურადღებოა გრაფემა „სანი“. სიტყვაში „დიდსა“ იგი მოცემულია მრგვლოვანი ასომთავრულისათვის დამახასიათებელი ასოს ტარითა და მომრგვალებული ქვედა რკალით, ხოლო სიტყვებში „მას“ და „ღღესა“ გრაფემის ქვედა მომრგვალებული მოხაზულობა გაკუთხოვანებისაკენ იჩენს მიდრეკილებას.

აშკარად ასომთავრულისათვის დამახასიათებელი მოყვანილობითაა წარმოდგენილი გრაფემები: „ღონი“, „შინი“, „მანი“, „რაე“, „წილი“.

„ღონი“ ოთხჯერ არის ამოკვეთილი ქვაზე და ოთხივეჯერ მომრგვალებული წრით, პატარა ყელითა და კიდურწერტილოვანი ქუდით. სიტყვაში „მღღ(ე)ლი“ „ღონ“-ს შედარებით დაბალი ყელი აქვს, ვიდრე დანარჩენ („დიდსა“, „ღღესა“) სიტყვებში, მაგრამ ეს არ არღვევს ასომთავრულისათვის დამახასიათებელ მოხაზულობას და ამავე დროს აშკარად არ ჰკავს ნუსხურ „ღონ“-ს.



„მინი“ ერთხელ არის წარმოდგენილი წარწერაში. გრაფემის ვერტიკალურ ტარს თავთან მარჯვნიდან მიდგმული აქვს კუთხე, ხოლო ძირთან მარცხნიდან აქვს ღია, გახსნილი მარყუჭი (შეადარეთ ნუსხური „მინი“ ტაბულაზე).

„მან“-ის მარყუჭი ზოგიერთ შემთხვევაში მომრგვალებულია, ზოგჯერ კი გაკუთხოვნილი, მიუხედავად ამისა, ამ გრაფემის საერთო მოხაზულობა ყველა შემთხვევაში (იგი ხუთჯერაა მოცემული) ასომთავრულისათვის უფრო დამახასიათებელია, ვიდრე ნუსხურისათვის.

„რაე“ წარწერაში ერთხელ გვხვდება სიტყვაში „მფარველ“. გრაფემის ვერტიკალური ტარი ქვემოთ მოაზრდება მარყუჭით. ტარს მარჯვნივ, შუა ნაწილის ქვემოთ მიდგმული აქვს გახსნილი მარყუჭი, რომელიც ბოლოვდება მსხვილი წერტილით. ასეთი მოხაზულობის „რაე“ აშკარად ასომთავრულია.

ასევე ასომთავრული გრაფემითაა ორჯერ გადმოცემული „წილი“ სიტყვაში „წ(მიდა)ო“. პირველ შემთხვევაში მისი ვერტიკალური ტარი წარწერის სამი სტრიქონის სიმაღლისაა, ზემოთ ტარის მარჯვენა მხარეს მიდგმული აქვს შეკრული მარყუჭი. მარყუჭის ოდნავ დაბლა გრაფემის ტარიდან მარჯვნივ გაზიდულია პატარა განივ ხაზი. ეს მოხაზულობაც აშკარად ასომთავრულია, რადგან ნუსხური ანბანის „წილი“ შედარებით განსხვავებული გრაფიკული მოხაზულობით გვხვდება ეპიგრაფიკულ ნუსხურში.

ასომთავრულისათვის დამახასიათებელი მოხაზულობა აქვს „განი“ გრაფემას. იგი წარმოდგენილია სამჯერ. სიტყვაში „გ(იორგი)“, მართალია, „განი“ ოთხხაზოვანი საწერი ბადის ქვედა რეგისტრშია ჩაწერილი, მაგრამ მისი გრაფიკული სახე ზოგჯერ (მესამე შემთხვევაში) შეიძლება ასომთავრულიდან ნუსხურისაკენ გარდამავალ საფეხურად მივიჩნიოთ. ჩვეულებრივ ნუსხური „განი“ გრაფემის ტარის ზედა ნაწილში შეწყულია მარცხნივ და შემდეგ ღებულობს ოდნავ მომრგვალებულ ფორმას. ტარს თავზე ადევს მარცხნივ გაზიდული სწორი ხაზი, რომლის შუაში ტარის მარცხნივ შეხუჭილ ნაწილამდე ეშვება პატარა, მოკლე ხაზი. ვიორგი ქოჩოლვას წარწერის „განი“ კი სამივე შემთხვევაში წარმოდგენილია სწორი ხაზით, რომელსაც ასევე სწორი პატარა ხაზი ადევს თავზე (ეპიგრაფიკული ნუსხური ტაბულაში წარმოდგენილია ამბროლაურის რაიონის ზემო კრიხის გოგას წარწერის მიხედვით)⁷¹.

ასომთავრულისათვის დამახასიათებელი გრაფიკული მოხაზულობა აქვს გრაფემა „ვინ“-საც. იგი მოცემულია გრაფემის სწორი ტარით, რომელსაც თავზე ადევს მარცხნივ გაზიდული ხაზი, მის შუაში ზემოდან ქვემოთ ჩამოდის პატარა მოკლე ხაზი. გრაფემის ტარის მარჯვნივ, შუა წელზე ზემოთ გაკეთებულია კუთხოვანი მარყუჭი (შევადართო ეპიგრაფიკული ნუსხური „ვინ“ ზემო კრიხიდან⁷² და ს. ბარის ეკლესიიდან⁷³. იხ. ტაბულა).

ასევე არ ჰგავს ნუსხურს გრაფემა „ენი“, თუმცა ისიც ოთხხაზოვანი საწერი ბადის ქვედა რეგისტრშია ამოკვეთილი, მაგრამ მისი მოხაზულობა შეესაბამება ასომთავრული „ენის“ მოხაზულობას. საწერი ბადის ზედა რეგისტრშია ჩაწერილი „ნარი“, რომელსაც მარჯვნივ მომრგვალებული მარყუჭი აქვს მიდგმული, ხოლო თავზე მარჯვნივ გახუჭილი სწორი ხაზი ადევს (შდრ: ეპიგრაფიკული ნუსხური „ნარი“ მარგვეთის ეკლესიიდან⁷⁴, ასევე მაცხვარიშის ეკლესიიდან⁷⁵).


⁷¹ შწ.ტ II, გვ. 42, N 18.

⁷² იქვე.

⁷³ შწ.ტ II, გვ. 68, N 46.

⁷⁴ შწ.ტ II, გვ. 49, N 29.

⁷⁵ შწ.ტ II, გვ. 51, N 31.



გრაფემა „ღანი“ ილორის წარწერაში ორჯერაა წარმოდგენილი და ცალკეულ შემთხვევაში მოცემულია განსხვავებული მოხაზულობით. სიტყვაში „მღ(ე)ლი“ იგი ასომთავრულსათვის დამახასიათებელი მომრგვალებული სახითაა, ხოლო სიტყვაში „მღესა“ იგი გაკუთხოვნილია (იხ. ტაბულა).

წარწერაში აშკარად ნუსხური გრაფემებია „ლასი“, „ინი“, „ფანი“ და „ქანი“. ეს უკანასკნელი შეიძლება ასომთავრულიდან ნუსხურისაკენ გარდამავალ გრაფემად ჩაითვალოს. ასევე განუსხურების ტენდენცია შეიმჩნევა „ონი“-ს მოხაზულობაშიც, თუმცა მას, ნაწილობრივ, შენარჩუნებული აქვს დამახასიათებელი მრგვლოვანი სახე.

„ინი“ და ზიანებულია წარწერის მესამე სტრიქონში, სიტყვაში „გ(იორგ)ი“; თავისებური მოხაზულობითაა წარმოდგენილი მ(იოტა). იგი არც ასომთავრულია და არც ნუსხური, შეიძლება ითქვას, მათ შორის შუალედური გრაფიკული მოხაზულობა გააჩნია.

წარწერის ზემომოყვანილი პალეოგრაფიული თავისებურებანი მიუთითებს, რომ გიორგი ქოჩოლვას წარწერა ასომთავრული დამწერლობის, ან განუსხურების მიდრეკილების მქონე ასომთავრული დამწერლობის ძველად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, წარწერა ამოკვეთილია ოთხხაზოვან საწერ ბადეში, მაგრამ ქართულ ეპიგრაფიკაში ასეთი წარწერები ცნობილია როგორც აღმოსავლეთ და სამხრეთ, ისე დასავლეთ საქართველოდან, მათ შორის აფხაზეთიდან.

გიორგი ქოჩოლვას წარწერა აშკარად მიუთითებს ქართულ დამწერლობაში მიმდინარე რთულ პროცესებზე. როგორც ჩანს, ასომთავრულში განუსხურების პროცესი ჯერ ორხაზოვანი საწერი ბადის რღვევის ტენდენციებით დაიწყო, შემდეგ ცვლილებები თანდათან გრაფიკულ მოხაზულობასაც დაეტყო (ორხაზოვანი საწერი ბადის რღვევის პროცესი ჩანს, აგრეთვე, ლუკას წარწერაში წებელდიდან, თუმცა განუსხურების პროცესი აქარ შეიმჩნევა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ ზელთ არა გვაქვს ილორის დანარჩენი წარწერების ფოტოები და მოხაზულობანი; ქართული წარწერების კორპუსის მეორე ტომში მოცემულია აღნიშნულ წარწერათა ტრანსკრიპცია. მათზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ გიორგი ქოჩოლვას წარწერა ერთადერთი არ არის ილორის წარწერებს შორის, რომელშიც ჩანს ასომთავრული და ნუსხური გრაფემების ერთობლივი გამოყენების მომენტი. ვალატოზის წარწერაში ამოკვეთილი ყველა გრაფემა მოცემული ტრანსკრიპციის მიხედვით ნუსხური უნდა ყოფილიყო. გიორგი გურგენიძის ასომთავრულ წარწერაში, პირველ სტრიქონზე ორი გრაფემა ნუსხურითაა მოცემული უ[~] 1, ასევე ნუსხურია იგივე სიტყვა მეორე სტრიქონში. მესამე წარწერის (წარწერის ფრაგმენტი ნუსხურია) მესამე სტრიქონში სამი გრაფემა მოცემულია ასომთავრული დამწერლობით. ვფიქრობ, ეს მოვლენაც დამწერლობაში მიმდინარე ცვლილებებს ასახავს, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს, რომ ყველა წარწერის ოსტატი ერთი და იგივე პიროვნება იყო. აქედან გამომდინარე, ილორის ყველა წარწერა ერთ ეპოქაში უნდა იყოს ამოკვეთილი. ჩვენს აზრით, მათი ქრონოლოგია ტაძრის მშენებლობის პერიოდით, კერძოდ, XI საუკუნის I ნახევრით უნდა განისაზღვროს.

1. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵𐌹𐌳

2. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵𐌹𐌳

3. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

4. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

5. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

6. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

7. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

8. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

9. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

10. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

11. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

1. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

2. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

3. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

4. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

5. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

6. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

7. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

8. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

9. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

10. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

11. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

1. 𐌲 2. 𐌲 3. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

1. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

𐌲 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

1. 𐌲 2. 𐌲 3. 𐌲 4. 𐌲

1. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

𐌲 𐌲 - 𐌱𐌰𐌶𐌵

1. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

2. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

1. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶
2. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶
3. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

1. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

2. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

3. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

4. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

1. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

2. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

3. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

4. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

1. 𐌲 - 𐌱𐌰𐌶

Handwritten signature



5. მოქვის წარწერა

ოჩაჩირიდან 15-იოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს მოქვის ეკლესიის შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლი. ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, მოქვის ტაძარი აფხაზთა მეფე ლეონ III-მ (957-967 წწ) ააგო. მასვე დაუარსებია საეპისკოპოსო კათედრაც. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით: „შეიქცა ლეონ და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თჳსსა... იყო იგიცა ღმრთის მოყვარე და საესე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკლესია მოქვსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ“⁶⁶. დაახლოებით იმავე ცნობებს იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონიც: „არს მოქეს ეკლესია გუმბათიანი, ღიდნაგები. აღაშენა თ მეფემან აფხაზთამან ლეონ, შემკობითა ღიდითა; ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოლორის მღინარისა და მოქეს მღინარის შორისის ადგილისა.“⁶⁷

მოქვი ხშირად გვხვდება უცხოურ წერილობით წყაროებშიც. მას მოიხსენიებს V ს. ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, VII საუკუნეში მას იხსენიებს თეოდოსი განგრელი „მიქვას“ ფორმით. 1614 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ნახსენებია „მოქვი სამეგრელოში“⁶⁸. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს საეპისკოპოსო ეკლესიების ჩამოთვლისას, ასახელებს მოქვს, „რომელიც მდებარეობს ფართო ვაკეზე ორ მღინარეს შუა; ეს ორი მღინარე ერთად შეიყვრიბიან და მათ შორის მდებარე ადგილი წარმოადგენს ნახევარკუნძულს. ეს ეკლესია აშენებულია, აგრეთვე, ღმრთისმშობლის სახელობაზე და ეპისკოპოსს ჰქვია მოქველი“⁶⁹. იმავე არქანჯელო ლამბერტის 1654 წ რუქაზე მოცემულია მოქვი, როგორც საეპისკოპოსო კათედრა⁷⁰.

თავის დროზე მოქვი მონიახულეს დიუბუა დე მონპერემ, მარი ბროსემ, დიმიტრი ბაქრაძემ, ა. პაველინომ, პ. უვაროვამ და სხვ.

ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ მოქვში, საუკუნეების განმავლობაში, არსებობდა ძლიერი ქართული კულტურის კერა, სადაც მიმდინარეობდა ხელნაწერთა გამრავლება, ძველი ნუსხების განახლება-გაცხოველება და სხვ. მოღწეულია მოქვის წიგნსაცავის ხელნაწერები, რომლებიც გვამცნობენ მოქველ მოღვაწეთა სახელებს. თვალსაჩინოა დანიელ მოქველის თაოსნობით 1300 წელს გადაწერილი ოთხთავი. იგი მოხატულია მდიდრულად, შემკულია ხელოვნებით შესრულებული ორნამენტებით. გადამწერი და გამფორმებელია ბერი ეფრემი. ლ. მენაბდეს აზრით, ეს ხელნაწერი მოწმობს, თუ რა მაღალ დონეზე იყო მწიგნობრობა მოქვში.⁷¹ მოქვის ოთხთავის ფიცრული ყდა ზემოდან გადაკრულია წითელი ხავერდითა და მოოქროული ვერცხლის მოჭედილობით, შიგნით კი მუყაოზე დაკრული ტყავით. მოჭედილობის ცენტრში გამოსახულია ჯვარცმა, კუთხეებში - ანგელოზები; ჯვარცმის ზემოთ ამალღებაა გამოსახული, ქვემოთ მღვდელთმთავარი. ჯვარცმის მარჯვნივ და მარცხნივ კი ანგელოზები⁷². ს. ჯანშიას თქმით - „მოქვის ოთხთავი“ იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ იგი შესრულებულია მაშინ, როდესაც საქართველოს ნახევარ საუკუნეზე მეტი ჰქონდა გამოვლილი მონგოლთა ბატონობის უღელი და ეს

⁶⁶ „მატიანე ქართლისაჲს“ წიგნ: ქართლის ცხოვრება, ტ. I გვ. 270.

⁶⁷ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა ... გვ. 781.

⁶⁸ ილ. ტაბაღუა, საქართველო ვერპოის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ II გვ. 221.

⁶⁹ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 107.

⁷⁰ ილ. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, რუქა.

⁷¹ ლ. მენაბდე, ძველი ქართული კულტურის კერები, თბ., 1992, გვ. 108.

⁷² გ. ფრანკია, დაბრუნებული საუნჯე, თბ., 1983, გვ. 13.



ძველი მჭევრმეტყველურად მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ გრძელდებოდა ჩვენი კულტურული შემოქმედება, როგორ შეინარჩუნა ხალხმა მისი მალალი დონე ამ უმძიმესა და უმწველეს პირობებში⁸³

მოქვეში არც შემდგომ საუკუნეებში შეწყვეტილა მწიგნობრული საქმიანობა; საფიქრებელია, რომ მოქვის ეკლესია, რომელიც ასეთი დიდი კულტურული საქმიანობის კერა იყო, მდიდარი იყო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებითაც. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, რომელიც 1659 წ. იმყოფებოდა მოქვეში, იხსენებს შემდეგი შინაარსის ბერძნულ წარწერას: „მოხატა იმპერატორ ალექსი კომნენის და დავით დიდი აფხაზთა მეფის დროს“⁸⁴. თ. ყაუხჩიშვილს საქართველოში ნაპოვნი ბერძნული წარწერების შესწავლისას მოჰყავს ი. პომიალოვსკის აზრი, რომ ეს წარწერა ზუსტი არ უნდა იყოს, რადგან დოსითეოსს ზებირად მოჰყავს ასეთი ცნობები⁸⁴. ხოლო თუ ამოსავლად მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს გაერთიანების შემდეგ ჩვენს ტერიტორიაზე დაცულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში არსად გვხვდება ბერძენთა (ბიზანტიელი) მეფეების მოხსენიება, ამ მხრივ - წერს თ. ყაუხჩიშვილი, ი. პომიალოვსკივე შორს უნდა წავიდე. დოსითეოსის ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს; დოსითეოსმა, როგორც ბერძენმა, თვითონ დაუმატა ალექსი კომნენის სახელი ამოკითხულ წარწერას. წარწერა შესაძლებელია ბერძნული იყო, მაგრამ მასში დამატებული დებოდნენ მართო დავით აღმაშენებლის მოხსენიებით, ალექსი კომნენის ხსენება არც დასჭირდებოდათ და არც მოუნდებოდათ. შესაძლებელია წარწერაში დავითთან ერთად ნახსენები იყო ადგილობრივი მღვდელთმთავარი და სხვა ვინმე პირი, რომელმაც უშუალოდ, პირადად დასდო ლეაწლი ამ საქმეს. ე.ი. მოქვის ტაძრის მოხატვას. მოქვის წარწერა თუ ასეთი შინაარსისა იყო იგი უნდა დათარიღდეს ასე: ალექსი კომნენი მეფობდა 1081-1118 წწ, ხოლო დავით IV - 1089-1125 წწ, მაშასადამე წარწერა შესრულებული უნდა იყოს 1089-1118 წლებში⁸⁵. თუ გავიზიარებთ თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას, მოქვის ეკლესიაში დავით აღმაშენებლის დროს უთუოდ იქნებოდა ქართული წარწერებიც, შესაძლებელია წარწერების ძირითადი ნაწილი ფრესკული იყო, რადგან ბერძნულ წარწერაში სწორედ ტაძრის მოხატვა ზეა საუბარი. ფრესკული წარწერების განადგურება კი მომდევნო საუკუნეებში ტაძარში მიმდინარე რესტავრაციების დროს მოსალოდნელი უნდა იყოს. 1902 წელს თ. ჟორდანიას გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის დროს განახლებულ ან უკეთ რომ ვთქვათ გაფუჭებულ მოქვის ტაძარში უჩინონი გახდნენ ქართული წარწერანი“⁸⁶. აღნიშნულ გარემოებას ზედ დაერთო „ქართულის მოძულეთა“ ე.წ. „უმეცართა“ საქმიანობა, რომლებმაც აბუკით და ნადართი გამოაცხადეს ვითომ მოქვის ტაძარი ქართული ხელოვნება არ იყოს, ვითომ აფხაზეთში ქართული კულტურის გავლენა არ ყოფილიყოს. ამისთანა გვამნი ქართულ წარწერას თუ სადმე მოიხელოებდნენ, ჰშლიდნენ, რყვინდნენ და კედლებზე ჯღაბინდნენ ბერძნულ წარწერათა“⁸⁷.

ზემოხსენებული ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ მოქვის ტაძარი მდიდარი იყო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებით. სამწუხაროდ, მათგან მხოლოდ ერთი წარწერა გადარჩა. მისი ფოტოგრაფიკი მინაზე დაცული იყო გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფოტოთეკაში.

⁸³ იქვე, გვ. 13.
⁸⁴ Помяловский И. Сборник греческих и латинских надписей Кавказа. Москва, 1881, გვ.35; თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.
⁸⁵ იქვე.
⁸⁶ ჟორდანიას, მოქვის ეკლესიის ომფორი ისტორიული წარწერებით. გაზ. ივერია, № 92, 1902.



გრიგოლის წარწერა.

ვ. სილოგავამ „ქართული წარწერების კორპუსის“ მეორე ტომში მოგვცა შემოხსენებული ფოტო-ნეგატივიდან მიღებული ანაბეჭდის მიხედვით შესრულებული წარწერის აღწერილობა (სურ. 12).

სამსტრიქონიანბნასომთავრული წარწერა ამოკვეთილი ყოფილა ქვის ფილაზე, რომელიც ქვედა კიდეზე გაკეთებული ფოსოს მიხედვით სარკმლის ზედანს წარმოადგენდა. ზომები უცნობია. განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: ოდნავ კიდურაჭრული განივი ხაზი.⁸⁸

დაზიანება: წარწერიანი ფილა ფოტოგრაფირების დროისათვის გატეხილი ყოფილა ორ თითქმის თანაბარ ნაწილად.

ყ̄ბ̄ქ̄ღ̄ იისს	ყ̄ყ̄ღ̄ჟ̄ღ̄ღ̄
ბ̄ნ̄ჟ̄ღ̄ღ̄ჟ̄	რ̄ქ̄ქ̄ნ̄ უღ̄ს
ჟ̄ქ̄ზ̄ქ̄ღ̄	რ̄ქ̄ნ̄ ს̄ღ̄ღ̄

ყ̄ბ̄ ქ̄ღ̄ იისსჟ̄ღ̄ ჟ̄ღ̄
 ბ̄ნ̄ ჟ̄ღ̄ღ̄ჟ̄ ჟ̄ქ̄ნ̄ უღ̄ს
 ჟ̄ქ̄ზ̄ ჟ̄ღ̄ღ̄ღ̄სჟ̄ღ̄

„ყოფილა დ(მიდა)ლ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბ(ელ)ო, მეოხ | და მფარვე(ელ) ექმ(ენ) გ(რი)გ(ო)ლი[ს] | მ(ი)ქ(ა)ელ მ აგმნის ძესა“

წარწერა ვ. სილოგავას მიერ დათარიღებულია XII საუკუნით⁸⁹.

წარწერაში მოხსენიებული პირი გრიგოლ მაგმნის ძე სხვა წყაროებით უცნობია, როგორც ჩანს, ამავე წარწერას გაეცნო თედო უორდანიანი, რომლის გადმოცემით 1890 წელს მოქვის ტაძრის დათვალიერებისას, ლოდებსა და ნანგრევებს შორის „აღმოჩნდა სამრეკლოდან ჩამოქცეული თლილი ქვის ნატეხები წარწერებით. ეს ნატეხები, რომ შვევადარეთ აღმოჩნდა ქართული ასომთავრული წარწერა მომთხრობელი იმისი, რომ ეს სამრეკლო აღუშენებია მოქველ მთავარეპისკოპოსს გრიგოლ მაგმნის ძეს.“⁹⁰

⁸⁸ იქვე.
⁸⁹ შატ II, გვ. 149.
⁹⁰ იქვე.

⁹¹ თორდანიანი, მოქვის ეკლესიის ომფორი ისტორიული წარწერებით. გაზ. ივერია, № 92, 1902.



თ. ჟორდანიას აღნიშნულ წერწერას პალეოგრაფიული ნიშნებით XV საუკუნის დასასრულში ანბანი აღებულია. ამ ნაშრომზე მუშაობის დროს პროფ. ვ. სილოგავამ გაგვაცნო ტექსტის ახლებური წაკითხვა:

„ყოლად წ(მიდა)ო ლ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბ(ელ)ო, მეოხ | და მჟარე(ე)ლ

ექმ(ე)ნ გ(რი)გ(ლი) | მ(ო)კ(ე)ლ მ აკმნის ძესა“

ეს წაკითხვა სხვაზე უფრო მისაღები ჩანს, ამით ჩვენთვის ცნობილი გახდა კიდევ ერთი მოქველი მღვდელმთავრის სახელი.

მოქვის წარწერის მონაცემებითა და სხვა საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება მოქველ მთავარეპისკოპოსთა არასრული ქრონოლოგიური რიგი დავადგინოთ. რაღაც გრივოლ მაკმნის ძის წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XII საუკუნით თარიღდება, ამიტომ ჩვენს ქრონოლოგიაში გრივოლ მოქველი პირველ ადგილზეა. უფრო ადრინდელი მოქველი მთავარეპისკოპოსები ჩვენთვის ცნობილი წყაროებით ჯერჯერობით უცნობია.

ზემოხსენებული მოქვის ოთხთავი, როგორც აღვნიშნეთ, გადაწერილია 1300 წელს დანიელ მოქველის თაოსნობით. სახარების ერთ-ერთ მინიატურაზე გამოსახულია თვით დანიელი შესაბამისი წარწერით: „დანიელ მოქვის მთავარეპისკოპოსი“⁹¹. მისი მოღვაწეობა 1300 წლის მახლობელი ხანებით უნდა განისაზღვროს.

მოქვის მომდევნო მთავარეპისკოპოსი უნდა იყოს მოქვის სახარების მინაწერში მოხსენიებული აბრაამი: „მოქვის ღ(მრ)თისმშობელი, შეიწყალე ს(უ)ლი... მოქველ მთავარეპისკოპოსისა აბრაამისა, აქმენ“⁹². ე. თაყაიშვილის აზრით, აბრაამ მოქველი უნდა იყოს დანიელის შემდეგ მოღვაწე მოქველი, ამიტომ მის მოღვაწეობას პირობითად XIV საუკუნის პირველი ნახევრით ვათარიღებთ.

მოქველი მთავარეპისკოპოსი რომანოზი დასახელებულია თოფურიძეთა სიგელში⁹³, რომელიც ალექსანდრე I დიდის მიერ არის გაცემული. აღნიშნულ სიგელზე ჩვენ საუბარი გვქონდა ბედიელთა ქრონოლოგიის დადგენისას და იგი ალექსანდრე I-ის მოღვაწეობის პერიოდით 1412-1442 წლებით თარიღდება. რომანოზ მოქველის მოღვაწეობაც ამ პერიოდით უნდა განისაზღვროს.

„ივერიის“ 1902 წლის ერთ-ერთ ნომერში თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული იქნა მოქვის ომფორის წარწერები. წარწერებში დასახელებულია ისტორიული პირები: ლიპარიტ დადიანი, მამია დადიანი და მოქველი მთავარეპისკოპოსი ელია. ლიპარიტი და მამია დადიანი ნახსენებია სულიწმიდისა და ღმრთისმშობლის მიძინების გამოსახულებებთან, ხოლო მოქველი მღვდელმთავრის წარწერა მოთავსებულია იქ, სადაც გამოსახულია ფერისცვალება უფლისა: „მა ომფორის მომჭირნესა მოქველ-ღრანდელ მთავარეპისკოპოსსა ელიას შ(ე)უნდოლს ღ(მ)ერთმა“⁹⁴, „ქ. ერისთავთ ერისთავსა მანდატურთუ-ხუცესსა დადიანს მამიასს და თანამეცხედრეს მისსა დეოფალთა დეოფალს ელენეს შ(ე)უნდოლს ღ(მ)ერთმა“⁹⁵. ტექსტში დასახელებული მამია და ლიპარიტ დადიანები თ. ჟორდანიამ შეცდომით მამია II დადიანთან (გარდ. 1414 წ.) და მის ვაჟთან ლიპარიტ I დადიანთან გააიგივა. ჩვენი აზრით, ომფორის

⁹¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, №902, გვ. 313; ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 107.
⁹² იქვე.
⁹³ იქვე.
⁹⁴ ე. თაყაიშვილი, ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯერებისა, „ივერია“, 1891, № 213.
⁹⁵ თ. ჟორდანიას მოქვის ომფორი ისტორიული წარწერებით, იქვე.



წარწერებში დასახელებულია მამია III დადიანი (1512-1533) და მისი მამა ლიპარიტ II (1482-1512), რადგან წარწერაში მამია დადიანის თანამეცხედრედ ელენე არის დასახელებული, ხოლო სხვა წყაროებით ჩვენთვის ცნობილია, რომ იმერეთის მეფის ასული ელენე იყო მამია III -ის მეუღლე.⁹⁶ ე. ი. მოქვის ომფორი ლიპარიტ და მამია დადიანების ეპოქაში - XVI საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს დამზადებული. ამავე პერიოდით დათარიღდება ელია მოქველის მოღვაწეობაც.

მოქველი მთავარეპისკოპოსის ეფთჳმეს თაოსნობით გადაწერილია 1560-1578 წლების მეტაფრასი, რომლის ანდერძ-მინაწერებში რამდენჯერმე დასახელებულია ეფთჳმე საყვარელიძე, იგი 1578-1611 წლებში აფხაზეთის კათალიკოსად მოიხსენიება. მეტაფრასის ანდერძი მოგვითხრობს: „შენ ცათა ურცვლესო და ქერობინთა უზუშთაესო პატიოსანო მოქესა ღ(მ)რ(თ)ისმშობელო, მე მოქველ მთავარეპისკოპოზმან ეფთჳმე საყვარელიძემან, დავაწერინე ესე სხუათა განმანათლებელი პატიოსანი მეტაპრასი და შემოვწირე სახსრად და საოხად სულისა“⁹⁷. ეფთჳმეს მოქველობა 1560-78 წლებითაა დათარიღებული.

ფელოტე ელჩინის საქართველოში მოგზაურობის ანგარიშში დასახელებულია მოქველი ეპისკოპოსი მაქსიმე⁹⁸. როგორც ცნობილია, ელჩინი საქართველოში იმყოფებოდა 1639 წლის მაისიდან 1640 წლის აგვისტომდე. მაქსიმე მოქველის მოღვაწეობაც ამ პერიოდით უნდა განისაზღვროს.

გვიან შუასაუკუნეებში მოქვის საეპისკოპოსო კათედრა, როგორც ჩანს მოიშალა; ვახუშტი ბაგრატიონი 1681-1682 წლების ამბების აღწერისას წერს: „და არღარა იყო ღრანდას და მოქუს მთავარეპისკოპოსნი“⁹⁹. ე. ი. XVII საუკუნის შორეუ ნახევრიდან მოქვის ეკლესია აღარ მოქმედებდა და მოქველ მღვდელმთავართა ქრონოლოგიაც ამ ეპოქით წყდება.

მოქვის სახარების მეოთხე მინაწერში დასახელებულია მოქველი მთავარეპისკოპოსი ფილიპე ჩხეტიძე¹⁰⁰. მინაწერი შედარებით გვიანი კალიგრაფიით არის შესრულებული. ჩვენი აზრით, ჩხეტიძეთა გვარის დაწინაურება საეკლესიო იერარქიაში XVI-XVII სს. უნდა ვივარაუდოთ. თუ ვავითვალისწინებთ ვახუშტის ზემოხსენებულ ცნობას, მაშინ ფილიპე ჩხეტიძის მოქვის ტაძარში მოღვაწეობა დათარიღდება არაუგვიანეს XVII საუკუნის შუახნებისა.

ამრიგად მოქველ მთავარეპისკოპოსთა არასრული ქრონოლოგიური რიგი ჯერჯერობით ასეთ სახეს მიიღებს:

1	გრიგოლ მაგზნის ძე	XII საუკუნე
2	დანიელ მოქველი	1300 წლის ახლო ხანები
3	აბრაამ მოქველი	XIV საუკუნის I ნახევარი
4	რომანოზ მოქველი	XV საუკუნის I ნახევარი
5	ელია მოქველი	XVI საუკუნის I ნახევარი

⁹⁶ ქართულ ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, გვ. 308.
⁹⁷ საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, შედგენილია ე. მჭედველი და ქ. შარაშიძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით. თბ., 1957, № 39, გვ. 52. ე. თაყაიშვილი, ძველი, საქართველო, გვ. 84.
⁹⁸ С.А. Белокуров, Материалы для русской истории, გვ. 845.
⁹⁹ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 845.
¹⁰⁰ ქართულ ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, გვ. 313. ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 108.




6	ეფთვემ საყვარელიძე	1560-1578
7	მაქსიმე მოქველი	1639-1640 წ. ახლო ხანები
8	ფილიპე ჩხეტიძე	არაუგვიანეს XVII საუკუნის შუა ხანებისა

6. ოზბეგ-დადიანის წარწერა

ოჩამჩირიდან 20 კმ მანძილზე, მდ. ლუბაის¹⁰¹ მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი ჭლოუ. მის მახლობლად დგას შუა საუკუნეების გალავანშემოვლებული ეკლესია, რომლის ნანგრევებში არქეოლოგიური გათხრებისას, 1955 წელს აღმოჩნდა ქართული ასომთავრული წარწერა ქვაზე. წარწერის პირველი პუბლიკაცია ფოტოსურათით ეკუთვნის ხ. ბლაჟას (სურ.16).¹⁰²

სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია რელიეფური კვეთით ქვის ფილაზე. ფილის ზომა 100x71x8 სმ. მას გვერდებიდან შემოუყვება რელიეფური ჩარჩო, რომლის ზედა კუთხეებში რელიეფური პალმენტებიცაა მოთავსებულ. როგორც ფილის ჩარჩოდან ჩანს, მას ქვემოდან სხვა ფილა ჰქონდა მიდგმული და შეიძლება ორივე ერთად საფლავის ქვას წარმოადგენდა. წარწერა შესრულებულია ადგილ-ადგილ ხვეული დამწერლობით. ასოების სიმაღლე: 13-14,5 ხაზების სიგანე - 1,5 - 2. განკვეთილობის ნიშანი ერთი მსხვილი რელიეფური წერტილი ორ ადგილას. ქარაგმის ნიშანი არ ახლავს.¹⁰³

დაზიანება: ფილა გააბიბილა ორ თითქმის თანაბარ ნაწილად; ჩამოტყვერულია მისი ქვედა მარჯვენა კუთხე. აღნიშნული დაზიანება წარწერის წაკითხვას ხელს არ უშლის. წარწერა დაცული უნდა იყოს დგულისა და ხელობის აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.



ႠႡ ႠႢႣႤ

ႥႦႧ ႨႩႪ ႫႬ ႭႮႱ

ႲႳ ႴႵ

¹⁰¹ მდ. ლუბაი არის მოქვის წლის მარჯვენა შენაკადი.
¹⁰² წარწერის გამოცემები: 1) X.C. Бгажба, Из истории письменности ... 1959, XXX, გვ 260, სურ. 15; 2) X.C. Бгажба, Из истории письменности ... 1967, გვ 25, სურ. 15; 3) ა. ტულუში ერთი წარწერის წაკითხვა-დათარიღებისათვის, ძმ, № 62, 1983, გვ 35. 4) სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ I, ისტორიული საბუთები და სულთა მატარებლები, ტექსტები გამოცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამეცნიერო საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1986, გვ. 64.
¹⁰³ წარწერის აღწერილობა მოგვყავს: ვ. სილოგავა, დასავლეთ საქართველოს X-XVII სს ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, საკანდიდატო დისერტაცია. ნაწ. II, დასავლეთ საქართველოს საქართველოს ლაპიდარული წარწერების კრებული (X-XVIII სს) 1972.



„ერისთავთ ერისთ(ა)ვი | მ(ა)ნ(და)ტ(ურ)თუნ(უ)ც(ეს) დ(ა)დ(იან) ** ოზბ(ე)ს *** | შ(ე)უნდვენ
დ(მ)ერთმა ნ“

* ბლ: ოზს, ** ბლ: დენ, *** ბლ: ოზს.

ვლოუს წარწერის დათარიღების შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. წარწერის პირველი და გამომცემლის ხ. ბლაუას აზრით, „надпись относится к XIII-XIV столетиям, по-видимому, к тому периоду, когда на территории современного Очамчирского района распространялась власть мингрельского владетеля Дадиани“¹⁰⁴. ა. ტულუში ოზბეგ დადიანის წარწერას 1271-1289 წლებით ათარიღებს, დათარიღებისათვის კი იყენებს დანიელ ცნშელი მთავარეპისკოპოსის სიგელს ლაბსყელდაშისადმი, რომელიც ი. დოლიძემ შეცლომით დემეტრე II-ის ზეობის წლებით დაათარიღა.¹⁰⁵ ლაბსყელდაშის სიგელში დასახელებულია ისტორიული პირები: მეფეთ-მეფე დიმიტრი, ერისთავთ-ერისთავი ოზბეგ დადიანი და ცაიშელი მთავარეპისკოპოსი დანიელი.

„ქ. სახელ(ი)თა ღ(მ)რთისაითა, ცაიშისა | ღ(მ)რთისმშობელისაითა თვესა სეკდ(ემ)ბ(ე)რსა | ათხუთმეტსა, მე, ცაიშელი მთ(ა)ვ(არ)ებ(ი)სკოპოსი დან(ი)ელი, ლაბსყელდასა | მივე(ე)დი, ვაკურთხე მთავარანგელოზი ლაბსყელდაშისა, დემეტრე მეფისა მეფობასა ში(ი)ვა | ერისთ(ა)ვთ-ერისთავისა და დ(ი)ანისა ოზბ(ე)გისა ბრძანებითა და მოწმებითა.

მე, ცაიშელ მთ(ა)ვ(არ)ებ(ი)სკოპოს(ი)სმ(ა)ნ | დანიელ ვ(ა)მტკ(ი)ცე, და ჩ(უ)ენ ერთობ(ი)ლთა კვეითა ცხმ(ა)რ(ი)სათა, | მეფეთ, და დ(ი)ან(ი)სა ბრძანებ(ი)თა ვინც ვა(ა)შ(ა)გროს კურთხ(ე)ულიმც არს; ვინც შესცვ(ა)ლოს კრ(უ)ლ(ი)მც არს ღ(მ)რთ(ი)სა მ(ა)დლ(ი)თა“¹⁰⁶.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საბუთის ი. დოლიძისეული დათარიღების გარდა, რამდენიმე დათარიღება არსებობს. პირველი ეკუთვნის ე. თაყაიშვილს. მისი აზრით, სიგელი „უჩვენებს, რომ ლაფსხალდის ეკლესია მე-13 საუკუნეში აუშენებიათ და ის უკურთხებია 15 სექტემბერს ცაიშის მთავარეპისკოპოსს დანიელს, დავით ნარინისვე მეფობაში, რაც უნდა მომხდარიყო 1258-1293 წლებს შუა“¹⁰⁷. ვ. სილოგავას დაკვირვებით, ე. თაყაიშვილმა საბუთის ტექსტში დასახელებული მეფე დიმიტრი შეცლომით გააიგივა ლაბსყალდის ოთხთავის XIII საუკუნის II ნახევრის მფლობელის - ილარიონ სოფრომის ძის ანდერძში მოხსენიებულ დავით ნარინთან. ამავე დროს, საბუთის პალეოგრაფიული ნიშნებიც გაცილებით გვიანდელია და მას გამორიცხავენ XIII საუკუნის მხედრულით შესრულებული ძეგლებიდან.¹⁰⁸

¹⁰⁴ X.C. Бражна, Из истории письменности ... 1967, გვ 24.
¹⁰⁵ ა. ტულუში, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35-36.
¹⁰⁶ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, გვ. 103-104, №4; ვ. ინგოროვცა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. მუიონ, ტექსტები, თბ. 1941, გვ. 28, №26.
¹⁰⁷ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, წიგნში: დაბრუნება, ემიგრანტული ნაშრომები, ტ. 2, თბ. 1991 წ. გვ. 458.
¹⁰⁸ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, გვ. 63.



მორე დათარილება ეკუთვნის პ. ინგოროვას - 1442-1452 წლები¹⁰⁹. მან საბუთში დასახელებული მეფე დემეტრე სამართლიანად მიიჩნია ალექსანდრე I დიდის ძე დემეტრედ. 1970 წელს ლაბსყელდაშის საბუთი გამოსცა ი. დოლიძემ და იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1271-1289 წლებით დათარიღა¹¹⁰. უკანასკნელად საბუთი გამოსცა ვ. სილოგავამ, მისი დებულებით სიგელი 1445-1452 წწ. უნდა დათარიღდეს, რადგან სიგელი XI-XV საუკუნეებში ეწოდებოდა მხოლოდ მეფეთა მიერ გაცემულ საბუთებს და XV საუკუნიდან იწყება ამ ტერმინის გავრცელება სხვა სახის საბუთებზე¹¹¹. აღნიშნული მოსაზრება მკვლევარმა გაამაგრა ცაიშის ვერცხლის საწინამძღვრე ჯვრის წარწერის მონაცემებით, რომელშიც დიმიტრი მეფე და დანიელ ჩაიშელი(ცაიშელი) ერთად იხსენიებიან. წარწერის ტექსტი მოცემულია თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ მორე ტომში: „სისხლითა შენითა მოგებულსა ნუ უგულბებლს მყოფ დღესა მას განკითხვისასა მე, დიმიტრი მეფეთა მეფესა, ძესა ალექსანდრესა, რომელმან წარუძღვანე ჯვარი ესე დანიელ ჩაიშელსა აწ“¹¹². ამ წარწერის განსხვავებულ წაკითხვას გვთავაზობს ექ. თაყაიშვილი: „სისხლითა შენითა მოგებულსა ნუ უგულბებს მყოფ დღესა მას განკითხვისასა მე [პატრონსა] მეფეთა მეფესა, ძესა ალექსანდრესა, [ბაგრატს], რომელმან წარუძღვანე ჯვარი ესე დანიელ ჩაიშელსა [ამინ]“¹¹³. როგორც ვხედავთ, ე. თაყაიშვილი წარწერაში მეფეთ-მეფე დიმიტრის მაგიერ ბაგრატს კითხულობს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „ფრჩხილებში ჩასმული მეფის სახელი ბაგრატი უბრალო მოსაზრებაა და არაკითარი დასამტკიცებელი საბუთი არა გვაქვს ამისი“¹¹⁴.

ბუნებრივია გვებადება კითხვა: რამდენად დამაჯერებელია დიმიტრი ალექსანდრეს ძის მეფობის ისტორია? სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრება, რომ დიმიტრი პროვინციის მეფე იყო. მოკლედ მიმოვიხილათ ამ მოსაზრებებს, რადგან ისინი გვაძლევენ მყარ საფუძველს ლაბსყელდაშის სიგელისა და ქლოუს წარწერის ზუსტი დათარიღებისათვის.

ნ. ბერძენიშვილი პროვინციის მეფეთა წარმოშობის სოციალურ-პოლიტიკური არსის გამორკვევისას წერდა: „XIV-XV საუკუნეში, როცა „გაჭელმწიფდეს დიდებულნი ... ცენტრი სახელმწიფოებად დაშლის ტენდენციებს იჩენს... ასეთ პირობებში უფლისწულები აღარ დაყოვნებენ „გაჭელმწიფებას“ და განსხვავებით სხვა ფეოდალ-მთავართაგან თავიანთ თავს მეფეს უწოდებენ“¹¹⁵. ამავე პრობლემას შეეხო ვ. ოდიშელი, მისი აზრით, ეს არის ფეოდალური სეპარატიზმის გამოვლინება საქართველოში. პროვინციის მეფეები თავის თავს სიგელებში მეფეს უწოდებდნენ. სინის მთის სულთა მატიანეში და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში, როგორც ალაპების დამკვეთნი „პროვინციის მეფენი“ მეფეთ მეფის ტიტულითაც არინ მოხსენიებულნი“¹¹⁶.

დიმიტრი ალექსანდრეს ძის „პროვინციის მეფობის“ საკითხი ნ. ბერძენიშვილმა განიხილა ერთი საჩივრის წიგნის მიხედვით „... (ოდეს) ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალს იქით მისსა ძმასა პატრონსა

¹⁰⁹ პ. ინგოროვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. მორე, ტექსტები, თბ., 1941, გვ. 28, №26.

¹¹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 172-173, 1148, №20.

¹¹¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, გვ. 63.

¹¹² ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შვეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და აბსინდი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, ტფ., 1897, გვ. 270.

¹¹³ ექ. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. III, გვ. 180.

¹¹⁴ ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მსკ, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 25-26.

¹¹⁵ ვ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს) კრ. XIV-XVII სს რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 81.



დმიტრის მიანება, თაყას გარეთ¹¹⁶. ვახტანგი მეფეა, - წერს მკვლევარი, - დემეტრე მინის მამა ბატონიშვილი. მეფემ ბატონიშვილს წყალს იქით „მიანება“ ე.ი. გაღმა მხარის პატრონობა მისცა. ამიერიდან მტკვრის გაღმით ფეოდალები დემეტრეს ყმები არიან... დემეტრე შვილია მეფის და ყმათა (ფეოდალი) სუვერენული მფლობელი. რაღა დაუმლის მას „მეფე“ უწოდოს თავის თავსა“¹¹⁷. როგორც ჩანს, მეფის მიერ თავის მინებება მალე უფრო ფართო უფლებებში გადაიზარდა, რადგან ჩვენს დრომდე არაერთი ისტორიული საბუთი შემორჩა, რომელშიც დიმიტრი ალექსანდრეს ძე მეფედ არის მოხსენიებული ან თავად გასცემს სიგელებს ამ ტიტულით. მაგალითად 1445 წ. 26 აგვისტოს ზაქარია ღარჩიბეგიშვილისადმი მიცემულ სიგელში დიმიტრი თავის თავს მეფეს უწოდებს.¹¹⁸

1450 წელს დიმიტრიმ სიონის ღმრთისმშობლის ეკლესიას შესწირა სიგელები და ამ სიგელში ის მეფედ იხსენიება.¹¹⁹ 1451 წელს დიმიტრი მეფე შიო-მღვიმის მონასტერს უმტკიცებს მიწებს მეფის ტიტულით¹²⁰. აღნიშნული საბუთებისა და ლაბსყელდაშის სიგელის მონაცემების გათვალისწინებით ჯ. ოდიშელი ასაბუთებს, რომ „იქმნება სრული საფუძველი ალექსანდრე მეფის ძე დიმიტრი „პროვინციის მეფედ“ მივიჩნიოთ.“¹²¹

უკანასკნელ ხანს „პროვინციის მეფეთა“ საკითხი მონოგრაფიულად შეისწავლა დ. ნინიძემ. მის ნაშრომში განხილულია დიმიტრი ალექსანდრეს ძის პროვინციის მეფობის საკითხიც. კერძოდ მკვლევარმა დააზუსტა ზეღვენძეთა საჩივრის წიგნში ხსენებული ტერიტორია „წყალს იქით მისსა ძმას პატრონსა დიმიტრის მიანება, თაყას გარეთ“. მისი აზრით, „ეს იგივე სათარხნო, საჯავახიანო, საციციანოა, რომელიც სავსებით გამოდგებოდა ამ პერიოდში „პროვინციის მეფის“ სამფლობელო საჯღომად“¹²². მაგრამ ლაბსყელდაშისა და ცაიშის საწინამძღვრე ჯვრის წარწერის მონაცემებით მკვლევარი შესაძლებლად თვლის, რომ „დიმიტრი წყალს იქითის“ „პროვინციის მეფეს“ თავისი ხელისუფლების გასაძლიერებლად კავშირი გაება ლიხთ-იქითელ დიდებულებთან, აქედან გამომდინარე, ბავუნა მოეპოვებინა დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე. დიმიტრის, რომელსაც ძირითადი მფლობელობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ჩანს, „ეზრახა ზოგიერთი ლიხთ-იქითელი ფეოდალი“¹²³.

მკვლევარმა, ასევე, გამოთქვა მოსაზრება დიმიტრის „პროვინციის“ მეფობის ხანგრძლივობაზე. ჯ. ოდიშელის აზრით, დიმიტრი, „პროვინციის მეფე იყო“ 1445-1452 წლებში¹²⁴, რის საფუძველზეც ვ. სილოგავამ დაასაბუთა ლაბსყელდაშის სიგელისა და კლოუს წარწერის 1445-1452 წლებით დათარიღება¹²⁵. დიმიტრის მეფობის დათარიღებაში მცირეოდენი ცვლილება შეიტანა დ. ნინიძემ. იმავე ზეღვენძეთა საჩივრის წიგნზე დაყრდნობით მკვლევარი თვლის, რომ „1442 წლიდან იწყებს

¹¹⁶ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25, გვ. 50.

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ პრონიკები... II, გვ. 257.

¹¹⁹ Д. Пурцеладзе, Церковные гуджари, Тб., 1891, გვ. 52.

¹²⁰ იქვე, 97.

¹²¹ ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

¹²² დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები XIV-XV საუკუნეების საქართველოში“ თბ., 1995, გვ. 136.

¹²³ იქვე, გვ. 139.

¹²⁴ ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

¹²⁵ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, გვ. 64-65.



„პროვინციის მეფობას“ დიმიტრი ალექსანდრე დიდის ძე²⁶. ეს დებულება ნაშრომში გამაგრებულია ქართლის ცხოვრების ზოგიერთი მონაცემებით. კერძოდ, „ახალი ქართლის ცხოვრების მიხედვით“, ალექსანდრე დიდმა „დასუა“ ვახტანგი ქართლსა და იმერეთს, „მასთან დააყენა უმრწემესი ძმა მისი დიმიტრი“. მაჩაბლისეული ნუსხის მიხედვით კი ალექსანდრემ დიმიტრის მისცა ქართლი. უდავოა, რომ დიმიტრის მიერ ქართლის გარკვეული ნაწილის ფლობას მისი მამის, ალექსანდრე დიდის სიცოცხლეშივე ჰქონდა ადგილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „წყალს იქითის“ მამული მის საუფლისწულოს წარმოადგენდა, სადაც დიმიტრის ჰყავდა თავისი „გამზრდელ-გაზრდილები“, ხოლო 1442 წელს ალექსანდრე I დიდის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ძმამ, საქართველოს მეფემ ვახტანგ IV სცოლ არსებული ვითარება²⁷. ე.ი. დ. ნინიძის დებულებით, დემეტრე ალექსანდრეს ძის „პროვინციის მეფობის“ ხანგრძლივობა 1442-1452 წლებით უნდა განისაზღვროს.

თუ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას, მაშინ ვ. სილოგავას დათარიღებაში მცირეოდენი ცვლილება უნდა შევიტანოთ. 1445-1452 წლების მაგიერ ორივე ისტორიული წყარო - ლაბსყელდამის სიგელიცა და ჭლოუს წარწერაც 1442-1452 წლებით უნდა დავათარილოთ. მაგრამ ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ჭლოუს წარწერისა და ლაბსყელდამის სიგელის თარიღს ორი წლით გავზრდით თუ შევამცირებთ. ორივე დათარიღების შემთხვევაში სახეზე ვვაქვს XV საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი - ჯერ კიდევ ერთიან ქართულ სახელმწიფოში „პროვინციის მეფობის“ ინსტიტუტის არსებობის ფონზე იკვეთება სამეფო კარის მოხელისა და ქვეყნის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის საერისთავო მფლობელების საკითხები.

ჭლოუს წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი ოზბეგ დადიანი ლაბსყელდამის სიგელითა და ცაიშის საწინამძღვრე ჯვრის წარწერით უკავშირდება კიდევ ორ ისტორიულ პიროვნებას - „პროვინციის“ მეფე დიმიტრი ალექსანდრეს ძეს და მთავარეპისკოპოს დანიელ ცაიშელს. ისინი ერთი ეპოქის ისტორიული პირები არიან და მათ მიერ შექმნილ ან მათი სახელით გაცემულ საბუთებში, ბუნებრივია, აისახა იმ ეპოქის ისტორიული პროცესები, რომლის ღვიძლი შვილებიც არიან.

გავარკვიოთ ოზბეგ დადიანის პიროვნება. ლაბსყელდამის სიგელიცა და ჭლოუს წარწერაც მას ერთი და იმავე სამოხელეო ტიტულებით მოიხსენიებს. იგი არის ქვეყნის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის ერისთავთ-ერისთავი და ამავე დროს ფლობს სამეფო კარის მოხელის - მანდატურთუხუცესის სახელს. რომელი ადმინისტრაციული ერთეულის ერისთავია ოზბეგი და რომელ ტერიტორიებზე ვრცელდება მისი ძალაუფლება?

ამ საკითხის გადასაწყვეტად ისევ ზემოხსენებული ისტორიული წყაროების მონაცემები უნდა გამოვიყენოთ. თავის დროზე ვ. სილოგავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ჭლოუს წარწერა საფლავის ეპიტაფიას წარმოადგენს. ჩვენ ვუთანხმებით მკვლევარს ამ მოსაზრებას და მის გასამაგრებლად მოვიყვანთ წარწერის ტექსტის შინაარსობრივ და ენობრივ ანალიზს.

დავიწყოთ იმით, რომ წარწერაში საუბარია ერისთავთ-ერისთავის სულის შენდობაზე, ე.ი. იგი გარდაცვლილია. თანაც ჩანს, რომ წარწერის შემსრულებელ-დამკვეთი (ამ შემთხვევაში არ ვგულის-

²⁶ დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.
²⁷ იქვე გვ. 137.



ხმობთ წარწერის ამომკვეთ ოსტატს) ოზბეგი არ არის, რადგან ტექსტში გვაქვს ფორმულირება „ერისთავთ ერ(ის)თ(ა)ვ(ი)“. ერისთავი რომ ცოცხალი ყოფილიყო მაშინ ვკეჩნებოდა „ერისთავთ ერ(ის)თ(ა)ვსა“, ან პირველ პირში იქნებოდა ერისთავის სახელი მოცემული.

„მანდატურთუხუცეს დადიან ოზბეგს შეუნდვენ ღმერთმან“ ვკითხულობთ წარწერაში. შესავედრებული პირის სახელი დგას მიცემით ბრუნვაში. გადმოცემის ასეთი ფორმა არსებობდა ძველ ქართულში. „მორფოლოგიური ობიექტი, - წერდა არნ. ჩიქობავა, ძველს ქართულში შეიძლება იყოს მიცემითსა და სახელობით ბრუნვაში“¹²⁸. როგორც ვხედავთ, ჩვენს წარწერაში მორფოლოგიური ობიექტის განმსაზღვრელი სიტყვა „ერისთავთ ერისთავი“ სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო თავად შესავედრებული ობიექტი დასმულია მიცემით ბრუნვაში - „მანდატურთუხუცეს დადიან ოზბეგს შეუნდვენს ღმერთმან“.

საყურადღებოა ერთი დეტალიც, ჩვეულებრივ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ცოცხალი ადამიანის შენდობას არ წერენ, ითხოვენ შეწყალებას. თუ ადამიანი ცოცხალია და მას რაიმე დამსახურება მიუძღვის საკულტო ძეგლის მშენებლობაში, მაშინ გვხვდება სავედრებული სიტყვების შემდეგი ფორმულირება: „ქ(რის)ტე შ(ი)წყალებნ“ ან „შ(ე)უნდვენ“¹²⁹. მაგალითად როგორც ეს არის ლაბკინისცილის, ჯრუჭის, წყელიკარის, მოისკალთის წარწერებში¹³⁰. ცოცხალი ქტიტორის ან ჩვეულებრივ ცოცხალი ადამიანის (მეფის, დიდებულის, სახელმწიფო მოხელის) სავედრების გადმოცემა ხდება შემდეგი ფორმით: „ქრისტე ადიდე ორთავე ცხორებასა შინა“¹³¹, მაგალითად, როგორც ეს არის განძანის წარწერებში¹³². შეიძლება ღმერთისადმი სავედრებული მოცემული იყოს სხვა ფორმითაც: მაგ. „მეოხ და მჟარველ ექმენ“, „შეიწყალე და ადიდე“, „ადირს მყავ“, „ადიდენ ღმერთმან“, „ადიდე“, „მეოხ მეყავ“, „გუიოხე წინაშე ღმრთისა“ და ა.შ.

თუ წარწერაში მოცემულია ფორმულირება „წყალობით მოიკსენე“, „შეუნდვენ ცოდვანი და განუსვენე“, „შეუნდვენ ღმერთმან“ და ა.შ. მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ წარწერაში მითითებული პირი წარწერის შესრულების დროს გარდაცვლილია და შესანდობარს მის მაგიერ ითხოვს სხვა. ამრიგად, ოზბეგის წარწერა საფლავის ქვის ეპიტაფია არის და ბუნებრივია, ოზბეგ დადიანის საფლავიც ჭლოუს მკლესიაში, ან მის ახლოს უნდა ვივულოთ.

წარწერის საფლავის ქვის ეპიტაფიის არგუმენტირებულ დაზუსტებას, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს ოზბეგის ერისთავობის და მისი მფლობელობის საკითხის განსაზღვრისათვის. რა თქმა უნდა, სხვა საერისთავოს მფლობელს ოდიშის საერისთავოში არ დაასაფლავებდნენ. ლაბსყალდის სიგელის მონაცემებით, ჩანს, რომ ოზბეგს ხელი მიუწვდებოდა საბატონო სვანეთზეც; წინააღმდეგ შემთხვევაში ცაიშელი მთავარეპისკოპოსი დანიელი სიგელში ოზბეგ დადიანის ბრძანებას ცხუმარის ჳეგზე ვერ გაავრცელებდა.

ახლახან ლაბსყალდის სიგელზე დაყრდნობით მ. ბახტამემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ოზბეგ დადიანი XV საუკუნის შუა ხანების სვანთა ერისთავია და მას ოდიშის საერისთავოსთან არანაირი

¹²⁸ არნ. ჩიქობავა, რთი არის წარმოუდგენელი მრავლობითის სახელობითშიდასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში, იემ, XXX, 1991, გვ. 91. იხ. აგრეთვე ა. კიზირია, რთული თანწვობილი წინადადება ძველ ქართულში, იემ, ტ. VII, 1956, გვ. 19-37.
¹²⁹ შქატ II, № 191, № 187, № 182, № 178, № 169.
¹³⁰ გ. ოთხმეზური, უხუცესი ვაზირება და მათი რივი საქართველოში XII-XIII ს-ის მიჯნაზე, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1979, № 2, გვ. 116.



კომორი არ აქვს⁶¹. მკვლევარი იყენებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას, რომ ბაგრატ V-ის „ქვეყნის მერორესა წელსა...უკუ დგნენ სუანნი, გარდამოვიდნენ, მოიტყუენენ ქუთათისი და მოწუეს...ხოლო იტყვიან მაშინ ერისთავთ-ერისთავი სუანთა ვარდანიძევე. შეიპყრა იგი მეფემან და პატიმარ ჰყო. შემდგომათ რაოდენიმე წამთა შეიწყალა და მისცა გურია საერისთავოდ და სუანთა ერისთავად დასუა სხუა, რომელსა იტყვიან გელოვანსა“⁶². ე.ი. სვანეთში გელოვანები 1361 წლის შემდეგ ერისთავობენ, ხოლო მ. ბახტაძის დებულებით, პირველი დადიანი, რომელიც სვანთა ერისთავი უნდა ყოფილიყო არის ზაქე დადიანი XIV საუკუნეში, XV საუკუნის შუახანებისათვის სვანეთში ერისთავობს ოზბეგ დადიანი, ხოლო 1470-1477 წლებში ოდიშსა და სვანეთს ერისთავობდა შამადავლა დადიანი. ე.ი. მისი მისაზრებით, 1361 წლამდე სვანეთს ერისთავობდნენ ვარდანიძეები, 1361 წლის შემდეგ დაახლოებით 1474 წლამდე ერისთავობდნენ დადიანები და შემდეგ გელოვანები. „გელოვანთა ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი 1474 წელი უნდა იყოს.“⁶³

ჩვენ ვეთანხმებით მ. ბახტაძის აზრს, რომ დადიანები სვანთა ერისთავებიც არიან, მაგრამ ვერ დავეთანხმებით დებულებას, თითქოს „არც ზაქივი და არც ოზბეგი არ ყოფილან ოდიშის მმართველები განსხვავებით შამადავლა დადიანისაგან. ეს უკანასკნელი იყო ოდიშის მმართველიც და სვანთა ერისთავიც. ჩვენნი აზრით, ეს გამონაკლისი შემთხვევაა“ - აცხადებს მკვლევარი.

ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას და ამის საფუძველს თვით ის ისტორიული წყაროები იძლევა, რომელთაც ეყრდნობა მკვლევარი.

მიმჩნია, რომ ვარდანიძე-გურიელთა და დადიანთა საგვარეულო ურთიერთობის ისტორია და გეოლოგია, დადიანთა და გურიელთა სვანთა ერისთავობა ცალკე მონოგრაფიული კვლევის საგანი უნდა გახდეს. თავის დროზე ქ. ჩხატარაიშვილმა ამ მხრივ გააფართოვა კვლევის არეალი და აბულასან იობის-ძის ხატის წარწერაზე დაყრდნობით, ამ საგვარეულოების ჩამომავლობა უძველეს ფეოდალურ გვარს - მარუშიანებს დაუკავშირა⁶⁴. მაგრამ, ამჯერად ჩვენ ამ საკითხზე არ შევჩერდებით და თავდაპირველად გავარკვევთ რამდენად რეალურია ზაქივ დადიანის მხოლოდ სვანეთში ერისთავობის საკითხი.

ზაქივ დადიანი იხსენიება ორ ისტორიულ საბუთში; ორივეგან ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი ზაქივ დადიანი სვანეთის წმინდა სალოცავებს (ქურაშისა და სეტის) თავის გამარჯვებისათვის (ხაზგასმა ჩვენია ლ.ა.) სწირავს მამულებს. ქურაშის მთავარმოწამისადმი მიძღვნილი დაწერილის დედანი ჩვენამდე არაა მოღწეული და დაკარგულად ითვლება. იგი მოთავსებული იყო ქურაშის ოთხთავის ერთ-ერთ გვერდზე, რომელიც ახლა დაკარგულია. საბუთის ერთადერთი პუბლიკაცია ეკუთვნის პ. ინგოროყვას, რომელზე დაყრდნობითა და სეტის მთავარმოწამისადმი დაწერილი საბუთის კვლობაზე იგი შეავსო და გამართა ვ. სილოგავამ. საბუთში ნამდვილად იკითხება პატრონი და მანდატურთუხუცესი დადიანი, ასევე იკითხება „ჩუენისა გამარჯვებისათვის“, ხოლო თუ ვინ არის პატრონი და ვისი გამარჯვებისათვის ხდება შეწირვა, ტექსტში არ იკითხებოდა, ამდენად „ზაქივის“

⁶¹ მ. ბახტაძე, საერისთავო „ქუეყნები“ და ერისთავობის ინსტიტუტი XI-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995, გვ. 59-63.
⁶² ვახუშტი ბატონიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 261.
⁶³ მ. ბახტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.
⁶⁴ ქ. ჩხატარაიშვილი, აბუსალან იობის ძის წარწერა წებულდიდან და მისი ისტორიული მნიშვნელობა, კრ. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VI, 1980, გვ. 83-105.



ადღვნა საბუთში პირობითი უნდა იყოს და რჩება ერთადერთი საბუთი, რომელშიც ხაჟიგ დადიანი თავისი ტიტულებით ნამდვილად იხსენიება - ეს არის "დაწერილი სეტის მთავარმოწამისადმი".¹⁵⁵

მოვიყვანოთ საბუთის ტექსტს მთლიანად, რადგან მის შინაარსს არსებითი მნიშვნელობა აქვს ხაჟიგის, როგორც ერისთავის სამფლობელოს განსაზღვრისათვის: „გადრეთ და მოგახსენეთ თქვენ მთავარმოწამესა სეტისასა მე, ერისთავთ ერისთავმან და მანდატურთუხუცესმან დადიანმან ხაჟიგ, მას ჟამსა ოდეს ჩვენისა გამარჯვებისათვის შემოგწირეთ და მოგახსენეთ წლუშხვეს ოთხისა გლეხისა ბეგარი ცვილი; გლეხნი: ესენი არიან დაგვინაი ძიძია, შამიგია მიქელაი, შამიგია კერუხინა და ღავითულა გვაგვინია.

ესე ჩემი გამარჯვებისათვის შემომწირავს“¹⁵⁶.

საბუთიდან ირკვევა, რომ ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი ხაჟიგ თავისი გამარჯვებისათვის (რომელსაც, როგორც, ჩანს ერისთავი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა) სწირავს სოფელ წოუშხვეის ოთხ გლეხს სეტის მთავარმოწამეს. სადავო არ უნდა იყოს, რომ ხაჟიგ წოუშხვეისა და იმ გლეხების მფლობელი და პატრონია, რომელთა ცვილის ბეგარას სწირავს სეტის მთავარმოწამეს.


სად მდებარეობს წოუშხვეი, რომლის მფლობელიც არის ხაჟიგ დადიანი? წოუშხვეის ლოკალიზაციისათვის აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საბუთის ონომასტიკური მონაცემები. დაწერილში მოხსენიებული წოუშხვეის მკვიდრი ოთხი გლეხი: დაგვინაი ძიძია, შამიგია მიქელაი, შამიგია კერუხინა და ღავითულა გვაგვინია აშკარად გვაძლევს ოდიშში გავრცელებულ ონომასტიკურ მასალას. რა თქმა უნდა, წოუშხვეი ოდიშში უნდა ვეძებოთ და მისი ლოკალიზაციის საკითხისათვის, თუ მივმართავთ თანამედროვე ოდიშის ტოპონიმოკას, შორს წასვლა არ დაგვჭირდება. წალენჯიხის რაიონში, ფახულანის სასოფლო საბჭოში შედის სოფელი წყოუში¹⁵⁷ (შდრ: წოუშხვეი - წყოუში). იქვე არის პატარა სოფლები (უბნები) ნაშამუჯუ და ლეშამუჯუ, ე.ი. შამუგების ანუ შამიგების სოფელი (სეტის დაწერილში ორი გლეხი იხსენიება შამიგიას გვართ). ჩანს, ეს გვარი ამ ადგილებში გავრცელებული ყოფილა, ამიტომაც დაერქვა ნაშამუჯუ და ლეშამუჯუ;

როგორც ვხედავთ, ხაჟიგ დადიანის საბუთი თავად იძლევა პასუხს თუ საიდან და როგორ მოხდა ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი ხაჟიგ სვანეთში. ხაჟიგ აშკარად ჩანს, რომ ოდიშის ერისთავთ ერისთავია, ამაზე მიუთითებს მისი მფლობელობის განსაზღვრა; იგი რომელიღაც ჩვენთვის უცნობი საბრძოლო გამარჯვების შემდეგ ოდიშში მდებარე სოფლის საგლეხო ბეგარის ნაწილს სწირავს სეტის მთავარმოწამეს. რატომ მაინც და მაინც სვანეთში და არა სხვა სალოცავში? ბუნებრივია იმიტომ, რომ იგი ოდიშის ერისთავიცაა და სვანეთის მფლობელიც. შეიძლება სვანეთი მან იმ საბრძოლო გამარჯვების შემდეგ მიიღო, რომელზეც საუბარია საბუთში.

მ. ბახტაძის დებულების საწინააღმდეგოდ კიდევ რამდენიმე არგუმენტი მეტყველებს.

პირველი: ცნობილია, რომ ოდიშის ერისთავი დადიანები, ტრადიციულად, თითქმის მემკვიდრეობით მანდატურთუხუცესებად იწოდებიან (გამონაკლისია მხოლოდ მსახურთუხუცესი ვარდანი თამარის მეუბისას). ამ საკითხს ჩვენ უკვე შევეხეთ დეოფალ მარინისა და გიორგი დადიანის წარწერის განხილვისას და დადიანების მანდატურთუხუცესობაში სამი პერიოდი გამოვყავით: პირველი, როცა დადიანები

¹⁵⁵ სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 103, №3.
¹⁵⁶ იქვე, გვ. 103.




ლიხთ იმერეთის (დავით ნარინის) სამეფოს მანდატურთუხუცესები არიან, მეორე, როცა ვაჟეჟ დადიანი ერთიანი ქართული სახელმწიფოს მანდატურთუხუცესის სახელოს ღებულობს და მესამე, როცა დადიანები უკვე ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანაში ტრადიციულად ატარებენ მანდატურთუხუცესის სახელოს, ჯერ, იმერეთის სამეფოს შიგნით, ხოლო შემდეგ, თანდათან ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად, კარგავენ ამ სახელოსადმი ინტერესს და ბოლოს აღარც კი „ინებებენ“ მის ფლობას. უკანასკნელი მანდატურთუხუცესი იყო ლევან I (1533-1572), რომელიც ზოგიერთ წყაროში „კელმწიფე დადიანადაც“ კი იხსენიება. როგორც ვხედავთ, დადიანებს XIII საუკუნის შემდეგ ვიდრე XVI ს 70-იან წლებამდე მანდატურთუხუცესის სახელოს ვერავინ ვცილებთ.

მედრე: ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილ არცერთ წყაროში სვანთა ერისთავები მანდატურთუხუცესად არ იხსენიება. აქვე უნდა გავითვალისწინოთ წყაროებში სვანთა ერისთავების მოხსენიების ტრადიცია. თითქმის ყველა საისტორიო წყარო (ნარატიული თხზულებები, ისტორიული დოკუმენტები), მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონიც აკონკრეტებს და ვკაძლევს ასეთ ფორმულირებას მათი მფლობელის შესახებ „სვანთა ერისთავი“. თუ რომელიმე გურიელის ან დადიანის ხელისუფლება ვრცელდებოდა სვანეთზე, წყარო იძლევა ჯერ შესაბამის ტიტულატურას, ხოლო შემდეგ ამატებს „სვანთა ერისთავ“-ს. ჩვენი აზრით, ვახუშტის არ უნდა გამორჩენილია დადიანების მხოლოდ სვანეთში ერისთავობა. შესაძლოა ვახუშტის ჰქონდეს ქრონოლოგიური აღრევა, ან გამორჩეს რომელიმე ისტორიული პირი, მაგრამ მთელი საგვარეულო სახლის ერთი საუკუნის მანძილზე სვანეთში მფლობელობა-ერისთავობის გამორჩენა სარწმუნო არ ჩანს.

რაც შეეხება თავად ოზბეგ დადიანის სვანთა ერისთავობის საკითხს, აქ მდგომარეობა გაცილებით უფრო იოლადაა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დ. ნინიძემ დიმიტრი ალექსანდრეს ძის “პროვინციის მეფობა“ 1442-1445 წლებით დაათარიდა. ბუნებრივია, ამ პერიოდის საქვეყნოდ გამრივე მოხელე - ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესის სახელოს მფლობელი არის ოზბეგ დადიანიც. მისი დადიანობისა და სვანთა ერისთავობის საკითხის გარკვევაში გვეხმარება თოფურიძეთა სასისხლო სიგელი, რომელიც ალექსანდრე I დიდის მიერ არის გაცემული. სიგელში იხსენიება თვით ალექსანდრე I, მისი ეპოქის მღვდელთმთავრები, ერისთავები და დიდებული აზნაურები. საფოველთაოდ ცნობილია ივ. ჯავახიშვილის სკეპტიკური დამოკიდებულება სასისხლო სიგელებისადმი, მაგრამ ამ ბოლო დროს ისტორიოგრაფიაში შეიმჩნევა მათი ინტენსიური გამოყენების ტენდენციები. ამიტომ ჩვენ თავს უფლება მივეციტ გვესარგებლა აღნიშნული წყაროს მონაცემებით.

სიგელი XV ს. 30-იან წლების მეორე ნახევარში უნდა იყოს შექმნილი. ამის საფუძველს ვკაძლევს სიგელში მოხსენიებული „დავით ცხეთელის“ ქრონოლოგია. დავით „ცხეთელი“ უნდა იყოს ალექსანდრე I-ის მეფობის დროინდელი საქართველოს კათალიკოსი დავით III, რომელიც მცხეთის საკათალიკოსო ტახტს ორჯერ ფლობდა 1435-1439 და 1443-1459 წწ. რა თქმა უნდა ალექსანდრე I აღნიშნულ სიგელს 1443-1459 წლებში ვერ გაცემდა, ამდენად თოფურიძეთა სიგელი 1435-1439 წლებით უნდა დავათარილოთ. სიგელში ჩამოთვლილია ისტორიული პირები „ივანე ათაბაგი; ერისთავთა ერისთავი; მანდატურთუხუ-

¹³⁷ საქართველოს დასახლებული პუნქტები და მოსახლეობა (სტატისტიკური ცნობარი), თბ., 1990, გვ. 249.



ეცის დადიანი; სვანთა ერისთავი; გურიელი; ფარიჯანიანი ელა შერი; ჭილაძე, ამირეჯიბი...¹³⁸ და სხვები; როგორც ვხედავთ, ივანე ათაბაგის ვარდა არცერთი ერისთავი სახელით არ მოიხსენიება, მაგრამ ამჟამად ჩანს, რომ ერისთავთა ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი, ხოლო სვანთა ერისთავი სხვა პიროვნებაა. მ. ბახტაძის დებულებით, თუ დადიანები მთელი ერთი საუკუნე XIV საუკუნის 60-იანი წლებიდან (1361 წლის შემდეგ) 1474 წლამდე სვანთა ერისთავები და მანდატურთუხუცესის სახელის მფლობელებიც არიან, რატომ არ აისახა ეს მოვლენა, თუნდაც ნაწილობრივ მაინც, შემოხსენებულ ისტორიულ დოკუმენტში? აქვე გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც. მკვლევარი დადიანობას განიხილავს როგორც გვარს, მაგრამ თავდაპირველად დადიანობა მოხელეობა - ერისთავობა იყო და არა გვარი. გავიხსენოთ ერთი მოვლენა იმავე ეპოქიდან. ლიპარიტ დადიანის შვილი შამადავლა, სანამ დადიანი ე.ი. ერისთავთ-ერისთავი გახდება, ლიპარტიანია და არა დადიანი (ასე იხსენიება იგი თოფურ-იმეთა შემოხსენებულ სიგელში), ხოლო 1470 წელს შამადავლა საკმაოდ მოწიფულ ასაკში გახდა ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი. ე.ი. როგორც ვახუშტი წერს „დაჯდა დადიანად“. რას ნიშნავს ტერმინი „დაჯდა დადიანად“? ეს ნიშნავს, რომ გახდა ერისთავთ-ერისთავი (რა თქმა უნდა, ჩვენ არ უარ-ყოფთ, რომ ძველი დადიანები ერთი გვარის ჩამომავლები იყვნენ).

ამდენად, ვერც ოზბეგ დადიანი და ვერც ხაქვთ დადიანი ვერ იქნებოდნენ მხოლოდ სვანთა ერისთავები. ისინი დადიანთა საგვარეულოს წევრები, მაგრამ ამავე დროს მოხელე-დადიანებიც ე.ი. ოდიშის ერისთავებიც იყვნენ.

ჩვენი აზრით, ოზბეგ დადიანის ძალაუფლება ვრცელდებოდა როგორც ოდიშ-სამურზაყანოს, ასევე სვანეთის ტერიტორიაზეც. იგი საქვეყნოდ გამრიგე მოხელე-ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესია. ოზბეგის მანდატურთუხუცესობაში უთუოდ საქართველოს სამეფო კარის მოხელის ფუნქციები უნდა ვივარაუდოთ, ე.ი. XV საუკუნის შუა ხანებში, მართალია, ქართული სახელმწიფოს ერთიანობის რღვევა დაწყებულია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ინარჩუნებს ძველ სახელმწიფოებრივ ატრიბუტებს - ერისთავობისა და უხუცესობის სამოხელეო ინსტიტუტებს.


ლაბსყალდისა და ჭლოუს წარწერის მონაცემებით ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი ოზბეგის დადიანობა ლიპარიტ და შამადავლე დადიანებს შორის უნდა ვივარაუდოთ. ვახუშტის მიხედვით, 1414 წელს ალექსანდრე დიდი დადიანად სვამს ლიპარიტ მამიას ძეს¹³⁹, ხოლო 1470 წელს მოკვდა დადიანი ლიპარიტ და დაჯდა ძე მისი შამადავლე¹⁴⁰. შამადავლე უთუოდ ლიპარიტის ძეა (იქნებ უმცროსი, ოზბეგის მომდევნო ძე?), მაგრამ ეს არ უნდა გამორიცხავდეს ოზბეგის დადიანობას. ლიპარიტის ხანგრძლივი დადიანობაც 1414-1470 წლებში საკმაოდ საეჭვოდ ჩანს, მით უფრო, როცა ჭლოუსა და ლაბსყალდის სიგელის მონაცემები გვაქვს. აქვე მინდა ისევ გავიხსენოთ თოფურიმეთა სიგელი, სადაც შამადავლა სხვა დიდებულებთან ერთად ლიპარტიანად იხსენიება.¹⁴¹ რატომ იხსენიება შამადავლა - მემკვიდრე დადიანი ლიპარტიანად მამის სიცოცხლეში? მაშინ, როცა არცერთი სხვა მემკვიდრე დადიანი ლიპარტიანად წყაროებში არ გვხვდება. ხომ არ მიუთითებს ეს იმ ფაქტზე, რომ თოფურიმეთა სასისხლო სიგელში მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადი-

¹³⁸ ვ. თაყაიშვილი, ნიმუშები საქართველოს სიგელ-გუჯრებისა, „ივერია“, 1891, N 213.

¹³⁹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა - ვკ. 896.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 897.

¹⁴¹ ვ. თაყაიშვილი, ნიმუშები საქართველოს სიგელ-გუჯრებისა, „ივერია“, 1891, N 213.



ანი ლიპარიტ I კი არა ოზბეგ დადიანია, ხოლო შამადავლა იძულებულია ლიპარტიანად „იყდეს“ 1470 წელს კი, ოზბეგის გარდაცვალების შემდეგ, შამადავლა საკმაოდ ხანდაზმულ ასაკში ჯდება დადიანად. შამადავლას ხანდაზმულობაზე მიუთითებს მისი ხანმოკლე დადიანობა 1470-1474 წლებში და ასევე მისი ინიციატივით დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის კურთხევა არა სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის, არამედ იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქის მიქაელის მიერ, ამასთან დაკავშირებით შედგა კანონიკური ძეგლი „მცნებაჲ სასჯულთ“¹⁴², რომელიც აწესრიგებდა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსის იურისდიქციას და აწესრიგებდა მოქმედ საეკლესიო ნორმებს. ბუნებრივია, ასეთ ანტისახელმწიფოებრივ და ანტისაეკლესიო რეფორმას თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად ახალგაზრდა შამადავლა დადიანი ვერ განახორციელებდა. ჩანს, იგი საკმაოდ დიდხანს ემზადებოდა ხელისუფლებაში მოსასვლელად.

თუ ჩვენნი მსჯელობა სწორია, მაშინ დადიანთა ქრონოლოგია ისტორიის მოცემულ მონაკვეთში შემდეგ სახეს მიიღებს:

ლიპარიტ I 1412-1445

ოზბეგი 1445-1452-1470

შამადავლე 1470-1474

7. გუდავის წარწერები

სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ოქუშის მარცხენა ნაპირას, გალის რაიონული ცენტრიდან 12 კმ-ზე მდებარეობს ისტორიული სოფელი გუდავა. იგი მოიცავდა ახლანდელი სოფლების: პირველი გუდავის, მეორე გუდავისა და საკუთრივ გუდავის ტერიტორიებს. გუდავის ადგილზე ადამიანს ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში უცხოვრია. გვიან ანტიკურ ხანაში და ადრე შუა საუკუნეებში გუდავა ქალაქის ტიპის დასახლება იყო და ცნობილი იყო ზიგანისის ანუ ზეგანის სახელწოდებით. გუდავა იმ ციხესიმაგრეთა სისტემაში შედიოდა, რომლებიც რომის იმპერიის მცირეაზიური პროვინციების მისაღვამებს იცავდა. ძველ ბერძნულ და ბიზანტიური ეპოქის წყაროებში მოხსენიებული ზიგანისის ციხე, მკვლევართა აზრით, უნდა იყოს გუდავა. აქ IV-V სს. მიჯნაზე რომაელთა კოპორტა იდგა. VII - X სს-ში ლაზიკის 4 საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი გუდავაში იყო. ცნობილია, რომ X საუკუნის II ნახევარში გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ მოშალა გუდავის საეპისკოპოსო და შექმნა ახალი კათედრა ბედიანში: „ალაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყცსა საეპისკოპოსო“.¹⁴³ ჩანს, გუდავა ბერძნული საეკლესიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო საქართველოში. ამდენად, გუდავის საეპისკოპოსოს მოშლა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის გაძლიერებისა და საერთო ქართული სარწმუნოებრივ-საეკლესიო პოლიტიკის შექმნის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ამის შემდეგ გუდავა, როგორც მსხვილი საეკ-

¹⁴² ქართული სამართლის ძეგლები, ტ III, გვ 221-233.

¹⁴³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 281.



ლესიო ცენტრი, წყაროებში აღარ იხსენიება. 1654 წლის არქანჯელო ლამბერტის რუქაზე გუდავი დაფიქსირებულია ფორმით „გუდა“.¹⁴⁴

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდში ინახება სოფ. გუდავის ეკლესიის ეზოში ნაპოვნი ქვის ფილა¹⁴⁵, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, ადრე ეკლესიის სამხრეთის კედელში ყოფილა ჩაშენებული (სურ. 18).

რუხი ფერის მოგრძო ოთხკუთხედი ქვის ლოდი, ზომით 75x45 სმ. ფილის დამუშავებული ზედაპირის ცენტრში მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელსაც სამმაგი, წიწვოვანორნამენტიანი ჩარჩო აქვს გარშემორტყმული. განკვეთილობის ნიშანი - ორწერტილი, წარწერის ბოლოს დასმულია სამწერტილი. ქარაგმის ნიშანი: სწორი, პატარა განივი ხაზი.

დაზიანება: ქვის ზედა მარჯვენა კუთხის მოტეხვის გამო დაზიანებულია წარწერის პირველი და მეორე სტრიქონების ბოლო ნაწილი.

საზს: ქსი ...

ყნბს: ორ: ბს: გრდს

დ: გუნ: ნდლქქი

ქდს: ყნბს: ორ:

საზს: ატლ [(ტას)

ყნბს: ორ: ბს: გრდ [ი]

ტ: გუნ: ნდლქქი

ატს: ყნბს: ორ:

„სულსა რაბ(ა)ს | შ(ე)უნდ(ვნე)ს ღ(მერთმა)ნ და მეუ[(ლეს)]ა მისა ნუგამწირას შ(ე)უნდ(ვნე)ს ღ(მერამა)ნ“.

რაბასა და ნუგამწირას წარწერა გამოცემულია ერთხელ ვ. ცისკარიშვილის მიერ, მან წარწერა, პირობითად, XV-XVII სს. დაათარილა.¹⁴⁶

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ წარწერა მთლიანად ორნამენტირებულ ჩარჩოშია ჩასმული. ჩარჩო გრძელდება ფილის მარცხენა მხარესაც. სავარაუდოა, რომ აქ ამავე ზომის ჩარჩო იყო ჯვრის გამოსახულებით. მისი ჰორიზონტალური მარჯვენა მკლავი ქვაზე ახლაც შეინიშნება. ჯვრის მკლავის ზედა და

¹⁴⁴ ილ. ტაბაღა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, რუქა.
¹⁴⁵ ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდი, საინვენტარო დათარი, 2, №700.
¹⁴⁶ ვ. ცისკარიშვილი, ექვსი უცნობი წარწერა, „მაცნე“ ისტორიის ... სერია, 1980, №2, გვ. 141.



ქვეა ნაწილში იკითხება სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა; განკვეთილობის ნიშანი ორწერა ტილი; ქარაგმის ნიშანი დაზიანების გამო არ შეინიშნება.

დაზიანება: წარწერის პირველი სტრიქონი ქვის ჩამოტეხის გამო დაზიანებულია

.....ზ 1

ბ 7 ხ....

ყნ: ინ

ბ 7 ხ

ყნ ინ

ც: * [შ]ეიწყალენ

" [ს] (უ)ლი/ დეკ(ანოზისა)/შ(ეიწყალენ) ღ(მერთმა)ნ "

ვ. ცისკარიშვილი მესამე სტრიქონის პირველ გრაფემას კითხულობს, როგორც „ენს“, ხოლო მის წინ აღადგენს „შინს“, როგორც დაზიანებულ ასოს. ჩვენი აზრით, „ენი“ -ს მაგიერ აქ „შინი“ იკითხება. თანაც საქმე გვაქვს ჩვეულებრივ მოსახსენებელთან, რომელიც გადმოიცემა ფორმით ყნ: ინ - „შეიწყალენ ღ(მერთმა)ნ“ - ეს ფორმა გავრცელებულია ეპიგრაფიკული ძეგლების მოსახსენებლებში.

სავარაუდოა, რომ გუდავის ორივე წარწერა თანაბარი ზომის ორნამენტირებულ ჩარჩოებში იყო ჩასმული და მოთავსებული იყო მოგრძო მართკუთხა ქვის ფილაზე, რომელიც ოდესღაც ეკლესიის ფასადს ამშვენებდა.


გუდავის წარწერაში მოხსენიებული რაბაა და ნუგამწირა ცოლ-ქმარი უნდა იყოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილა ადრე ეკლესიის ფასადში ყოფილა ჩასმული, მაშინ საფიქრებელია, რომ წარწერის ტექსტში მოხსენიებული რაბაა და ნუგამწირა ადგილობრივი წარჩინებული ფეოდალური სახლის წევრები არიან, რადგან ჩვეულებრივ, ეკლესიის ფასადებზე სასულიერო პირთა ან მსხვილ საერო ფეოდალთა მოსახსენებლებს ან ქტიტორულ წარწერებს აკეთებდნენ (შშენებელ-ოსტატთა ან კარის შემბმელთა წარწერები, ძირითადად, სამშენებლო ხასიათისაა).

ონომასტიკური კვლევის თვალსაზრისით, საყურადღებოა წარწერაში დაფიქსირებული ქალის სახელი- ნუგამწირა. ჩვენი აზრით. ეს სახელი ტიპიური და დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ონომასტიკური ლექსიკონისათვის. (შდრ: ნუგეშა, ნებიერა და სხვ.).

მამაკაცის სახელი რაბაა გვხვდება ერთ საკმაოდ ცნობილ წერილობით წყაროში. კერძოდ, გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის (1446-1466) 1459 წლის ეპისტოლეში და შურჭუარე II ათაბაგის (1451-1498) მიერ ბურჯუნდიის მთავარისადმი გაგზავნილ წიგნში. ორივეგან მოხსენიებულია ანაკოფიის მთავარი „რაბია“.

გიორგი მეფის ეპისტოლე: „მე, გიორგი მეფე პერსთა (სპარსთა), ბედიანი სამეგრელოს მეფე, ყურშუარე ქართველთა მთავარი, რაბია (sic) ანაკოციის მთავარი“.¹⁴⁷

¹⁴⁷ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902 გვ. 596-597.



ყურყურე ათაბაგის წიგნი: „მე ყურყურე ქართველთა მთავარი, გიორგი მეფე პერსთა (პარსთა) მხედრისა სამეგრელოს მეფე, რაბია ანაკოსიის მთავარი“.¹⁴⁸

რა თქმა უნდა, გუდავის წარწერასა და ზემოხსენებულ წყაროში მოხსენიებული „რაბიას“ და „რაბიას“ დამთხვევა საკმარისი არგუმენტი არ არის რაიმე დასკვნა გავაკეთოთ ამ წყაროების ურთიერთმიმართებაზე, მაგრამ დამატებითი არგუმენტების მოპოვების შემთხვევაში, ვფიქრობ, აუცილებლად გასათვლისწინებელი დეტალი უნდა იყოს.

რადგან წარწერის ტექსტში თარიღი არ მოიპოვება და ისტორიულ პირთა იდენტიფიცირებაც ნაკლებად არგუმენტირებულია, დასათარიღებლად უნდა მიემართოთ პალეოგრაფიულ ნიშნებს (ტაბულა 2).

რაბიასა და დეკანოზის წარწერების ტექსტთა გადმოსაცემად გამოყენებულია ასომთავრული დამწერლობის 38-დან 17 გრაფემა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არ ემორჩილება ასომთავრულისთვის დამახასიათებელი ორხაზოვანი საწერი ბადის კანონებს. ორხაზოვანი საწერი ბადის რღვევის ტენდენციები განსაკუთრებით შესამჩნევია პირველი სტროფის სიტყვების „სულსა“ და „კრახ(ა)ს“ გადმოცემისას. მთლიანად წარწერაში დარღვეულია ასომთავრულისთვის დამახასიათებელი მრგოლოვანი მოხაზულობა და მონუმენტურობა. იგრძნობა გაკუთხოვანება - განუსხურებისაკენ მიდრეკილება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გრაფემა „ანი“. იგი ორივე წარწერაში მოცემულია ხუთჯერ და არცერთ შემთხვევაში მარჯვნივ გახსნილი წრით არ არის წარმოდგენილი. წრე ყოველთვის გაკუთხოვანებულია, ხოლო გრაფემის ტარი მარცხნივ არის გადახრილი და ქვემოთ ზოგჯერ, მიდგმული აქვს ქუსლი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გუდავის წარწერის „ბანი“-ს მოხაზულობა. მასში აშკარად იგრძნობა განუსხურების ტენდენციები. გრაფემის ტარს თავზე ადევს ღია გაკუთხოვანებული მარწყვი, ხოლო ქვემოთ ტარს მიდგმული აქვს ქუსლი, რომლის შუა ნაწილს ვერდნობა ასოს ტარი. ერთი შეხედვით ეს გრაფემა ასომთავრული ანბანის „ხარ“-ს ყ - გვაგონებს.

„განი“ ერთჯერაა წარწერაში და მოცემულია მარცხნივ ოდნავ დახრილი ტარით; ასომთავრულისთვის დამახასიათებელ მონუმენტურობას იჩენს გრაფემები: „ღონი“, „ლასი“, „ონი“, ნაწილობრივ „ღანი“-ც.

„ენი“ წარწერაში წარმოდგენილია ორჯერ სხვადასხვა ფორმით. პირველი „ენი“ უახლოვდება კლასიკური ასომთავრულის „ენ“-ს, რასაც ვერ ვიტყვით მეორე გრაფემაზე სიტყვაში „დეკ(ანოზი)“.

„სანი“ ასომთავრულისათვის ოდნავ განსხვავებული ფორმებით ხუთჯერაა წარმოდგენილი წარწერაში. მისი მოხაზულობა მსგავსებას იჩენს კუმურდოს ტაძრის ზოსიმე კუმურდოელის 1511-1515 წლების წარწერის „სან“-თან. ასეთივე მსგავსება იგრძნობა ზ, ნ, ყ, ზ, - გრაფემების მოხაზულობაში. (შეადარეთ ტაბულაზე).

რაც შეეხება დეკანოზისა და რაბიას წარწერების ურთიერთმიმართებას, ისინი ერთი და იმავე დროს, ერთი ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული. ამაზე მიუთითებს „ღონი“-ს, „ღანი“-სა და „ნარი“-ს ერთნაირი გრაფიკული მოხაზულობანი. თუ გავითვალისწინებთ, მოცემულ პალეოგრაფიულ მონაცემებს გუდავის წარწერები, XV-XVI სს. შეიძლება დაეთარილოთ.

¹⁴⁸ ივე, 594-595; შდრ.; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, ნაწილი პირველი (XIII-XIV სს) თხზ. თორმეტ ტომად, ტომი 3, თბ., 1982, გვ. 292; დ. პაიჭაძე, ვეროპის ქვეყნების ანტიონისძალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში, თბ., 1989, გვ. 90.

1. ნ 2. ნ 3. ნ 4. ნ 5. ნ - ნ - ვეზირი

საქართველო
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

1. ო 2. ო 3. ო

1. უ 2. უ

1. ს 2. ს - ს - ვეზირი

3. ს 4. ს

5. ს

1. ი 2. ი

1. ყ 2. ყ 3. ყ - ყ - ვეზირი

1. თ 2. თ 3. თ

1. ქ

2. ე

2. ე

1. ვ - ვ - ვეზირი

1. ზ - ზ - ვეზირი

1. ჟ 2. ჟ 3. ჟ

ტაბულა 2.



8. ფაშადის წარწერა

გალიდან 17 კმ მანძილზე, სამურხაყანოს დაბლობზე, მდინარეების ოქუმისა და წარჩეს ხეობებში მდებარეობს სოფ. წარჩე. წარჩე უნდა მოდიოდეს მეგრული სიტყვიდან „წყარ“-წყალი + „ჩე“ - თეთრი = თეთრი წყალი. წარჩე მოიხსენიება ძველ წყაროებში, კერძოდ 1654 წლის „კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუკაზე“¹⁴⁹.

სოფელში შემორჩენილი ძველი არქიტექტურული ძეგლების ნაშთები მიუთითებენ, რომ წარჩე თავის დროზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ კერას წარმოადგენდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში. მხარეთმცოდნე ნ. შონიას გადმოცემით, წარჩეში ოთხი ძველი წიგნსაცავი ყოფილა. ღღეს ამ წიგნსაცავებიდან არაფერია შემორჩენილი.¹⁵⁰

წარჩეში დგას XIII-XIV საუკუნეების ხუროთმოძღვრული კომპლექსი „მაჟაშ ოხუამე“- მეფის ეკლესია¹⁵¹. კომპლექსში შედის ორი ეკლესია, გალავანი და კარიბჭის ნაშთი. „მაჟაშ ოხუამეს“ ერთ-ერთი დარბაზული ეკლესიის გათხრებისას აღმოჩნდა ადგილობრივ დიდებულთა ფრესკები - აღნიშნული არქიტექტურული ძეგლი შეისწავლა ხელოვნებათმცოდნე ლ. შერვაშიძემ და ვარაუდით, XV საუკუნით დაათარიდა.¹⁵² წარჩეს ეკლესიები XVII საუკუნეში განუახლებია სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს (1611-1657).

წარჩეში აღმოჩნდა ერთი ლაპიდარული წარწერა, რომელიც ამოკვეთილია რუხი ფერის კირქვის ფილაზე (სურ. 19). ფილის ზომა: 20,5x22; 5x8; ფილის დამუშავებული მხარის თითქმის მთელ ფართობზე ამოღარულია ცხრასტრიქონიანი ნუსხური წარწერა, სტრიქონები დახრილია. ასოების სიმაღლე: 2,5=1,6. განკვეთილობის და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს.¹⁵²

დაზნანება: ფილის მარჯვენა მხარე წარწერის ტექსტის ნაწილითურთ მოტეხილია. გადაშლილია ფილის ქვედა ნაწილი და დაზიანებულია წარწერის პირველი და მეშვიდე სტრიქონები.

ჩყ Ⴑჲყოჲსიჲ
ბყ Ⴑს Ⴑჯდჲსიჲნი
ჲყჲჲჲსიჲჲნი ჴ[.]
ჲბჲნი Ⴑჲ Ⴑნიჲ
ლბჲნი Ⴑჲნიჲ [...]
[.] Ⴑღჲჲსი ჴ
[.] Ⴑსიჲნიჲჲჲჲ [.]
ბ Ⴑ Ⴑ [...] Ⴑჲ [...] [...]

“ქ(რისტ)ე, დაეწერე |
მე ეს(ე) ეგ(უ)ტერაჲ |
ფაშამემან გ |
ამან და ინა (?) |
წ(მილა)მან; ვინცა [ლ]ოცვას გ |
[ვ(ი)]ხსენებდეს |
მ თ[ქ]ვ |
[(ე)ნც(ა)შ(ე)ვინდენე]ს |
[დ(მერთმა)წ]“

¹⁴⁹ ილ. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ II (რუკა).
¹⁵⁰ გადმოცემა მოვიხსენიეთ მხარეთმცოდნე ნ. შონიასაგან. მისი საუბარი გადაღებულია ვიდეოფორზე წარჩეს ეკლესიაში.
¹⁵¹ შონი ინახება რევისორ ვ. კარბაიას პირად ვიდეოფორაში.
¹⁵² Л.А. Шервашидзе, Некоторые средневековые настенные росписи на территории Абхазии, тб. 1971, გვ. 117-118.



წარწერის ფოტო გამოცემულია ხ. ბლაჟუას მიერ ორჯერ. ამჟამად წარწერის ადგილსამყოფელი უცნობია, ხოლო ბლაჟუას მიერ გამოცემულ ფოტოზე წარწერის სრულყოფილი წაკითხვა შეუძლებელია. თავის დროზე, როგორც აღნიშნავს აფხაზი მკვლევარი, წარჩევს წარწერის ტექსტი გაუშიფრავს თ. ხაჭომიას: „В чтении и расшифровке Т.Г. Хажомия в надписи упоминается некий Пашадзе расписавший придел часовни св. Горы“. თ. ხაჭომიას წაკითხვის ვარიანტი ჩვენ ხელთ არ გვაქვს. ამდენად, ჩვენი წაკითხვა ემყარება ხ. ბლაჟუას ბუნდოვან ფოტოს.

თუ გავითვალისწინებთ წარწერის პალეოგრაფიულ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც აშკარად დარღვეულია ნუსხურისათვის დამახასიათებელი ოთხხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციები, კერძოდ საწერი ბადის ზედა რეგისტრის გრაფემები ხშირად ქვედა რეგისტრშია ჩაწერილი და პირიქით; ჩანს რომ ფილის ზედაპირი არ იყო სათანადო დონეზე დამუშავებული, ამიტომ ოსტატს გაუჭირდა პროპორციების დაცვა გრაფემების ამოკვეთისას, გრაფემათა მოხაზულობაში იგრძნობა გვიან შუასაუკუნეების ქართული ლაპიდარული წარწერებისათვის დამახასიათებელი დაღმავალი ხაზი. გრაფემათა არაერთგვაროვნება, საწერი ბადის ქვედა და ზედა რეგისტრების აღრევა და სხვა პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა შეიძლება XVI-XVII სს დათარიღდეს. წარწერაში მოხსენიებული პირი სხვა წყაროებით უცნობია.

¹³² ვ. ხილოვაჟა, დასახ. საღისურტაციო ნაშრომი, გვ. 276, № 228.

თავი III.

გულაუთისა და მისი მიდამოების წარწერები



გულაუთასა და მის მიდამოებში გამოვლენილი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, ძირითადად, მოთავსებულია საკულტო (ქრისტიანული) დანიშნულების ნაგებობებზე და მათი ქრონოლოგია IX-XIN საუკუნეებით განისაზღვრება. წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებულია ასომთავრული დამწერლობით, გვხვდება ნუსხურის ნიმუშებიც, მაგრამ მხედრულით შესრულებული წარწერები ძალზე იშვიათია.

მინაარსის მიხედვით გულაუთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში გვხვდება საამშენებლო და მემორიალური ხასიათის წარწერები. ამ მხრივ საყურადღებოა მსიგ ზუას, ანუხვის, სამათოს, ზუაფის და ლიხნის წარწერები. სოფელ ანუხვიდან ეკლესიის წარწერების გარდა ცნობილია ახალი ათონის, ანუ გუმიშხა-ფსირცხას კირქვულ მასივში მდებარე ანუხვის მღვიმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვაქვს აღნიშნული მასალა). პროფ. ლ. მარუაშვილის ცნობით, მღვიმე შემკულია პალეოლითური, ანტიკური და შუა საუკუნეთა კედლის მხატვრობით და ძველი V-VIII სს. ასომთავრული წარწერებით. უნდა იყოს კულტურული ფენებიც. როგორც ჩანს, ანუხვის მღვიმე ისტორიამდელ პერიოდში ასრულებდა საცხოვრისის, ხოლო საშუალო საუკუნეებში სამლოცველოს დანიშნულებას.¹

ცალკე უნდა აღინიშნოს ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის წარწერები. მარი ბროსემ თავის დროზე ტაძარში მიაკვლია X-XIII სს. ხუთ ქართულ წარწერას. ცნობები ლიხნის წარწერების შესახებ დაცულია დ. ბაქრაძის ნაშრომებსა² და ე. თაყაიშვილის არქივში³. XX საუკუნის 80-იან წლებში ლიხნში დამატებით გამოვლინდა უცნობი ქართული წარწერები, რომლებიც X-XI სს. და შედარებით მოგვიანო ხანითაც თარიღდება⁴.

1. მსიგ ზუას წარწერები

1962 წლის ზაფხულში, გულაუთის რაიონის სოფ. პრიმორსკოეს მიდამოებში, შავი ზღვიდან 3 კმ-ზე მდინარე წკუარას ხეობაში შემადღებულ ადგილზე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები მსიგ ზუას მთას უწოდებენ, აღმოჩნდა ძველი საკულტო ნაგებობის ნაშთი. მისი პირველი არქეოლოგიური დაზვერვა ჩაატარა ვ. ფაჩულიამ, ხოლო მოგვიანებით საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დავალებით მსიგ ზუას ძველი ხუროთმოძღვრების შესწავლაზე მუშაობდა სპეციალური ექსპედიცია აფხაზი მეცნიერის ა. კაციას ხელმძღვანელობით. გარკვეული საშუაოს ჩატარების შემდეგ გაირკვა, რომ ნაგებობა წარმოადგენდა შუა საუკუნეების

¹ ლ. მარუაშვილი, მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები. ზოგადი სპელეოლოგია. თბ., 1973. გვ. 241.

² ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა; თბ. 1985, გვ. 162.

³ ე. თაყაიშვილი, ე. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში დაცული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, მრავალთავე, XII, 1986, გვ. 76-77.



ქრისტიანულ ეკლესიას, რომელიც თავისი ხუროთმოძღვრული სტილით „НОСИТ ГРУЗИНСКИХ ФРАГМЕНТАЛЬНЫХ МОТИВОВ“⁵.

აღნიშნული ტაძრის შესახებ წერილობით წყაროებში ცნობებს ვერ ვხვდებით, თავად ეკლესიის ახლანდელი სახელწოდება მსიგ ხუა ა. კაციას მიერ პირობითად არის სახელდებული, ხოლო მისი თავდაპირველი სახელი, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია.

მსიგ ხუას ეკლესიის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული მასალიდან ყურადღებას იქცევს „различные блоки и фрагменты конструктивных деталей здания, фрагменты декора и профилированных плит, обломки кровельной черепицы и калиптер, некоторые с антефиксами...“⁶. აღნიშნულ კალიბტერებზე აღმოჩნდა ასომთავრული წარწერები, რომელთა გრაფიკული გადმონახაზის პირველი გამოცემა ეკუთვნის ა. კაციას⁷, მსიგ ხუას ორი ტიპის ანტიფიქსზე მოთავსებული წარწერები თანამედროვე სამეცნიერო აპარატით გამოსცა ვ. სილოვაკამ.

მთლიანად მსიგ ხუას ეკლესიაში აღმოჩენილია 46 წარწერიანი კრამიტის კალიბტერის ანტიფიქსი. ისინი შინაარსის მიხედვით იყოფა ორ ძირითად ჯგუფად. პირველ ჯგუფში ერთიანდება მიქაელის სავედრებელი სამსტრიქონიანი წარწერები ტექსტით: „ქ(რისტ)ე, შ(ე)მწყ(ა)ლე მ(ი)ქ(ა)ელ ა(მ)ენ,“ ამ შინაარსის მქონე წარწერებიანი კალიბტერების ანტიფიქსები ცნობილია 30 ცალი. მათგან 28 ცალი ინახება ბიჭვინთის ტაძარში, ხოლო ორი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ყველა მათგანი შემორჩენილია განსხვავებული სახით- ზოგი უკეთ არის დაცული, ხოლო ზოგის მხოლოდ ფრაგმენტებია მოღწეული.

მეორე ჯგუფში ერთიანდება ის წარწერები, რომლებზეც ამოკვეთილია მხოლოდ შემდეგი სიტყვები: „მ(ი)ქ(ა)ელ, ა(მ)ენ,“ ამ შინაარსის ანტიფიქსები აღმოჩენილია 16 ცალი, მათგან 15 ინახება ბიჭვინთის ტაძარში, ერთი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ქართული წარწერების კორპუსის მეორე ტომში გამოქვეყნებულია ორივე ტიპის წარწერების თითო ნიმუში. ჩვენ ხელთ გვაქვს კიდევ ერთი ანტიფიქსის ფოტო⁸, რომელიც შინაარსობრივად I ჯგუფის წარწერებში ერთიანდება.

მოგვყავს სამივე წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა და პალეოგრაფიული დახასიათება.

ა) მიქაელის სავედრებელი წარწერა I

სამსტრიქონიანი ასომთავრული რელიეფური წარწერა მოთავსებულია კრამიტის კალიბტერის ანტიფიქსზე (სურ.1). ანტიფიქსის ზომაა : 13,5 × 10. მისი თავი წამახვილებულია სამკუთხედად; ირგვლივ შემოუყვება ჩარჩოს ორმაგი რელიეფური ზოლი. ანტიფიქსის ცენტრში მაღალი რელიეფით (1,1 - 1,2) გამოყვანილია „მალტური ჯვარი“ (ზომა: 5,5 × 5,5). წარწერის სტრიქონები განლაგებულია

⁴ ვ. სილოვაკა. ქართული წარწერა კომპეტის გამოჩენის შესახებ. გაზ. „ლიტ. საქ.“, 1988, 7.02, №6 (2365), გვ. 5-6.
⁵ А. Ка ция, Памятники архитектуры в долине цкуара, МАА. გვ. 67.
⁶ А. Кашия, ; დასახ. ნაშრომი, გვ. 66.
⁷ იქვე, таб., рис. 2.
⁸ ფოტო მოგვცაწილა პროფ. ვ. სილოვაკამ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.



ქვემოდან ზემოთ. მესამე სტრიქონის ასოები („ა ~ნ“) გადმოცემულია „სარკისებური“ შებრუნებული მოხაზულობით- ასოების სიმაღლე : 1 - 1,2 - 2. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: სწორი, რელიეფური, განივი ზაზი⁹. გამოცემულია ორჯერ. პირველად ა. კაციას მიერ, მხოლოდ გრაფიკული გადმონახაზი¹⁰, მეორედ - ქართული წარწერების კორპუსის მეორე ტომში.

დაზიანება: წარწერა დაზიანებულია. კრამიტის კერამიკული კალიბტერი გადატეხილია შუაში, ისე, რომ მალტური ჯვარის ვერტიკალური მკლავების ქვემოთ კალიბტერის მარცხენა კიდე ჩამოტეხილია. ასევე ჩამოტეხილია კალიბტერის ზედა სამკუთხედად წამახვილებული თავი. აღნიშნული დაზიანება წარწერის წაკითხვას ხელს არ უშლის.

ს ნ

ჰ ზ

ქ ი ყ ა ზ ჯ ჴ ჶ

ა(მე)ნ, | მ(ი)ქ(ა)ელ |

ქ(რისტ)ე შ(ე)მწყ(ა)ლე*⁹

*ს: ქ(რისტ)ე, შ(ე)მწყ(ა)ლე

მ(ი)ქ(ა)ელ, ა(მე)ნ.

ბ) მიქაელის წარწერა

ორსტრიქონიანი, ასომთავრული რელიეფური წარწერა მოთავსებულია კრამიტის კერამიკული კალიბტერების ანტიფიქსზე (სურ. 2). კალიბტერები ამ ტიპის წარწერებით სრული სახით არის შემონახული. დაცულია მხოლოდ ანტიფიქსები ან ანტიფიქსების ფრაგმენტები. სრული სახით შემონახული ანტიფიქსის ზომაა 13, 5 × 10. მას ირგვლივ ორმაგი რელიეფური ჩარჩო შემოუყვება, ხოლო ზედა კიდე ტოლფერდა სამკუთხედად არის გამოყვანილი. ანტიფიქსის ცენტრში წარმოდგენილი „მალტური ჯვარი“, (ზომა : 5,5 × 5,5) , შესრულებულია მაღალი რელიეფით. პირველი სტრიქონის ნაცვლად ქვედა კიდეზე ანტიფიქსს დაუყვება რელიეფური, წერტილებდასმული სხვადასხვა რაოდენობის წრეზაზების (d = 0,8) რიგი. სტრიქონები განლაგებულია ქვემოდან ზემოთ. მეორე სტრიქონის ასოები („ა, ნ“) გადმოცემულია ინვერსიული მოხაზულობით. ასოების სიმაღლე : 0,7 - 1,2 . განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი სწორი, რელიეფური განივი ზაზი⁸.

ს ნ

ჰ ზ

ა(მე)ნ / მ(ი)ქ(ა)ელ*

ს: მ(ი)ქ(ა)ელ ა(მე)ნ

⁹ შპქ II, გვ. 30-31, № 5.

¹⁰ А. Кацця, дасახ. ნაშრომი, табл. IX, рис. 2.



გ) მიქაელის სავედრებელი წარწერა II

ორსტრიქონიანი ასომთავრული რელიეფური წარწერა მოთავსებულია კრამიტის კერამიკული კალიბტერის ანტიფიქსზე (სურ. 3). ანტიფიქსისა და ასომთავრული ასოების ზომები იგივეა, რაც პირველი ჯგუფის კალიბტერებზეა. კალიბტერს ირგვლივ შემოუყვება ორმაგი რელიეფური ჩარჩო. წარწერის ზედა და ქვედა სტრიქონები ერთმანეთისთან გამოყოფილია ორმაგი რელიეფური ხაზით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარავმის ნიშანი სწორი, განივი ხაზი.

დაზიანება: კალიბტერი დაზიანებულია: ფოტოზე ჩანს, რომ გადატეხილია მისი წამახვილებული სამკუთხა თავი. ამიტომაც არ იკითხება წარწერის პირველი სტრიქონი. ფოტოზე იკითხება მხოლოდ ორი სტრიქონი. ისევე როგორც პირველი ჯგუფის ყველა წარწერა, აქაც სამი სტრიქონი უნდა ყოფილიყო. დაზიანების გამო არ ჩანს „მალტური ჯვარიც“.

.....

ჰ+ზ

ქ1 ყაჩყუნი

... [ა(მე)ნ] მ(ი)ქ(ა)ელ / ქ(რის)ტე შე)მწყ(ა)ლუ“

ორივე ჯგუფის კალიბტერების წარწერები ვ. სილოგავამ IX-X საუკუნეებით დაათარიღა¹¹. ჩვენი აზრით, აღნიშნული დათარიღება მისაღებია, რადგან წარწერების ქრონოლოგიისას, ხშირ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავად ნაგებობის დათარიღებას, რაც ამ შემთხვევაში გასაზღვრავს კიდევ მსიგზუას წარწერების შექმნის ეპოქას.

ა. კაციაშვილმა თავის დროზე საფუძვლიანად შეისწავლა მსიგზუას ეკლესიის ხუროთმოძღვრული სტილი და გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი „ნალისებურ გუმბათიანი“ უნდა ყოფილიყო¹². ცნობილია, რომ ამ ტიპის ქრისტიანული ეკლესიები ამიერკავკასიაშია კერძოდ, საქართველოში გავრცელებული იყო განსაზღვრულ პერიოდში, V-X სს-ში, ვ. ჩუბინაშვილის სიტყვებით - „ сочетание подковообразной арки с полуциркульной характерно для памятников грузинской архитектуры определенного периода...это... само по себе в известной степени может считаться датированным элементом, поскольку граница ее распространения является IX-XI века“¹³.

ამ დასჯა არქიტექტურული თავისებურებების გათვალისწინებით ა. კაციაშვილმა მსიგზუას ეკლესიას X საუკუნით ათარიღებს: „предварительное изучение выявленных материалов позволило дать храму типологическое определение купольного сооружения и подвести к датировке

¹¹ შწკ II, გვ. 31-32, № 6.

¹² შწკ II, გვ. 30-31.

¹³ А. Кация, დასახ. ნაშრომი, გვ. 72. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავიდან მკვლევარს არ ჰქონდა გარკვეული მსიგზუას ეკლესია დაზიანებული იყო თუ გუმბათოვანი ნაგებობა. ამის შესახებ დასაზღვებლ ნაშრომში წერდა: „ исходя лишь из плана трудно определить Мсыгуа как Базилику или же купольный храм“. (გვ.68).

¹⁴ ვ. ჩუბინაშვილი, ბოლნისის სიონი, ენციკის, ტ. IX, თბ. 1940. გვ. 135-136.



ორიენტიროვნო X ვეკომ¹⁵. ჩვენს აზრით, X საუკუნე მსიგზუას ეკლესიის მშენებლობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი უნდა იყოს.

მსიგზუას წარწერების პალეოგრაფიულ ნიშნებში აშკარად იკვეთება ასომთავრულისათვის დამახასიათებელი არქაულობა: დავიწყოთ იქიდან, რომ ვველა კალიბტერის წარწერა (ყოველ შემთხვევაში ჩვენს მიერ წარმოდგენილი წარწერებისა) ერთი და იმავე პერიოდში უნდა იყოს შესრულებული. ამაზე მრავალი ფაქტორი მიუთითებს: წარწერებში სიტყვებისა და გრაფემების განლაგება ერთნაირია. ასევე ერთნაირია ორივე ტიპის წარწერებში გრაფემათა მოხაზულობა. ამ მხრივ მსგავსება თვალნათლივ ჩანს „მან“-ის, „ქან“-ისა და „ლას“-ის მოხაზულობაში. ასევე ერთნაირადაა წარმოდგენილი „მალტური ჯვარის“ რელიეფური გამოსახულებაც. ეს ბუნებრივია, რადგან, კალიბტერები ყალიბშია დამზადებული.

პალეოგრაფიულად ფურადლებას იქცევს „მან“-ის მოხაზულობა. შეიძლება ითქვას, რომ მისი მოხაზულობა რამდენადმე განსაზღვრავს კიდევ წარწერის დათარიღებას. გრაფემის მოხაზულობაში წარმოდგენილია კლასიკური ასომთავრულისათვის დამახასიათებელი ჩამონაკეთულობა. ასეთი „მან“-ი ხშირად გვხვდება X საუკუნემდედ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში.

ველა შემთხვევაში, წარწერის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს IX საუკუნეზე ადრე ვერ ვივარაუდებთ, რადგან დასავლეთ საქართველოში უფრო ადრეული ქართული წარწერები არ გვხვდება.

თუ გავითვალისწინებთ ტაძრის ზემოაღნიშნულ დათარიღებას, სადაც X საუკუნე ტაძრის მშენებლობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ სრულიად მისაღებია მსიგზუას წარწერების ვ. სილოგავასეული დათარიღება და ამიტომ ჩვენც წარწერის ამ დათარიღებას-IX-X სს. ვიზიარებთ.

საყურადღებოა მსიგზუას წარწერების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება. მრავლისმთქმელია თავად ის ფაქტი, რომ გუდაუთის ერთ ეკლესიაში აღმოჩნდა 48 ცალი კრამიტის კალიბტერი ქართული წარწერებით.

აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიისათვის ნიშანდობლივია ასეთი დიდი რაოდენობით ქართული წარწერებიანი კერამიკული კალიბტერების აღმოჩენა. როგორ მოხვდა დღევანდელი გუდაუთის ეთნიკურად არაქართულ რეგიონში- უძველეს ქრისტიანულ ტაძარში ამ რაოდენობის ქართულ წარწერებიანი კერამიკული კრამიტის კალიბტერები?

ბუნებრივია, რომ ქრისტიანული ტაძრის მშენებლობისას კრამიტის კერამიკული კალიბტერები სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა. მათზე გაკეთებული პირველი ჯგუფის წარწერების შინაარსიდან ირკვევა, რომ ვინმე მიქაელის შეწყალებას ითხოვს. შესაძლოა იგი ტაძრის მშენებელი ოსტატი ან მშენებელი ქტიტორი იყოს. მეორე ტიპის წარწერების ტექსტში არ დევს არც შეწყალებისა და არც თხოვნის შინაარსი. წარწერის ტექსტის ფორმულირება „(მ)ნ მ(ი)ქ(ა)ელ“ მიუთითებს, რომ წარწერა მიქაელ მთავარანგელოზის სადიდებად უნდა იყოს გაკეთებული. ე. ი. მეორე ჯგუფის წარწერებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსიგზუას ეკლესია მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე იყო აგებული.

¹⁵ А.Кация, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.



ჩვენი აზრით, მსიგზუას წარწერები მიუთითებს, რომ ამ ეკლესიაში ქრისტიანული აღმსარებლობა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო მისი მშენებელი ოსტატი ან ქტიტორი ქართულ ეთნო-კულტურულ სამყაროს ეკუთვნოდა.

ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ისტორიის გარკვეული პერიოდიდან, დაახლოებით IX-X საუკუნეებიდან და შესაძლოა ოდნავ უფრო ადრინადაც, ქართული ენა და ქართული დამწერლობა ამ რეგიონის ქრისტიანულ აღმსარებლობაში წამყვან როლს თამაშობდა, ე. ი. ქართული, როგორც საეკლესიო ენა დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში IX-X სს. უნდა ვივარაუდოთ.¹⁶

„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ - წერდა X საუკუნის ავტორი გიორგი მერჩულე, რომელიც ქართლად „აღრიცხულ ქვეყნებში“ მთელ დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აფხაზეთსაც, გულისხმობდა.

2. ხუაფის სამშენებლო წარწერა

1967 წელს გულაუთის რაიონის მაღალმთიან სოფელ ხუაფში მიროდ გოცამ და არტემ ანქაპბა აღმოაჩინეს წარწერიანი ქვის ფილები, რომლებიც მიიტანეს დ. გულაის სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში. ხელოვნებათმცოდნე ლ. შერვაშიძემ ხუაფის ეკლესიაში მიაკვლია ამავე წარწერის კიდევ რამდენიმე ფრაგმენტს. ერთიანობაში ფრაგმენტებმა შექმნეს პატარა ფილა, რომელზეც ქართული ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი. წარწერის შესახებ პირველი ცნობა გამოქვეყნდა ა. ავიბას მიერ 1967 წელს გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიაში“, სადაც მოყვანილია წარწერის ტექსტის რუსული თარგმანი და გამოცემულია წარწერის ფრაგმენტების ფოტო¹⁷. ხუაფის წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა და ტექსტი გამოცემულია ქართული წარწერების კორპუსის მეორე ტომში.¹⁸ ამ აღწერილობის მიხედვით ასომთავრული წარწერა თოთხმეტი ან მეტსტრიქონიანი იყო. „იგი ამოკვეთილი იყო კირქვის ფილაზე, რომელიც გატეხილია ოთხ ნაწილად. გატეხილი ნაწილები წარწერის ტექსტიურთ ადგილ-ადგილ ატკეცილია, ამიტომ სტრიქონთა ზუსტი რაოდენობის დადგენა არ ხერხდება. ზომა: 45x 41 x 7-3,5. წარწერა შესრულებულია კიდურწაისრული დამწერლობით, მოგრძო დუქტუსით- ასოების სიმაღლე: 2,5 -1,7. ფილის შუა, დაბალეზულ ადგილზე წარმოდგენილია რელიეფური, ტოლმკლავებიანი ჯვარი. ჯვარის ზედა მკლავებს შორის ბუდეებში ამოკვეთილია X ო || ო ს ო „ჯ(უარ)ი ქ(რისტმ)სი“. წარწერის პირველი ორი სტრიქონი მოთავსებულია ფილის ზედა, განივ ჩარჩოზე; ტექსტი გრძელდება ფილის მარცხენა და მარჯვენა გვერდით ჩარჩოებზე. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარავმის ნიშანი კლაკნული, კიდურწაისრული განივი ხაზი.“¹⁹

¹⁶ ს. ჯანაშია, გიორგი შერვაშიძე, გვ. 26.

¹⁷ А.Авидзба, Любопытная страница истории, "Советская Абхазия". 7. X. 1967, № 199.

¹⁸ შქტ. II. გვ. 142. № 164.

¹⁹ იქვე, გვ. 142.



დაზიანება: ფილა, რომელზეც წარწერაა მოთავსებული გაპობილია რამდენიმე ნაწილად. ამიტომ

ტექსტი ფრაგმენტულად იკითხება.

СНУНС Р̄А [...]

ჰჰԳԻԻჰ [...]

ჰფ̄ღს

ღ̄ა ს̄ტ

5 ო [სს,

[...] [...] [...]

‘ღ’, ‘ტ’, ‘თ’ ტ

10 [...] ჰსსტ’

რ̄ო ნ̄ჲ

ზზ ჰ̄ჲ

რ̄ჲ რ̄

ქ̄ს

[†] აღ(ა)შ(ენ)ა წ(მილ)ა ე [სე ეკლესია] [...]

მ(ა)მ(აღმ)თ(ა)ვ(ა)რმ [ან], [.] | მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა

გ(იორგ)მ(ს)სა, | ოდ(ე)ს | [...] | [და] | [ბადა] [...]

მ(ი)სსა. | წ(მილ)ა ო ნ(ი)კ(ო)ლ(ო)ზ, მ(ე)ლ | ევავ

წ(ინაშ)ე | ქ(რისტ)ე)სა.

წარწერის დათარიღებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ლ. შერვაშიძის აზრით, ტექსტში დასახელებული მეფე გიორგი უნდა იყოს გიორგი II აფხაზთა მეფე (927-957), ამიტომ წარწერა X საუკუნით უნდა დათარიღდეს.²⁰ ვ. სილოგავას ვარაუდით, წარწერის პალეოგრაფია XII საუკუნისაა და „წარწერაში დასახელებული გიორგი მეფე შეიძლება გიორგი მესამედ მივიჩნიოთ, ამის მიხედვით წარწერა 1156-1178 წწ. დათარიღდება“.²¹

სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვაქვს წარწერის ფოტო ან გრაფიკული გადმონახაზი, ამდენად კვლევის ამ ეტაპზე წარწერის პალეოგრაფიისაგან თავს შევიკავებთ, მაგრამ წარწერის დათარიღების საკითხში ტექსტის შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას.


ა. ავიძბას მონაცემებით, ზუაფის წარწერაში ფრაგმენტულად იკითხება ქალის სახელი - გურანდუხტ. „Положение о том, что указанный на каменной плите Георгии является именно Георгием II абхазским подтверждается вторым именем, фрагментарно высеченным на плите - Это имя Гурандухт.“²² სამწუხაროდ, აღნიშნული სახელი არ ჩანს ქართული წარწერების კორპუსის II ტომში გამოცემული ზუაფის წარწერის ტექსტში.

თუ ა. ავიძბას მონაცემი სწორია და წარწერაში გურანდუხტია დასახელებული, მაშინ, როგორც ცნობილია გურანდუხტი იყო გიორგი II აფხაზთა მეფის ქალიშვილი, იგი ცოლად ჰყავდა „ქართუელთა“ მეფის ბაგრატ II ბაგრატიონის (958-994) შვილს, გურგენს; მათი ვაჟი ბაგრატი დედის სამემკვიდრეო ხაზით „ეუფლა“ აფხაზეთის (დასავლეთი საქართველოს) სამეფო ტახტს, ხოლო მამის - გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ ვახდა ვაერთიანებული საქართველოს ერთპიროვნული მმარ-

²⁰ А. АВИДЗЕ, დასახ. სტატია.

²¹ შვკ. II, გვ. 142.

²² А. АВИДЗЕ, დასახ. სტატია.



თველი. შესაძლოა, ხუაფის წარწერაში სწორედ გურანდუხტის დაბადებაზე იყოს საუბარი. ამ შემთხვევაში ლ. შერვაშიძის მოსაზრება ხუაფის წარწერის 929- 957 წლებით დათარიღების შესახებ უთუოდ გასაზიარებელია.

აღნიშნული დათარიღება წარწერის ტექსტობრივი ანალიზის საფუძველზე შეიძლება შემდეგი მოსაზრებითაც გავამაგროთ. წარწერაში დასახელებული „მეფე გიორგი“, რომ ნამდვილად გიორგი II აფხაზთა მეფეა ამაზე მიუთითებს გიორგის სამეფო ტიტულატურა - იგი „მეფის ტიტულითა“ მოხსენიებული. არანარატიულ წერილობით წყაროებში აფხაზთა მეფეები თავიანთ თავს „მეფეს“ უწოდებდნენ და მას წინ მსაზღვრელი სიტყვა „აფხაზთა“ არ უზის. ისტორიულ დოკუმენტებში და ეპიგრაფიკულ წარწერებში ტიტული „მეფე აფხაზთა“ გვხვდება გაერთიანებული საქართველოს მეფეების ტიტულატურაში და მისი პირველი მფლობელი უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული გურანდუხტის ვაჟი ბაგრატ III ბაგრატიონი (975-1014). აფხაზთა მეფეების მიმართ აღნიშნულ ტიტულს იყენებს მხოლოდ ქართული საისტორიო ტრადიცია, რომელიც, ძირითადად, საქართველოს გაერთიანების შემდეგ ჩამოყალიბდა. აფხაზთა მეფეთა ტიტულატურა არანარატიულ წყაროებში გვხვდება შემდეგი ფორმულირებით: „ლეონ მეფე“, „მეფე გიორგი“ და ა. შ. აღნიშნულის დასადასტურებლად მოვიყვანოთ რამდენიმე წყაროს: მეფე ლეონ III დასახელებულია კუმურდოს ტაძრის 964 წლის საამშენებლო წარწერაში, რომელშიც ვკითხულობთ: „...დადვა საძირკველი ამის ეკლესიისა ეკლესია ჩემ ცოდვილისა საკოცრისადათ, ლეონ მეფისა ზე...“²³ იმავე ტიტულით გვხვდება ლეონ III ხონის ღმრთისმშობლის ხატის წარწერაშიც: „ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, მოხუე ექმენ წინაშე ქრისტესა ლეონ მეფეს“²⁴ ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის 914 წლის ხუროთმოძღვარ თაფლაისძის საამშენებლო წარწერაში იხსენიება „კონსტანტინე მეფე“²⁵, სამწვერისის 912-913 წლების მამასახლის ღმრთისმშობლის წარწერაში იგივე კონსტანტინე დასახელებულია, როგორც „კონსტანტინე მეფე“²⁶. წირქოლის ეკლესიის 957-967 წლების ლეონ მეფის საამშენებლო წარწერა ლეონს მხოლოდ მეფის ტიტულით იხსენიებს.²⁷ XI საუკუნემდე შექმნილი არაქართული ნარატიული წყარო ჰოვანეს დრასხანაკერტიც თავის „სომხეთის ისტორიაში“ აფხაზთა მეფეს „ეგრისის მეფე კონსტანტინეს“ უწოდებს²⁸. როგორც ვხედავთ, აფხაზი მეფეები საკუთარი მემკვიდრეობით ფლობდნენ სამეფო ტახტს და ტიტულატურაში სამეფო ტერიტორიის განსაზღვრის საჭიროებას აუცილებლობად არ მიიჩნევდნენ. სულ სხვაგვარია დასავლეთ საქართველოში ბაგრატიონთა გამეფების საკითხი. ბაგრატ III, ტრადიციულად, მამის მემკვიდრეობითი ხაზით კი არ „უეფლა“ ქუთაისის სამეფო ტახტს, არამედ დედის ხაზით. ეს უიშვიათესი მოვლენა იყო ქართული სამეფოების ისტორიაში და რადგანაც ქუთაისის ტახტი აფხაზი მეფეების სამემკვიდრეო იყო, ამიტომ ბაგრატიონი მეფეების ტიტულატურა მოითხოვდა კიდევ განმარტებას მფლობელობის შესახებ.

²³ ვ. სილოგავა. კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ. 1994. გვ. 41, №1.

²⁴ С. Ашхвацива, Пути развития абхазской истории, Сухуми. 1925. გვ. 23.


²⁵ წმ. I, გვ. 172.

²⁶ იქვე, გვ. 223.

²⁷ იქვე, გვ. 221.

²⁸ იქვე, გვ. 221.


²⁹ თბილისის უნივერსიტეტის, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევიდა და საბეჭდოთ გამოცემა ვ. ცაგარევიშვილმა, თბ. 1965, გვ. 109.



დავაკვირდეთ ბაგრატ III-ის სამეფო ტიტულის ცვლილებას მთელი მისი მეფობის მანძილზე 989-999 წლების ბედის ბარძიმის ჭედურ წარწერაში ბაგრატი დასახელებულია, როგორც „ბაგრატ აფხაზთა მეფე“²⁹. ამავე ტიტულითაა დასახელებული ბაგრატი ატენის სიონის 980 წლის წარწერაში³⁰, ე.ი. მისი სამფლობელო განსაზღვრული იყო აფხაზეთით (დასავლეთ საქართველო ქართლითურთ). ქუთაისის ბაგრატის ტაძრის 1001-1008 წლების წარწერაში ბაგრატი მოხსენიებულია, როგორც „აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი“³¹. წარწერაში ასახულია 1001 წელს ბაგრატის შიერ „კურაპალატის“ ტიტულისა და 1008 წელს მამის-გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა მეფის“ წოდების მიღება. ნიკორწმინდის ტაძრის 1010-1014 წწ. წარწერა ბაგრატ III-ის იხსენიებს, როგორც „აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატს“³². წარწერა შესრულებულია მას შემდეგ, რაც ბაგრატმა 1010-1014 წწ. რანი შემოიერთა. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა ჭიათურის რაიონში კაცხის ეკლესიის წარწერა, რომელიც ბაგრატს უწოდებს „აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოისა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავალისა დიდი კურაპალატი.“³³ სუმატ დავითის ძის მიხედვით, გურგენ მეფის გარდაცვალების შემდეგ მისი ძე „ბაგრატ აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი, დაეუფლა ტაოს მამულსა თყსსა, და დაიყრა ყოველი კავკასია თვთმპყრობლობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე“³⁴ როგორც ვხედავთ, სუმატის მიერ დასახელებული ისტორიული მოვლენები ასახულია კაცხის წარწერის ტიტულატურაში. ამრიგად, ბაგრატ III-ის სამეფო ტიტულატურაში აისახა ქვეყნის თანდათანობით გაერთიანების პროცესი. მომდევნო საუკუნეებში ქართველ მეფეთა ტიტულატურა ახალი ტერიტორიების შემომატების კვალობაზე კიდევ უფრო გაიზარდა, მაგრამ ის მხარე, საიდანაც დაიწყო ქვეყნის გაერთიანების პროცესი, უცვლელად პირველ ადგილზე დარჩა ერთიანი საქართველოს მეფეების ტიტულატურაში.

XI ს. ცნობილი სომეხი მემატიანე არისტაკეს ლასტივერტცი ბაგრატ III-ის გარდაცვალებისა და გიორგი I გამეფების შესახებ წერს: „გარდაიცვალა აფხაზთა მეფე ბაგრატი და გამეფდა მისი ვაჟი გიორგი“³⁵. იგივე არისტაკესი გიორგი I-საც „აფხაზთა მეფეს“ უწოდებს. გაგიკ I სომეხთა მეფის გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს სუმატსა და აშოტს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაში ჩაერია გიორგი I: „მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვილობიანად შეარიგა ისინი“³⁶. გიორგი I-ს არისტაკესი ზოგჯერ მხოლოდ „აფხაზს“ უწოდებს: „ეს რომ აფხაზმა გაიგო“³⁷ და ა.შ. ზემოთ ვნახეთ, რომ X ს. სომეხი ისტორიკოსი ჰოვანეს დრასხანაკერტცი არ იცნობს ტერმინს „მეფე აფხაზთა“. იგი იცნობს აფხაზეთს, როგორც დასავლეთ საქართველოს, მის მეფეს კი აგერისის მეფეს“ უწოდებს. ხოლო XI საუკუნეში, საქართველოს გაერთიანების შემდეგ, არისტაკეს ლასტივერტცი ქართველ

²⁹ ვ. ჩუბინაშვილი, ბედის ბარძიმი, სმამ, 1940, X-B.
³⁰ ქვ. III, ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი. გვ. 177, № 47.
³¹ ქვ. II, გვ. 53, № 33.
³² იქვე გვ. 55, № 35.
³³ იქვე გვ. 56, № 36.
³⁴ სუმატ დავითის ძე, ცხორება და უწყება ბაგრატიანთა, ტექსტი გამოცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებელი ღაუროთი ვიწროლი არახაძიმძ. თბ., 1990, გვ. 53.
³⁵ არისტაკეს ლასტივერტცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოცეა ვ. ცაგარეიშვილმა. თბ., 1974, გვ. 42.
³⁶ იქვე გვ. 41.
³⁷ იქვე გვ. 51.



მეფეებს „აფხაზთა მეფის“ ტიტულით იხსენიებს. ჩვენი ვარაუდით, ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ტერმინი „მეფე აფხაზთა“ ბაგრატიონი მეფეების ტიტულატურაში გაჩნდა მათი დასავლეთ საქართველოში ანუ აფხაზეთში გამეფების შემდეგ. „აფხაზთა მეფით“ იწყება ერთიანი საქართველოს ყველა მეფის ტიტულატურა. ამის დასადასტურებლად შეიძლება დავასახელოთ კულალაისის 1060-1070 წწ. ბაგრატ IV-ის წარწერა³⁸, ისტორიული დოკუმენტებიდან ბაგრატ IV-ის, გიორგი III-ის, დავით აღმაშენებლის, თამარის, ლაშა გიორგის, დავით ნარინის, დავით ულუს, გიორგი ბრწყინვალის, ალექსანდრე I-ის და სხვ. სიგელები.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული საისტორიო ტრადიცია, კერძოდ, „მატიანე ქართლისაჲ“, სუბმატ დავითის ძე და ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზ მეფეებს „აფხაზთა მეფეებს“ უწოდებენ. მაგრამ, ეს ტრადიცია მატიანეებში გაჩნდა ქვეყნის გაერთიანების შემდეგ, რაც ქართველ მეფეთა ტიტულატურაში „აფხაზთა მეფის“ წოდება დამკვიდრდა. თანაც მოცემულ სიტყვებში მემატრიანეები კონკრეტულ შინაარსს გულისხმობენ და არა აფხაზთა მეფეთა ოფიციალურ ტიტულატურას. თავად აფხაზთა მეფეები კი თავის თანადროულ წერილობით წყაროებში მხოლოდ მეფის ტიტულით იხსენიებიან.

თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ წარწერაში დასახელებული მეფე გიორგი აფხაზთა მეფე გიორგი II უნდა იყოს დაიგი დამატებითი არგუმენტია ხუაფის წარწერის 929-957 წლებით დათარიღებისათვის.


ხუაფის წარწერას სხვა წყაროთმცოდნეობითი ღირებულებაც გააჩნია. ტექსტის მონაცემები საყურადღებოა არა მარტო პოლიტიკური ისტორიის, არამედ ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის თვალსაზრისითაც. წარწერის მიხედვით, აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ეპოქაში, 929-957 წლებში, ჩვენთვის უცნობი მამამთავარი, ხუაფში წმ. ნიკოლოზის სახელზე აგებს ეკლესიას. ტექსტში დასახელებული „მამადმთავარი“ ჩვენთვის უცნობია, რადგანაც ამ პერიოდის წყაროების სიმცირის გამო ჩვენ ვერ შევძელით გაგვერკვია ვინ იყო აფხაზთა კათალიკოსი მოცემულ პერიოდში.

„აღაშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ მამადმთავარმან“-ვკითხულობთ წარწერაში, ხოლო ეკლესიის აღმშენებელი მღვდელმთავარი წმიდა ნიკოლოზს თხოვს მეოხებას: „წმიდაო ნიკოლოზ მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა“. ამ შემთხვევაში ჩვენთვის გარკვეულია ორი საკითხი. ხუაფის წარწერა საამშენებლო ხასიათისაა და იგი იმთავითვე წმ. ნიკოლოზის სახელზე აგებულა. თავის დროზე ამ ფაქტის შესახებ ა. ავიძბა წერდა: „явление это очень редкое. Обычно церкви в Абхазии посвящались святому Георгию, богородице или Христу“⁴⁰. ერთი შეხედვით, მართლაც ასეა, აფხაზეთში ბიჰვინთის, ლიხნის, ბედიის, დრანდის, მოქვის ცნობილი ტაძრები ღმრთისმშობლის სახელობისაა, ილორისა და წველიკარის ეკლესიები წმ. გიორგისა, წებელდის რეგიონში არის წმ. ანდრია მოციქულისა და წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიები, მაგრამ, როგორც ჩანს, აფხაზ ავტორს „გამორჩა“, რომ უკვე IX-X საუკუნეებისათვის მთელი დასავლეთი საქართველო ერთიან საეკლესიო ორგანიზმს წარმოადგენს, ხოლო დასავლეთ საქართველოში წმინდა ნიკოლოზის კულტი საკმაოდ

³⁸ ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 39.

³⁹ „მატიანე ქართლისაჲ წიგნი ქართლის ცხოვრება. გვ. 251, სუბმატ დავითის ძე, ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატიონიანთა, გვ. 52; ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 127, 128, 130, 131, 137.

⁴⁰ A. Авицба, дахах. სტატიია.



გავრცელებული და პოპულარული ჩანს. ამაზე მიუთითებს გელათის, ნიკორწმინდის, პატარა ონის ცნობილი ტაძრები, რომლებიც ასევე წმ. ნიკოლოზის სახელზეა აგებული, ხოლო ღმრთისმშობლისა და წმ. გიორგის კულტი არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ საქართველოშია გავრცელებული. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი ადასტურებს, რომ მოცემულ პერიოდში (X ს. I ნახ.) დასავლეთ საქართველო ერთიან სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ორგანიზმს წარმოადგენდა.


ჩვენი დისერტაციის წინა თავში აღვნიშნეთ, რომ გუდაუთის მეორე სოფლის პრიმორსკოეს მახლობლად, მსიგ ხუას მთაზე აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი კრამიტის კალიბტერები „მალტური ჯვრითა“ და ასომთავრული წარწერებით, რომლებიც IX-X სს. თარიღდება. ხუაფისა და მსიგ ხუას წარწერები საამშენებლო და სავედრებელი ხასიათისაა, ე.ი. IX-X საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოს, ე.ი. აფხაზეთის ეკლესიაში საეკლესიო ღმრთისმსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

თუ დავუშვებთ, რომ მოცემულ პერიოდში დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ღმრთისმსახურება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა, მაშინ ჩვეულებრივი მლოცველისა და მით უფრო მღვდელთმთავრისათვის („მამადმთავარი“) კანონიკური უნდა ყოფილიყო სავედრებლის ბერძნულ ენაზე შესრულება. ბუნებრივია, ბერძნულად ღმრთისმსახურების აღმავლენი „მამადმთავარი“ შენდობასა და მეოხებას ქართულ ენაზე არ მოითხოვდა, მით უფრო თავის ქტიტორულ საქმიანობას მრევლისათვის გაუგებარ, უცხო ენაზე არ შეასრულებდა. როგორც ჩანს, აფხაზეთი (დასავლეთი საქართველო) IX-X საუკუნეებიდან შედიოდა გიორგი მერჩულეს მიერ „აღრიცხულ“ იმ ქართული ქვეყნების რიცხვში, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების.“

3. ანუხვის წარწერები

გუდაუთის რაიონის სოფ. ანუხვის ეკლესიაში, ჯერ კიდევ XIX ს. 80-იანი წლებში გამოვლინდა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. ცნობა ამის შესახებ დაცულია არქიმანდრიტ ლეონიდეს წიგნში „Абхазия и в ней Ново-Афонской Симоно-Кананитский монастырь“, სადაც გამოქვეყნებულია ანუხვის ორი წარწერის ფოტოსურათი. აღნიშნული წარწერებიდან ერთი 30-იან წლებში ხელმოერედ იპოვა მხარეთმცოდნემ, ი. აძინბამ. აფხაზეთში დამწერლობის განვითარების ისტორიის კვლევისას ხ. ბლაჟამ გამოაქვეყნა ანუხვას ორი წარწერის ფოტოსურათი, აქედან ერთ-ერთის მხედრული ტრანსლიტერაცია (ლ. შერვაშიძის წაკითხვით).

აღნიშნული ეკლესიის სამი წარწერა შევიდა ქართული წარწერების კორპუსის II ტომში. წინამდებარე დისერტაციაში წარმოდგენილია ანუხვის ოთხი წარწერა; კორპუსის სამ წარწერას დაემატა არქიმანდრიტ ლეონიდეს წიგნში მოცემულ ფოტოზე დაცული კიდევ ერთი წარწერის ტექსტი. ამრიგად, ნაშრომში წარმოდგენილია:



ა) გიორგი ბასილის ძის წარწერა ბ) სვეტზე გამოსახული ჯვრების წარწერები გ) წარწერა მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების მოხსენიებით. დ) წარწერა ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულებიან ფილაზე.

ა) გიორგი ბასილის ძის წარწერა

გუდაუთის რეგიონის და მთლიანად აფხაზეთის ქართული წარწერების ერთ-ერთ საუკეთესო და თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ანუხვის ეკლესიაში, გასული საუკუნის 80-იან წლებში აღმოჩენილი წარწერა, რომელიც დღეს სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია გიორგი ბასილის ძის წარწერის სახელწოდებით (სურ. 7).

ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია თეთრი კირქვის სვეტზე, რომელიც გათლილია ოთხკუთხედად და უხვად არის მოჩუქურთმებული გეომეტრიული და სტილიზებული მცენარული ორნამენტებით. ვ. სილოგავას დაკვირვებით სვეტი ჯვრის ჩასადგმელ სტელას წარმოადგენდა. სტელის სიგრძე -220, სიგანე -ორ მხარეს 28, ზოლო დანარჩენ ორ მხარეს -23. გეომეტრიული ჩუქურთმები სტელას ოთხ რეგისტრად ჰყოფენ. წარწერა ამოკვეთილია ქვემოდან პირველ-მეორე რეგისტრში. მას უჭირავს ფართობი 31 x 23,5; შესრულებულია არაღრმა კვეთით, კიდურწაისრული, თითქმის თანაბარი სიმაღლის ასოებით. ასოების სიმაღლე: 3,5-2,5, განკვეთილობის ნიშანი ტექსტს არ ახლავს. ერთგან ციფრის აღმნიშვნელი ასომთავრული 7 ასოს (მე-7 სტრ.). ორ მხარეს ორ-ორი წერტილია დასმული; აგრეთვე, წარწერის ბოლოს, დასასრულის ნიშნად დასმულია სამწერტილი, რომელიც განლაგებულია მარცხნივ წაწვეტებული სამკუთხედის სახით; ქარავმის ნიშანი-კიდურწაისრული, განივი ხაზი⁴¹.

დაზიანება: სურათზე ჩანს, რომ სტელის ქვედა კიდე, რომელზეც ჯვარი იყო გამოსახული, მოტეხილია. უმნიშვნელოდ არის დაზიანებული აგრეთვე სტელის ზოგიერთი სხვა ნაწილიც. რაც შეეხება წარწერას, იგი არქიმანდრიტ ლეონიდეს გამოცემული ფოტოსურათის მიხედვით, დაზიანებული არ არის. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ფილის დღევანდელი მდგომარეობა. იგი დაცული უნდა იყოს დ. გულიას სახ. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

წარწერა გამოცემულია რამდენჯერმე.⁴²

⁴¹ ფილის ზომები და წარწერის ფილის აღწერილობა მოცემულია ქვქ. II, გვ.64-65, № 44.

⁴² X.C. Бгажба, Из истории письменности в Абхазии, ТАБИЯЛИ, XXX, 1959, გვ. 253-254, სურ.8,



სეზონი იმისათვის

ტექნიკური და სხვა

სახეების

კონსტრუქციის

5. კონსტრუქციის

ტექნიკური

კონსტრუქციის

სახეების

სახეების

10. ნიშნები და

სახეების (მრთის) მითითება.

აღნიშნული ნიშნები და სხვა

სახეების (მრთის) მითითება, მისი, სხვა

* ავსტრიული; ** წმინდა

*** გ-ნივე. სამნივე

პალეოგრაფიული თვალსაზრისით, გიორგი ბასილის ძის წარწერა აფხაზეთის ქართულ წარწერებს, და არა მარტო აფხაზეთის წარწერებს შორის, ერთ-ერთ საუკეთესო ეპიგრაფიკულ ძეგლს წარმოადგენს.

ძირითადი პალეოგრაფიული მახასიათებლები, რომელიც ამ წარწერას უდავოდ ღივს ღირსებას მატებს, არის კიდურწაისრულობა. ივ. ჯავახიშვილმა თავის ფუნდამენტალურ მონოგრაფიაში „ქართული პალეოგრაფია“ გამოიკვლია, რომ ძეგლად ქართულ დამწერლობაში გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის ხელოვნებით დამწერლობანი, რომლებსაც მან კიდურყვავილოვანი, კიდურწერტილოვანი, ტყუბწვეტიანი, კიდურწვეტიანი, ბოლოწვეტიანი, შეწიაღებული, დაქსელილი, ბუნებრივი და ა. შ. დამწერლობანი უწოდა.

გიორგი ბასილის ძის წარწერა გრაფიკულად კიდურწაისრულობით პარალელს პოულობს დასავლეთ საქართველოს მრავალ ეპიგრაფიკულ ძეგლთან, კერძოდ გოდოვანის, კაცხის⁴³, ნიკორწმინდის⁴⁴ წარწერებთან. აღნიშნული მსგავსება ასახულია ტაბულაზე, სადაც მოცემულია აღმ. საქართველოს ეპიგრაფიკული მასალებიც, მათ შორის ალავერდის, მანგლისის, შიომღვიმის, სვეტიცხოვლისა და სამთავისის წარწერების გრაფიკული მონახულობანი. მართალია, გოდოვანის, შიომღვიმისა და სვეტიცხოვლის „ანი“ რამდენადმე მაღალი ყელითა წარმოდგენილი წარწერებში, მაგრამ წარწერათა საერთო მონუმენტურობა, კიდურწაისრულობა და გრაფიკულად პროპორციულობა აშკარად მიუთითებს ერთიანი კალიგრაფიული სკოლის არსებობაზე X ს მეორე ნახევარსა და XI საუკუნეში (იხ.

X.C. Бгажба, Из истории письменности в Абхазии, Тб. 1967, გვ. 15-16, სურ. 7. (დ. შერვაშიძის წაკითხვა); ვ. ხილოვაკა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, „მაცნე“, ისტორიის... სურია 4, 1972, გვ. 148-149, ტაბ. II.
⁴³ მქ. II, გვ. 91, № 80, გვ. 92, № 81.
⁴⁴ იქვე, გვ. 99, № 91.



ტაბულა №3). ამ მახასიათებლებით გიორგი ბასილის ძის წარწერა ერთიანდება X-XI საუკუნეების ქართული კალიგრაფიული სკოლის კიდურაწაისრული ძეგლების ჯგუფში.

კიდურაწაისრული ძეგლების ერთიანი კალიგრაფიული სკოლის არსებობაზე მიუთითებდა ლ. მუსხელიშვილიც: „სვეტიცხოვლის გარეთა ბჭის წარწერა თავისი პალეოგრაფიული თვისებებით, განმარტობით არ გვევლინება. აქ ჩვენ უსათუოდ გარკვეულ კალიგრაფიულ სკოლასთან ვვაქვს საქმე, რომელიც დღეს-დღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, XI ს-ის დამდევამდე ჩამოყალიბდა, შესაძლებელია შიდა ქართლში.“⁴⁵ სამწუხაროდ, მაშინ როცა ამ სტრიქონებს წერდა პატიცემული მკვლევარისათვის უცნობი იყო ანუხვის, ნიკორწმინდის, გოდოგანისა და კაცხის წარწერები, ამდენად კიდურაწაისრული დამწერლობის ჩამოყალიბების ცენტრად მხოლოდ შიდა ქართლს ვერ ვიგულისხმებთ. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კიდურაწაისრული დამწერლობის ნიმუშები ჩვენ მოგვეპოვება აფხაზეთის სხვა წარწერებში. მაგალითად, ბესლეთის ხიდის რამდენიმე გრაფემა ხასიათდება ამ თვისებით, ასეთივე ხასიათისაა წებელდის მიქაელის წარწერა, ზუაფისა და ღუმურიშის წარწერები. გარდა ლაპიდარული ძეგლებისა კიდურაწაისრულობას ვხვდებით აფხაზეთის ჭვადური წარწერების ნიმუშებშიც. კერძოდ, ამ სახის ძეგლების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს წმ. ეკატერინეს ხატის წარწერა წებელდიდან და ა.შ. მოგვანილი მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული კალიგრაფიული სკოლა საკმაოდ ძლიერი ყოფილა აფხაზეთში (ამ საკითხს სათანადო ადგილას ჩვენ კვლავ შევეხებით).

ზემოაღნიშნული პალეოგრაფიული მახასიათებლებით წარწერა XI საუკუნით თარიღდება.

ბ) სვეტზე გამოსახული ჯვრების წარწერები

ანუხვის სვეტზე წარმოდგენილია ხუთი რელიეფური ჯვრის გამოსახულება, რომელთა მკლავებს შორის ასომთავრულით ამოკვეთილია იმ წმინდანთა სახელები, რომელთა სახელზედაც არის შესრულებული თითოეული ჯვარი. სულ გამოსახულია ხუთი ჯვარი. თითოეულ ჯვარზე მოცემულია წმინდანის სახელი.

1. გორგი ბასილის ძის კიდურაწაისრული საამშენებლო წარწერის ზემოთ ამოკვეთილია რელიეფური ჯვარი, რომელიც ჩასმულია გეომეტრიულ ჩუქურთმებით შექმნილ ჩარჩოში. ფართობი 42x28. მის პორიზონტალურ მკლავებს ქვემოთ ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი წარწერა. ასობის სიმაღლე 2-3. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი კიდურაწაისრული განივი ზახი. წარწერა მოთავსებულია ანუხვას სვეტის ზედა მესამე რევისტრში.⁴⁶

⁴⁵ ლ. მუსხელიშვილი, სვეტიცხოვლის წარწერები, Ars Georgica, 1942.
⁴⁶ ჯვრების აღწერილობა მოგვეყვას ქ.წ.კ. II, გვ. 66, № 45. ანუხვას სვეტის ხელუწებამთცოდნობითი აღწერილობა იხ. И.А. Аджинджал, Материалы к изучению резьбы по дереву, рогу, кости, каню и металлу в Дореволюционной Абхазии, ТАБГМ, II, 1957, გვ. 137-138.



ქ ა ო ო „წ(მიდა)მ გ(იორგ)ი“⁴⁷

2. ანუხვას სვეტის იმავე მხარეს ქვედა რეგისტრში, საამშენებლო წარწერის ქვემოთ აღმართულია ჯვარი, რომელიც ახლა გადატეხილია და ამჟამად სახეზეა რელიეფურ-სტილიზებული და გრეხილ გეომეტრიულ ორნამენტში ჩასმული, ტოლმკლავიანი ჯვრის ფრაგმენტი (სურათზე ჩანს ვერტიკალური მკლავი და ჰორიზონტალური მკლავების ზედა ნაწილი)

... ჯვრის მკლავებსა და ჩუქურთმებს შორის ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა, ასოების სიმაღლე: 1,8-1,5. განკვეთილობისა და ქარავმის ნიშნები არ ახლავს.

ქ ა

ღ ს „წ(მიდა)მ ბ(ა)ს [(ი)ლი]“⁴⁸

3. ჯვარი წმინდა თევდორეს სახელზე და მისი წარწერა, მოთავსებული მესამე რეგისტრში. წარწერა შესრულებულია ერთ სტრიქონად, ჯვრის ჰორიზონტალურ მკლავებს ქვემოთ. ასოების სიმაღლე 1,8-3,5. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, ქარავმის ნიშანი: სწორი, განივი ზაზი.

ქ ა ო ო „წ(მიდა)მ თ(ევდორ)ი“⁴⁹

4. ჯვარი აღმართული წმინდა დემეტრეს სახელზე და მისი წარწერა, მოთავსებული სვეტის მესამე რეგისტრში. წარწერა შესრულებულია ორ სტრიქონად; ჩაწერილია ჯვრის მკლავებს შორის. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, ქარავმის ნიშანი: სწორი, განივი ზაზი.

ქ ა ო ო ო ო

წ (მიდა)მ დ(ე)მ(ე)ტრე⁵⁰

5. ჯვარი აღმართული წმ. მერკილეს სახელზე და მისი წარწერა, მოთავსებული სვეტის მესამე რეგისტრში. ვ. სილოგავას მონაცემებით, წარწერა ძლიერ დაზიანებული ყოფილა, როგორც ჩანს შესრულებული იყო ორ სტრიქონად; ჩაწერილია ჯვრის ტოლ მკლავებს შორის. განკვეთილობის და ქარავმის ნიშნები შემორჩენილ ფრაგმენტზე არ ჩანს.


ქ ა [შ] კ ხ ო „[წ (მიდა)მ] [მ(ე)] რკ(ი)ლე“

ვ. სილოგავა „მ რკლე“-ს ხსნის, როგორც „მ(ე)რკ(ი)ლე“, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ აგიოგრაფიულ მწერლობაში და სვიანქსარების მიხედვითაც ცნობილია წმინდანის სახელი „მ(ა)რკ(ე)ლე“, მაგრამ ამ სახელით მოხსენიებული წმინდანებიდან არცერთი მათგანი წმინდა მეომარს არ წარმოადგენდა; ხოლო ანუხვის სვეტის წარწერაში როგორც ვხედავთ, „მერკილე“ დასახელებულია

⁴⁷ გამოცემები: X.C. Бгажба, Из истории письменности ... 1959, გვ. 253, X.C. Бгажба, Из истории письменности ... 1967, გვ. 15, სურ 7.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ შქ II, გვ. 66, № 45.



წმინდა მეომრებს - გიორგის, თევდორესა და დემეტრეს შორის. ამიტომ მისი აზრით, აქ ამ სახელით წმინდა მეომარი უნდა იგულისხმებოდეს⁵⁰. ამ მოსაზრებას ადასტურებს იმ არგუმენტი, რომ წმ. მეომარი „მერკილე“-ს სახელით სრული, დაუქარაგმებელი ფორმით დასახელებულია სხვა წმინდა მეომრებს შორის სუფის წმ. გიორგის ეკლესიის ერთ-ერთი საკურთხელისწინა ჯვრის XIII საუკუნის ჭედურ ასომთავრულ წარწერაში⁵², სადაც წმ. მერკილე დასახელებულია სხვა წმინდა მეომრებს - გიორგის, თევდორეს, პანტელეიმონსა და პროკოპის შორის.

ანუხვის ჯვრები აღმართულია საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული გიორგი ბასილის ძის, მისი მამის - ბასილის და სამი ძმის სახელზე მათივე მოსახელე მფარველი წმინდანების გათვალისწინებით; რადგან საამშენებლო წარწერაში მოხსენიებულ გიორგის მამა და სამი ძმა ჰყავს. გამოდის, რომ გიორგის მფარველი წმ. გიორგია, ბასილის მფარველი წმ. ბასილი (არა წმინდა მეომარი, არამედ წმინდანი ბასილი), ჩანს ძმებსაც თავისივე მოსახელე წმინდა მეომრები ან წმინდანები აურჩევიათ მფარველებად - თევდორეს - წმ. თევდორე; დემეტრეს - წმ. დემეტრე, მერკილეს - წმ. მერკილე; თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს, მაშინ ანუხვის სვეტზე დაფიქსირებული არის XI საუკუნის აფხაზეთის მსხვილი ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა ორი თაობა. ბასილი და მისი შვილები: გიორგი, თევდორე, დემეტრე და მერკილე. ანუხვის წარწერით ამ სახლის უფროსი გიორგი ბასილის ძე ჩანს, რომელიც აღმართავს ჯვარს მის მფლობელობაში არსებულ მიწაზე.

გიორგი ბასილის ძის მიერ ჯვრის აღმართვა ვ. სილოგავამ შეაფასა, როგორც იურიდიული აქტი და ეს მოვლენა წარმოადგენს ჯვრის აღმართველის მიერ იმ მიწის მფლობელობის დადასტურებას, რომელზედაც მან ჯვარი აღმართა. ჯვრის ამშენებელი კი წარმოგვიდგება როგორც საკულტო ძეგლის ამგები⁵³. ჯვრის აშენება, ისევე როგორც ეკლესიის აგება, ფეოდალს შეეძლო მის მფლობელობაში არსებულ მიწაზე, ამიტომ ის წარწერები, რომლებშიც ჯვრის აშენებაა აღნიშნული თავისი დანიშნულებით იურიდიული მნიშვნელობისანი არიან. ამდენად, გიორგი ბასილის ძის წარწერა განიხილება, როგორც ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლი (ასეთი ჯვარ-სტელები ჩვენთვის ცნობილია წყისვიდან, უკანგორიდან, მცხეთის ჯვრის წარწერა, ზუნამისიში ჯვრის აღმართვის ნაცვლად გვხვდება ტერმინი „ძელი ცხოვრებისას აღმართვა“ და ა. შ.)⁵⁴.

ანუხვის საამშენებლო წარწერა და სვეტიცხოველზე გამოსახული წარწერები ერთი პერიოდით უნდა დათარიღდეს. ამაზე მიუთითებს წარწერებს შორის არსებული პალეოგრაფიულად ერთნაირი ნიშნები. თავის დროზე აღნიშნული დათარიღება წარმოადგინა ვ. სილოგავამაც. მან გიორგი ბასილის ძისა და სვეტის წარწერები XI საუკუნით დაათარიღა, ხოლო ანუხვის მესამე წარწერა მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების მოხსენიებით XII საუკუნის ეპიგრაფიკულ ძეგლად მიიჩნია.

⁵⁰ ქ. წ. კ. II, გვ. 66, № 45.

⁵¹ იქვე, გვ. 67.

⁵² ვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში, პარიზი, 1937, გვ. 421. იხ. აგრეთვე ვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში 1910 წელს, წიგნში: დაბრუნება, მრავალტომიანი, ემიგრანტული ნაშრომები, ტ. 2. ვურამ შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991, გვ. 481.

⁵³ ვ. სილოგავა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში. „მაცნე“, 1972, 4, გვ. 143.


⁵⁴ იქვე.



გ) წარწერა მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების მოხსენიებით

ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია მრგვალ სვეტზე, რომელსაც ქვემოდან შემოუყვება განიერი ორნამენტირებული (წნული გეომეტრიული ორნამენტი) სარტყელი (სურ. 14). ამ უკანასკნელის ქვედა ნახევარი სვეტი ნაწილითურთ მოტეხილია. სვეტის ზედა დიამეტრი: 15,5-13,5, ქვედა - 20; სიმაღლე 24-25, ზემოთ გაკეთებული აქვს ნახერეტი (სიღრმე 14, დიამეტრი 4,5), რომელშიც ჩადგმული იყო ან სვეტის გაგრძელება, ან ფილა მთავარანგელოზების გამოსახულებით, წარწერა ამოკვეთილია ღრმა არათანაბარი სიმაღლის ასოებით. წარწერის დასაწყისში გრაფემები შედარებით მოზრდილია (სიმაღლე 4,8 -2,7), შემდეგ თანდათან მცირდება (სიმაღლე 2-1,7), განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს, ქარაგმის ნიშანი: კლაკნილი, განივი ხაზი.⁵⁵

დაცული უნდა იყოს დ. გულიას სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში. გამოცემულია რამდენჯერმე.



† ჩჩ 70
ჩჩააა
ზზჩაა
აა აააა

„წ(მიდა)ნი | მთ(ა)ვართ(ნ)გ(ე)ლოზნი | მ(ი)ქ(ა)ელ | და გ(ა)ბრ(ი)ელ“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარწერა ვ. სილოგავამ XII საუკუნით დაათარიდა. ანუხვის საამ-
შენებლო წარწერა და მთავარანგელოზების წარწერა ერთი და იმავე ოსტატის, ან თუნდაც ერთი და
იმავე კალიგრაფიული სკოლის წარმომადგენლის ნამუშევარი არ უნდა იყოს. ისინი განსხვავებული
ქოქის წარწერებია.



დ) წარწერა ჯვარცმის გამოსახულებიან ფილაზე

ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულებიანი რუხი ფერის ქვის ფილა, ზომებით 76x78. იგი გაბზარულია სამ ნაწილად, გარს შემოუყვება ფართო ხეველი ორნამენტი, რომელსაც რ. შმერლინგი პირობითად „S-სახოვან“ ორნამენტს უწოდებს „Исходя из некоторого сходства его звеньев с латинской буквой S“.⁵⁶ ფილის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ქართულ ხელოვნებაში გავრცელებული ჯვარცმის ყველაზე ცნობილი სცენა-ქრისტეს მარჯვნივ და მარცხნივ მარიამ ღმრთის-მშობელი და იოანე ნათლისმცემელი არიან გამოსახულნი, ხოლო ზედა მარჯვენა კუთხეებში გაბრიელ და მიქაელ მთავარანგელოზები. ჯვარცმის ზემოთ ამოკვეთილია ბერძნული წარწერა - ჯვარცმა. ჯვრის ტოლი მკლავების ზემოთ ორივე მხარეს ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, ქარაგმის ნიშანი სწორი, განივი ხაზი, განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს (სურ. 9).

დაზიანება: ფილა გაბზარულია სამ ნაწილად. აღნიშნული დაზიანება წარწერის წაკითხვას ხელს არ უშლის.

ႠႡႢႣ ႠႢႣ

XႡႢႣ ႠႢႣ

„ჯ (უ)არცმა(ა) ი(ქრისტე)ესი“.

ფილა ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით შეისწავლა რ. შმერლინგმა, მაგრამ წარწერაზე ყურადღება არ გაუმახვილებია. მისი კვლევის ობიექტი იყო ოსტატის მიერ არჩეული ჯვარცმის თემატიკის გადმოცემის რეალიები, ფილის ორნამენტები და დეკორატიული წყობა. ძეგლის დათარიღებისას მკვლევარის მიერ წინა პლანზე წამოწეულია კანკელის ორნამენტის ხასიათი, რომელიც პირობითად მეორდება X-XI საუკუნეების მიჯნის და XI საუკუნის დასაწყისის არქიტექტურულ ფორმებში, კერძოდ ქუთაისის ბაგრატი ტაძრის ჩრდილოეთ ფასადის ერთ-ერთი სარკმლის ფორმებში, ს. ეზვევის ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის ტიმპანის რელიეფზე და ა.შ. მათი ორნამენტიკა იძლევა ქართული კანკელის დეკორში რელიეფური კომპოზიციის თანდათანობით დანერგვის სურათს.⁵⁷

მიუხედავად ანუხვის ფილის საერთო კომპოზიციური და ორნამენტთა მსგავსება-ნათესაობისა ქართული ხელოვნების X-XI საუკუნეების ნიმუშებთან, მას თავისი დახვეწილი საშემსრულებლო ფორმებით, რაც ივრძნობა ფიგურათა მოძრაობის გადმოცემის პლასტიკურობაში, მდიდარი და

⁵⁵ ქვ. II, გვ. 142-143, № 165.
⁵⁶ წარწერის ტექსტის გაშიფვრა, გრაფიკული მონახაზი და ფილის აღწერილობა შესრულებულია ფოტოთი, რომელიც გამოქვეყნებულია წიგნში: Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь. Составили И.Н., М., 1899, გვ. 141 აღნიშნული ფოტოს ასლი თან ერთვის ნაშრომს.
⁵⁷ P.O. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, тб., 1962, გვ. 106.



მრავალფეროვანი მცენარეული ორნამენტის ფორმებში და ა.შ. ბადალი არა ჰყავს XI საუკუნის ამ სახის არქიტექტურულ ფორმებში.

რ. შმერლინგის სიტყვებით რომ ვთქვათ: „Творческий подъем художника,открывшего в окружающей его действительности новые источники для претворения в искусстве, отражен невиданно широким введением растительных форм в орнамент богатство и разнообразие которого в XI в. не знает себе равного“.⁵⁸

თემატიკის თვალსაზრისით, ანუხვის ფილა ანალოგიებს პოულობს აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სამათოსა და სკურჩის რელიეფებთან, ასევე შიო-მღვიმის ჯვარცმის გამოსახულებიან ფილასთან. ამიტომ წარწერა ერთიანდება აფხაზეთის მხარეში გამოვლენილი ჯვარცმის გამოსახულებიან ფილების ეპიგრაფიკული ძეგლების ჯგუფში. სათანადო ადგილას ჩვენ განხილული გვაქვს სამათოს, ანუხეგისა და სკურჩის ჯვარცმის გამოსახულებიანი ფილების წარწერების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება.

4. სამათოს წარწერა

რელიეფი, რომელზეც გამოსახულია ქრისტეს ჯვარცმა წარმოადგენს ქვის ფილას, იგი აღმოჩნდა 1928 წელს გუდაუთის რაიონში, სამათოს მთის ეკლესიის ნანგრევებში.⁵⁹ ფილის ხელოვნებათმცოდნეობითი დახასიათება ეკუთვნის ი. აჯინჯალეს; მისი აზრით, ფილა ეკლესიის კანკელს უნდა წარმოადგენდეს.⁶⁰ ფილაზე ამოკვეთილი წარწერა შევიდა ქართული წარწერების II ტომში.⁶¹

სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია ფილაზე, რომლის ზომებია 77x75x11. მას ირგვლივ შემოუყვება წნული 15 სმ სივანის გეომეტრიული ორნამენტი. ფილის დადაბლებულ ცენტრალურ ნაწილში (ზომა 45x45) წარმოდგენილია ჯვარცმა. ქრისტეს ჯვარს ზემოთ ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა ორ სტრიქონად. წარწერის მესამე სტრიქონად იგულისხმება ჯვრის განივი მკლავების ორივე მხარეს ამოკვეთილი წარწერა 1,5-2,5 სმ. სიმაღლის ასოებით. ვანკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი განივი სწორი ხაზი.

ႠႡႢ ႣႣႤ

ႥႦႧႨႩႰ

ႠႡႢႣ ႤႥႦ

„აჰა მ(ეუ)ფშ | ჰურიათა | ჯ (უ)არცმ(ა)ი ქ(რისტ)ესი“⁶².

ფილა დაცული იყო დ. გულიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XI საუკუნით თარიღდება(იხ. სკურჩის წარწერა).

⁵⁸ P.O. Шмерлинг, დასახელებული ნაშრომი, გვ. 162.

⁵⁹ И.А. Аджинджал, Материалы по дереву, рогу, кости, камню и металлу в деревополитионной Абхазии, გვ. 137, №2.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ ქსე, II, გვ. 109, N106.

⁶² იქვე.



5. ლიხნის წარწერები

გუდაუთიდან 5 კმ-ზე, შავიზღვისპირეთის დაბლობზე მდებარეობს სოფ. ლიხნი, რომლის შუაგულში აღმართულია X-XI სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი - ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. იგი წავრძელებულ ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს, რომელსაც აღმოსავლეთით სამი შეკერილი აფსაღი აქვს. მოგვიანებით ტაძრისთვის დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთის მხრიდან ღია ეგვტერები მიუშენებიათ. ტაძრისა და ეგვტერების შიგა კედლები მთლიანად მოხატული ყოფილა. ტაძარი გარეგნულად გამოირჩევა ფაქიზი კოლორიტით, რამდენადმე წავრძელებული ფიგურების დინამიურობით, ექსპრესიულობით და ატარებს პალეოლოგოსთა სტილის ნიშნებს (მკვეთრად გამოხატული ელინისტური ელემენტები). შემორჩენილია უფრო ადრინდელი X-XI საუკუნეების მოხატულობის კვალიც.⁶³

ლიხნის ტაძარი XIX საუკუნეში მონახულქმ. ბროსემ, პ. უვაროვამ, დ. ბაქრაძემ და სხვებმა. მათ შორის მ. ბროსემ პირველმა ჩაატარა ტაძრის სიძველეების აღწერა და მისი კედლებიდან ვადმიწერა საღებავით შესრულებული ოთხი ქართული წარწერა:

1. 1066 წლის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ; 2. წარწერა გიორგის მოხსენიებით; 3. შარაშიძის წარწერა; 4. წარწერა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის მოხსენიებით.

აღნიშნული წარწერები მ. ბროსემ გამოაქვეყნა მერვე Rapport-ში,⁶⁴ მაგრამ ამ წარწერების ტექსტების დადგენა (ვარდა 1066 წ. კომეტის წარწერისა) მ. ბროსეს პუბლიკაციაზე დაყრდნობით შეუძლებელია. ლიხნის ტაძრის ერთ-ერთი კედლის მოხატულობა ქართული წარწერებით მოცემულია პ. უვაროვას ნაშრომის შესამე ტაბულაზე⁶⁵

ლიხნის წარწერები თავის დროზე მონახულეს დ. ბაქრაძემ და ე. თაყაიშვილმაც,⁶⁶ ხოლო მისი ფრესკული მოხატულობანი შეისწავლა ხელოვნებათმცოდნე ე. შერვაშიძემ.⁶⁷

1986 წ. საქსსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვისა და დამოყენების მთავარი სამეცნერო-საწარმოო სამმართველოს რესტავრატორთა ჯგუფმა მ. ბუჩუკურის ხელმძღვანელობით, ლიხნის ტაძარზე გამოაკლინა საღებავით შესრულებული მანამდე უცნობი წარწერები, რომლებიც დაფარული იყო შელესილობის სქელი ფენით. ეს წარწერები ადგილზე ინახულა და შეისწავლა ვ. სილოგავამ. მისი დაკვირვებით, ლიხნის წარწერებს შორის „კალიგრაფიული დახვეწილობით, აგრეთვე იმ შთაბეჭდილებებით, რომელსაც იგი მნახველზე ახდენს როგორც მონუმენტური დამწერლობის თვალსაჩინო ძეგლი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია 1066 წლის წარწერა ვარსკვლავის გამოჩენის შესახებ“.

⁶³ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.6, თბ., 1983, გვ. 270,
⁶⁴ Rapports VIII, გვ. 116.
⁶⁵ П.С. Уварова, დასახელებული ნაშრომი, ტაბ. III.
⁶⁶ იხ. გ. ოთხმეხური, ე. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, მრავალთავი, თბ., 1986, გვ. 76-77.
⁶⁷ Л.А. Шервашидзе, Средневековая монументальная живопись в Абхазии, გვ. 91.



ა) წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ

ასომთავრული წარწერა შესრულებულია წითელი საღებავით მსხვილი მონუმენტური ასოებით და მოთავსებულია ტაძრის ქორედის კედლის მთელ სიგრძეზე. წარწერა გამოცემულია რამდენჯერმე.⁶⁸

დაზიანება: ვ. სილოგავას სიტყვებით, წარწერის ტექსტის მხოლოდ მესამედმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ ბროსეს პუბლიკაციაში დაშვებული უმნიშვნელო ორთოგრაფიული უზუსტობის გასწორების შემდეგ მან ასეთი ხასიათი მიიღო:

„ქ. კურთხულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ეს იქმნა დასაბამითან წელთა ხქით, ქრონიკონს სპ, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისას, ინდიკტიონსა ლს, აპრილსა თუესა ვარსკულავი გამონდა, რომელ მისსა წილსა აღმოვიღდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდი, მოკიდებით მასეა. ეს იქმნა ბზობითგან აღესებამდე“⁶⁹

წარწერა დათარიღებულია სამნაირად, თანაც თვის და დღეების აღნიშვნით. დასაბამითან წელთაღრიცხვით და ბაგრატ მეფის მეფობის ინდიკტიონით აღნიშნული თარიღება გვაძლევს 1065 წელს, ხოლო ქართული ქრონიკონით აღნიშნული - 1066 წელს. დღეს მიღებულ წელთაღრიცხვაზე გადმოყვანით სამივე თარიღი გვაძლევს 1066 წლის აპრილის თვეს ბზობიდან აღდგომამდე. ვ. სილოგავას გამოთვლით საქართველოში კომეტა 9-16 აპრილს შეუნიშნავთ.⁷⁰

ბ) ფრესკული გამოსახულებების განმარტებითი წარწერები

ლიხნის ტაძრის სამხრეთი სარკმლის აფსიდთან მოთავსებულია ფრესკული გამოსახულების განმარტებითი, ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

„ოდეს აბრაჰამს ესტოჳმრა სამებაჲ წ(მიდა)მ“⁷¹.

წმინდანთა გამოსახულებებთან მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი შემდეგი წარწერები (სურ. 17):⁷²

წ ა ნ ხ ლ

„წ(მიდა)მ ნ(ი)კ(ოლო)ზი“

წ ა ე ლ ს ლ ზ

„წ(მიდა)მ ბასილი“

წ ა ე ლ ზ ლ ი მ გ ლ ს გ ე ლ ყ ზ

„წ(მიდა)მ გ(რი)გ(ო)ლი დ(მ)თისმეტყ(უე)ლი“

აღნიშნული ფრესკული მოხატულობანი ლ. შერვაშიძემ XIV საუკუნით დაათარიღა, რაც საფუძველს გვაძლევს დასახელებული გამოსახულების განმარტებითი წარწერები XIV საუკუნით დავათარიღოთ.

ლიხნის ტაძრის წარწერები უსათუოდ მოითხოვს ადგილზე ეპიგრაფიკული კვლევის აუცილებლობას, რასაც ჩვენ სამწუხაროდ ჯერჯერობით მოკლებულნი ვართ.

⁶⁸ Rapports, VIII, გვ. 116, ქრონიკები. წ. 1 გვ. 210, . 116-119, ვ. სილოგავა, ქართული წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ, „საბჭოთაო ქართული საქართველო“ 1986, 7,02 №6 (23 65), გვ. 5-6.

⁶⁹ ვ. სილოგავა, დასახ. სტატია. გვ. 5-6.

⁷⁰ იქვე.

⁷¹ Л.А.Шервашидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

⁷² П.С.Уварова, დასახელებული ნაშრომი, ტაბ. III.



თავი IV

სოსხმისა და შავკლდის რეგიონის ვარსკარები

აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების საკმაოდ დიდი ნაწილი, მათ შორის ლაპიდარული და ჰელდური წარწერები აღმოჩენილია წებელდის რეგიონში. წინამდებარე თავში წებელდის რეგიონის ლაპიდარულ წარწერებთან ტერიტორიული დალაგების პრინციპით წარმოდგენილია ბესლეთის ხიდისა და სკურჩის წარწერები.

ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი წებელდა მდებარეობს მდ. კოდორის შუა და ზემო წელის აუზში. პირველად იგი ძველ ბერძნულ წყაროებში პროკოპი კესარიელთან და აგათია სქოლასტიკოსთან იხსენიება ბიზანტია-სპარსეთის ომთან დაკავშირებით. პროკოპის ცნობით: „აფსილები ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან. ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებლები მას წიბილეს უწოდებენ“¹. ამავე ციხეს შედარებით განსხვავებული ფორმით ახსენებს აგათია სქოლასტიკოსიც: „ტიბელეოსის ციხე, რომელიც მისიმიელთა და აფსილელთა ქვეყნების საზღვარზეა და მათ ჰყოფს.“² წიბილე-ტიბელეოსი- წიბილეში თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გაიგივებულია წებელდასთან, რომლის მთის მწვერვალზე დღემდე შემორჩენილი ადრეფეოდალური ხანის ციხეთა ნანგრევები და ეკლესიათა ნაშთები რეგიონის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. წებელდის სიძველეები და მასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენები არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ყურადღების საგანი. აღნიშნულ სიძველეთა შესწავლა დაკავშირებულია პ. უვაროვას, დ. ბაქრაძის, ხოლო მოგვიანებით ა. მილერის, მ. ივაშენკოს, ლ. სოლოვიოვის, ი. გპელიშვილის, რ. შმერლინგის, ლ. ხრუშკოვას, ვ. სილოგავას, ქ. ჩხატარაიშვილის³ და სხვათა სახელებთან. აღნიშნულ მკვლევართა არაერთი მეცნიერული ნაშრომი მიემდვნა წებელდის სიძველეებს, მიუხედავად ამისა, წებელდაში კიდევ უამრავია შესწავლილი და მრავალი ადრეც ცნობილი მასალა თავის მკვლევარს მოელის ახლებურად გასააზრებლად.

წებელდის კულტურას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს ერთ-ერთი პირველი შეეხო დ. ბაქრაძე, მან 1886 წელს იმოგზაურა წებელდაში და აღწერა რამდენიმე ქრისტიანული ეკლესია. ამ მოგზაურობის ანგარიში დ. ბაქრაძის პირად არქივშია დაცული და 1990 წელს გამოქვეყნდა ქ. ჩხატარაიშვილის კომენტარებით.⁴ დ. ბაქრაძის ანგარიშიდან ჩანს, რომ იგი წებელდაში ისტორიის და არქეოლოგიის კავკასიის საზოგადოების დავალებით ჩავიდა. მას გათხრები არ ჩაუტარებია, მონახულია პოლტავა

¹ პროკოპი კესარიელი, იუსტინიანეს ომების ისტორია, გეორგიკა, ტომი II, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო სიმონ ფაუნჩინვილმა, ტფ., 1934, გვ. 91.

² აგათია სქოლასტიკოსი, ისტორია, გეორგიკა, ტომი III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო სიმონ ფაუნჩინვილმა, ტფილისი, 1936, გვ. 16.
³ А. А. миллер, Археологический и этнографический очерк Черноморского побережья „Живая старина“, I СПб, 1909; М. М. Ивашенко, Великая абхазская стена, ИАНО, IV, 1926; Л. Н. Соловьев Цebelъда, გვ. „Советская Абхазия“ 12 ივლისი, 1936; ი. გპელიშვილი, თიხის ჭურჭელში დაკრძალული კრემაციული ნაშთები აფხაზეთში (1945 წ. ექსპედიციის ანგარიში) სმპ, 1947 წ. ტ. VIII N1-2; P.O. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962; გვ. 162-163 Л. Г. Хрушкова, Скульптура раннесредневековой Абхазии, Тб., 1980; ვსილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 127, N 140 ქჩხატარაიშვილი, აბულასან იობის ძის წარწერა წებელდიდან და მისი ისტორიული მნიშვნელობა. კრებ-ში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VI, 1990, გვ. 83-105 და სხვ.

⁴ Кивучени научною наследия Д.З. Бакрадзе... გვ. 160-198.



სკოეს სახურავჩაქცეული მონასტერი და აღწერა იგი. აღნიშნული აღწერილობიდან ირკვევა რომ მონასტერში მკვლევარს უნახავს წარწერიანი ქვა, რომელზეც იკითხებოდა **Γ Ω Γ Γ Ψ Γ Κ Ψ** „წ(მიდა)ო თ(ვედორ)ე შ(ეიწყალ)ე მ(ი)ქ(აელ)ე“.⁵ მეორე მონასტერი, რომელიც დ. ბაქრაძემ ინახულა ბღებარობდა სოფ. ოლგინსკოეს დასაწყისში. აქაც მკვლევარს აღმოუჩენია რელიეფური წარწერა ქვაზე, მაგრამ ტექსტის სრული წაკითხვა მან ვერ მოახერხა წარწერის ტექსტის დაზიანების გამო.⁶ გარდა ზემო აღნიშნულისა დ. ბაქრაძის ანგარიშში წებელდის სხვა სიძველეებზეც არის საუბარი, მაგრამ მათზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით. აღნიშნული ანგარიში სახელოვანმა ისტორიკოსმა მოხსენების სახით წარუდგინა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურ საზოგადოებას. ამ მოხსენების შედეგად 1886 წლის 2 ივლისს წებელდაში ჩავიდა რუსი არქეოლოგი პ. უვაროვა. მან წებელდის სხვა სიძველეებთან ერთად ყურადღება მიაქცია ქართულ წარწერებსაც, ამდენად მის ნაშრომში დაცულია ერთი ლაპიდარული წარწერის,⁷ და სამი ჭედური წარწერის ფოტოები.⁸ აღნიშნული ფოტოებიდან ირკვევა, რომ გრაფინია უვაროვას ნაშრომში წარმოდგენილი ლაპიდარული წარწერის ფოტოზე მოცემულია ბაქრაძის ანგარიშიდან ცნობილი წარწერის ტექსტი. დღეს აღნიშნული წარწერა გამოცემულია ქართული წარწერების კორპუსის მეორე ტომში.⁹ და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მიქაელის წარწერის სახელდებით. პ. უვაროვას ნაშრომში გამოქვეყნებული ჭედური წარწერებიდან, ერთი - ახულასან იობის ძის წარწერა ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში,¹⁰ ხოლო დანარჩენი ორი - მარიაძის წარწერა წმ. ეკატერინეს ხატზე და წარწერის ფრაგმენტი იოანე ნათლისმცემლის ხატზე, როგორც ჭედური წარწერა არ შევიდა ჩვენს დისერტაციაში.


წებელდის რევიონიდან ჩვენთვის ცნობილია აგრეთვე კიდევ ორი ლაპიდარული წარწერა: მოსახსენებელი ლუკა მარტინევისი და საამშენებლო წარწერა . პირველი აღმოჩნდა 1938 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს, ხოლო საამშენებლო წარწერის ფოტო 1988 წელს ი. ვორონოვმა გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს, გიორგი ოთხმეზურს.

ამდენად წინამდებარე თავში წარმოდგენილია წებელდის სამი ლაპიდარული წარწერა: მიქაელის, ლუკა მარტინევის და საამშენებლო წარწერები. აღნიშნულ წარწერებს დაემატა ბესლეთის ხიდის და სკურჩის წარწერები .

1. მიქაელის წარწერა

1886 წლის 13 მაისს დ. ბაქრაძემ წებელდაში მოგზაურობის დროს ნ. ი. ვორონოვის მამულში მიაკვლია წმიდა თევდორეს ეკლესიას, რომელშიც აღმოჩნდა „резные камни с прекрасными орнаментами лучших эпохи и выточены круглые колонки: все это составляло, кажется алтарную преграду. На одном из них надпись“.¹¹ მას ეს წარწერა არ წაუკითხავს და არც დაუთარიღებია. 70-

⁵ იქვე გვ. 161.
⁶ იქვე გვ. 164.
⁷ П. С Уварова, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VI.
⁸ იქვე, ტაბ. X, ტაბ. XI.
⁹ იქვე II, გვ. 127, N140.
¹⁰ Е. С. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания изаметки, вып. II, 1995, с 68-71; ქინხატარაიშვილი, აღსანიშნავი იობის ძის წარწერა წებელდიდან და მისი ისტორიული მნიშვნელობა, გვ. 88.
¹¹ К изучению паучною наследия Д.З. Баградзе, გვ. 161.



ან წლებში დას. საქართველოს ლაპიდარულ წარწერებზე მუშაობისას ვ. სილოვაკამ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მიაკვლია უვაროვას ფოტოზე წარმოდგენილ ფილას, შეისწავლა მისი წარწერა და იგი XI საუკუნით დაათარია (სურ. 10).¹²

წმიდა თევდორეს ტაძარში ნაპოვნი ჩუქურთმებიანი ქვა წარმოადგენს კანკელის ფილას. იგი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ინვენტარის № 6მმ-493). ფილას გარშემო შემოუყვება წნული, გეომეტრიული და ფოთლოვანი ორნამენტის განიერი (სივანე-20) არშია. მის ცენტრში მოთავსებულ როზეტებს შორის ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ასოების სიმაღლე: 2-3 სმ, განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, ქარაგმის ნიშანი: კიდურწაისრული, სწორი, განივი ხაზი.

დაზიანება: ფილა ძლიერ დაზიანებულია, მას ჩამოტვრეული აქვს მარცხენა კიდე.

წ ა ო ო ო ო ო

წ ა ო ო ო ო ო, „წ(მიდა)ო თ(ევდორ)ე შე(იწყალ)ე მი(ი)ქ(ა)ელ“.

მიქაელის წარწერიან ფილასთან ერთად პ.უვაროვამ იპოვა მეორე ხვეულორნამენტიანი ფილა წარწერის გარეშე, რომელიც ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით შეისწავლა რ. შმერლინგმა და აღნიშნა, რომ ამ ფილის ორნამენტის ცალკეული ელემენტები მეორდება XI საუკუნის სხვა ქართული ტაძრების მცირე არქიტექტურული ფორმების ორნამენტთა სქემებში, ამიტომ მას XI საუკუნით ათარიღებს.¹³ რ. შმერლინგის მიერ შესწავლილი ფილისგან განსხვავებით მიქაელის წარწერიანი კანკელი უფრო დაზიანებულია, მაგრამ მის მარჯვენა ნაწილში კარგად ჩანს ფილის დეკორატიული ორნამენტი. ფილაზე ამოკვეთილია ფოთლოვან ორნამენტებიანი ჯვარი, რომელიც ფართო ორნამენტებიან ჩარჩოსგან გამოყოფილია დეკორატიული თოკით. რ. შმერლინგის ზემოთხსენებული დათარიღების გათვალისწინებით, აღნიშნული ფილა XI საუკუნით თარიღდება.

ამ დათარიღებას ხელს უწყობს მიქაელის წარწერის პალეოგრაფიული მონაცემებიც. დამატებით დათარიღებულ საშუალებად შეიძლება გამოვიყენოთ წარწერის ზოგიერთი გრაფემის კიდურწაისრულობა, ლუმცა ზოგადად ეს გრაფემები არ იმეორებენ ამ სახის დამწერლობისათვის დამახასიათებელ თვისებებს; წარწერებში იგრძნობა ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციების რღვევა და ასოების არათანაბარი სიმაღლე და მოცულობა. ნ. შოშიაშვილის აზრით, X საუკუნის II ნახევრიდან იწყება ოდნავ შემამჩნევი კიდურწაისრულობა, რაც XI საუკუნეში ტიპიური ხდება.¹⁴

¹² შწკ II, გვ. 127.

¹³ Р.О.Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, გვ. 162.

¹⁴ შწკ I, გვ. 33.



2. ჯერის საამშენებლო წარწერა ლუკასი

1938 წელს წებელდის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, მისი ადგილსამყოფელი დღეისთვის უცნობია. ხ. ბლაჭბას ნაშრომში გამოქვეყნებულია წარწერის ფოტო, რომელიც კარვად იკითხება (სურ. 20).

ლუკას წარწერა შესრულებულია ქვის ფილაზე, მის ცენტრში წარმოდგენილია რელიეფური ჯვარი, მას ქვედა მკლავი დაგრძელებული აქვს, ხოლო განივი მკლავების სიბრტყეზე ვ. სილოგავას აზრით, იკითხება Γ $\bar{\Gamma}$ „წ(მიდა)დ გ(იორგ)ი“. სწორკუთხად გათლილი ფილა ჩასმულია ტეხილი გეომეტრიული ხაზებით შექმნილ ორნამენტირებულ ჩარჩოში. ასეთივე ორფერდა ჩარჩოთი არის გადახურული ჯვარი ზემოდან. ასოები არათანაბარი სიმაღლისაა და შესრულებულია ღრმა კვეთით მთლიანად წარწერა მოთავსებულია ჯერის პორიზონტალურ მკლავებს ქვემოთ, ვერტიკალური მკლავის ორივე მხარეს. განკვეთილობის ნიშანი ორწერტილი, ადგილ-ადგილ; ქარავმის ნიშანი-კლაკნილი, ზოგჯერ განივი ხაზი.¹⁵

ნჲს ჟნს

ცჲს ႠႠ

გცჲნღ

ხს ხს გჲ

ღნღ Ⴀ

5.ბღ: Ⴀ Ⴀ

გნჲ ნგჲ

ხსღ ხსს გჲ

ღნღ Ⴀს Ⴀ

ბღ: ნღ: Ⴢღ

„ამის ჯ(უარ)ისა | მაშენებელსა ლ(უ)კ(ა)ს მ(ა)რტიწინევას, შ(ე)უწილოს ღ(მერთ)მან, ა(მ)ენ.“

ვ სილოგავამ წარწერა დაახასიათა, როგორც ჯერის აშენების იურიდიული აქტი და თავდაპირველად XII საუკუნით დაათარიღა, მაგრამ შემდეგში, როგორც უფრო გვიანდელი, არ შეიტანა 1980წელს გამოქვეყნებული „ქართული წარწერების კორპუსის“ II ტომში.

ლუკას წარწერის ბალეოგრაფია აშკარად არა მიეკუთვნება XII საუკუნეს. განვიხილოთ მისი ნიშნები. წარწერაში ასომთავრული „ანი“ წარმოდგენილია სწორი კუთხით, რომელსაც ბოლოში ქუსლი აქვს მიდგმული, ხოლო თავზე მოთავსებული აქვს ბოლოებგამსხვილებული კლაკნილი ხაზი, იგი

¹⁵ არქეოგრაფიული მონაცემები მოგვევას სტატიიდან, ვ. სილოგავა, ქართული სიძარტლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1972, N4.



გრაფემის ტარს არ უერთდება. აღნიშნული გრაფემა წარწერაში ათჯერ გვხვდება და წარმოდგენილია დაახლოებით ერთნაირი ფორმით. შედარებით განსხვავებულია Ⴀ გრაფემა „ამენ“, სადაც მას დამატებით კიდევ ორი ქუსლი აქვს მიდგმული.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე საყურადღებოა Ⴀ Ⴀ Ⴀ Ⴀ Ⴀ გრაფემების მოხაზულობა. „ბანი“ წარწერაში თავგახსნილია, გრაფემის ტარს მარცხნივ ზემოთ, თავთან მიდგმული აქვს ტარის პარალელური ხაზი, რომელიც მასთან სწორკუთხად შეერთებულია მოკლე განივი ხაზით. ასო ბოლოვდება მომრგვალებული ქუსლით, რომელიც გრაფემასთან პროპორციულ შესაბამისობაში არ იმყოფება და რამდენადმე გადიდებულია.

„ენი“ ტექსტში ექვსჯერ იკითხება, აქედან სამ შემთხვევაში მისი არსებობა მხოლოდ ივარაუდება (სიტყვებში „შუნდოს“, „ღმერთმან“ და „ამენ“). გრაფემის ტარს ზემოდან ადევს მოკლე, ვერტიკალური ხაზი, იგი გრაფემის ტანის ზომის ნახევარზე ოდნავ ნაკლებია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს Ⴀ - გრაფემა. მის ვერტიკალურ ხაზს (უფრო ზუსტად იგი ნახევარკალად უნდა ჩაითვალოს) ზემოდან ადევს მაღლა გაზიდული კუთხოვანი ქული, ტანის შუა ნაწილიდან გამოდის მასთან სწორი კუთხით დაკავშირებული პატარა ხაზი, იგი ერთ შემთხვევაში, ასოს ტარის მიმართულებით ოდნავ დახრილად არის დაშვებული, ხოლო მეორე შემთხვევაში ტანის პარალელურად ჩამოდის; „ვინ“- ის ტარის პარალელურად ჩამოდის ხაზი, რომელიც მასთან სწორკუთხად შეერთებულია მოკლე, განივი ხაზით. ასეთივე წესით, ასოს ტანთან მარჯვნივ, შუა წელიდან ოდნავ ზემოთ, მიერთებულია საკმაოდ გრძელი ვერტიკალური ხაზი: ასომთავრულისათვის ასევე არატრადიციული, გაკუთხოვანებული ფორმითაა წარმოდგენილი „იან“-იც. მთლიანად წარწერაში ჩანს ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციების რღვევა. თითქმის არცერთი გრაფემა არ ემორჩილება ამ ტრადიციებს, ამ მხრივ განსაკუთრებულ თავისუფლებას იჩენს „ნარ“-ისა და „ჯან“-ის მოხაზულობანი. ჩამოთვლილი პალეოგრაფიული თავისებურებების საფუძველზე ლუკას წარწერა, XIV საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

3. საამშენებლო წარწერის ფრაგმენტი.

80-იან წლებში წებელდაში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ ი. ვორონოვი, ო. ბლაჟა, ვ. შამბა, მ. გუბა და სხვები.⁶ სოფ. წებელდის აღმოსავლეთით 4 კმ-ზე გამოვლინდა ერთ-ერთი ციხე საფორტიფიკაციო სისტემით, ორი დარბაზული ეკლესიით, აბანოთი და სამეურნეო სათავსებით. გათხრების დროს აღმოჩნდა ლაბიდარული წარწერა, რომლის ფოტო ი. ვორონოვმა გადასცა თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტს ვ. ოთხმეზურს (სურ. 13).⁷

ქვის ფილაზე, რომელიც, როგორც ჩანს, ოთხკუთხა ფილას წარმოადგენდა შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი. წარწერა ზუთსტრიქონიანია; გრაფემები შესრულებულია ღრმა კვეთით. ზოგიერთ გრაფემას ახასიათებს კიდურწერტილოვნება. განკვეთილობის ნიშანი - ორწერტილი; ქარაგმის ნიშანი: სწორი, განივი ხაზი.

⁶ აღნიშნულ არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებით იხილეთ: Археологические исследования в Цецельде, Тб., 1962.
⁷ აღნიშნული ფოტო, გადმოგვცა ვ. ოთხმეზურმა, რისთვისაც დიდი მადლობას მოვახსენებ.



დაზიანება: ფილა, რომელზეც წარწერაა მოთავსებული წარმოადგენს დიდი მოცულობის ქვის ჩამონატეხს, ამიტომ წარწერას აკლია ტექსტის დასაწყისი და დასასრული სტრიქონები.

წარწერა

წარწერა: ქს: ოსა: ყუყუა ოთხ

სომეხურნა: ბსსსსსსსსსსს

ქს: ოსა ოთხ: ბს სომეხურნა

.....[წი]ყყუა
[ს]ყყუა: ქს: ოსა: ყუყუა.....
სომეხურნა: ბს სსსსსსსსსსსს
[ქს]ყყუა: ოსა ოთხურნა ოთხ

5-[ქს]ყყუა

„[აღ]ვ(ა)შენე[.....]საყოფელდ წ(მიდი)სა გ(იორგი)სა, შევევდენ[.....]სალოცველად და საკსრად ს(უ)ლ(ი)სა..... [ქრის]ტე მკსნელ და მფარველ ექმ(ენ) დ[ლესა მას განკითხვისასა].“

რადგან წარწერის ტექსტის მოღწეულ ფრაგმენტზე არც თარიღი მოიპოვება და არც ისტორიული პირი იხსენიება, დასათარიღებლად პალეოგრაფიულ ნიშნებს და ტექსტის ზოგიერთ სხვა მონაცემებს უნდა მივმართოთ.

პალეოგრაფიული თავისებურებებით გამოირჩევა **ს ო მ ო ო ო** გრაფემები „ონი“ გაკუთხოვანებულია და ძალიან პგაეს ნუსხურ **ს** გრაფემას, სიტყვაში „წ(მიდი)სა“, „სალოცველად“ და ა.შ. „ღონ“-ის განივი სწორი ხაზი წრესთან მაღალი ყელითა დაკავშირებული და წრე პატარაა განივ ხაზზე, მაგ. სიტყვებში: „შევევდენ“, „სალოცველად“ და ა.შ. „ონი“ ორჯერ გვხვდება ტექსტში, ერთ შემთხვევაში ჩანს მისი ქვედა მოხაზულობა და ფეხი, მეორე შემთხვევაში „ონი“ მთლიანად არის წარმოდგენილი და იგი გაკუთხოვანებულია, ხოლო ფეხი წარმოადგენს ქვედა პორიზონტალური ხაზის გაგრძელებას, მაგ. სიტყვაში „სალოცველად“. „ცანი“ ასომთავრულში წარმოადგენს მარჯვნივ გახსნილ წრეს, რომელსაც ქვემოთ გახსნის ადგილას დახრილი ქუსლი აქვს მიდგმული, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში იგი შეტრიალებულია - მოცემულია მარცხნივ გახსნილი წრე, ხოლო ქვემოთ წრის გახსნის ადგილი გადიდებულია და



მდგომელი აქვს ირიბად დახრილი ქუსლი : სიტყვაში „სალოცველად“ „მან“ და „ნარ“ გრაფიკულად მიდრეკილებას იჩენს გამხედრულებისაკენ.

საერთოდ, წებელდის საამშენებლო წარწერის ფრაგმენტში შეინიშნება გრაფიკათა განსხვავებული სიმაღლე და მოხაზულობა, იგრძნობა ორხაზოვანი საწერი ბადიდან გამოსვლის ტენდენციები; ამ მახასიათებლებით წარწერა XII საუკუნის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს.


წებელდის საამშენებლო წარწერა ენობრივი თვალსაზრისით, მსგავსებას იჩენს, პ. უვაროვას მიერ წებელდაში ნაპოვნი აბულასან იობის ძის ხატის წარწერასთან. აღნიშნულ წარწერაში ხატის გარეთა ძორთულობის დამზადება გადმოცემულია ფრაზით: „შევკვდენ კუბოთ ეხე სალოცველად სულისა ჩემისა“;¹⁸ საამშენებლო წარწერის მიხედვით: „.....შევკვდენ სალოცველად და საკსრად სულისა (ჩემისა).“ რა თქმა უნდა, ეს ფაქტი საშუალებას არ გვაძლევს რაიმე კონკრეტული მოსაზრება გამოვთქვათ ხატისა და საამშენებლო წარწერების ურთიერთმიმართებაზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ორივე წარწერის ერთი და იმავე ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონიდან (შეიძლება ერთი და იმავე ეკლესიიდანაც) წარმომავლობას, ვფიქრობთ, აღნიშნული მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ შესაძლებლობის დაშვების შემთხვევაში საამშენებლო წარწერის დათარიღება უფრო დაზუსტება XII-XIII სს. მიჯნით.

4. ბესლეთის ხიდის წარწერა

სოხუმიდან 7-8 კმ დაშორებით, მდ. ბესლეთის კალაპოტზე, სოფ. ბესლეთთან ახლოს, გადებულია ერთმალიანი თაღოვანი ხიდი, რომლის დასავლეთ კიდეზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (სურ. 4). აღნიშნული წარწერის აღმოჩენამდე ბესლეთის ხიდი ცნობილი იყო „გენტიკური“ ანუ „გენუელთა“ ხიდის სახელწოდებით. პ.ს. უვაროვას ეჭვიც არ ეპარებოდა რომ ბესლეთის ხიდი: „წყობის მოხდენილობის თვალსაზრისით შეიძლება უფრო ბერძენ ოსტატებს ეკუთვნოდეს“¹⁹ მაგრამ 1934 და 1936 წლებში მომხდარმა წყაღდილობამ ხიდის თაღს მოაშორა ბზის ბუჩქები და აღმოჩინა..... ქართული ასომთავრული წარწერა,²⁰ რომლის შესწავლისა და სხვა მონაცემების საფუძველზე 1936 წელს ნ. ჩუბინაშვილმა დაამტკიცა, რომ ხიდი წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართულ ნაგებობას. 1970 წელს ხიდის წარწერა შეისწავლა თ. ბარნაველმა და ამ მონაცემების საფუძველზე სცადა ხიდის ზუსტი დათარიღება.²¹ შეიძლება ითქვას, რომ ბესლეთის ხიდის წარწერა აფხაზეთის ქართულ წარწერებს შორის ყველაზე პოპულარული წარწერაა. იგი გამოცემულია მრავალჯერ²².

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის შემორჩენილ ნაწილს უჭირავს ბესლეთის ხიდის თაღის დახლოებით 1/3; ფილა, რომელზედაც წარწერის დასაწყისი ასობედა ამოკვეთილი, ხიდის სამხრეთი ბურჯის წყობაშია დატანებული, ხოლო წარწერის დანარჩენი ნაწილი დაუკვება თაღს. წარწერა შესრუ-

¹⁸ ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.
¹⁹ П.С. Уварова, Христианские памятники Кавказа, гв. 33.
²⁰ კ. ბურულავა, აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბ., 1951, გვ. 22.
²¹ თ. ბარნაველი, ბესლეთის ხიდის თარიღისათვის, მაცნე, №6, 1970, გვ. 139-144.
²² Х.С. Бгажба, Из истории письменности в Абхазии, гв. 20, სურ. II. Х.С. Бгажба, Из истории письменности... 1967, გვ. 20 სურ. II; И.Е. Азизина, Архитектурные памятники Абхазии, 1958, გვ. 69; В. Пачулия, По историческим местам Абхазии, Сухуми, 1956, გვ. 26; В. Пачулия, По древней но вечно молодой Абхазии, Сухуми, 1968, გვ. 45; З. Анчабадзе, Г. Дзидвария, Дружба извечная, нерушимая, Очерки из истории грузино-абхазских отношений, 1972, გვ. 33; თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139-144, სურ. 3; პილოგავა, ქ. წ. კ. II, გვ. 73, №55; გვ. ბერიძე, ძალტვის ძეგლები აფხაზეთში, აკვარი ვახიხა“ №6, 1995, გვ. 66.



ლებულია კიდურწაისრული და კიდურწერტილოვანი დამწერლობით, ადგილ-ადგილ შეწიქვალბუღილი დიდი ზომის ღრმად ჩაჭრილი ასოებით. ასოების სიმაღლე: 24-21-17-11. კვეთის სიღრმე 1-1,5. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარავმის ნიშანი: კიდურწაისრული, კლაკნული, განივი ხაზი.²³

დამიანება: წარწერა დაზიანებულია. წარწერის ფიქალთა უმეტესი ნაწილი მოგლეჯილია, ამიტომ ზოგიერთი გრაფემები და წარწერის ტექსტის ბოლო ნაწილი არ იკითხება. წარწერის ტექსტის წაკითხვაში ისევე, როგორც დათარიღებაში აზრთა სხვადასხვაობაა. მოგვეყვას წარწერის წაკითხვის ორი ძირითადი ვარიანტი თ. ბარნაველის და ვ. სილოგავას გამოცემებით.

ქ[რ]ისტ[ე] მ[ე]ფ[ე]ე[ო] ყ[ო]ველ[თ]ა [უ]მ[ე]ტ[ე]ს[ა]ლ [ა]ლ[ი]დ[ე] ორთავე[ე] შ[ი]ნა ს[უ]ფ[ე]ე[კ]ათა უ

„ ქ(რისტე), [მეფე(ე)ო ყ(ოველ)თა, (უმეტე(ე)ს(ა)ლ] (აღ)იდე ორთავე(ე) შ(ინა) ს(უ)ფ(ე)[კ]ათა უ [ძლეველი] [...] “

ზემოთოყვანილი წაკითხვა ეკუთვნის ვ. სილოგავას. მანვე შემოგვტავაზა ტექსტის აღდგენის მეორე ვარიანტი.

ქ[რ]ისტ[ე] [მ]ფ[ე]ლ[ობ]ლო ყ[ო]ველ[თ]ა [ს]უფ[ე]ვათაო , [ა]ლ[ი]დ[ე] ორთავე[ე] შ[ი]ნა ს[უ]ფ[ე]ე[კ]ათა უ [ძლეველი] [...] “

თ. ბარნაველის მონაცემებით წარწერას შემდეგი სახე უნდა ჰქონოდა:

ქ[რ]ისტ[ე] მ[ე]ფ[ე]ე[ო] ყ[ო]ველ[თ]ა [უ]მ[ე]ტ[ე]ს[ა]ლ [ა]ლ[ი]დ[ე] ორთავე[ე] შ[ი]ნა ს[უ]ფ[ე]ე[კ]ათა უ

იგი წარწერის ცალკეული გრაფემების პალეოგრაფიული ანალიზის და კერძოდ ასოების კიდურწაისრული და ტყუბწვეტოვანი ხასიათის შესწავლის საფუძველზე ბესლეთის ხიდს Xs. II ნახევრით ათარიღებს და ამ დათარიღების მიხედვით წარწერის ტექსტში აღადგენს მეფის სახელს. „ენის მხრივ-წერს თ. ბარნაველი, ბესლეთის ხიდის წარწერა პარალელს პოულობს ბაგრატის ტაძრის წარწერას²⁴. ბუნებრივია, მკვლევარი ხიდის აგების თარიღად Xs. II ნახევარს გვთავაზობს და წარწერაში აღადგენს მეფე ბაგრატ III-ის სახელს. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით, თ. ბარნაველი გვთავაზობს წარწერის წაკითხვის შემდეგ ვარიანტს: ქ(რისტე) [მეფე(ე)ო ყ(ოველ)თა [აღ]იდე ორთავე სუფევათა ო[ქ] [ძლეველი] [მეფეთა მეფე ბაგრატ]“²⁶

წარწერის აღნიშნული წაკითხვა და დათარიღებაც უკანასკნელ ხანს გაიზიარა ვ. ბერიძემ ნაშრომში „კულტურის ძეგლები აფხაზეთში“²⁷

ვ. სილოგავას აზრით, ტექსტში „როგორც ჩანს მეფე იყო დასახელებული. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XI საუკუნისაა. მასში დასახელებული მეფე შეიძლება ყოფილიყო ბაგრატ III , გიორგი I, ან ბაგრატ IV. ტექსტში რომელიმე მათგანის სახელის, ტიტულის, ან თუნდაც ტიტულის ნაწილის აღდგენის შემთხვევაში წარწერის თარიღი დავიწროვდებოდა. რადგანაც, ასეთი აღდგენის შესაძ-

²³ ქსქ. II, გვ. 73, №55.
²⁴ თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი გვ. 141.
²⁵ იქვე, გვ. 143.
²⁶ თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.
²⁷ ვ. ბერიძე, კულტურის ძეგლები აფხაზეთში, „ჯვარი ვაზისა“ 1995, გვ. 66.



ლებლობას მოკლებულნი ვართ, წარწერას ზოგადად XI ს-ით ვათარილებთ.“²⁸ მართებულად აღნიშნავს მკვლევარი მეფის ტიტულის აღდგენის შემთხვევაში წარწერის თარიღი მართლაც დაიწვროვებოდა, სამწუხაროდ, ასეთი აღდგენის შესაძლებლობას მოკლებულნი ვართ. ამიტომ წარწერის შინაარსის გამართვისა და დათარიღების საკითხისათვის ისევ პალეოგრაფიულ მონაცემებსა და წარწერის სხვა ისტორიული-წყაროთმცოდნეობით ღირებულებას მივმართოთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბესლეთის ხიდი თავდაპირველად „გენუელების“ „ვენეციელებისა და ბერძნების აგებულადაც მიაჩნდათ, მაგრამ ნ. ჩუბინაშვილის, და ლ. რჩეულიშვილის გამოკვლევით, იგი წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართულ ნაგებობას, რომლის ხუროთმოძღვარს „კარგად ჰქონია შესწავლილი ამ მდინარის (ბესლეთის -ლ. ა.) თვისება“ რაც გამოიხატა „ხიდის ასაგებად ადგილის კარგად მოფიქრებულ“ შერჩევაში, ხიდისათვის შესაფერისი კონსტრუქციის ზედმიწევნით მიგნებაში“²⁹ წყალდიდობის დროს კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. გ. ჩუბინაშვილისა და ლ. რჩეულიშვილის დებულებით, „ეს ძველი ხიდი თანამედროვე ხიდთაშენებლობის კანონებსაც კი სრულიად აკმაყოფილებს და მტონიან მანქანების მთელი შეუწყვეტელი რიგის სიმძიმის ატანაც კი შეუძლია. ასეთი მძლავრი და ტექნიკურად მაღალხარისხოვანი ხიდის აგება დიდი სავაჭრო და პოლიტიკური მნიშვნელობის გზაზედ უნდა მდგარიყო.“³⁰

ბუნებრივია, ისმის კითხვა როდის უნდა მომხდარიყო დიდი სავაჭრო და პოლიტიკური მნიშვნელობის გზაზე ასეთი ხიდის აგება? ზემოთ მოვიყვანეთ პროფ. ვ. სილოგავას მოსაზრება, რომ წარწერაში შეიძლება ყოფილიყო ბაგრატ III, გიორგი I ან ბაგრატ IV. ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და წარწერის და ხიდის მშენებლობის დათარიღების კვლევისთვის ვიღებთ დასახელებულ მეფეთა მოღვაწეობის ეპოქას X ს. მიწურული - XI საუკუნის 70-იანი წლები. ჩვენი აზრით, უფრო ზუსტი დათარიღებისათვის საჭიროა გაირკვეს მოცემულ პერიოდში როდის შეიძლებოდა ქართულ სახელმწიფოს ჰქონოდა ისეთი დიდი სავაჭრო და პოლიტიკური მნიშვნელობის ინტერესები, რომ აგებულიყო ასეთი უნიკალური კონსტრუქციის მქონე ხიდი.

5. სკურჩის წარწერა.

კოდორის ხეობის სკურჩის დასახლებაში მდებარე მარმარის კარის ტაძრის ნანგრევებში გამოვლინდა ფილა ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულებით, რომელიც სოხუმში ჩამოიტანა დიმიტრი გორდევამ და ამჟამად დაცულია დიძ. გულიას სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

სამწუხაროდ ფილის ნახვის და შესწავლის შესაძლებლობას ჯერჯერობით მოკლებულნი ვართ. ამჟამად ვისარგებლებთ ფილის ერთადერთი აღწერილობით, რომელიც ბერძნული და ქართული წარწერების გრაფიკულ გადმონახაზთან ერთად გამოაქვეყნა თ. ყაუხჩიშვილმა.³¹ მისი მონაცემებით ფილა დამზადებულია ადგილობრივი კირქვით და ირგვლივ შემკულია ჩუქურთმებით, მის შუაში კი გამოსახულია ქრისტეს ჯვარცმა, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ მარია მღმრთისმშობელი და იოსები არჩ

²⁸ ქვ. კ. II, გვ. 73.

²⁹ ლ. რჩეულიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, XI-XII სს. ხიდი მდინარე ბესლეთზე (განაზომის განმარტებითი ბარათი) კრ.: შოთა რუსთაველის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1938 გვ. 267-269.

³⁰ იქვე.




³¹ თ. ყაუხჩიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30.



გამოსახული. ჯვარცმის ზემოთ მარჯვენა და მარცხენა კუთხეში მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზებია წარმოდგენილი.³²

გრაფიკული გადმონახაზის მიხედვით, ფილაზე წარწერები ბერძნულ და ქართულ ენებზეა შესრულებული. ფილის ცენტრში ჯვარცმული იესოს თავზე მოთავსებულია ბერძნული წარწერა „ჯვარცმა“. ამ მხრივ სკურჩის რელიეფი პარალელს პოულობს ანუხვის ჯვარცმის გამოსახულებიან ფილასთან, რომელზეც წარწერები ბერძნულ-ქართულადაა შესრულებული.

სამსტრქიონიანი, ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია ჯვრის ტოლ მკლავებზე და მკლავების ქვემოთ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი სწორი, განივი ხაზი.



1. სსს პფქ აპამ(ე)ფქ| პურიათა|

2. საყაქტტ ჯ(უ)არცმ(ა)ე ქ(რისტ)ესი“.


3. ქაქაქა ქაქაქა

თ. ყაუხჩიშვილი ფილაზე მოთავსებული ბერძნული წარწერის პალეოგრაფიის საფუძველზე წარწერას XII-XIII სს. ათარიღებს.³³

სკურჩის წარწერის დათარიღებისას, უსათუოდ, გასათვალისწინებელია მისი მსგავსება ანუხვისა და სამათოს რელიეფებთან. განსაკუთრებით დიდ მსგავსებას იჩენს ანუხვის ჯვარცმის გამოსახულებიან ფილასთან. ამ ფილებზე ჯვარცმის კომპოზიცია ერთნაირად არის წარმოდგენილი, მაგრამ თ. ჭიხიშვილი სკურჩის რელიეფის აღწერისას მცხოვრის ჯვარცმის მარჯვნივ და მარცხნივ მარიამ ღმრთისმშობელსა და იოსებს ასახელებს. ჩვენი აზრით, ჯვარცმის კომპოზიციაში იესოსთან ერთად მარიამ ღმრთისმშობელი და იოანე უნდა იყვნენ გამოსახულნი, როგორც ეს ჩვეულებრივ, მიღებულია ქრისტიანულ იკონოგრაფიაში.

ჯვარცმა ქრისტიანული იკონოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი თემაა და გავრცელებულია ქრისტიანული კულტურის ქვეყნებში. ხელოვნებაში ეს თემა აღებულია ახალი აღთქმის ავტორ-

³² იქვე
³³ იქვე



ბიდან, კერძოდ ოთხთავიდან: „მაშინ გადასცა იგი მათ ჯვარზე საცემლად და წაიფვანეს იესო, წაიღო თავისი ჯვარი და გავიდა ადგილზე, რომელსაც ეწოდებოდა თხემი, ებრაულად კი გოლგოთა. (იგი ჯვარს) აცვეს იქ.“ (იოანე, 19.16.,17, 18; მათე 27,35., მარკოზი 15,24; ლუკა 23.33);

ქრისტიანული ეპოქის ხელოვნებაში არ დარჩენილა თითქმის არცერთი დარგი, რომელშიც ქრისტეს ჯვარცმას ასახვა არ ეპოვოს. იგი გახდა აღორძინების დიდოსტატთა ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი თემა. ფრესკებზე, ეკლესიის ფასადებზე, რელიეფებზე, ხატებზე და ა. შ. უამრავი უბრალო თუ მონუმენტური სახე გამოიკვეთა და დიხატა. აღორძინების, მისი წინარე და შემდეგი დროის თითქმის ყველა მხატვარს აქვს ჯვარცმის კომპოზიცია, მათ შორის: ეპისკოპოს გეროს, როგორ ვან დერ ვეიდენს, ელ გრეკოს, ვან დეიკის, ალტდორფერის, კრანახის, მაზერელის, კოკოშკას. ასეთივე შინაარსი აქვს ფრანჩესკო ფრანჩას, ფრანჩესკო პეზელინოს, ფრანჩესკო დელ კოსას, მასაჩიოს, ნიურნბერგელი ოსტატების და სხვათა ცალკეულ შედევრებს.³⁴

ქრისტეს ჯვარცმის მრავალრიცხოვანი ნიმუშები გვხვდება, როგორც ქართულ მონუმენტურ, ისე მცირე ზომის ქვის რელიეფებზე და ჭედურ ხელოვნებაში. მსოფლიოში ცნობილია სვანეთში დაცული ფერწერული ხატები, ჯვარცმის გამოსახულებით: ლენჯერის XI-XII სს. ეკლესიის „ჯვარცმა“, მაცხვარიშის XII-XIII სს. ეკლესიის „ჯვარცმა“³⁵ და სხვა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ჯვარცმის გამოსახულებიანი ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები. მათ შორის აღსანიშნავია: XI ს. მუთხედის ზარზმის ხატი „ღმრთისმშობელი ყრმით“,³⁶ მარტვილის „თორმეტი დღესასწაულის ხატი“,³⁷ შემოქმედის XVI ს. II ნახ.საეკლესიო დღესასწაულთა ხატი,³⁸ 1619 წლის აფხაზთა კათალიკოსის მალაქა გურიელის და კვეთით შეჭვილი ცაიშის „თორმეტი დღესასწაულის ხატი“³⁹ და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში ჯვარცმა საკმაოდ პოპულარული თემაა. რ. შმერლინგის სიტყვებით „*Постоянно повторяющаяся в произведениях грузинского искусства.*“⁴⁰ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ნაპოვნი მრავალრიცხოვანი ჯვარცმის გამოსახულებიანი ქვის რელიეფები, რომელთა შორის ანუხვის, სამათოსა და სკურჩის ჯვარცმები გარდა იკონოგრაფიული და ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისისა, ეპიგრაფიკულ ძეგლებსაც წარმოადგენენ; მათი კლასიფიკაციით სამივე ფილა ერთიანდება საკულტო დანიშნულების ძეგლებში.

იკონოგრაფიული თვალსაზრისით, რელიეფები მსგავსებას იჩენს ჯვარცმის კომპოზიციის მქონე სხვა რელიეფებთან; მათ შორის განსაკუთრებით საგრძნობია მსგავსება შიომღვიმის ფილასთან. აქაც ჯვარზე გაკრული ქრისტეს გვერდით წარმოდგენილია დამწუხრებული მარიამი და იოანე. ეს მოკლე სიუჟეტი ქრისტეს ჯვარცმისა (მარიამით, იოანით და მთავარანგელოზებით) გაკრულად და

³⁴ იხილეთ: Мастера старой живописи из собрания будапештского музея изобразительных искусств, М, 1962, №6 National gallery of art Washington, New and Revised Edition, New York, 1984 №51, №98, (სამუელ კრეხის კოლექციები); E.H.Gombrich, The Story of Art, Phaidon, 1984, №171; von leonardo bis Chagal. Die schonste Zeichnungen aus dem Museum Der Bildenden Kunste in Budapest. Corvina, Herausgegeben bearbeitet und mit einer Einleitung versehen von Terez Gerz;
³⁵ ვ. აღიბეგაშვილი, ფერწერული ხატები, წიგნში: ქართული ხატები, თბ., 1994; №10, №22-23.
³⁶ თ. სავეარელიძე, ჭედური ხატები, წიგნში: ქართული ხატები, თბ. 1994, №24.
³⁷ თ. სავეარელიძე, დასახ. ნაშრომი, №72.
³⁸ იქვე, №60.
³⁹ იქვე, №80.
⁴⁰ P.O.Шмерлинг. დასახ. ნაშრომი, გვ. 140.



დამახასიათებელია ქართული ხელოვნებისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მოვლენაზე თავის დროზე მოუთითა რ. შმერლინგმა.⁴¹

ჯვარცმის გამოსახულებიანი სამივე ფილის წარწერების დათარიღებისას გასათვალისწინებელია პალეოგრაფიული მახასიათებლებიც. სკურჩის წარწერაში ასომთავრული გრაფემები ორხაზოვან ბადეს არ სცილდება. წარწერაში ადგილი არა აქვს სტრიქონზე სხვადასხვა ზომის ასოების მოთავსებას, არ გვხვდება ასოების მონოგრაფული შერწყმა, შედარებით განსხვავებულია ანუხვის წარწერა, აქ ასოთა განლაგებაში ოდნავ დარღვეულია პროპორციულობა. ყურადღებას იპყრობს გრაფემა „იოტა, სიტყვაში „ჯვარცამა“. ანუხვის წარწერაში იმავე სიტყვაში კარგად იკითხება „იოტა“.

სკურჩის წარწერის გრაფემათა მოხაზულობა არ ავლენს XI საუკუნეზე უფრო გვიანი პერიოდის პალეოგრაფიულ ნიშნებს, პირიქით შეინიშნება უფრო ადრეული ეპოქის წარწერებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ასეთ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ანუხვისა და სკურჩის წარწერები ორ ენაზეა შესრულებული ეს მოვლენა XII-XIII საუკუნეებში ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანისათვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი. გარდა ამისა, არსებობს სხვა პალეოგრაფიული თავისებურებანიც, კერძოდ, სკურჩისა და ანუხვის წარწერებში გრაფემა „უნი“ წარმოდგენილია ორი ასო-ნიშნით Q⁹. მართალია, ბოლნისის სიონის V საუკუნის 493/494 წლებისა და VIII-X საუკუნეების წარწერებში მაგ. VI-VIII-ის. მცხეთის ჯვრის წარწერაში, ხელნაწერებში: 864 წლის სინურ მრავალთავში, VIII. ხანმეტ ლექციონარში 897 წლის ადიშის ოთხთავში, 936 წლის ჯრუჭის ოთხთავში, XI. ურბნისის ოთხთავში და ა. შ. „უნი“ ყოველთვის ორი ასო-ნიშნით Q⁹ გვხვდება,⁴² მაგრამ XI საუკუნის შემდეგ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ამ გრაფემის ორი ასო ნიშნით ამოკვეთა, ადგილის კონომიური გამოყენების თვალსაზრისით და წერის გამარტივების მიზნითაც, იშვიათად გვხვდება, ან ქარაგმის ქვეშ იგულისხმება. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: ზოსიმე კუმურდოელის 1027-1072 წლების წარწერის სიტყვებში „დაუდეკ“, „შესუნებითა“, „შეუცვალოს“ „უნი მოცემულია ერთი გრაფემით- Q⁹“; დავით აღმაშენებლის 1125 წლის ეპიტაფიაში, სიტყვები: „განსასუნებელი“, „უკუნიით“ „უკუნი-სამდე“ გადმოცემულია ერთი ასო-ნიშნით - Q.⁴⁴ მიქაელ თავცაფარის XII საუკუნის წარწერაში სიტყვა „მეუფეო“ მოცემულია ერთი ასომთავრული გრაფემით⁴⁵. კაბენის ეკლესიის 1184-1207 წლების გიორგის შეილთა საამშენებლო-ქტიტორულ წარწერაში მთელი სიტყვა „უფალო“ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი გრაფემით Q.⁴⁶ 1184-1207 წლების წუნდის ეკლესიის დაწერილში უცნობი ეკლესიისადმი გრაფემა „უნი“ სიტყვებში: „წისქვილენი“, „მიურივა“ წარმოდგენილია ერთი ასომთავრული ნიშნით.⁴⁷

ჯვარცმის გამოსახულებიანი სამივე რელიეფის წარწერა საყურადღებოა, სხვა პალეოგრაფიული ნიშნებითაც. ტექსტებში დაცულია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის დამახასიათებელი ქარაგმების ერთნაირი წესები. ეპიგრაფიკულ ძეგლებში შედარებით უფრო ძნელი იყო ამ წესების დაცვა,

⁴¹ იქვე.
⁴² ილია აბულაძე, ქართული წერის ნიშნები, პალეოგრაფიული აღბობი, თბ., 1973, გვ. XI.
⁴³ ვ. სილოგავა, კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994 გვ. 63.
⁴⁴ ქსე II, გვ. 162.
⁴⁵ იქვე.
⁴⁶ გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, გვ. 94.
⁴⁷ იქვე, გვ. 85-86.



ვიდრე ხელნაწერებში, მაგრამ ლაპიდარულ წარწერებში მაინც არსებობს ცალკეულ სიტყვათა ერთნაირი დაქარაგმების წესები. დაქარაგმების პრობლემას აფხაზეთის წარწერებში ჩვენ კვლავ შევხებით, მაგრამ ამ შემთხვევაში აღენიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სამივე წარწერის შემოკმედი ემორჩილება ქართულ ლაპიდარულ წარწერებში სიტყვათა გადმოცემისა და დაქარაგმების საყოველთაოდ მიღებულ წესებს. ყველა შემთხვევაში, ძირითადად, გამოყენებულია სიტყვის შუა ნაწილების გამოტოვების მეთოდი, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა თავის დროზე შუაშეკვეცილობითი, დაქარაგმება უწოდა.^{46*} ჩვენი აზრით, მითითებული პალეოგრაფიული მახასიათებლები მნიშვნელოვანი არგუმენტია სამივე რელიეფის წარწერებს XI საუკუნით ათარიღებს.

სამათოს, ანუხვისა და სკურჩის რელიეფების სახით სახეზე გვაქვს ქართული ქრისტიანული ხელოვნების ძეგლები, ასომთავრული დამწერლობის ნიმუშებით.

* ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 139.



ნაწილი II

აფხაზეთის წარწერების დამწერლობათმცოდნეობითი ანალიზი

თავი I

დამარაგება და აუცილებლობა აფხაზეთის წარწერაში.

აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლების დამწერლობათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე ირ-
ვევა, რომ საქართველოში განსაზღვრულ პერიოდში არსებობდა ერთიანი კალიგრაფიული სკოლა,
რომელსაც გააჩნდა მკაცრად დაკანონებული ქვის კალიგრაფიული ხელობის ტრადიციები. იგი ითვა-
ლისწინებდა დამწერლობაში მიმდინარე პროცესებსა და ცვლილებებს, მათ შორის, კალიგრაფისათვის
მკაცრად იყო განსაზღვრული დაქარაგმებისა და პუნქტუაციის საკითხები.

ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაქარაგმების იგივე წესები გამოიყენებოდა, რაც ხელნაწერებში; ესენია:
მხოლოასიონი დაქარაგმება, შუა შეკვეცილობითი და უხმოვნო დაქარაგმება¹. დაქარაგმების ასეთი
სახელდება ეკუთვნის ი. ჯავახიშვილს, რომელმაც დაქარაგმების ნიშნებსა და წესებს ცალკე თავი მიუძ-
ღვნა თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში “ქართული პალეოგრაფია”. აღნიშნულ საკითხს შეეხო ც.
ჭანკიევიც სტატიაში “დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიულ ძეგლებში”, რომელშიც მკვლევარმა
განმარტა დაქარაგმების ზემოთაღნიშნული წესები; “მხოლოასიონი დაქარაგმების დროს შემოკლების
მიზნით წერდნენ სიტყვის მხოლოდ დასაწყის ასოს. შუაშეკვეცილობითი დაქარაგმების დროს
შესამოკლებელი სიტყვა წარმოდგენილია დასაწყისი და ბოლო ასოებით ან მარცვლებით..., უხმოვნო
დაქარაგმების დროს შემოკლება ხდება ხმოვნების ხარჯზე”².

ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაქარაგმების აუცილებლობას მოითხოვდა, ერთი მხრივ, ქვის კვეთის
ძელი სამუშაო და მეორე მხრივ, წარწერისათვის განკუთვნილი ადგილის შეზღუდულობა. ამის გამო
წარწერაში გადმოსაცემი ამბის დატევა ხშირად ჭირდა. წარწერის დატევის მიზნით ოსტატი ცდილობ-
და, სიტყვა რაც შეიძლება შემოკლებით დაეწერა; საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ამ პროცესებმა
ზოგიერთი სიტყვის დაქარაგმების წესების ერთგვარი დაკანონებაც კი გამოიწვია. მაგალითად, ჭლოუს
წარწერაში ტრადიციულადაა დაქარაგმებული სიტყვა “ერისთავთ ერისთავი” - ႠႡ ႠႡႠ ႠႡႠ (ერისთავთ
ერ(ის)თ(ავ)ი. აღნიშნული სიტყვის დაქარაგმების წესი მეორდება მრავალ ქართულ წარწერაში.
დაქარაგმების ამ წესს შუაშეკვეცილობითი დაქარაგმება ჰქვია.

საყოველთაოდ მიღებულია სავდერებელი სიტყვების “შეუნდვნეს ღმერთმან” დაქარაგმების
ტრადიცია. იგი გადმოიცემა შემდეგნაირად ႠႡ ႠႡ - (შეუნდვნ(ეს) ღ(მერთმ)ან. ასევე ტრადიციულია
წარწერათა დასასრულს სიტყვა “ამენ”-ის დაქარაგმება შუაშეკვეცილობითი დაქარაგმების წესით ႠႡ Ⴀ.

როგორც ჩანს, დაქარაგმების საძივე სახეობიდან, შუაშეკვეცილობითი დაქარაგმების წესი ყვე-
ლაზე გავრცელებულია ქართულ ეპიგრაფიკაში. მაგ. გიორგი ქოჩოლავას წარწერაში სიტყვები “წმიდაო
გიორგი” მოცემულია ქარაგმით:

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

² ც. ჭანკიევი. “დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში”, პალეოგრაფიული ძიებანი. ტ. II. თბ. 1969. გვ. 109.



BC უკუ ყოი "წ(მიდა)ო გ(იორგი)ი შ(ეიწყალ)ე".

უზმოუნო დაქარაგმების მაგალითები გვაქვს მსიგზუნას ---წარწერებში " შქზ " მ(ი)ქ(ა)ელ; "

ჭლოუს წარწერაში: შნძღღღღღღ -მ(ა)ნდ(ა)ტუ(რთუ)ხ(უ)ც(ე)სი, ბწნი -დ(ა)დ(ია)ნი.

მოქვის წარწერაში: ყბ - ყ(ოვლა)დ

BC - წ(მიდა)ო

იღსკყუნო -დ(მ)რ(თ)ი(ს)მშ(ო)ბ(ე)ლო

ღუმურიშის წარწერაში: ბწზტ ბწზი „დ(ე)ოფ(ა)ლთა დ(ე)ოფ(ა)ლი,

ნნს ნ(ია)ნ(ია)სა.

ზოგჯერ ოსტატი ვერ ითვალისწინებდა და ვერ იცავდა ქართული დამწერლობისათვის დამახასიათებელ დაქარაგმების წესებს, რამაც გამოიწვია ეპიგრაფიკაში ქარაგმების ნაირ-ნაირი ხერხების გამოყენება. ამიტომ ზოგჯერ ქარაგმის გახსნა სათუთა და მათი გაშიფვრა ვარაუდით ხდება. წარწერის დატევის მიზნით, წარმწერელი ცდილობდა სიტყვა რაც შეიძლება შემოკლებით დაეწერა. იგი აღარ უწყვედა ანგარიშს, რომ შემოკლებულ ფორმაში წარმოდგენილი ყოფილიყო ფუძისეული ასოებიც და დაბოლოებებიც, იგი კმაყოფილი იყო იმითაც, თუ სიტყვას როგორმე მიაჩნებდა. ამგვარად დაქარაგმებული სიტყვების ამოკითხვა ზოგჯერ შეუძლებელიც კია. მაგალითად, ასეთი ქარაგმა გავუსწნელი სახითაა წარმოდგენილი მოქვის წარწერაში: შქზ შქლქნსლს „მაგმნის ძესა“

პირველი ქარაგმა მოცემულია ტრადიციული წესების დაცვით, ამიტომ იკითხება, როგორც მ(ი)ქ(ე)ლ(ი)“, მაგრამ მომდევნო სიტყვაში ქარაგმა ორ ადგილზეა დასმული, მათი გახსნა ჯერჯერობით არ ხერხდება და ვკითხულობთ ისე, როგორც წარწერაშია: „მაგმნის ძესა“. ასევე საგვარაუდო გახსნა გვაქვს წებელდის ლუკას წარწერაში შქლქნსლს - ვკითხულობთ მ(ა)რტინეას. ქარაგმის გახსნისა და ტექსტის საგვარაუდო წაკითხვა გვაქვს წარჩეს ფაშაძის წარწერაშიც.

აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ისევე, როგორც საქართველოს დანარჩენ რეგიონებში, ქარაგმად, ძირითადად, გამოყენებულია სწორი განივი ხაზი, რომელიც ქვაზე ამოსაკვეთად ყველაზე ადვილია. კლასიკური ხაზი იშვიათად გვხვდება, ისიც ფრეესკულ წარწერებში. კიდურწაისრულ და კიდურწერტილოვან წარწერებში ქარაგმა წარმოდგენილია სწორი კიდურწაისრული ან კიდურწერტილოვანი ხაზით. მაგალითად, ასეთი ქარაგმა მოცემულია ანუხვის გიორგი ბასილის ძის, გიორგი ქოჩლავას, საგდუხტ დედოფლის წარწერებში და ა. შ. ზოგჯერ დაქარაგმებული სიტყვა გვხვდება ქარაგმის ნიშნის გარეშეც. მაგალითად, ჭლოუს ოზბეგ დადიანის წარწერაში ქარაგმის ნიშანი საერთოდ არ გვაქვს, მაგრამ დაქარაგმებული და შემოკლებულია ყველა სიტყვა. შეიძლება ეს სწორედ წარწერის რელიეფურობით იყოს გამოწვეული.

ცალკეულ სიტყვათა დაქარაგმების შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა წარწერების განხილვისას, რადგან ზოგჯერ მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ წარწერის შინაარსის სწორად გაგებისათვის. ამ მხრივ, ჩვენი ნაშრომის წინა ნაწილში განვიხილეთ საგდუხტ დედოფლის წარწერაში მოცემული დაქარაგმება ბწზტ ბწზი „დ(ე)ოფ(ა)ლთა დ(ე)ოფ(ა)ლი“; სათანადო მაგალითების მოყვანის საფუძველზე ჩვენს მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქვეყნის დედოფლის ტიტულის დაქარაგმება



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპიგრაფიკულ ძეგლებში წარმოდგენილი იყო ორი "ღონით", **ՃԾԲԻԿ ԾԾԲԻՆ** ხოლო **პროვინციის მმართველი ერისთავების მეუღლე იწოდებოდა "დეოფალთ დეოფალად"** ან **ლიოფალთ დეოფალად**, შესაბამისად, დაქარაგმებაშიც მხოლოდ ერთი ღონი იყო წარმოდგენილი.

გარდა ამისა, ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულებიან ფილაზე მოცემულ წარწერებში დაცულია ქარაგმის ერთი და იგივე წესები, მაგალითად, სიტყვების: **ՄԻԿՄ Ի ԴՆ** „ჯ(უა)რცმ(ა)ჲ ქ(რისტ)ესი“ დაქარაგმებისას.

დაქარაგმება, მისი სახეები და გადმოცემის ხერხები შედის ეპიგრაფიკული ძეგლების პუნქტუაციის საკითხებშიც. ქარაგმა და განკვეთილობის ნიშნები ერთიანობაში ქმნის წარწერის პუნქტუაციის ნიშნებს. განკვეთილობის ნიშნებად აფხაზეთის წარწერებში გვხვდება ერთი დიდი წერტილი (მსიგზუას წარწერები, ოზბეგ დადიანის წარწერა); ორწერტილი (საგდუხტ დედოფლის წარწერა, დიხაზურგას წარწერა, წებელდის საამშენებლო წარწერა, ილორის გიორგი ქოჩოლვას წარწერა) და ა. შ. ანუხვას წარწერაში განკვეთილობის ნიშნად მოცემულია სამი წერტილი, მაგრამ წარწერის ბოლოს ^{დსმე რა} **ოთხი წერტილი**. ასეთივე განკვეთილობის ნიშნები შეორდება გუდავის წარწერაშიც. აქ სიტყვებს შორის განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია ორწერტილი, ტექსტის ბოლოს დასმულია სამწერტილი.

დაქარაგმებისა და პუნქტუაციის ზემოაღნიშნული ხერხები დამახასიათებელია სხვა რეგიონის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის. მაგალითად, ერთი წერტილი გვხვდება კაბენის ეკლესიის 1184-1207 წლების "გიორგის შვილთა" საამშენებლო-ქტიტორულ წარწერაში³. იმავე კაბენის ეკლესიის თამარ დედოფლის 1184-1207 წლების წარწერაში ერთი წერტილი გვხვდება ყოველი სიტყვის შემდეგ⁴. გვხვდება ორწერტილდასმული, პატარა, სწორი, განივი ხაზიც. მაგ. 1207-1222 წლების განძანის ქვემო ეკლესიის გიორგი მეფის წარწერაში⁵, ასეთივე განკვეთილობის ნიშნები გვაქვს თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ ვაჰანის მონასტრის იქპით გურგენიძის საამშენებლო წარწერაში⁶. ეს წარწერა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მისთვის დამახასიათებელია კიდურწერტილოვნება. კიდურწერტილოვნება 1198 წლის ვაჰანის მონასტრის ზღუდის საამშენებლო წარწერა ანტონ ჭყონდიდელისა⁷. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ პალეოგრაფიული ნიშნით ხასიათდება ილორის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერებიც. აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში გამოვლენილი დაქარაგმებისა და პუნქტუაციის ნიშნები მიუთითებს, რომ საქართველოში არსებობდა ქვის კალიგრაფიული ხელობის გარკვეული წესები, რომელთაც ტრადიციულად ითვალისწინებდნენ თაობები.

³ გ. თხეშელაშვილი, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლიბადარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. გვ. 93.
⁴ იქვე, გვ. 94.
⁵ იქვე, გვ. 104.
⁶ იქვე, გვ. 81-84.



თავი II

ქართული დაწვრილობის განვითარების საფეხურები აფხაზეთის
ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით

აფხაზეთი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სიმრავლით არ ჩამოუვარდება საქართველოს სხვა ისტორიულ მხარეებს. აქ წარმოდგენილია ქართული დამწერლობის განვითარების სამივე საფეხური: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. მათ შორის უპირატესობით სარგებლობს ასომთავრული და წარწერების მნიშვნელოვანი რაოდენობა დამწერლობის ამ სახითაა წარმოდგენილი. ჩვენს დისერტაციაში მოცემული 37 წარწერიდან 30 ასომთავრულითაა შესრულებული, ოთხი ნუსხური წარწერაა, ორი მხედრული და ერთი ნუსხურნარევი ასომთავრული.


ქრონოლოგიური თვალსაზრისით, აფხაზეთის ქართული წარწერების უმრავლესობა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის დროინდელია. მთლიანად მათი ქრონოლოგია IX-XIX საუკუნეებს მოიცავს, მაგრამ ჩვენს დისერტაციაში არ შესულა XIX საუკუნის საფლავის ქვის ეპიტაფიები, რომლებიც, ძირითადად, ასომთავრულითა და მხედრულით არის შესრულებული.

ეპიგრაფიკული ძეგლები თავისი ხასიათის მიხედვით ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: იურიდიული და საამშენებლო-მემორიალური, ზოგჯერ კი საამშენებლო და მემორიალური ხასიათის წარწერები ერთგვარად იურიდიულ სახესაც ატარებენ, შეიძლება ითქვას გარდამავალი არიან საამშენებლო-მემორიალურიდან იურიდიული ხასიათის წარწერებში⁵. აფხაზეთის წარწერებში გვხვდება ქტიტორულ-საამშენებლო ხასიათის წარწერები მემორიალური ტექსტები, ეპიტაფიები და ა.შ. განსაკუთრებით ჭარბობს მემორიალური ტექსტები

ქართული დამწერლობის განვითარების შესწავლის თვალსაზრისით, საყურადღებოა, აფხაზეთის ასომთავრული დამწერლობის ძეგლები. ქართული ასომთავრული დამწერლობა მსგავსად კლასიკური დამწერლობისა, გრაფიკული სტრუქტურისა და არქიტექტონიკის თვალსაზრისით მონუმენტური ანუ კაპიტალური დამწერლობაა. ამოსავლურ-დასავლურმა ანბანურმა სამყარომ იცის რამდენიმე მონუმენტური დამწერლობა. კაპიტალური ანუ მონუმენტური დამწერლობის უპირველესი ნიშანდობილებაა გეომეტრიული გრაფიკა. ასეთ დამწერლობას scriptura monumentalis⁶ ეწოდება. მონუმენტური დამწერლობის ამოსავალი პრინციპია, როცა ყველა ასო-ნიშანი თანაბარი სიდიდისაა და ასო ნიშნები ორპარალელს შორის თავსდება. ასო-ნიშნების გრაფიკა კი გეომეტრიული სტილისა უნდა იყოს. ქართული ასომთავრული მონუმენტური დამწერლობა გეომეტრიული სტილის სრულყოფილი გრაფიკული სისტემაა. მისი ზოგადი პრინციპებია: ასო-ნიშნების გეომეტრიული მონაზულობა, გრაფიკების თანაზომიერი სიმაღლე და სწორხაზოვნება, რაც ქართული ასომთავრული ანბანის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

ამ თვალსაზრისით, აფხაზეთის ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიმუშები, ისევე როგორც სხვა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, ძირითადად, ითვალისწინებენ ზემოთხსენებული გრაფიკული სწორხაზოვნებისა და მონუმენტურობის პრინციპებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს გრაფიკათა სწორხაზოვნება და თანაბარი სიმაღლე, რაც განაპირობებს მათ სრულყოფილ განთავსებას ორხაზოვან

⁵ იქვე, გვ. 105.
⁶ ცისკარიშვილი, აფხაზეთის ეპიგრაფიკა, თბ., 1959, გვ. 4.




საწერ ბადეში. ჩვეულებრივ, ასომთავრული გრაფემების ამოკვეთისას ოსტატთა დიდი ნაწილი ცდილობს დაიცვას ასომთავრულისათვის დამახასიათებელი ზემოხსენებული ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციები. მართალია, ზოგჯერ შეიმჩნევა ამ ტრადიციების რღვევა, რაც ერთის მხრივ, შეიძლება გამოწვეული იყოს მასალის-ქვის ფილის დაუმუშავებელი ზედაპირით, მეორე მხრივ, იგი მიუთითებს დამწერლობაში მიმდინარე ცვლილებებზე, კერძოდ ნუსხური და მხედრული დამწერლობისათვის დამახასიათებელი ოთხხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციების დამკვიდრებაზე დამწერლობაში.

კლასიკური ასომთავრულისათვის დამახასიათებელ გრაფიკულ მოხაზულობას ავლენს გუდაუთის რაიონის სოფ. ანუხვაში აღმოჩენილი ვიორგი ბასილის ძის წარწერა, რომელიც კიდურწაისრული დამწერლობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ანუხვის წარწერების განხილვისას ჩვენ ვისაუბრეთ კიდურწაისრული დამწერლობის ძეგლებზე. ქართულ ასომთავრულში არსებულ ამ თავისებურებას პირველად ყურადღება ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია. მისი აზრით, „ეს დამწერლობა უმთავრესად კედლის წარწერებშია ნახმარი და მის თავისებურებებს ასოთა კიდურებზე და ზოგჯერ მოხაზულობის სხვა ალაგსაც გამოყვანილი ტყუბწვეტიანი სამკაული შეადგენს“⁹. აქედან გამომდინარე დამწერლობის ამ სახეს გამოჩენილმა მეცნიერმა ტყუბწვეტიანი უწოდა და მათ საუკეთესო ნიმუშად სამთავისის საყდრის აღმოსავლეთის გარეთა კედელზე ამოჭრილი ილარიონის ძის, ვაჩე ყანჩაელის სულის შეწყფლების მკვიდრებელი წარწერა დაასახელა. ამავე დამწერლობის ოღონდ უკვე გადაგვარებულ სახედ იქნა მიჩნეული ქ. ანისის 1218 წლის კათალიკოს ეტიფანეს წარწერა.

კიდურწაისრული დამწერლობის ძეგლების კვლევის სფერო კიდევ უფრო გააღრმავა ლ. მუსხელიშვილმა და თ. ბარნაველმა. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერების შესწავლისას თ. ბარნაველმა ყურადღება გაამახვილა ალავერდის, სამთავისისა და სვეტიცხოვლის წარწერების თავისებურებებზე. აღნიშნული წარწერების გრაფიკული მონახაზების შედარების საფუძველზე მკვლევარმა მიიჩნია, რომ ეს წარწერები ტყუბწვეტოვანია და XI საუკუნის I ნახევარში უნდა იყოს შესრულებული.¹⁰ დამწერლობის ამ თავისებურებას ლ. მუსხელიშვილმა „კიდურისრებიანი და ე.წ. ტყუბწვეტიანი მთავრული დამწერლობა“, უწოდა.¹¹ საკუთრივ ტერმინი „კიდურწაისრული“, შემოიღო და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა გამოიყენა ვ. სილოგავამ. ამჟამად ეს ტერმინი საყოველთაოდ დამკვიდრებულია.¹²

ასომთავრულში მიმდინარე ცვლილებები ნ. შოშიაშვილმა დაუკავშირა ქართულ დამწერლობაში VIII-IX საუკუნეებში მიმდინარე რეფორმებს, რომლის საფუძველზე შეიქმნა ნუსხა-ხუცური. მისი აზრით, „ეს რეფორმა, როგორც ჩანს, მოხდა VIII ან IX საუკუნეებში-შეიქმნა ნუსხური დამწერლობა. იგი შეიქმნა ასომთავრულის ბაზაზე. მასში აისახა მთავრული დამწერლობის VIII ს-ის პალეოგრაფიული ნიშნები(წრეგახსნილი გრაფემები, გრძელი ბუნები და სხვ.). ამის შემდეგ იწყება უკუპროცესი : ასომთავრული დამწერლობა ითვისებს ნუსხურიდან ზოგიერთ პალეოგრაფიულ ნიშანს“¹³. აღნიშნულ

⁹ ნ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980, გვ. 141.
¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 125.
¹¹ თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ. 1962, გვ. 11.
¹² ლ. მუსხელიშვილი, სვეტიცხოვლის წარწერები, Ars Georgica, I, 1942.
¹³ ვ. სილოგავა, ქართული სამართლის ძეგლები... „მაცნე“ ისტორიის სერია, 4, 1972, №3, I, გვ. 28-29.



ცვლილებათა გაგრძელებად მიაჩნია მკვლევარს ამ პერიოდის ასომთავრულში შემჩნეული თავისებურებანიც. IX-X სს. ლაპიდარული წარწერების დამწერლობაში შეიმჩნევა სხვა ცვლილებებიც: იწყება გრაფემების სტილიზაცია, ჩნდება კიდურწერტილოვნება და კიდურწაისრულება. ვგზვდება ლიგატურა (შეწიალება)⁵⁵.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კიდურწაისრულობა დამახასიათებელია სამთავისის, სვეტიცხოვლის, შიო-შღვიძის, ალავერდის⁵⁶ წარწერებისათვის. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს მოვლენა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს წარწერებისათვის იყოს დამახასიათებელი. მაგრამ მანამდვილეში ამ მხრივ მდიდარია დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი 37 წარწერიდან 5 წარწერას: წებელდის მიქაელის, ბესლეთის ხიდის, ღუმურიშის, ანუხვას გიორგი ბასილის ძისა და ზუაფის წარწერებს კიდურწაისრულობა ახასიათებს. მათ შორის კიდურწაისრულობის კლასიკურ ნიმუშად გამოდგება ანუხვას გიორგი ბასილის ძის წარწერა. დასავლეთ საქართველოდან ამ ძეგლების რიცხვს⁵⁷ მიეკუთვნება ნიკორწმინდის: ქათამ-ვეშაპის, სირაქლეშების, ფასკუნჯების გამოსახულებების წარწერები; ჭიათურის რაიონში კაცხის ტაძრის იოჰანისა და ჯიკუას ძის წარწერები; ონის რაიონში მრავალძალის ეკლესიის კეთილად მოლუაწეთა წარწერა⁵⁸ და ა.შ.

ჩვენი აზრით, ზემოთხსენებული მონაცემების საფუძველზე ჩვენ თამამად შეიძლება ვისაუბროთ საქართველოში კიდურწაისრული ასომთავრული დამწერლობის პალეოგრაფიული სკოლის არსებობაზე, რომელმაც თავისებური მიმდინარეობა შექმნა ასომთავრული დამწერლობის გრაფიკულ მოხაზულობაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გრაფიკული მოხაზულობის თვალსაზრისით ამ სკოლას არ შეუცვლია ასომთავრულისათვის დამახასიათებელი ძირითადი არქიტექტონიკა: ორხაზოვანი საწერი ბადე და გრაფემების თანაბარი სიმაღლე. პირიქით, როგორც ჩანს, გრაფემათა მოხაზულობაში მან მკაცრად განსაზღვრა ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციები, მაგრამ ასოების კიდურებზე წყვილი ისრების დამატებით მეტი მოძრაობა და პლასტიკურობა, მხატვრულად რომ ვთქვათ, გამოცოცხლება შეიტანა ქვაზე შესრულებულ წარწერათა მონუმენტურობაში.

კიდურწაისრულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში განსაკუთრებული მსგავსება იგრძნობა ცალკეულ გრაფემათა მოხაზულობაში. ასეთ გრაფემათა რიცხვს მიეკუთვნება **ტ, შ, ნ, ც, ლ, ზ** და სხვა გრაფემები. მათი მოხაზულობა დამახასიათებელია ყველა წარწერისათვის და ხშირ შემთხვევაში მეორდება.

განსაკუთრებით საყურადღებოა **ტ**-ს მოხაზულობა. თითქმის ყველა წარწერა იმეორებს „ანი“ ერთი და იმავე გრაფიკას, გარდა შიომღვიმის, სამთავისის და სვეტიცხოვლის წარწერებისა, რომელშიც გრაფემის მარჯვნივ გახსნილ წრეს, ზემოდან მარცხნივ წრის მოხაზულობიდან გარეთ გასული სწორი, განივი ხაზი ადევს, მაგრამ იგი გრაფემების ტანთან შეერთებულია მაღალი ყელით (იხ. ტაბულა № 3). აღნიშნული განსხვავების გარდა, შიომღვიმის ასომთავრული „ანი“, იდენტურია ალავერდის, ანუხვის, კაცხის, ნიკორწმინდის დასახელებული წარწერების გრაფემებისა. „ანი“, თითქმის ყველა კიდურწაისრული დამწერლობის ძეგლში (გარდა შიომღვიმის და სვეტიცხოვლის წარწერებისა) წარმოდგენილია

⁵⁵ მწკ. I, გვ. 29.
⁵⁶ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. II.
⁵⁷ ქ. წ. II, 91, 92, 93, 80, 81, 85.



ექვსი წაწვეტებული ისრით- გრაფემების თითო კიდურზე მოთავსებულია ორ-ორი წამახვილებული ისარი.

ასევე დამახასიათებელია „მანის“, მოხაზულობა. ასოს ტარს ზემოდან ადევს მასთან სწორი კუთხით დაკავშირებული განივი, კიდურწაისრული სწორი ხაზი, ხოლო ქვემოთ, მარცხნივ მიდგმული აქვს ნახევარწრეზე ოდნავ მეტი მოხაზულობის რკალი. ამ რკალის ზედა ხაზი ასოს ტარს ებჯინება, მაგალითად, ასეთი ანი მოცემულია ღუმურიშის წარწერაში. ზოგჯერ ეს ხაზი გადადის ტარის ხაზს იქით და ბოლოვდება კიდურწაისრულობით. მაგალითად, ასეა „მანი“, წარმოდგენილი ანუხვის, კაცხის და ნიკორწმინდის წარწერებში (ტაბულა №3).

„ნარის“, ვერტიკალურ ტარს ზემოდან ადევს სწორი კუთხით მასთან დაკავშირებული სწორი კიდურწაისრული ხაზი. ტარის შუა ნაწილიდან გამოდის ჯერ სწორი კუთხით, ხოლო შემდეგ მომრგვალებით, ძირს ტარის ბოლომდე სწორ ხაზად დაშვებული მარწყუი, რომელიც ბოლოვდება კიდურწაისრულობით. „ნარის“ მარწყუი ზოგჯერ შეკრულია, მაგრამ უფრო ხშირად წარწერებში მარწყუი გახსნილი სახითაა წარმოდგენილი.


„თანის“, ერთნაირი მოხაზულობითაა წარმოდგენილი ნიკორწმინდისა და კაცხის წარწერებში. გრაფემას ვერტიკალური ტარის მაგიერ მარცხნივ გაზიდული ნახევარრკალი აქვს, რომელიც უერთდება ასევე მარცხნივ მიდგმულ, ნახევარწრეზე ოდნავ მეტი მოყვანილობის დიდი ზომის რკალს. მარჯვნივ პატარა ზომის რკალს მიდგმული აქვს ოდნავ გრძელი განივი ხაზი, რომლის კიდეები ისრულია. რაც შეეხება ანუხვის წარწერის „თან“-ს, აქ შედარებით განსხვავებული გრაფემაა წარმოდგენილი: გრაფემას სწორი ტარი გააჩნია, რომელსაც მარცხნივ დიდი, მრგვალი მარწყუი აქვს მიდგმული, ხოლო ტარის შუა ნაწილიდან გამოდის კიდურწაისრული განივი ხაზი. თითქმის ყველა კიდურწაისრულ ძეგლში „ანი“, წარმოდგენილია ერთნაირი მოხაზულობით (ტაბულა №3).

